

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
სადოქტორო პროგრამა „ლინგვისტიკა“ თარგმანმცოდნეობა

ხათუნა ბოლქვაძე

კულტურული მეხსიერების სემიოტიკური მექანიზმი და კონცეპტის  
თარგმნის პრობლემა

დისერტაცია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო არაშიძე  
ფილოლოგიის დოქტორი  
ბსუ-ს ასოც.პროფესორი

ბათუმი-2017

## შინაარსი

შესავალი ..... 3

### I თავი - კულტურული მემსიერების ცნება, მისი ნაირსახეობა საზოგადოებაში და ჩამოყალიბების სემიოტიკური მექანიზმი

1.1 მემსიერების ცნება და მემსიერების ტიპები .....	9
1.2 კულტურული მემსიერების ჩამოყალიბების სემიოტიკური მექანიზმი .....	24
1.3 კოლექტიური მემსიერების ნაირსახეობა საზოგადოებაში .....	32
1.4 მემსიერების შენახვის საშუალებები .....	38
1.5 მემსიერების ენობრივი მარკერები .....	43

### II თავი - კონცეპტი, როგორც კულტურის ძირითადი ცნება და მისი ენობრივი მარკერები

2.1 ენა და კულტურა .....	46
2.2 სამყაროს ენობრივი სურათი .....	49
2.3 კონცეპტი - სამყაროს ენობრივი სურათის საფუძველი .....	59
2.4 კონცეპტის ენობრივი მარკერები .....	68

### III თავი - კონცეპტუალური პარადიგმის შეფარდებითი ანალიზი ქართული, რუსული და ინგლისური სამყაროს ენობრივ სურათში

3.1 კონცეპტი „ომის“ სტრუქტურა და მისი საკაცობრიო მნიშვნელობა .....	74
3.2 კონცეპტი „ომი“ რუსული სამყაროს ენობრივ სურათში .....	95
3.3 კონცეპტი „ომი“ ინგლისური სამყაროს ენობრივ სურათში .....	103
3.4 კონცეპტი „ომი“ ქართული სამყაროს ენობრივ სურათში .....	107

### IV თავი - კონცეპტების თარგმნის პრობლემები

4.1. ტექსტი - კონცეპტი - თარგმანი .....	116
4.2. კულტურული კონცეპტების თარგმნის სპეციფიკა .....	134
დასკვნა .....	149
ბიბლიოგრაფია .....	154

## შესავალი

ადამიანის არსებობა მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ საქმიანობასთან. საზოგადოებრივი საქმიანობა, თავის მხრივ, შეუძლებელია ადამიანთა შორის ურთიერთგაგებინების გარეშე. კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი საშუალება არის ენა. ენა არის საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებიდან, განსაკუთრებით კი შედეგზე ორიენტირებული საქმიანობიდან გამომდინარე, მუდმივად განახლებადი, განვითარებადი სისტემა აკუსტიკურად და ოპტიკურად აღქმადი ნიშნებისა, რომელიც ადამიანს ემსახურება აზრის გაფორმებაში, შეაძლებინებს მას გარკვეულ ფორმაში მოაქციოს აზრი და ამით გასაგები გახადოს იგი მისთვის და სხვათათვის. ენა ადამიანს ფიქრის პროცესს, ანუ გარკვეული რეალობის შემეცნებას შეაძლებინებს. ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, მეშვეობით შესაძლებელი ხდება აზრებისა და ემოციური განცდების გადმოცემა, ასევე მოპოვებული ცოდნის ფიქსირება და შენახვა.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ლინგვისტიკმა საოცარი აღმოჩენა გააკეთეს. მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტური ხასიათის გამოყენებითი საქმიანობა და ლინგვისტიკა, როგორც თეორიული მეცნიერება, მრავალ საუკუნიან პერიოდს მოიცავს, „მოლაპარაკე ადამიანი“ (HOMO LOQUENS) ლინგვისტიკის ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი. კომუნიკაციის თეორიის, სემიოტიკის განვითარებამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებმა ახალი ლინგვისტური პარადიგმის- ანთროპოცენტრული პარადიგმის განვითარება განაპირობეს. მოლაპარაკე ადამიანის შესწავლამ კი მოითხოვა პრაგმატიკის ფართო სპექტრის ამოქმედება. განვითარდა ლინგვოკულტურული, ფსიქოლინგვისტური, სოციოლინგვისტური ხასიათის ინტერდისციპლინარული კვლევები.

მეცნიერები ყოველთვის იყვნენ დაინტერესებულები ენისა და კულტურის ურთიერთობით, მაგრამ მხოლოდ კულტურათმცოდნის კომუნიკაციის თეორიის ჩამოყალიბებამ და სემიოტიკის სწრაფმა განვითარებამ მოგვცა შესაძლებლობა გაგვეაზრებინა ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ენასა და რეალურ სამყაროს შორის დგას ადამიანი, მისი აზროვნებით, ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობით, საზოგადოებრივი გამოცდილებით, გარკვეული ფონური მარაგით და კულტურული წეს-ჩვეულებით. დაიწყო ინტენსიური ორმხრივი პროცესი: კულტურის გააზრება ენის ფენომენის ჭრილში და ენის შესწავლა კულტურული და სემიოტიკური კატეგორიების მეშვეობით.

ყოველი ენა თავისებურად ანაწევრებს მსოფლიოს, მაშასადამე, გააჩნია მისი კონცეპტუალიზაციის საკუთარი ხერხები. ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველ ენას აქვს თავისი მსოფლიოს ხატი და ენობრივი პიროვნება ვალდებულია ამ სურათის შესაბამისი გამონათქვამების შინაარსი უზრუნველყოს. სწორედ ამაში გამოვლინდება ენაში დაფიქსირებული, მსოფლიოს სპეციფიკური ადამიანისეული აღქმა. ერის თავისებური გამოცდილების და ობიექტური სამყაროს ათვისების საფუძველზე ფორმირდება კონცეპტუალური სისტემა, რომელშიც ენობრივი მარკერების მეშვეობით დაფიქსირებულია ერის ეთნომენტალური ხასიათი, მისი კულტურული მეხსიერება.

### ***თემის აქტუალობა და სიახლე***

მსოფლიოს სურათის ცნება (მათ შორის ენობრივიც) ყალიბდება მსოფლიოზე ადამიანის შეხედულებების შესწავლით. თუ მსოფლიო არის ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედება, მაშინ მსოფლიოს სურათი - ადამიანზე და გარემოზე ინფორმაციის გადამუშავების შედეგია. მაშასადამე, კოგნიტიური ლინგვისტიკის წარმომადგენლები სამართლიანად ამტკიცებენ, რომ ჩვენი კონცეპტუალური სისტემა, რომელიც ასახულია მსოფლიოს ენობრივი სურათის სახით, დამოკიდებულია ერის გამოცდილებაზე და უშუალოდაა მასთან დაკავშირებული.

ერის მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე ხდება მსოფლიოს სურათის ფორმირება და ერის ეთნო-მენტალური ხასიათის ჩამოყალიბება.

თვით ობიექტური სამყაროს კონცეპტუალიზაციის საფუძველში, საკაცობრიო უნივერსალური კატეგორიების გარდა, ეროვნული ეთნომენტალური სპეციფიკაა ჩაქსოვილი, რომელიც ფიქსირდება ხალხის კულტურულ მეხსიერებაში სპეციალური ენობრივი მარკერების მეშვეობით, მაშასადამე, ყველაფერი, რასაც განიცდის ერი მისი ისტორიის განმავლობაში, მეტ-ნაკლებად გამოხატულია ენობრივი სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე. ვინაიდან, ეთნომენტალობა ერის იდენტიფიკაციის საფუძველია და ის ყოველთვის ჰპოვებს ვერბალურ გამოხატვას ენობრივ სისტემაში.

ეფექტური კომუნიკაცია - კაცობრიობის მშვიდობიანი და წარმატებული განვითარების აუცილებელი პირობაა, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნაირსახეობას თარგმანი წარმოადგენს. ენისა და კულტურის, ენობრივი მარკერებისა და კულტურული მეხსიერების, კონცეპტებისა და მათი გამოხატვის საშუალებების შესწავლა აღრმავებს და აუმჯობესებს თარგმანის ხარისხს. კულტურული მეხსიერება უამრავი ხერხებით ფიქსირდება (მატერიალური ძეგლები, სამახსოვრო ნივთები, ადგილები), მაგრამ ენისა და კულტურის ურთიერთქმედების ინტენსიურმა კვლევამ ცხადყო, რომ კულტურული მეხსიერების ფიქსაციის უნივერსალურ ფორმას ენა წარმოადგენს. თითოეული ერის სამყაროს ენობრივი სურათი ჩამოყალიბებულ კონცეპტუალურ სისტემას წარმოადგენს, რომლის შესწავლა და მთარგმნელობით ჭრილში გაშუქება ეფექტური კულტურათმორისი კომუნიკაციის აუცილებელი პირობაა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს ჩვენი ნაშრომის აქტუალობა.

### ***კვლევის ობიექტი***

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს კონცეპტი „ომის“ ლექსიკური პარადიგმა, რომლის ერთეულებიც ჩვენს ამოვკრიფეთ ქართული, რუსული და ინგლისური ენის ლექსიკონებიდან. არჩევის მეთოდით ჩვენ ამოვიღეთ ყველა ლექსემა, რომელიც აღნიშნულ ენებში კონცეპტი „ომის“ მარკერად არის

გამოყენებული/მიჩნეული. ვინაიდან სხვადასხვა ტიპის დისკურსში ფუნქციონირების დროს ეს ერთეულები იტვირთებოდა დამატებითი კონოტაციებით, ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ გაგვეფართოვებინა კვლევის ემპირიული ბაზა, სხვადასხვა პერიოდის მხატვრული ლიტერატურითა და ფოლკლორით. კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით ჩვენ გამოვიყენეთ სტატისტიკური და ემპირიული მასალა, რომელიც მოცემულია ქართული, რუსული და ინგლისური ენების ეროვნულ პორპუსში: <http://www.ruscorpora.ru/search-main.html>; <http://gnc.gov.ge/gnc/corpus-list>; <http://www.natcorp.ox.ac.uk/>.

### ***კვლევის მიზანი***

ჩვენი ნაშრომის მიზანია, კულტურული მეხსიერების სემიოტიკური მექანიზმის შესწავლა და მისი გამომხატველი კონცეპტების თარგმნის პრობლემების განხილვა.

კვლევის კონკრეტულ ამოცანებს წარმოადგენს:

1. კულტურული მეხსიერების ცნება და მისი ჩამოყალიბების სემიოტიკური მექანიზმის კვლევა;
2. კოლექტიური მეხსიერების ნაირსახეობა საზოგადოებაში და მათი შენახვის საშუალებები;
3. კონცეპტის, როგორც კულტურის ძირითადი ცნების, შესწავლა მისი ენობრივი მარკერები და დინამიკა;
4. ეროვნული კულტურის კონცეპტუალური პარადიგმების შეფარდებითი ანალიზი ქართული, რუსული და ინგლისური სამყაროს კოგნიტურ სურათში;
5. კონცეპტის თარგმნის პრობლემების განხილვა.

### ***კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა***

კვლევის თეორიული მნიშვნელობა გამოიხატება კულტურული მეხსიერების შესწავლაში ქართულ ენობრივ და კულტურულ სივრცეში, კონცეპტების მარკერების შესწავლასა და ამ ცნებების გაღრმავებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება

ერის კოლექტიური მეხსიერების შესწავლას, რომელიც აგებულია საკაცობრიო მნიშვნელობის სემიოტიკურ მექანიზმზე და ენობრივი აზროვნების განსაკუთრებულ ენობრივ არქეტიპს წარმოადგენს.

კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა უდავოა, ვინაიდან ინგლისურ და რუსულ კულტურულ სივრცეში აქტიურად მიმდინარეობს კულტურული მეხსიერებისა და კონცეპტუალური პარადიგმების შესწავლა, ხოლო ქართულ კულტურულ სივრცეში ეს პრობლემა ჯერჯერობით საწყის ეტაპზეა. ნაშრომში მოყვანილი ემპირიული მასალის ანალიზი შეიძლება იყოს გამოყენებული მთელი რიგი დისციპლინების პრაქტიკულ მეცადინეობებზე (ზოგადი თარგმანის თეორია და პრაქტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, კულტურათმორისი კომუნიკაცია, ლინგვოკულტუროლოგია და სხვ).

### *კვლევის მეთოდოლოგია*

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძვლებს წარმოადგენს კომპლექსური მეთოდიკა. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები და ხერხები: ლინგვისტიკური აღწერის მეთოდი, შედარებით-ტიპოლოგიური კვლევის მეთოდის ძირითადი ხერხები, ინტერპრეტაციისა და განზოგადების მეთოდი, ანალოგიების მეთოდი, ენათმორისი ეკვივალენტობის დადგენის მეთოდი და ცენტრი - პერიფერიის მეთოდი- განმარტებითი ანალიზი.

### *სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა*

ნაშრომი შედგება შესავლის 4 თავის, 16 პარაგრაფისა და ზოგადი დასკვნებისგან; ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და ინტერნეტმასალების სია.

ნაშრომის პირველი თავი - კულტურული მეხსიერების ცნება, მისი ნაირსახეობა საზოგადოებაში და ჩამოყალიბების სემიოტიკური მექანიზმი - შედგება 5 პარაგრაფისგან. აღნიშნული თავი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ის

უკავშირდება ჩვენი თემის კვლევის ობიექტს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონცეპტის გამოხატვის ეროვნული მარკერები წარმოადგენენ კულტურული მემსიერების მარკერებს.

**ნაშრომის მეორე თავი - კონცეპტი, როგორც კულტურის ძირითადი ცნება და მისი ენობრივი მარკერები** - მოიცავს ენისა და კულტურის კავშირს, ასევე კონცეპტის, როგორც სამყაროს ენობრივი სურათის საფუძვლის არსის განსაზღვრასა და მის მნიშვნელობას, როგორც ლინგვოკულტუროლოგიაში, ასევე თარგმანმცოდნეობასა და სხვა მასთან დაკავშირებულ დისციპლინებში.

**ნაშრომის მესამე თავი - კონცეპტუალური პარადიგმის შეფარდებითი ანალიზი ქართული, რუსული და ინგლისური სამყაროს ენობრივ სურათში**- მოიცავს 4 პარაგრაფს, ის მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასში წარმოდგენილია კონცეპტი „ომის“ სტრუქტურა, საკაცობრიო მნიშვნელობა და მისი გამოხატვის ეროვნული თავისებურებები, ასევე განხილულია „ომის“, როგორც სამხედრო მოქმედების გამოწვევის, განვითარებისა და არსებობის მიზეზები. სამ ენაში გაკეთებული შეფარდებითი ანალიზი კი, ნათლად წარმოაჩენს აღნიშნული კონცეპტის მნიშვნელობას, თავისებურებებსა და განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს.

**ნაშრომის მეოთხე თავში - კონცეპტების თარგმნის პრობლემები**, განხილულია კულტურის კონცეპტების თარგმნის სპეციფიკა და ხერხები. აღნიშნული თავი წარმოდგენილია 2 პარაგრაფით. თარგმანმცოდნეობის ჭრილში ის განიხილავს კონცეპტსა და მის შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც ჩვენი ხედვით წარმოადგენენ კულტურული მემსიერების მარკერებს. სწორედ ეს მარკერები უქმნიან მთარგმნელებს ბარიერებს თარგმანის პროცესში და აღმოჩნდა რომ კონცეპტუალური ხედვა თარგმანის პროცესში წარმოადგენს წარმატებული თარგმანის აუცილებელ პირობას.

## **დასკვნა**

დასკვნაში შეჯამებულია კვლევა და წარმოდგენილია სიახლეები, რომლებიც წარმოადგენს ჩვენი კვლევის საფუძველს.



## I თავი

### კულტურული მეხსიერების ცნება, მისი ნაირსახეობა საზოგადოებაში და ჩამოყალიბების სემიოტიკური მექანიზმი

#### 1.1. მეხსიერების ცნება და მეხსიერების ტიპები

„ჩვენ ვცხოვრობთ მეხსიერების საყოველთაო ზეიმის ეპოქაში“, აღნიშნავდა 2002 წელს ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი პიერ ნორა, „უკანასკნელი ოცი თუ ოცდახუთი წლის მანძილზე ყველა ქვეყანაში, ყველა სოციალურ თუ ეთნიკურ ჯგუფში წარსულისადმი დამოკიდებულება არსებითად შეიცვალა: ისტორიის ოფიციალური ვერსიების კრიტიკა, ისტორიული პროცესის ადრე მივიწყებული ან მიჩქმალული მხარეების გახსენება, „წართმეული წარსულის“ დაბრუნება, „ფესვების კულტი“, მემორიალური ღონისძიებებისადმი განსაკუთრებული ყურადღება, წარსულთან „ანგარიშსწორება“... მსოფლიოს თავს დაატყდა მოგონებათა ნიაღვარი, რომელმაც რეალური თუ მოგონილი წარსულისადმი ერთგულება მჭიდროდ დაუკავშირა კოლექტიურ ცნობიერებას, მეხსიერებასა და იდენტობას“ (ნორა, 2002:20).

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ძალიან მნიშვნელოვანი გახდა კულტურისა და მეხსიერების კავშირი მსოფლიოს ბევრ კუთხეში და ინტერდისციპლინარული კვლევის საგნად იქცა. მან მოიცვა ისეთი მრავალფეროვანი დარგები, როგორებიცაა: ისტორია, სოციოლოგია, ხელოვნება, ლიტერატურა, მედია, ფილოსოფია, თეოლოგია, ფსიქოლოგია და ნეურო-მეცნიერებები, ერთი უნიკალური გზით შეკრა და ერთმანეთთან დააკავშირა სოციალური კვლევები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. მეხსიერების კვლევების (Memory Studies) მიზანია შეისწავლოს წარსულის დამახსოვრების ხერხები და მისი ასახვის მეთოდები სხვადასხვა დროსა და სივრცეში. კულტურული მეხსიერების მნიშვნელოვანება არ არის გამოწვეული მხოლოდ დოკუმენტური მასალის, როგორცაა ეროვნული, სოციალური, რელიგიური, ან ოჯახების მეხსიერების ჩანაწერები, სწრაფი ზრდით, არამედ უახლესი მიმართულებითაც რომ მოხდეს სხვადასხვა მიდგომითა და

კვლევის მეთოდებით მათი შესწავლა. ისეთი დიდი გამოცემები, როგორებიცაა The Collective Memory reader (Olick et al.) და Memory Studies- ის თეორიული ტექსტებია, რომლებიც კიდევ უფრო მეტად უსვამენ ხაზს აღნიშნული საკითხის ფართოდ კვლევისა და მისი მეთოდოლოგიური სტანდარტების შესწავლის მნიშვნელობას (არნაუტოვა 2003:75).

„კულტურული“ (ან „კოლექტიური“, „სოციალური“) მეხსიერება აშკარად მრავალფეროვანი მნიშვნელობისაა, ტერმინი ხშირად ორაზროვნად და ბუნდოვნად გამოიყენება. დღესდღეობით აღნიშნული ტერმინის ქვეშ ერთიანდება მედია, მითები, ძეგლები, ისტორიოგრაფია, რიტუალები, კონსერვატიული მეხსიერება და კულტურული ცოდნა. სწორედ თავისი სირთულის გამო, კულტურული მეხსიერება წარმოადგენდა უაღრესად სადავო საკითხს ჯერ კიდევ მორის ჰალბვაქსის ნაშრომში „Memoire Collective“. მისმა თანამედროვემ, მარკ ბლოკმა ამხილა მ.ჰალბვაქსი ამ კონცეპტების უბრალოდ გადმოტანაში ინდივიდუალური ფსიქოლოგიიდან კოლექტიურ დონემდე და დღესაც კი მკვლევარები კამათობენ კოლექტიური და კულტურული მეხსიერების მეტად სადავო მნიშვნელობაზე, ამტკიცებენ რა, რომ ისეთი კარგად დამკვიდრებული და ცნობილი ტერმინების გვერდით, როგორებიცაა „მითი“, „ტრადიცია“ და „ინდივიდუალური მეხსიერება“, აღარ არის საჭირო მეტის, ხშირად შეცდომაში შემყვანი დასახელებების, დამატება (ერლი, 2008:4-5).

მეხსიერება არის ადამიანის ტვინის განსაკუთრებული უნარი, მახასიათებელი. ფართოდ გავრცელებული გაგებით, მეხსიერება წარმოადგენს ინფორმაციის შენახვისა და აღდგენის უნარს. იგი მიეკუთვნება როგორც ბიოლოგიურ, ისე კოგნიტიურ პროცესებს. მეხსიერების ფუნქცია არის გამოცდილების შექმნა, წარსულში აღქმულისა და განცდილის შენახვა, მომავალ ქცევაში მისი გათვალისწინება და ჩართვა. მეხსიერება სხვა ფსიქიკური პროცესებისგან გამოირჩევა თავისი სირთულითა და მოცულობით, ფორმებისა და მექანიზმების სიმრავლით, ფართო დიაპაზონით. მეხსიერება მოიცავს როგორც აწმყოს, ისე წარსულსა და მომავალს. ის, რისი დახსომებაც უნდა მოხდეს, ჯერ აწმყოში აღიქმება, შემდეგ ხდება აღქმულის შენახვა. აღქმული ინფორმაცია ფსიქიკაში ინახება ზოგჯერ უცვლელად, ზოგჯერ კი გარკვეულ ცვლილებებს განიცდის და ამდენად, წარსულს განეკუთვნება.

მეხსიერება გულისხმობს ინდივიდების, ჯგუფებისა და სახელმწიფოთა მცდელობას, განსაზღვრონ საკუთარი რაობა ისტორიის ინტერპრეტაციით, დაგროვილი გამოცდილების ასახვითა და მნიშვნელოვნად მიჩნეული მოვლენების დაფიქსირებით (ლეხოუ, 2006:8). მეხსიერების კვლევა სამ ძირითად დონეზე მიმდინარეობს: ინდივიდუალურ (ძირითადად სწავლობენ ფსიქოლოგები და ფსიქიატრები), კოლექტიურ (სოციოლოგების, კულტურის მეცნიერებათა და ისტორიკოსთა ინტერესის სფერო) და ინსტიტუციურ (პოლიტიკოსი მეცნიერები, კულტურის მეცნიერებები და ისტორიკოსები) დონეზე.

„კოლექტიური მეხსიერების“ ცნება სამეცნიერო ლიტერატურაში XX საუკუნის დასაწყისში დაამკვიდრა ფრანგმა სოციოლოგმა მორის ჰალბვაქსმა. მისი აზრით, ჩვენ აღვიქვამთ, გავიაზრებთ და, შესაბამისად, ვიმახსოვრებთ მოვლენებს იმ სოციალური ჯგუფის მიერ განსაზღვრული საშუალებებით, რომელსაც ვეკუთვნით (ჰალბვაქსი, 1992:5-15). კოლექტიური მეხსიერება საერთო მეხსიერებაა, რომელიც გადაიცემა და კონსტრუირდება ჯგუფის მიერ, მორის ჰალბვაქსმა ის ინდივიდუალური მეხსიერებისგან განასხვავა. კოლექტიური მეხსიერება ემყარება რეპრეზენტაციული ფორმების მუდმივ წარმოებას. კონკრეტული ისტორიები, ნარატივები და ხატები მუდამ განიცდის კვლავწარმოებას და ფორმირებას. ის ამტკიცებდა, რომ მეხსიერება მდგრადია დროში მხოლოდ სოციალურ კონტექსტზე დაყრდნობით. მ.ჰალბვაქსის მოსაზრების მიხედვით, მეხსიერება წარმოადგენს განმეორებებისა და მოგონებების ერთობლიობას. ის ამტკიცებს, რომ განმეორებისას მეხსიერება არ რჩება უცვლელი. ვინაიდან მოგონებების გადასინჯვა ხდება მუდმივად, დროთა განმავლობაში ინდივიდუალური მოგონებების სხვადასხვა ვარიანტები ერთიანდებიან სტერეოტიპულ სახეებში, რომლებიც ქმნიან კოლექტიური მეხსიერების ფორმას. ყოველი განმეორებისას იშლება ინდივიდუალური მოგონებების განმასხვავებელი თავისებურებანი, რომელთა დამახსოვრებაც ხდება განმეორებული გამოცდილებიდან და რომლებიც ქმნიან კონცეპტუალურ სქემებს, ე.წ. „სოციალურ ჩარჩოებს“, სწორედ ამ ჩარჩოებში ხდება ინდივიდუალური მოგონებების განთავსება. კოლექტიური მეხსიერება ქმნის მოდელს, რომელსაც უნდა მოერგოს ინდივიდუალური მოგონებები (ჰალბვაქსი, 1950:106-20). მ. ჰალბვაქსი ამტკიცებს,

რომ კოლექტიური მეხსიერების მდგომარეობა დროში დამოკიდებულია ჯგუფის გავლენაზე საზოგადოებაში. მოგონებებში წარსულის სახეების აღდგენა არ ხდება ისე, როგორც ისინი თავდაპირველად აღიქმებოდა, არამედ ისინი შეესაბამებიან საზოგადოების თანამედროვე წარმოდგენებსა და შეხედულებებს. ამრიგად, კოლექტიური მეხსიერების ძალა წარმოადგენს კონკრეტული ჯგუფის სოციალური როლის გავლენის ასახვას (ჰალბვაქსი, 1950:120-27). ჰალბვაქსის შემდეგ კოლექტიური მეხსიერების ცნება სხვადასხვა კუთხით იქნა დამუშავებული და გავრცობილი. მაგალითად, ჯეიმზ იანგმა, კოლექტიური მეხსიერების ნაცვლად შემოიტანა დაგროვილი მეხსიერების (Collected Memory) ცნება. ამით მან ხაზი გაუსვა მეხსიერების ფრაგმენტულ, დაგროვილ და ინდივიდუალურ არსს. იან ასმანმა განავითარა კომუნიკაციური მეხსიერების ცნება, როგორც კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთი სახე, რომელიც ყოველდღიურ კომუნიკაციას ეფუძნება. მეხსიერების ეს ფორმა კოლექტიურ ხასიათს, ინფორმაციის ზეპირი ურთიერთგაცვლის, ე.წ. ზეპირი ისტორიების პროცესში იღებს. ასმანის მიერ გამოყოფილი კოლექტიური მეხსიერების მეორე ფორმა არის ყოველდღიურობიდან გამოყოფილი კონკრეტული, მატერიალიზებული და ფიქსირებული ობიექტები, მაგალითად, ტექსტები და მონუმენტები. იან ასმანმა განავითარა ასევე ტერმინი-კულტურული მეხსიერება.

მეხსიერება ამტკიცებს მსგავსებას წარსულსა და მეხსიერებას შორის. მეხსიერება მოქმედებს ემოციებზე. მეხსიერება ეხება ჩვეულებრივ მოვლენებს, რომელიც ყოველთვის ხდება. მეხსიერებაში აღდგენილი სახეები ცვალებადი და უჩინარია. მ. ჰალბვაქსი აყალიბებს კოლექტიური მეხსიერების თეორიას, როგორც „მეხსიერების სოციალური ჩარჩოების პროგრამას“. მოგონებებში წარსულის სახეები განთავსდებიან სპეციფიკურ სივრცეში. თავისთავად მეხსიერების სახეები ყოველთვის ფრაგმენტული და პირობითია. მათ არა აქვთ მთლიანი ან დამაკავშირებელი მნიშვნელობა, ვიდრე ჩვენ არ მოვითავსებთ მათ კონკრეტულ გარემოებებში. ეს გარემოებები გვევლინება მნიშვნელოვან ადგილებთან ერთად. ამიტომ მოგონებებს შეიძლება ვუწოდოთ წარმოდგენითი რეკონსტრუქციის პროცესი, რომელშიც აღვადგენთ აწმყოში შექმნილ სპეციფიკურ სახეებს. ასე შექმნილი სახეები არ წარმოადგენს რეალურ წარსულს, მხოლოდ გამოხატავს რეალურ წარმოდგენას, თუ

როგორი იყო წარსული. კოლექტიური მეხსიერება ესაა რთული ნაკრები იდეალების, ღირებულებების, ჩვეულებების და გამოხატავს მათ იმ სოციალური ჯგუფების მიხედვით, რომლებსაც თავად ეკუთვნიან. ამ სახეების ურთიერთკავშირის შედეგად იქმნება კოლექტიური მეხსიერების სოციალური ჩარჩოები და მხოლოდ მის შიგნითაა განთავსებული ინდივიდუალური მეხსიერება (ჰალბვაქსი, 1925:6-17).

პიერ ნორას განსაზღვრებით, კოლექტიური მეხსიერება ისაა, რაც ერთობათა აქტიურ გამოცდილებაში დაილექა, ისტორიული მეხსიერება კი სპეციფიკური ჯგუფის-ისტორიკოსების-კოლექტიური მეხსიერებაა; იგი ანალიტიკური და კრიტიკულია. მეხსიერება მუდმივ ევოლუციას განიცდის, იგი წარმოადგენს დამახსოვრებისა და დავიწყების დიალექტიკურ ერთიანობას. ისტორია კი რეკონსტრუქცია და რეპრეზენტაციაა-მუდამ საკამათო და დაუსრულებელი-იმისა, რაც აღარ არსებობს. ამავე დროს, პ. ნორას სიტყვებით, ის რასაც ჩვენ დღეს მეხსიერებას ვუწოდებთ, მეხსიერება კი არა უკვე ისტორიაა (ნორა, 1989:8).

პიერ ნორას მოსაზრებით, საზოგადოება, რომელიც ცხოვრობს მთლიანად ისტორიის ნიშნის ქვეშ, იძულებულია მონიშნოს გარკვეული ადგილები, „მეხსიერების ადგილები“ და განხორციელდეს მათში მეხსიერების განმტკიცებისა და მასში დამკვიდრებისათვის. რამდენადაც მეხსიერების ტრადიცია ქრება, საზოგადოება თავს ვალდებულად თვლის მოიპოვოს და შეინახოს მონაცემები. „მეხსიერების ადგილები“ შეიძლება იყოს ისტორიული ან ლეგენდარული, მაგრამ ისინი ყოველთვის, როგორც თვით მეხსიერება, საკრალურია. „მეხსიერების ადგილების“ გაჩენა იმას ნიშნავს, რომ მეხსიერების უზარმაზარი ფუნდამენტი ინგრევა. მეტიც, პ. ნორას აზრით, ზოგადად ისტორიის მიზანი და ამბიციაა არა განადიდოს, არამედ- გაანადგუროს მეხსიერება. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ „მეხსიერების ადგილები“ ესაა სპეციალურად ორგანიზებული მეხსიერება, ის არსებობს, რამდენადაც არის საშიშროება მეხსიერების განადგურებისა. საბოლოოდ პ. ნორა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თვითონ მეხსიერება ხდება „მეხსიერების ადგილი“ (ნორა, 1994:287-9).

ამერიკელი სოციოლოგის ევიათარ ზერუბაველის აზრით, კოლექტიური მეხსიერება საერთოა ოჯახებისათვის, ეთნიკური ჯგუფებისათვის, ერებისა და სხვა

წრებისთვის. კოლექტიური მეხსიერება არ არის რომელიმე ერთობის წევრთა პირადი მოგონებების უბრალო ერთობლიობა. ის მოიცავს იმ მოგონებებს, რომლებიც საერთოა ერთობის, როგორც ჯგუფის, ყველა წევრისათვის (ზერუბაველი, 1999:70).

კოლექტიური მეხსიერება არის მეხსიერება, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული ხასიათის მოთხრობებით, ნარატივებით. შესაბამისი ტექსტები განიხილება, როგორც ინსტრუმენტები კოლექტიური დამახსოვრებისათვის.

სონტაგის მიხედვით, ყველა მეხსიერება ინდივიდუალური და არარეპროდუქციულია, ის კვდება თითოეულ ადამიანთან ერთად. ის, რასაც ჩვენ კოლექტიურ მეხსიერებას ვეძახით არის არა დამახსოვრება, არამედ სტიპულაცია, რომ ეს მნიშვნელოვანია, რომ ეს არის ის, თუ როგორ დაიწყო ყველაფერი, რა თქმა უნდა იმ სურათებთან ერთად, რომლებმაც დააფიქსირეს ეს მოვლენები ჩვენს გონებაში (სონტაგი, 2003:85-86).

სონტაგის მიხედვით, საზოგადოებას შეუძლია გააკეთოს არჩევანი, იფიქროს და ილაპარაკოს, მაგრამ დაიმახსოვროს-არა. მას შეუძლია აირჩიოს სურვილის გარეშე, იფიქროს-უმიზეზოდ, ისაუბროს-უნოდ, მაგრამ მას არ შეუძლია დაიმახსოვროს მეხსიერების გარეშე. ტერმინით „მეხსიერება“, ის აღნიშნავს, რომ ის არ მოიაზრება, როგორც დამოუკიდებელი ფორმა. როგორც ტვინისა და მისი ნევროლოგიური ქსელის ნაწილი, ის მჭიდროდაა დაკავშირებული ინდივიდებთან და კვდება თითოეულ ადამიანთან ერთად, ეს მოსაზრება აშკარად სწორია, თუმცა სადავოა, რამდენად-სრულია (ასმანი, 2008:50-60).

გამოცდილებით დაგროვილი მეხსიერება მატერიალიზებულია და შესაბამისად, მისი გადაცემა ერთი ადამიანიდან მეორეზე ვერ მოხდება. ინდივიდუალური მეხსიერების გამოცდილებით სოლიფსიზმის ხაზგასმისას, ჩვენ არ ვითვალისწინებთ მეხსიერების ორ განზომილებას: სხვა ინდივიდებთან და გარე ნიშნებსა და სიმბოლოებთან ურთიერთობას. შეუძლებელია ავტობიოგრაფიული მეხსიერების მატერიალიზება სხვა ადამიანის მიერ, თუმცა მისი სხვებისთვის გაზიარება შესაძლებელია. მას შემდეგ, რაც მოხდება ინდივიდუალური მეხსიერების ვერბალიზება, თხრობით, ან მათი სურათებით წარმოდგენა, ისინი იქცევიან

ინტერსუბიექტური სიმბოლოების სისტემად, უხეზად რომ ვთქვათ, აღარ გააჩნიათ ექსკლუზიურობა და არ წარმოადგენენ განუსხვისებელ ქონებას. მათი ერთადგომოცემა გულისხმობს, რომ შესაძლებელია მათი გაცვლა, გაზიარება, გამყარება, დადასტურება, შესწორება, კამათი და შესაბამისობაც კი. უფრო მეტიც, ხშირად ძალიან რთულია ინდივიდუალური/ავტობიოგრაფიული მეხსიერების განსხვავება კოლექტიურისგან. შესაბამისად, თანაბრად რთულია განვასხვავოთ საკუთარი და ფილმებში ნანახი, ან წაკითხული მეხსიერება ერთმანეთისგან. ზეპირი ისტორიები, ტექსტები და ფოტოსურათები მნიშვნელოვანია ავტობიოგრაფიული მეხსიერების ფორმირებისათვის (ასმანი, 2008:65-70).

ინსტიტუციური მეხსიერება აღნიშნავს პოლიტიკური ელიტების, მათ მხარდამჭერთა და ოპონენტთა ძალისხმევას, მნიშვნელობა მიანიჭონ წარსულს და დაამკვიდრონ ეს მნიშვნელობა საზოგადოებაში.

საერთო მეხსიერება და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული საერთო ფასეულობები აყალიბებს ინდივიდისა და ჯგუფების განსხვავებულ იდენტობებს. ნაციონალიზმის თანამედროვე მკვლევართა შრომებში ნაჩვენებია, რომ საერთო წარსული, დამყარებული ტერიტორიაზე, ენაზე, რელიგიაზე ან მათ რაიმეგვარ კომბინაციაზე, ეთნიკური/ნაციონალური მიკუთვნებულობის მთავარი საფუძველია. წარსულის რეპრეზენტაცია, გაზიარებული ერთობის წევრთა მიერ, აყალიბებს „ჩვენ“-ჯგუფად ყოფნის განცდას (ლეხოუ, 2006:3). წარსულისადმი დამოკიდებულება, მისთვის აზრის მინიჭება ნარატივში (თხრობა, მოთხრობა) აისახება და მჭიდროდ უკავშირდება იდენტობის ფორმირების პროცესს, რადგან იდენტობა „თავისთავადი“ ფენომენი კი არაა, არამედ კონსტრუირდება და რეკონსტრუირდება მეხსიერების აქტების მეშვეობით, წარსული „მე“-ს („ჩვენ“-ის)დაკავშირებით აწმყო „მე“/“ჩვენ“-თან.

ციცერონის სიტყვით- ისტორია მეხსიერების სიცოცხლეა. ცნობილი და ბანალური ფაქტია, რომ ადამიანები, რომლებიც კარგავენ მეხსიერებას, კარგავენ თავიანთ იდენტობას. ამავე დროს, როგორც ფრიდრიხ ნიცშე ამტკიცებდა, დავიწყება სიჯანსაღის ნიშანია. დამახსოვრებასა და დავიწყებას შორის პირდაპირი კავშირია.

ისტორია, ისევე როგორც მეხსიერება, არ იქმნება მყისიერად, მაშინვე, არამედ ხდება მისი რეკონსტრუქცია მუზეუმში, სცენაზე და, განსაკუთრებით, მეცნიერთა

შრომებში. ისტორიის “გაცოცხლება” ისტორიკოსის მიერ – ესაა ემპირიული, სისტემური, კონტროლირებადი რეკონსტრუქცია და ინტერპრეტაცია, ისტორიული ფენომენების, მოვლენების, პერსონების, პროცესების “მოწესრიგება” არა მხოლოდ შესაბამისი კონტექსტის, არამედ მიზეზის და შედეგის გათვალისწინებითაც. პიტერ ბერკის აზრით, მოსაზრება, რომ „მეხსიერება ასახავს იმას, რაც მოხდა, ხოლო ისტორია ასახავს საკუთრივ მეხსიერებას“, საქმეს მეტისმეტად მარტივად წარმოაჩენს. არც მეხსიერება და არც ისტორია უკვე აღარ განიხილება როგორც ობიექტური ფენომენი, ორივე შემთხვევაში ჩვენ ვითვალისწინებთ ინფორმაციის ცნობიერი თუ არაცნობიერი სელექციის, ინტერპრეტაციისა და დამახინჯების შესაძლებლობას. ორივე შემთხვევაში ეს სელექცია, ინტერპრეტაცია და დამახინჯება სოციალურად განპირობებულია (ბიურკი, 1980: 97-98).

მეხსიერება, რომელიც იკვებება ისტორიით და, ამავე დროს, “საწვავით” ამარაგებს მას, ესწრაფვის წარსულის შენახვას, რათა ემსახუროს აწმყოს და მომავალს, წერდა ჟაკ ლე გოფი.

პიერ ნორა, ისევე როგორც მორის ჰალბვაქსი, თვლის, რომ ისტორია და მეხსიერება განსხვავებული ფენომენებია, მაგრამ საკითხს ცოტა სხვაგვარად აყენებს: მისი აზრით, მეხსიერება ასახავს მომხდარ მოვლენებს, ისტორია კი სუბიექტური ასახვაა იმისა, რაც ისტორიკოსმა მიიჩნია მნიშვნელოვნად და დამახსოვრების ღირსად. ცნობილი თანამედროვე ისტორიკოსი იორგ რიუზენი უფრო მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან ისტორიასა და მეხსიერებას და მათ პარალელურ ფენომენებად მიიჩნევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რიუზენი და მეცნიერთა ნაწილი ისტორიასა და მეხსიერებას ერთმანეთს არ უპირისპირებს.

არა წარსული, არამედ თანამედროვეობა ყველა შემთხვევაში განსაზღვრავს ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის მნიშვნელობას, მუდმივად სპეციფიკურ ისტორიულ მეხსიერებას. აწმყო არჩევს ისტორიიდან იმას, რაც საინტერესოა მისთვის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აწმყო აყალიბებს ისტორიულ მეხსიერებას. ისტორიკოსის დამოკიდებულება წარსულისადმი განსაზღვრულია იმ საზოგადოებით, რომლის წევრიც ის არის. ამიტომ ისტორიის კურსში მუდმივად ჩნდება ახალი და იმთავითვე



უქველი ფაქტები, ქრება სხვები. თაობიდან თაობაში იცვლება ფასეულობები, დაკავშირებული შეცვლილ ისტორიულ მეხსიერებასთან.

ისტორიკოსისათვის მეხსიერება მნიშვნელოვანია ორი ასპექტით:

- მეხსიერება როგორც ისტორიული წყარო- მეხსიერება ჩვენამდე მოდის ისტორიული დოკუმენტების, სხვადასხვა სახის ნარატივების, არტეფაქტების და სხვა სახის წყაროთა მეშვეობით. 1960-იანი წლებიდან დიდი ყურადღება ექცევა ზეპირი (ორალური) ისტორიის მნიშვნელობას. ზეპირსიტყვიერი ტრადიციის გავლენა მრავალ წერილობით ტექსტშიც ჩანს.

- მეხსიერება როგორც ისტორიული ფენომენი- ამას, შეიძლება, დამახსოვრების სოციალური ისტორია ეწოდოს. იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ინდივიდუალური, ისე სოციალური მეხსიერება სელექციურია/შერჩევითია, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ სელექციის/შერჩევის პრინციპები და ის, თუ როგორ განსხვავდება ეს პრინციპები დროისა და სივრცის მიხედვით. უნდა ვიცოდეთ, როგორ და ვის მიერ ხდება მეხსიერების ფორმირება. ამ საკითხს ყურადღება მხოლოდ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მიექცა.

ისტორია მოიცავს ერთეულ მოვლენებს და ფაქტებს, რომელთა მნიშვნელობა განსხვავებულია სხვადასხვა დროში, სივრცეში, კულტურასა და სოციალურ ჯგუფშიც კი. მაგალითად, სედანის ბრძოლის თარიღი (1870 წლის 2 სექტემბერი), როცა პრუსიელებმა დაამარცხეს ფრანგები და დაატყვევეს ნაპოლეონ III, იქცა საზეიმო თარიღად გერმანელებისათვის და გლოვის დღედ - ფრანგებისათვის. სტალინგრადის ბრძოლას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს რუსებისა და გერმანელებისათვის, ასევე იმ ომის მონაწილის, საბჭოთა მოქალაქის და პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრები ახალგაზრდისათვის.

მეხსიერება და ისტორია ხშირად დამაბული ურთიერთობით ხასიათდება. ისინი ხან წარმოაჩენენ ხალხის საუკეთესო თვისებებს, მაგრამ უფრო ხშირად – წინააღმდეგობებსა და დაპირისპირებებს. 80-იანი წლების დასასრულს (რე)კონსტრუირებული კოლექტიური იდენტობები ემყარებოდა არა იმდენად მომავალზე ორიენტირებულ პოლიტიკურ პროექტებს, რამდენადაც წარსულისა და ტრადიციისადმი სპეციფიკური დამოკიდებულების ჩარჩოებს. ცნობილი უნგრელი

ისტორიკოსი გიორგი ლიტვანი 1993 წელს მიუთითებდა ამ ფაქტზე: “ხანდახან წარსულთან დამოკიდებულება გაცილებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პოლიტიკური დაპირისპირებების გაგებისათვის, ვიდრე შეუთანხმებლობა ეკონომიკურ ან სოციალურ პრობლემებზე” (ლიტვანი, 1993:45). დღეს ფრიად დელიკატურ ურთიერთობას ისტორიასა და მეხსიერებას შორის ემატება კიდევ მესამე ელემენტი და ყალიბდება სამკუთხედი: *ისტორია – მეხსიერება – პოლიტიკა*. პოლიტიკური ძალები ისტორიას იყენებდნენ და იყენებენ როგორც მასალას თავიანთი ლეგიტიმურობის კონსტრუირებისათვის. ფაქტობრივად, ყველა რეჟიმი თუ ხელისუფლებაში მყოფი ესა თუ ის ჯგუფი იყენებდა ისტორიას თავისი ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, სტალინის პერიოდის დასრულების შემდეგ. სახელისუფლებო სტრუქტურები, სხვადასხვა პოლიტიკური თუ სოციალური დაჯგუფებები ყოველთვის ისწრაფვიან, საზოგადოებას თავს მოახვიონ ისტორიული მეხსიერების საკუთარი გაგება, რომელიც ხშირ შემთხვევაში ტენდენციურია და არაფერი აქვს საერთო ისტორიულ რეალობასთან.

განსხვავება მეხსიერებასა და ისტორიას შორის, რომელიც გამოიკვეთა თეორეტიკოსების მუშაობის შედეგად, (ნიცშე, ჰალბვაქსი, ნორა) წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მეხსიერება	ისტორია
მეხსიერების მატერიალიზებული ფორმა.	მეხსიერების არამატერიალიზებული ფორმა.
ხაზს უსვამს განსხვავებებს და არსებობს მრავლობითში.	წარმოადგენს უნივერსალურ ფორმას და არსებობს მხოლოდ ერთში.
დაკავშირებულია ინდივიდის, ჯგუფის, ან საზოგადოების იდენტობასთან.	არ უკავშირდება ინდივიდის, ჯგუფის, ან საზოგადოების იდენტობას.
ერთმანეთთან აკავშირებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს.	გამოჰყოფს წარსულს აწმყოსა და მომავლისგან.
ძალიან არჩევითია, ექვემდებარება	ავითარებს მოვლენას და

დავიწყებას.	მიუკერძოებელ ყურადღებას მის მიმართ
ქმნის ღირებულებებსა და მნიშვნელობას და უზრუნველყოფს მოქმედებისკენ ორიენტაციასა და მოტივაციას.	ეძებს სინამდვილეს და ცდილობს ღირებულებების შეჩერებას, თიშავს რა მათ მოქმედებისგან.

ამრიგად, ისტორიული მეხსიერების ჩამოყალიბება არ არის მხოლოდ ისტორიკოსთა საქმე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მედია, მხატვრული შემოქმედება. ისტორია არ “ეკუთვნის” მხოლოდ და უპირატესად ისტორიკოსებს, სხვა თუ არაფერი, ისტორია, როგორც მარკ ბლოკი აღნიშნავდა, “ისტორიის აპოლოგიაში”, სხვებისათვის გასართობის როლს მაინც ასრულებს (ბლომი, 1949:65).

ერის ეთნო-სოციალური მეხსიერება, ეს არის ერის ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობის შენარჩუნების საწინდარი და მისი შემადგენელი ნაწილი. ეთნოსოციალური მეხსიერების გამოვლენის აუცილებლობა მეტწილად იმით არის განპირობებული, რომ თვით ეს ფენომენი საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, ის შესაძლოა გამოყენებულ იქნას ეროვნებათშორისი დაძაბულობის აღმოსაგენებლად, მეორე მხრივ კეთილმეზობლობისა და ერებს შორის თანამშრომლობის განსამტკიცებლად. ერის სოციალური მეხსიერება რთული და მრავალკომპონენტური (ხალხის ისტორიული მეხსიერება, კულტურული მეხსიერება, პოლიტიკური მეხსიერება და ა.შ.) მოვლენაა, რომელიც სავალდებულო პირობაა ნებისმიერი საზოგადოების არსებობისა, ეფუძნება დაგროვებას, შენახვას და სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადმოცემას. ეთნოსოციალური მეხსიერება, როგორც ქვესისტემა სოციალური მეხსიერებისა, სპეციფიკური ფორმის დაგროვებას და სოციალ-ეთნიკური გამოცდილების გადმოცემას განსაზღვრავს (გარაგოზოვი, 2003:51).

ამ მეხსიერების საფუძველს ერის კულტურული გენოფონდი შეადგენს, რომელიც თავის თავში მოიცავს ეთნიკური კულტურის ელემენტებს, როგორებიცაა: ენა, ხალხური ფილოსოფია და ტრადიციული აღზრდის სისტემა, ხალხის ეთიკა და, რაც მთავარია, რელიგია. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია - და,

შესაბამისად, ადამიანის ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელიც, ერის ენა და რელიგია, რომელიც ყველაზე მეტად გროვდება ერის ეთნოსოციალურ მეხსიერებაში. არნოლდ ჩიქობავა წერდა: "ერის რაობას როცა განსაზღვრავენ, ენის ერთობაზე მიუთითებენ" (ჩიქობავა, 1964:88).

ფრიად მნიშვნელოვანია ეთნოსოციალური მეხსიერების რელიგიური დატვირთვა, უფრო მეტიც, იგი აყალიბებს ეროვნულ თვითშეგნებასა და იდენტურობას, რადგან ერი არის ერთი ეთნიკური წარმოშობის მატერიალური და სულიერი კავშირის მქონე მკვიდრი მოსახლეობა, რომლის წევრებიც, გარდა ხორციელ-სულიერი ერთობისა, ერთმანეთთან შედუღებულ-შეკავშირებულნი არიან ისტორიით.

ამის შესანიშნავი მაგალითია ქართველი ერის ისტორია, რომლის ეთნოსოციალური მეხსიერება, ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, მყარდებოდა ტერიტორიის ერთობით, საერთო კულტურით, საერთო ენით, საერთო რელიგიით (როგორც წარმართული, ასევე ქრისტიანული). ქართველი ხალხის ეთნიკური თვითშეგნება სწორედ ამგვარად იქმნებოდა. განვიხილოთ მაგალითი: საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას მართლმადიდებელი ქრისტიანები შეადგენენ, ის საქართველოში პირველ საუკუნეში გავრცელდა ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მიერ, აღსანიშნავია ფაქტი, რომ ისინი საქართველოში ზემო აჭარიდან შემოვიდნენ და სწორედ აქედან დაიწყო საქართველოს გაქრისტიანება. ქართველი ერი საკუთარ თავს, იდენტობას მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან აიგივებს, ტრადიციული, კულტურული და ისტორიული მიზეზების გამო. ისტორიული მასალების საფუძველზე, ვიცით, რომ საქართველო მუდმივად ეხვეოდა სხვადასხვა გარე დამპყრობლის ალყაში და შესაბამისად, მისთვის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა რელიგიური ტრადიციის დამახასიათებელი. აჭარა, როგორც ოსმალეთის (თურქეთის) მოსაზღვრე რეგიონი დაახლოებით სამასი (3 საუკუნე) წლის მანძილზე იმყოფებოდა ოსმალეთის ბატონობის ქვეშ. 1453 წლიდან, თურქების შემოსევამ განაპირობა აჭარის რელიგიური ტრანსფორმაცია (რაც სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მიზეზებით იყო განპირობებული) და დაიწყო მათი რელიგიური მრწამსის გადასვლა

ქრისტიანულიდან ისლამზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ აჭარის მთელ მოსახლეობას, მიუხედავად იმ დროინდელი უმძიმესი რელიგიური დევნისა და ჩაგვრისა, მრწამსი არ შეუცვლია და შეინახეს ქრისტიანობა მრავალი წლის მანძილზე (აროშიძე, 2015:28).

იმ პერიოდში, საქართველოში ფართოდ გავრცელდა ცნება „ოსმალის საქართველო“. ასე მოიხსენიებდნენ საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც ოსმალების მიერ იყო დაპყრობილი და სადაც ისლამის გავრცელება მოხდა. ძალიან ბევრი სტატია გამოქვეყნდა, რომელიც ასახავდა „ოსმალის საქართველოში“ მცხოვრებთა მდგომარეობას. ფაქტობრივად, „ოსმალის საქართველოს“ სახელით მოიხსენიებდნენ საქართველოს სწორედ იმ ნაწილს, საიდანაც დაიწყო სრულიად საქართველოს გაქრისტიანება.

რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომმა, გადაწყვიტა აჭარის ბედი და ის დედამამშობლოს, საქართველოს, დაუბრუნდა. ისევ დაიწყო რელიგიური ტრანსფორმაცია აჭარაში და ამაში ძალიან დიდი როლი მართლმადიდებლურ ეკლესიას მიუძღვნის. მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი მოინათლა და დაუბრუნდა ქრისტიანობას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დანარჩენი საქართველოს მოსახლეობის (გურია, იმერეთი, ქართლი, კახეთი და ა.შ.) მეხსიერებაში აჭარა მაინც „ოსმალის საქართველოდ“ მაჰმადიან საქართველოდ რჩება. დღესაც კი, აჭარლებს უხდებათ საკუთარ რელიგიაზე, მართლმადიდებლობაზე ხაზგასმა, როდესაც საქართველოს სხვა კუთხის წარმომადგენლებთან აქვთ საუბარი რელიგიურ თემებზე.

ამკარაა, რომ ქრისტიანობის დათმობას საქართველოში, ფატალური შედეგები ჰქონდა. ჩვეულებრივი ქართველის კულტურულ მეხსიერებაში „აჭარელი“ არ მოიაზრებოდა ეთნიკურ ქართველად. საქმე იმაშია, რომ ქართველობა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქრისტიანობას, მართლმადიდებლობას ნიშნავს და ამ ნიშნის მოშლამ განაპირობა სწორედ ერის ეთნო-სოციალური მეხსიერების ამ კუთხით ფორმირება.

ი. ასმანისთვის ტერმინი „კომუნიკაციური მეხსიერება“ მოიცავს კოლექტიური მეხსიერების იმ სახესხვაობებს, რომლებიც ექსკლუზიურად ეფუძნება ყოველდღიურ კომუნიკაციებს. ეს ის სახესხვაობებია, რომლებიც მორის ჰალბვაქსმა შეაგროვა და ანალიზი გაუკეთა კოლექტიური მეხსიერების არსის ფარგლებში და ისინი

წარმოადგენს ზეპირი ისტორიის სფეროს. ყოველდღიური კომუნიკაცია ხასიათდება არა-სპეციალიზაციით, როლების ურთიერთგაცვლით, თემატური არასტაბილურობით და არაორგანიზებულობით. მარტივად რომ ვთქვათ ყოველდღიურ კომუნიკაციას ადგილი აქვს პარტნიორებს შორის, რომლებიც ცვლიან როლებს. არის შემთხვევები, რომლებიც მეტ-ნაკლებად განსაზღვრავენ მსგავს კომუნიკაციებს, მაგალითად: თემატური შეხვედრები, მოსაცდელი ოთახები, ან მრგვალი მაგიდები და ამავდროულად არსებობს წესები, როგორც ასმანი ამბობს ე.წ. „საბაზრო კანონები“, რომლებიც არეგულირებენ ამ გაცვლას. მსგავს კომუნიკაციურ შეხვედრებს ჰყავს ასევე ხელმძღვანელი. მიუხედავად ამისა, კომუნიკაციები მაინც მოუწესრიგებელია, ხასიათდება თვითნებობითა და არაორგანიზებულობით. კომუნიკაციის ამ მანერით, თითოეული ინდივიდი ქმნის მეხსიერებას, რომელიც მ. ჰალბვაქსის მიხედვით, ხასიათდება სოციალური შუამავლობით და დაკავშირებულია გარკვეულ ჯგუფთან. ყველა ინდივიდუალური მეხსიერება თავის მხრივ წარმოსდგება სხვებთან კომუნიკაციით. ტერმინი „სხვები“, აღნიშნავს ი. ასმანი, არ ნიშნავს ნებისმიერი ხალხის ჯგუფს, არამედ ეს არიან ადამიანები, რომლებიც აყალიბებენ თავიანთ ერთიანობასა და თავისებურებებს საკუთარი წარსულის საერთო სურათით. ჰალბვაქსი აქ მოიაზრებს ოჯახებს, მეზობლებს, პროფესიულ ჯგუფებს, პოლიტიკურ პარტიებს, ასოციაციებსა და ა.შ. ერების ჩათვლით. თითოეული ინდივიდი ეკუთვნის უამრავ ასეთ ჯგუფს და შესაბამისად, მას გააჩნია უამრავი საკუთარი წარმოდგენა და მოგონება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

ზეპირი ისტორიების წყალობით, აღნიშნავს ი. ასმანი, ჩვენ შევძელით უფრო აშკარად წარმოგვედგინა განსაკუთრებული თვისებები კოლექტიური მეხსიერების ყოველდღიური ფორმებისა, რასაც სწორედაც რომ მან უწოდა კომუნიკაციური მეხსიერება. ამ ფორმის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი შეზღუდული, დროებითი ჰორიზონტია. ვინაიდან, როგორც ყველა ზეპირი ისტორიიდან ირკვევა, ეს ჰორიზონტი ვერ აღწევს წარსულის შესახებ მეხსიერების ოთხმოციდან ას წლამდე და რომელიც მოიცავს სამ, ან ოთხ თაობას. აღნიშნული ჰორიზონტი პირდაპირაა დაკავშირებული დროის სვლასთან. კომუნიკაციურ მეხსიერებას არ გააჩნია ფიქსირებული წერტილი, რომელიც მოიცავდა წარსულის შესახებ ყველა გავრცობილ

ისტორიას და გაუმკლავდებოდა დროის სვლას. ასეთი ფიქსირებული ხედვის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კულტურული ფორმაციის წყალობით და შესაბამისად, ის ყოველდღიური, არაფორმალური მეხსიერების მიღმაა.

ყოველდღიური კომუნიკაციის მიღმა-კონკრეტულ, მიზნებზე ორიენტირებულ კულტურაში, თითქმის ყველაფერი იცვლება. აქ ჩნდება კითხვა, რამდენად მისაღებია მეხსიერების მეტაფორა? როგორც ცნობილია, ჰალბვაქსმა არ მიაქცია ამ საკითხს დიდი ყურადღება. ის ალბათ ფიქრობდა, რომ როდესაც ცხოვრობ კრისტალიზებული კომუნიკაციის სამყაროში, რომელიც გამოსახულია კულტურაში ტექსტების, სურათების, ხატების, შენობების, ძეგლების, ქალაქებისა და პეიზაჟების სახითაც კი, ჯგუფის ურთიერთობა და თანამედროვე მიდგომები იკარგება და შესაბამისად, ამ ცოდნის ხასიათიც, რასაც ეწოდება „memoire collective“ (კოლექტიური მეხსიერება) ქრება აგრეთვე- მეხსიერება გარდაიქმნება ისტორიად.

მიუხედავად იმისა, რომ კულტურული მეხსიერების შესწავლა შედარებით გვიან დაიწყო, არსებობს ამ ცნების უამრავი განმარტება, ცხადია, რომ ეს რთული კოლექტიური ფენომენია, რომელიც არ უდრის ინდივიდუალური მოგონებების მარტივ ჯამს, არამედ იქმნება სოციალური ჯგუფის მიერ და მის შექმნაში მონაწილეობენ განსხვავებული ფაქტორები, როგორცაა ოჯახების ტრადიციები (კომუნიკატიური მეხსიერება), სადაც თრთოლვით ინახავენ ხსოვნას დიადი წინაპრების განთქმულ ქმედებებსა და დამსახურებებზე; რელიგიური ჯგუფების შემონახულ ტრადიციებზე. ჯგუფის მეხსიერება აქტუალიზდება მისი წევრების ინდივიდუალურ მეხსიერებაში. სოლიდარობისა და ერთობის გრძნობის შესანარჩუნებლად ამა თუ იმ მოვლენის გმირები რეგულარულად უნდა გავიხსენოთ. იდენტობის შენარჩუნება მოითხოვს უწყვეტი ისტორიის შეგრძნებას.

## 1.2. კულტურული მეხსიერების ჩამოყალიბების

### სემიოტიკური მექანიზმი

„კოლექტიური“ ან „სოციალური“ მეხსიერების ცნებათა გვერდით, ფართოდ გამოიყენება „კულტურული მეხსიერების“ ცნება, იგი მრავლის მომცველი ტერმინია და ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი მნიშვნელობით გამოიყენება. ყველაზე ზოგადი, „სამუშაო“ განსაზღვრებით, როგორითაც ხშირად ვსარგებლობთ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში, კულტურული მეხსიერება - ეს არის „თანამედროვეობისა და წარსულის ურთიერთქმედება განხილვა სოციალურ-კულტურულ კონტექსტში“. ეს სფერო მოიცავს ფენომენთა ფართო წრეს: დამახსოვრების ინდივიდუალურ აქტს, ჯგუფურ მეხსიერებას, ნაციონალურ მეხსიერებას თავისი „გამოგონილი ტრადიციებით“ და, ბოლოს, ტრანსნაციონალურ მეხსიერებას. კულტურული მეხსიერების ცნება ასახავს მჭიდრო კავშირს ნაციის მიერ შექმნილ საკუთარი წარსულის სურათსა და ნაციონალურ იდენტობას შორის. წარსულთან შეხება მხოლოდ ჩვენი კულტურის გადასახედიდან, მისი კატეგორიებისა და სქემების მეშვეობით შეგვიძლია. შესაბამისად, წარსული კი არა, თანამედროვეობა განსაზღვრავს ამა თუ იმ საზოგადოების ფასეულობით ორიენტაციას, სპეციფიკურ ისტორიულ მეხსიერებას. დამახსოვრებაცა და დავიწყებაც სოციალურადაა განსაზღვრული (ბუსი, 2008:43).

თუკი კომუნიკაციური მეხსიერება ხასიათდება თავისი სიახლოვით ყოველდღიურობასთან, კულტურული მეხსიერება პირიქით, შორს არის ყოველდღიურობისგან. სწორედ ყოველდღიურობისგან დაშორება განსაზღვრავს მის დროებით საზღვრებს. კულტურულ მემკვიდრეობას გააჩნია თავისი ფიქსირებული წერტილი, კერძოდ, მისი საზღვრები არ იცვლება დროის მსვლელობასთან ერთად (დენეტი, 1995:53). ეს ფიქსირებული წერტილები წარმოადგენენ წარსულის საბედისწერო მოვლენებს, რომელთა შესახებ მეხსიერებაც შენარჩუნებულია კულტურულ წარმონაქმნებსა (ტექსტები, რიტუალები, ძეგლები) და ინსტიტუციონალურ კომუნიკაციაში (ზეპირი გამოკითხვები, გამოცდილება, დაკვირვება). ასმანი ამ ყველაფერს უწოდებს „მეხსიერების ფიგურებს“. ყოველდღიური კომუნიკაციის მსვლელობაში ასეთი ფესტივალები, რიტუალები,



ლექსები, სურათები და სხვ. ქმნიან ე.წ. „დროის კუნძულებს“, კუნძულებს, რომლებიც სრულიად სხვა დროისაა, არსებული დროის მიღმა. კულტურულ მეხსიერებაში, ასეთი კუნძულები იზრდება „რეტროსპექტიული უმოქმედობის“ მეხსიერების სივრცეებად. ეს გამოთქმა მომდინარეობს აბი ვარზურგიდან. მან მიაწერა „მნემონიკური ენერჯის“ ტიპი ობიექტიურულ კულტურას, გამოყო არა მხოლოდ უმაღლესი ხელოვნების ნამუშევრები, არამედ პოსტერები, მარკები, კოსტიუმები, ჩვეულებები და სხვ. კულტურის ფორმირებისას, კოლექტიური გამოცდილება შეიძლება უცებ განმეორდეს ათასწლეულების შემდეგ (აროშიძე 2011:4).

კულტურა მეხსიერების პროცესების კოლექტიურ დონეზე შესწავლის საშუალებას იძლევა. საზოგადოება - ერთობა - არაფერს „იმახსოვრებს“, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, მაგრამ წარსულის ვერსიის შექმნა თანამედროვე ცოდნისა და საჭიროებების შესაბამისად ხდება, რაც საზოგადოებრივადაა განსაზღვრული. ნაციონალური ნარატივი ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ ისტორიულ ეპოქასთან და იდეოლოგიურ ტენდენციებთან. ეს თანაბრად ითქმის როგორც ე.წ. გაბატონებულ, კანონიზებულ ნარატივზე, ასევე კონტრ ნარატივზეც (საპირისპირო ნარატივზე). წარსულის ნარატივი იქმნება ცხოვრების წესის განსასაზღვრად და დასასაბუთებლად, თანამედროვე გამოწვევებზე პასუხების მოსაძებნად. ისტორია - თხრობა წარსულის შესახებ - გვაჩვენებს, როგორც წარმოიდგენს საზოგადოება საკუთარ თავს და სხვებს, აგრეთვე იმას, თუ როგორ იცვლებოდა მისი მდგომარეობა და გარე სამყაროსთან მიმართება დროთა განმავლობაში (ბეიკერი, 1992:35).

გასული საუკუნის მესამე ათწლეულში, სოციოლოგმა მორის ჰალბვაქსმა და ხელოვნების ისტორიკოსმა აბი ვარზურგმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განავითარეს ორი თეორია: „კოლექტიური“ და „სოციალური“ მეხსიერებისა. მათი, თავდაპირველად განსხვავებული მიდგომები დაუკავშირდა ერთმანეთს და მოხდა მეხსიერების ახლებურად აღქმა, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა ბიოლოგიურისგან. შესაბამისად, ორივემ ვარზურგმა და ჰალბვაქსმა კოლექტიური ცოდნის დისკურსი გამოიტანეს ბიოლოგიური ჩარჩოებისგან და განიხილეს ის კულტურის კონტექსტში.

განსაკუთრებული მახასიათებელი ამ მიდგომისა იყო ის, რომ ადამიანი მიეკუთვნება გარკვეულ საზოგადოებას და კულტურის შენარჩუნება თაობიდან თაობაში ხდება არა ფილოგენიური ევოლუციის, არამედ სოციალიზაციისა და ადატ-წესების/ჩვეულებების შედეგად. ასეთ შემთხვევაში პიროვნების „გადარჩენა“ კულტურული მეხსიერების ფუნქციაა. ნიცშეს მიხედვით, თუკი ცხოველთა სამყაროში გენეტიკური პროგრამა უზრუნველყოფს გარკვეული სახეობის გადარჩენას, ადამიანებმა უნდა იპოვონ საშუალებები, რომლებითაც ისინი შეინარჩუნებენ საკუთარ ბუნებას თაობიდან თაობაზე. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზას სწორედ კულტურული მეხსიერება წარმოადგენს.

იან ასმანი კულტურული მეხსიერების არსს განსაზღვრავს ორმაგი დელიმიტაციით, რომელიც განასხვავებს მას:

1. ეს არის ის, რასაც ჩვენ ვეძახით „კომუნიკაციურ“, ან „ყოველდღიურ“ მეხსიერებას და რომელიც ვიწრო გაგებით, განიცდის „კულტურული“ მახასიათებლების დანაკარგებს; და მეორე

2. ეს არის მეცნიერული, რომელსაც არ გააჩნია მეხსიერების მახასიათებლები და უკავშირდება კოლექტიურ, თვით წარმოდგენილ სურათს. ი. ასმანი ამ შემთხვევაში გვერდს უვლის მეორე მიდგომას, რომელიც განავითარა ჰალბვაქსმა, როგორც განმასხვავებელი ნიშანი მეხსიერებასა და ისტორიას შორის და ყურადღება შეაჩერა პირველზე: კერძოდ კი, კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერების განმასხვავებელ ნიშნებზე.

ობიექტირებული კულტურის მნემონიკური ფუნქციების კვლევისას მ.ჰალბვაქსის მსგავსად, ვარბურგმაც არ განავითარა სახვითი მეხსიერების სოციოლოგიური ასპექტები. ჰალბვაქსი აღნიშნავს კავშირს მეხსიერებასა და ჯგუფს, ხოლო ვარბურგი- მეხსიერებასა და კულტურული ფორმების ენასთან შორის. ი. ასმანის თეორია კულტურული მეხსიერების შესახებ, არის მცდელობა დაუკავშიროს ერთმანეთს სამივე ველი-მეხსიერება (გათანამედროვეებული წარსული), კულტურა და ჯგუფი (საზოგადოება). ასმანი გამოჰყოფს კულტურული მეხსიერების შემდეგ მახასიათებლებს:

1) „იდენტობის დაზუსტება (Concretion)“, ან ჯგუფთან ურთიერთობა. კულტურული მეხსიერება ფლობს იმ ცოდნის მარაგს, რომლისგანაც ჯგუფს უვითარდება თავისი ერთიანობისა და განსაკუთრებულობის თვითშეგრძნება.

2) რეკონსტრუქციის უნარი. არანაირ მეხსიერებას არ შეუძლია წარსულის „შენახვა“, რაც რჩება არის მხოლოდ იმის შედეგი, თუ როგორ ახდენს გარკვეული სოციალური ჯგუფი თუ საზოგადოება წარსულის რეკონსტრუქციას. კულტურული მეხსიერება ყოველთვის განიცდის რეკონსტრუქციას და არსებული ცოდნა ყოველთვის უკავშირდება არსებულ და თანამედროვე სიტუაციას. ასმანის აზრით, კულტურული მეხსიერება არსებობს ორ რეჟიმში; პირველი პოტენციურად დაარქივებულ რეჟიმში, რაც მოიცავს ტექსტებს, სახეებს და ქცევის წესებს, როგორც მთლიან სპექტრს და მეორე, თავისი აქტუალობის/რეალობის რეჟიმში, სადაც თითოეული თანამედროვე კონტექსტი ანიჭებს მას ობიექტურ მნიშვნელობას საკუთარი სახითა და რელევანტურობით.

3) ფორმირების უნარი. კომუნიკაციური მნიშვნელობისა და კოლექტიურად გაზიარებული ცოდნის ობიექტივაცია, ან კრისტალიზაცია, წარმოადგენს მისი ტრანსმისიის წინაპირობას საზოგადოების კულტურულ მემკვიდრეობაში. როგორც ასმანი აღნიშნავს „სტაბილური“ ფორმაცია არ არის დამოკიდებული მხოლოდ ისეთ მედიუმზე/ფორმაზე, როგორც წერილობითია. ნახატებსა და დასურათებულ რიტუალებსაც შეუძლიათ იგივე ფუნქციის შესრულება. ვინაიდან ზეპირსიტყვიერებას/ენას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, არ არის შემთხვევითი, რომ ფორმაციას უფრო ადრე ჰქონდა ადგილი, ვიდრე წერილობითი ტექსტების განვითარებას. განსხვავება კომუნიკაციურ მეხსიერებასა და კულტურულ მეხსიერებას შორის არ არის იდენტური, გამომდინარე ზეპირი და წერილობითი ენების განსხვავებულობიდან.

4) ორგანიზება. ამით ი. ასმანი გულისხმობს შემდეგს: ა) კომუნიკაციის ინსტიტუციანოლური მხარდაჭერა, მაგ: კომუნიკაციური სიტუაციების ფორმულიზება და ბ) კულტურული მეხსიერების გადამტანების მახასიათებლები/სპეციალიზაცია. კომუნიკაციურ მეხსიერებაში მონაწილეობის განაწილება და სტრუქტურა გაფანტულია. ამ კუთხით სპეციალისტები არ არსებობენ. კულტურული

მეხსიერება კი, პირიქით, ყოველთვის დამოკიდებულია სპეციალიზირებულ პრაქტიკაზე, ე.წ. „შეგროვებაზე“. განსაკუთრებულ შემთხვევებში, წერილობით ტექსტებში მსგავსი შეგროვება შესაძლოა უზომოდ გაიზარდოს და უკიდურესად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

5) ვალდებულება. ჯგუფის ნორმატიულ თვითწარმოდგენასთან კავშირი წარმოქმნის ღირებულებების მკაფიო სისტემას და ამავედროულად განმასხვავებელ ნიშნებსაც, რომლებიც ქმნიან ცოდნისა და სიმბოლოების კულტურულ მარაგს. არსებობენ მნიშვნელოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი, ცენტრალური და პერიფერიული, ადგილობრივი და გარე სიმბოლოები, იქედან გამომდინარე თუ რა ფუნქციას ასრულებენ ისინი თვითწარმოდგენის ჩამოყალიბების, წარმოდგენისა და რეპროდუქციის პროცესში.

6) რეფლექსურობა. კულტურული მეხსიერება რეფლექსურია სამი მიმართულებით: ა) გამოცდილებით-რეფლექსური, რაშიც მოიაზრება ზოგადი გამოცდილება ანდაზებში, „ეთნო-თეორიებში“, რიტუალებსა და სხვ. ბ) თვით-რეფლექსური-რაც გულისხმობს, მოვლენების ახსნას, განსაზღვრებას, რეინტერპრეტაციას, კრიტიკას, კონტროლს, განსჯას, აღმატებულობასა და სხვ. გ) ის რეფლექსურია საკუთარი წარმოსახვის/სურათის მიმართ, ვინაიდან ის ასახავს ჯგუფის თვითწარმოდგენას საკუთარი სოციალური სისტემის პრეოკუპაციით.

იან ასმანის მიხედვით, კულტურული მეხსიერების კონცეპტი გულისხმობს შემდეგს, კვლავ გამოყენებადი ტექსტების, სურათებისა და რიტუალების აგებულება, რომელიც დამახასიათებელია თითოეული საზოგადოებისთვის თითოეულ ეპოქაში, წარმოადგენს ამ კონკრეტული საზოგადოების საკუთარი თვითმყოფადობისა და სტაბილურობის შენარჩუნების პრინციპს. სწორედაც რომ ასეთ კოლექტიურ ცოდნაზე დაყრდნობით, უმეტესწილად წარსულის შესახებ (მაგრამ არა მხოლოდ), თითოეული ჯგუფი აყალიბებს საკუთარი ერთიანობისა და განსაკუთრებულობის თვითშეგრძნებას. ასეთი ცოდნის შინაარსი განსხვავებულია კულტურიდან კულტურაში და ეპოქიდან ეპოქაში. მისი ორგანიზების მანერა, გადაცემის საშუალებები და ხერხებიც ასევე ძალიან ცვალებადი და განსხვავებულია. ამ მემკვიდრეობის ურთიერთდაკავშირებული და რეფლექსური ხასიათი შესაძლოა

გამოვლინდეს სხვადასხვა ინტენსივობითა და სხვადასხვა რაოდენობით. ძირითადი მიდგომა ისტორიისადმი, წარსულისადმი და შესაბამისად მეხსიერების ფუნქციონირება წარმოადგენს კიდევ ერთ ცვალებად ფენომენს. იან ასმანს მოაქვს ალეიდა ასმანის ციტატა და ამბობს, რომ „ვისაც არ ახსოვს საკუთარი წარსული, ახდენს მის ხელახალ აღდგენას“. საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის წყალობით საზოგადოებები ხდებიან უფრო თვალსაჩინოები და სხვებისთვის შესამჩნევები. წარსული ინარჩუნებს საზოგადოების თვითმყოფადობას და ბევრს ამბობს მასზე. მეხსიერება არის შესაძლებლობა ჩამოვაცალიბოთ საკუთარი პიროვნების, იდენტობის შესახებ ინფორმაცია როგორც პიროვნულ, ასევე კოლექტიურ დონეზე. იდენტობა, თავის მხრივ უკავშირდება დროს. ლოკმენის მიხედვით, პიროვნება არის „დიაქრონიული იდენტობა“, რომელიც იქმნება/ყალიბდება დროში. სწორედ დროისა და იდენტობის ეს სინთეზი განპირობებულია მეხსიერებით (ლოკმენი, 2011:60) დროს, იდენტობასა და მეხსიერებას ასმანი გამოჰყოფს სამ დონეზე:

ცხრილი 1.

დონე	დრო	იდენტობა	მეხსიერება
შიდა (ნეურო-მენტალური)	შიდა, სუბიექტური დრო	შიდა იდენტობა	ინდივიდუალური მეხსიერება
სოციალური	სოციალური დრო	სოციალური იდენტობა, პიროვნება, რომელიც ასრულებს სოციალურ ფუნქციას და როლს	კომუნიკაციური მეხსიერება
კულტურული	ისტორიული, მითიური, კულტურული დრო	კულტურული იდენტობა	კულტურული მეხსიერება

ი. ასმანის მიხედვით, შიდა დონეზე, მეხსიერება წარმოადგენს ნეურო-მენტალური სისტემის ნაწილს. ეს არის ჩვენი პირადი მეხსიერება, ეს არის სწორედ მეხსიერების ის ფორმა, რომელიც 1920 წლამდე იყო აღიარებული/მიღებული. სოციალურ დონეზე, მეხსიერება იქმნება კომუნიკაციისა და სოციალური ჩართულობის შედეგად. ეს მიგნება წარმოადგენდა ფრანგი სოციოლოგის, მორის ჰალბვაქსის უდიდეს მიღწევას. მ. ჰალბვაქსის მიხედვით, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, ჩვენი მეხსიერება დამოკიდებულია, ზოგადად ცნობიერების მსგავსად, სოციალიზაციასა და კომუნიკაციაზე; მეხსიერების ანალიზი შესაძლებელია, ისე როგორც ჩვენი სოციალური ცხოვრების ფუნქციისა. მეხსიერება გვადლევს საშუალებას ვიცხოვროთ ჯგუფებსა და საზოგადოებრივ დასახლებებში და სწორედ ამ ჯგუფებსა და საზოგადოებრივ დასახლებებში ცხოვრება გვადლევს ჩვენ მეხსიერების ჩამოყალიბების საშუალებას. სწორედ ამ პერიოდში, ფსიქოანალისტები ზიგმუნდ ფროიდი და კარლ გუსტავ ჯანგი ავითარებდნენ კოლექტიური მეხსიერების თეორიებს, მაგრამ ჯერ კიდევ მჭიდროდ უკავშირებდნენ ამ ყველაფერს შიდა და პიროვნულ დონეს, ეძებდნენ რა კოლექტიურ მეხსიერებას არა სოციალური ცხოვრების დინამიკაში, არამედ პიროვნების ფსიქიკის ქვეცნობიერის სიღრმეში (ასმანი, 1995:30).

ხელოვნების ისტორიკოსმა, აბი ვარბურგმა კი, ტერმინი „სოციალური მეხსიერება“ დაუკავშირა მესამე, კულტურულ დონეს. ის როგორც ჩანს პირველი იყო, რომელმაც განიხილა სურათები/ხატები, ე.წ. კულტურული ობიექტები, როგორც მეხსიერების გადატანის საშუალებები. მისი შესწავლის მთავარი პროექტი იყო, დასავლური კულტურის კლასიკური ანტიკურობა „ცხოვრება სიკვდილის შემდეგ“, ხოლო თავის პროექტს მან უწოდა „Mnemosyne“ -ძველი ბერძნული ტერმინი, რომელიც ნიშნავს მეხსიერებასა და ცხრა მუზის დედას (ვარბურგი, 1895:102). მიუხედავად იმისა, რომ ისტორიკოსი ვარბურგი, კარგად იცნობდა იმ სფეროს, რასაც ეძახდა „ხატობრივ მეხსიერებას“, ისტორიის, როგორც კულტურული მეხსიერების ფორმის, აღქმისადმი ზოგადი მიდგომა სხვა სიმბოლურ ფორმებსაც მიეწერება. სწორედ ეს არის ის, რაც თომას მანმა სცადა წარმოედგინა, 1933-1943 წლებში გამოსულ თავის ოთხ ნოველაში და რომელიც, შეიძლება მივიჩნიოთ, ერთ-ერთ

ყველაზე უფრო წინგადადგმულ ნაბიჯად კულტურული მეხსიერების სპეციფიკის რეკონსტრუქციაში (ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ პალესტინასა და ეგვიპტეში ბრინჯაოს ხანაში და ამავდროულად ქმნიდნენ ჩვენს კულტურულ მეხსიერებას და მის ებრაულ საწყისებს ანტისემიტიზმის ეპოქაში). თუმცა აღსანიშნავია ფაქტი, რომ არც ვარბურგსა და არც თომას მანს არ გამოუყენებიათ ტერმინი „კულტურული მეხსიერება“; ეს კონცეპტი ჩამოყალიბდა და განვითარდა მხოლოდ ბოლო ოცი წლის განმავლობაში. შესაბამისად, ეს მოხდა მხოლოდ მაშინ, როდესაც კავშირი დროს, იდენტობასა და მეხსიერებას შორის, თავის სამ პიროვნულ, სოციალურ და კულტურულ განზომილებაში გახდა კიდევ უფრო მეტად აშკარა (ასმანი, 1995:45).

### 1.3. კოლექტიური მეხსიერების ნაირსახეობა საზოგადოებაში

ტერმინი „კომუნიკაციური მეხსიერება“ განვითარდა იმისათვის, რათა ხაზი გაესვას მ. ჰალბვაქსის „კოლექტიური მეხსიერების“ კონცეპტსა და ჩვენეული „კულტურული მეხსიერების“ გაგებას შორის არსებულ განსხვავებას. კულტურული მეხსიერება წარმოადგენს კოლექტიური მეხსიერების ფორმას ისეთი კუთხით, რომ მას იზიარებს ხალხთა გარკვეული ჯგუფი და ის გადაეცემა იმ ხალხს კოლექტიურად, რომელთაც გააჩნიათ კულტურა და იდენტობა. მ. ჰალბვაქსი, როგორც ტერმინ „კოლექტიური მეხსიერების“ ფუძემდებელი, ფრთხილობდა ამ კონცეპტის გამიჯვნას ისეთი სფეროებიდან, როგორებიცაა ტრადიციები, კულტურის გადაცემა და შენარჩუნება, რომლებსაც მოვიაზრებთ და განვიხილავთ ტერმინის „კულტურული მეხსიერების“ ქვეშ. ი. ასმანი იწინააღმდეგება მ. ჰალბვაქსის მიდგომას, რომლის მიხედვითაც მან კოლექტიური მეხსიერება ჩაშალა „კომუნიკაციურ“ და „კულტურულ მეხსიერებაში“, მაგრამ ის ასევე მოიცავს კულტურულ სფეროს, რომელიც ჰალბვაქსმა გამორიცხა მეხსიერების შესწავლაში. ის, რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგება ჰალბვაქსის „კოლექტიური მეხსიერების“ შეცვლის იდეას „კულტურული მეხსიერებით“, უფრო მეტიც, ის განიხილავს მათ, როგორც მეხსიერების შენარჩუნების/დამახსოვრების ორ სხვადასხვა ფორმას (ასმანი, 1995:50).

კულტურა, როგორც მეხსიერება - კულტურული მეხსიერება წარმოადგენს ინსტიტუციის ტიპს. ის გარეგნულად და ორგანულად ფორმირდება და ინახება სიმბოლური ფორმებით, რომლებიც სიტყვებით ან მიმიკებით სტაბილურია და სიტუაციურად ადმატებული. მაშასადამე, მათი გადასვლა შესაძლებელია ერთი სიტუაციიდან მეორეში და ის გადაეცემა თაობიდან თაობას. გარე ობიექტები, როგორც მეხსიერების გადამცემები, თავის როლს თამაშობენ პირადი მეხსიერების დონეზე. ჩვენი მეხსიერება, რომელსაც მივაკუთვნებთ ადამიანის გონებას, არსებობს მხოლოდ მუდმივი ინტერაქციის შედეგად, არამხოლოდ სხვა ადამიანურ მეხსიერებებს შორის, არამედ „საგნებშიც“ და გარე სიმბოლოებშიც. არტეფაქტებიდან, ობიექტებიდან, სურათებიდან, სიმბოლოებიდან და პეიზაჟებიდან გამომდინარე, ტერმინი „მეხსიერება“ არა მეტაფორა, არამედ მეტონიმიცაა, რომელიც ემყარება



მეხსიერების გონებასა და მეხსიერების ობიექტებს შორის მატერიალურ კონტაქტს. საგნებს საკუთარი მეხსიერება არ გააჩნიათ, მაგრამ ისინი გვახსენებენ ჩვენ იმას, რასაც შეუძლია გააღვიძოს ჩვენი მეხსიერება, ვინაიდან ისინი ატარებენ მეხსიერებას, რომელიც ჩვენ მათში ჩავდეთ, სწორედ ამ ფუნქციის მატარებელთაც თავისთავად „არ გააჩნიათ“ მეხსიერების ტენდენცია, აყალიბებენ მას ისეთი მოვლენებითა და საგნებით, ე.წ. „მეხსიერების ობიექტებით“, როგორებიცაა: ძეგლები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები და სხვა მნემონიკური ინსტიტუციებით. ა. ასმანის მიხედვით, ეს არის სწორედ ის, რასაც ჩვენ კულტურულ მეხსიერებას ვეძახით. იმისათვის, რათა მოახდინოს თაობებს შორის ფორმირება, კულტურული მეხსიერება, კომუნიკაციური მეხსიერებისგან განსხვავებით, არსებობს თავისუფალი ფორმით და მოითხოვს შემნახველ და დამცველ ინსტიტუციებს.

მეხსიერების შესწავლაში. ის, რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგება ჰალბვაქსის „კოლექტიური მეხსიერების“ შეცვლის იდეას „კულტურული მეხსიერებით“, უფრო მეტიც, ის განიხილავს მათ, როგორც მეხსიერების შენარჩუნების/დამახსოვრების ორ სხვადასხვა ფორმას (ასმანი, 1995:50).

კულტურა, როგორც მეხსიერება - კულტურული მეხსიერება წარმოადგენს ინსტიტუციის ტიპს. ის გარეგნულად და ორგანულად ფორმირდება და ინახება სიმბოლური ფორმებით, რომლებიც სიტყვებით ან მიმიკებით სტაბილურია და სიტუაციურად აღმატებული. მაშასადამე, მათი გადასვლა შესაძლებელია ერთი სიტუაციიდან მეორეში და ის გადაეცემა თაობიდან თაობას. გარე ობიექტები, როგორც მეხსიერების გადამცემები, თავის როლს თამაშობენ პირადი მეხსიერების დონეზე. ჩვენი მეხსიერება, რომელსაც მივაკუთვნებთ ადამიანის გონებას, არსებობს მხოლოდ მუდმივი ინტერაქციის შედეგად, არამხოლოდ სხვა ადამიანურ მეხსიერებებს შორის, არამედ „საგნებშიც“ და გარე სიმბოლოებშიც. არტეფაქტებიდან, ობიექტებიდან, სურათებიდან, სიმბოლოებიდან და პეიზაჟებიდან გამომდინარე, ტერმინი „მეხსიერება“ არა მეტაფორა, არამედ მეტონიმიია, რომელიც ემყარება მეხსიერების გონებასა და მეხსიერების ობიექტებს შორის მატერიალურ კონტაქტს. საგნებს საკუთარი მეხსიერება არ გააჩნიათ, მაგრამ ისინი გვახსენებენ ჩვენ იმას, რასაც შეუძლია გააღვიძოს ჩვენი მეხსიერება, ვინაიდან ისინი ატარებენ მეხსიერებას,

რომელიც ჩვენ მათში ჩავდეთ, სწორედ ამ ფუნქციის მატარებელთაც თავისთავად „არ გააჩნიათ“ მეხსიერების ტენდენცია, აყალიბებენ მას ისეთი მოვლენებითა და საგნებით, ე.წ. „მეხსიერების ობიექტებით“, როგორებიცაა: ძეგლები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები და სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუციებით. ა. ასმანის მიხედვით, ეს არის სწორედ ის, რასაც ჩვენ კულტურულ მეხსიერებას ვეძახით. იმისათვის, რათა მოახდინოს თაობებს შორის ფორმირება, კულტურული მეხსიერება, კომუნიკაციური მეხსიერებისგან განსხვავებით, არსებობს თავისუფალი ფორმით და მოითხოვს შემნახველ და დამცველ ინსტიტუციებს.

ეს ინსტიტუციონალური ხასიათი არ მიესადაგება ჰალბვაქსისეულ კოლექტიურ მეხსიერებას, რომლის გადარქმევის იდეაც კომუნიკაციურ მეხსიერებად ეკუთვნის ი.ასმანს. კომუნიკაციური მეხსიერება არაინსტიტუციონალურია; მისი მხარდაჭერა არ ხდება არანაირი შემსწავლელი, გადამცემი და ინტერპრეტაციის შესაძლებლობის მქონე ინსტიტუციის მიერ; მისი დამუშავება არ ხდება სპეციალისტების მიერ და ის არ აღინიშნება განსაკუთრებულ შემთხვევებში; ის არ არის ფორმალური და სტაბილური მატერიალური სიმბოლიზაციის რაიმე ფორმით; ის არსებობს და ცოცხლობს მხოლოდ ყოველდღიურ ურთიერთობასა და კომუნიკაციაში და სწორედ ამიტომ გააჩნია შეზღუდული სიცოცხლისუნარიანობა, საშუალოდ ძლებს ოთხმოცი წელი და გადაეცემა სამ თაობას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ არსებობს ე.წ. ჩარჩოები „კომუნიკაციური ჟანრები“, კომუნიკაციის ტრადიციები, რომელიც კრავს ოჯახებს, ჯგუფებსა და თაობებს.

ამ ჩარჩოების ცვლილება იწვევს დავიწყებას, მეხსიერების ხანგრძლივობა დამოკიდებულია სოციალური კავშირებისა და ჩარჩოების არსებობის ხანგრძლივობაზე. თავის ადრეულ ნაშრომებში, მ. ჰალბვაქსი, როგორც ჩანს არ ეხება სოციალურ ინტერესებსა და სტრუქტურებს, რომლებიც აქტიურ როლს ასრულებენ ინდივიდუალური მეხსიერების ფორმირებასა და ჩამოყალიბებაში. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოგვიანებით, კოლექტიური მეხსიერების შესახებ ნაშრომებში ის მნიშვნელოვნად ამახვილებს ყურადღებას ამ ინსტიტუციებსა და ძალაზე.

ანთროპოლოგმა იან ვანსინამ, რომელიც მუშაობდა აფრიკაში ვერბალურ საზოგადოებებთან, მნიშვნელოვანი კვლევა მიუძღვნა წარსულის რეპრეზენტაციის

ფორმებს და დაამკვიდრა მისი სამფაზოვანი სტრუქტურა. უახლოესი წარსული, რომელიც საგრძნობლად ბუნდოვანია ინტერაქტიულ კომუნიკაციაში ქრება დროის მსვლელობასთან ერთად. ინფორმაცია ხდება არასაკმარისი და ბუნდოვანი. ვანსინას მიხედვით, ეს ცოდნა ყოველდღიურ კომუნიკაციაში დროში შეზღუდულია და გადაეცემა მხოლოდ სამ თაობას. თუკი კიდევ უფრო შორეულ წარსულს შევხებით, ვნახავთ, რომ აქ უკვე განვიცდით ინფორმაციის საგრძნობ ნაკლებობას და მხოლოდ რამდენიმე სახელი თუ გაგვახსენდება, დიდი ყოყმანისა და ორჭოფის შემდეგ. ინფორმაცია სამყაროს შექმნისა და უძველესი ტომების შესახებ ბევრად უფრო მრავალფეროვანი და დიდია, თუმცა ის ინფორმაცია არ განეკუთვნება ყოველდღიურ კომუნიკაციას, არამედ ხდება მისი ინტენსიური ფორმალიზება და ჩამოყალიბება. ის არსებობს ნარატივების ფორმებში, სიმღერებში, ცეკვებში, რიტუალებში, ნიღბებსა და სიმბოლოებში. ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი დარგების სპეციალისტები კი გვევლინებიან ინფორმაციის შემნახველებად და გადამცემებად. უფრო მეტიც, მათი აქტუალიზაციისათვის საჭიროა გარკვეული შემთხვევების ორგანიზება, სადაც ხდება საზოგადოებების თავშეყრა. ეს არის სწორედ ის, რასაც ჩვენ ვეძახით „კულტურულ მეხსიერებას“. ვერბალურ საზოგადოებებში, როგორც ვანსინას აქვს ნაჩვენები, საკმაოდ დიდი უფსკრულია უახლესი წარსულის არაფორმალურ მეხსიერებასა და ფორმალურ კულტურულ მეხსიერებას შორის, რომელიც შორეულ წარსულს უკავშირდება და ვინაიდან, ეს უფსკრული ინაცვლებს თაობების ცვლილებასთან ერთად, ვანსინა მას უწოდებს „მონაცვლე უფსკრულს“ („Floating Gap“). იან ვანსინას მიხედვით, ისტორიული ცნობიერება, ვერბალურ საზოგადოებებში მუშაობს ორ დონეზე: წარმომავლობის დროსა და უახლოეს წარსულზე (ვანსინა, 1985:97).

იან ვანსინას „მონაცვლე უფსკრული“ გამოხატავს სხვაობას მეხსიერების სოციალურ და კულტურულ სხვაობებს შორის, ან კომუნიკაციურ და კულტურულ მეხსიერებას შორის. კომუნიკაციური მეხსიერება შეიცავს მეხსიერებას უახლესი წარსულის შესახებ. ეს არის მეხსიერება, რომელსაც ინდივიდი იზიარებს თავის თანამედროვეებთან ერთად. ეს არის სწორედ ის, რასაც მ. ჰალბვაქსი უწოდებს „კოლექტიურ მეხსიერებას“ და რომელიც აყალიბებს ზეპირი ისტორიის ობიექტებს და რომლებიც არსებობენ არა წერილობითი, არამედ ზეპირი ფორმებით. ზეპირი

ისტორიის ყველა კვლევა ადასტურებს იმას, რომ ვერბალურ საზოგადოებებში, მეხსიერება არ აღემატება ოთხმოც წელს.

კულტურული მეხსიერება ეფუძნება წარსულის ფიქსირებულ წერტილებს, აღნიშნავს ი. ასმანი. მისი აზრით, კულტურულ მეხსიერებაშიც კი არ ხდება, როგორც ასეთი, წარსულის შენახვა, არამედ ისინი თავმოყრილია სიმბოლოებში, რომლის წარმოჩენაც ხდება ზეპირ მითებში, ან წერილობით, შემონახულია დღესასწაულებში და ისინი გამუდმებით ასახავენ ცვალებად წარსულს. კულტურული მეხსიერების კონტექსტში, სხვაობა მითსა და ისტორიას შორის ქრება. არა მხოლოდ არქეოლოგებისა და ისტორიკოსების მიერ გამოძიებული წარსული არის კულტურული მეხსიერება, არამედ წარსული, ისე როგორც ის დამახსოვრებულია. აქ, კულტურული მეხსიერების კონტექსტში მნიშვნელოვანია კულტურული მეხსიერების დროის ჰორიზონტი. კულტურული მეხსიერება წვდება წარსულის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ „ჩვენად“. სწორედ ამიტომ, ისტორიული ცნობიერების ეს ფორმა მიიჩნევა „მეხსიერებად“ და არა უბრალოდ ცოდნად წარსულის შესახებ. წარსულის შესახებ ცოდნა იძენს მეხსიერების ფუნქციას, თუკი ის უკავშირდება იდენტობის ცნებას. ვინაიდან ცოდნას არ გააჩნია ფორმა და უსასრულოდ პროგრესულია, მეხსიერება შესაბამისად დავიწყებადია. ცოდნას გააჩნია განზოგადებისა და სტანდარტიზაციის უნივერსალური უნარი, ხოლო მეხსიერება, კულტურულიც -კი, ადგილობრივი, ეგოცენტრული და სპეციფიკურია ჯგუფებისა და მათი ღირებულებებისთვის.

მეხსიერების სხვადასხვა ფორმებს შორის განსხვავება სტრუქტურის მსგავსია, მაგრამ უფრო დინამიკურია, რაც ქმნის სიახლოვეს და გარდამავლობას სხვადასხვა პოლუსებს შორის. ბევრია ასევე გადაფარვაც. ეს განსაკუთრებით გამოხატულია მეხსიერებასა და იდენტობას შორის ურთიერთობაში. ინდივიდებს გააჩნიათ სხვადასხვა იდენტობა, გამომდინარე სხვადასხვა ჯგუფებიდან, საზოგადოებებიდან, რწმენიდან, პოლიტიკური შეხედულებებიდან და ა.შ. რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან და შესაბამისად მათი კოლექტიური მეხსიერებაც თანაბრად განსხვავებულია. მეხსიერება ყველა დონეზე წარმოადგენს ღია სისტემას. თუმცა, ის ბოლომდე ღია და გავრცელებული მაინც არ არის, ყოველთვის არსებობს ჩარჩოები,

რომლებიც უკავშირებენ მეხსიერებას დროის სპეციფიკურ ჰორიზონტებს და ინდივიდების იდენტობას, ასევე თაობებს, პოლიტიკურ და კულტურულ დონეებს. სადაც მსგავსი კავშირები არ არსებობს, საქმე გვაქვს არა მეხსიერებასთან, არამედ ცოდნასთან. მეხსიერება წარმოადგენს ცოდნას იდენტობის ინდექსით, ის არის ცოდნა საკუთარი თავის შესახებ, ცოდნა დიაქრონიული იდენტობის შესახებ, ეროვნული, კულტურული და რელიგიური ტრადიციების კონტექსტში (ბენეტი, 1993:68).

ამრიგად, დამახსოვრება მიკუთვნების რეალიზაციაა, უფრო მეტიც, სოციალური ვალდებულებაა. აუცილებელია პიროვნებას ახსოვდეს, რომ ჰქონდეს ამა თუ იმ საზოგადოებაზე მიკუთვნების უფლება. ერთი ჯგუფის მიერ ასიმილაცია და სხვა ჯგუფში გადასვლა ხშირად საკუთარი წარმომავლობის, იდენტობის დავიწყების შედეგია.

#### 1.4. კოლექტიური მეხსიერების შენახვის საშუალებები

განსხვავება კომუნიკაციურ და კულტურულ მეხსიერებას შორის გამოხატულია ასევე სოციალურ განზომილებაში, კერძოდ, მონაწილეების სტრუქტურაში. ჯგუფის მონაწილეობა კომუნიკაციურ მეხსიერებაში საკმაოდ ფართოა. ზოგმა მეტი იცის, ზოგმა-ნაკლები და ასაკოვანი ადამიანების მეხსიერება კიდევ უფრო შორეულ წარსულს წვდება, ვიდრე-ახალგაზრდებისა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ არაფორმალური, კომუნიკაციური მეხსიერების სპეციალისტები არ არსებობენ. ცოდნა, რომლის შექმნაც ხდება ყოველდღიური კომუნიკაციის შედეგად, მოიპოვება მონაწილეების მიერ ენისა და სოციალური კომპეტენციის შედეგად. ჯგუფის მონაწილეობა კულტურულ მეხსიერებაში, კი-პირიქით, ყოველთვის ძალიან განსხვავებულია. ეს განსაკუთრებით ეხება ვერბალურ და ეგალიტარულ (გათანაბრებულ) საზოგადოებებს. ი.ასმანის მიხედვით, ჯგუფის კულტურული მეხსიერების შენარჩუნების ამოცანა უპირველესად პოეტების ფუნქცია იყო. დღესაც კი, აფრიკაში პოეტების ფუნქცია კულტურული მეხსიერების დაცვაა.

მკვლევარები გამოყოფენ წარსულის დამახსოვრებისა და მეხსიერების გადაცემის სხვადასხვა ფორმას. მაგალითად, პ. ბიურკი საუბრობს 5 მედიუმზე/შუამავალზე, რომელთა საშუალებითაც ხდება მეხსიერების გადაცემა: 1. ზეპირი ტრადიცია; 2. ისტორიკოსის შემოქმედება; 3. გამოსახულებითი და ფოტოგრაფიული ხატები; 4. მოქმედებები, რიტუალები. პირველთა მეშვეობით გადაიცემა ცოდნა და გამოცდილება. რიტუალები კი მეხსიერების აქტია, რომლის მეშვეობით ხდება წარსულის კვლავწარმოება, ინტერპრეტაცია და მეხსიერების ფორმირება. 5. სივრცე, სადაც ლოკალიზდება მეხსიერების „ხატები“ (ბიურკი, 1980: 100-101).

პ. ბერკის აზრით, ამ ჩამონათვალისგან ისტორიკოსი და მის მიერ შექმნილი ნარატივი ერთ-ერთი მთავარი მედიუმია წარსულსა და აწმყოს შორის. ისტორიკოსის გავლენა სულაც არ არის მეორეხარისხოვანი, მაგალითად, ეროვნული დღესასწაულის დადგენის, ან რომელიმე მონუმენტის აგების დროს. სწორედ

ისტორიკოსები არიან ერთ-ერთი მთავარი მსაჯულნი იმისა, თუ რა ჩაითვალოს დამახსოვრების ღირსად და რა - არა.

პიერ ნორა გამოყოფს 4 ტიპის ე.წ. „მეხსიერების ადგილებს/არეებს“ (sites/realms of memory): 1. სიმბოლური არე - სადღესასწაულო დღეები, რიტუალები, იუბილეები, პილიგრიმოზა და ა.შ.; 2. ფუნქციური არე - სახელმძღვანელოები, ავტობიოგრაფიები და სხვ.; 3. მონუმენტური არე - საფლავები, ნაგებობები და სხვა სახის ნივთიერი რეალობა; მე-20 საუკუნის მეხსიერების ადგილებს შორის არის არა მხოლოდ თავისუფლების ქანდაკებები ან ის ადგილები, სადაც დამოუკიდებლობა ან მშვიდობა იქნა მოპოვებული, არამედ ის ადგილებიც, სადაც ეს ყველაფერი ფეხქვეშ გაითელა. 4. ტოპოგრაფიული არე - არქივები, ბიბლიოთეკები, მეზეუმები (ნორა, 1989:102).

კულტურულ მეხსიერებას ყოველთვის ჰყავს თავისი სპეციალისტები ვერბალურ და ლიტერატურულ საზოგადოებებში. ესენია: შამანები, პოეტები და მელექსეები, ასევე მღვდლები, მასწავლებლები მსახიობები, მუშაკები, სწავლულები, პოლიტიკოსები და სხვა სპეციალიზირებული მეხსიერების გადამტანები. ვერბალურ საზოგადოებებში, ამ გადამტანების სპეციალიზაციის ხარისხი დამოკიდებულია მოთხოვნილებების მასშტაბებზე, რომელიც გამოწვეულია მათი მეხსიერების მიერ. მოთხოვნა, რომლისთვისაც აუცილებელია სიტყვასიტყვითი გადატანა უმაღლესადაა შეფასებული. აქ ადამიანის მეხსიერება გამოყენებულია, როგორც „მონაცემთა ბაზა“, იმ კონტექსტით, რომ გამოიყენება დამწერლობა, ფიქსირებული ტექსტი ვერბალურადაა „დაწერილი“ უმაღლესი სპეციალიზაციის მქონე და ნასწავლი სპეციალისტების მეხსიერებაში (მილერი 1968:115). ეს ტიპიურად, რიტუალის ჩატარების შემთხვევაა, როდესაც მისი წესების ზუსტად დაცვა უნდა მოხდეს, მაშინაც კი, როდესაც ტექსტი წერილობით არ გვიდევს წინ. მაგალითად, აღსანიშნავია ფაქტი, რომ ძველ ეგვიპტეში, ტიპიურ ბიბლიოთეკაში იმაზე მეტი წიგნი არ მოიპოვებოდა, რამდენის ზეპირად დამახსოვრებაც არ შეეძლოთ სპეციალისტებს. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ინფორმაციის წერილობით გადატანა გარკვეულ ცდომილებებთან და გადაწერის დროს დაშვებულ შეცდომებთან იყო დაკავშირებული, შესაბამისად არსებობდა საფრთხე იმისა, რომ მოხდებოდა გარკვეული ინფორმაციის დაკარგვა და დავიწყება. მაგალითად, მღვდლები კითხულობდნენ და

სწავლობდნენ/იმახსოვრებდნენ არა ყველა წიგნს, არამედ მხოლოდ იმათ, რაც კონკრეტულად უკავშირდებოდა მათ ჩინსა და საქმიანობას. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იყო მღვდელმთავრობის იერარქიისა და მათი ბიბლიოთეკის სტრუქტურის ამოცნობა. კულტურული მეხსიერების გადატანის ფუნქცია თანამედროვე სამყაროში იტვირთა ასევე ფილმებმა, მუსიკამ და ტელევიზიამ. მაგალითად, როგორ გვახსოვს დიდი სამამულო ომი (1941-1945)? ომი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებსა და ფაშისტურ გერმანიას შორის? მეორე მსოფლიო ომის ბედის გადამწყვეტი ეს ნაწილი ახსოვს ყველას თანამედროვე მსოფლიოშიც კი, მაშინ როდესაც ჩვენ ვართ ომის შემდგომ მესამე და მეოთხე თაობა. უფრო მეტიც, ეს არა მხოლოდ ისტორიული მეხსიერება, არამედ განცდა, თანაგრძნობა და დიდი ტკივილია, რაც მოაქვს იმ გმირებისა და მეომრების გახსენებას, რომლებიც იბრძოდნენ სამშობლოს გამო, თავი გაწირეს და ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ. ძნელად წარმოსადგენია ადამიანი, რომელიც ამ ფაქტების გახსენებისას გულგრილი იყოს, ცრემლი არ წამოუვიდეს და გული არ დაეწვას. როგორ ხდება ამ მეხსიერების ასე ცოცხლად და ორგანულად შენახვა და უფრო მეტიც, მისი თაობიდან თაობაზე გადაცემა? ამას ემსახურებიან სწორედ ინფორმაციის გადამტანები, რომელთაც მიეკუთვნებიან: ისტორიკოსები, წინაპრები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები, მუსიკალური კომპოზიციები, რომლებიც შექმნილია ომის თემაზე, მუზეუმები, სადაც ინახება ომში გამოყენებული საგნები, მემორიალური გამოსახულებები, მონუმენტები, ისტორიული ადგილები და სხვ.

მაგალითად, ყველასთვის კარგად ცნობილია ფილმები: „ჯარისკაცის მამა“ (1942 წლის ზაფხული, მოხუცი ქართველი გლეხი გიორგი მიდის ომში, იმ იმედით, რომ ფრონტზე იპოვოს თავისი ვაჟი. ბევრის გადატანა და ნახვა მოუწევს გიორგის და თვითონ ხდება ჯარისკაცი) და „ლიმილის ბიჭები“ (1941 წლის ივნისი, თბილისის ერთ-ერთი სკოლის კურსდამთავრებულების გეგმავენ თავიანთ მომავალს და არ იციან, რომ ომი დაიწყო. ომი საგრძნობლად ცვლის მათ ცხოვრებას. ისინი მიდიან ფრონტზე. მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი გადარჩება და ომის დასრულების შემდგომ ბერლინში, რაიხსტაგზე დაწერს გარდაცვლილი მეგობრების სახელებს) შექმნილია დიდი სამამულო ომის თემატიკაზე, თითქმის არავის ტოვებს გულგრილს. ომში



დაღუპულ გმირებზე მეხსიერება, მათ საქმეებსა და სახელებზე, უკავშირდება მეხსიერებას ომის შესახებ და მაშინვე იღებს „კოსმიურ მასშტაბს“. შესაბამისად იქმნება „სოციალური ქსელი“, სადაც ჩვენ ერთმანეთთან ვართ დაკავშირებულნი და გვახსოვს ერთმანეთი.

ადარებს რა ერთმანეთს, კომუნიკაციურ და კულტურულ მეხსიერებებს, ი.ასმანს მოჰყავს შემდეგი ცხრილი:

	კომუნიკაციური მეხსიერება	კულტურული მეხსიერება
შინაარსი	ისტორია ავტობიოგრაფიულ ჩარჩოში, უახლესი წარსული	მითიური ისტორია, მოვლენები აბსოლუტურ წარსულში
ფორმები	არაფორმალური ტრადიციები და ყოველდღიური კომუნიკაციის ჟანრები	ფორმირების მაღალი ხარისხი, ცერემონიული კომუნიკაცია
გადატანის საშუალებები/ მედიუმები	ცოცხალი, მატერიალიზებული მეხსიერება, კომუნიკაცია ეროვნულ ენაზე	შუალედური ტექსტები, ხატები, ცეკვები, რიტუალები და სხვადასხვა სახის წარმოდგენები, კლასიკურ, ან ფორმალიზებულ ენებზე
დროის სტრუქტურა	80-100 წელი, მოძრავი ჰორიზონტი 3-4 მონაწილე თაობა	აბსოლუტური წარსული, მითიური, თავდაპირველი დრო, „3000 წელი“.
მონაწილეობის სტრუქტურა	გავრცელებული/ფართო/მასშტაბური	მეხსიერების სპეციალიზირებული გადამტანები,

		იერარქიული სტრუქტურა.
--	--	--------------------------

როგორც ცხრილიდან ჩანს, ტრანზიციები და ტრანსფორმაციები მოიცავს კულტურული მეხსიერების დინამიკას. ორი ტიპიური მიმართულება სტრუქტურული მნიშვნელობისაა და ამ კონტექსტში მათი აღნიშვნა აუცილებელია. ერთი ეხება გადასვლას ავტობიოგრაფიული და კომუნიკაციური მეხსიერებიდან კულტურულ მეხსიერებაში, ხოლო მეორე-უშუალოდ კულტურულ მეხსიერებას, უკანა ეტაპიდან წინაში, პერიფერიიდან-ცენტრში და პირიქით მონაცვლეობა.

## 1.5. მეხსიერების ენობრივი მარკერები

ენა წამყვან როლს ასრულებს ჩვენი გამოცდილების, ემოციებისა და განცდების გამოსახვასა და ტრანსფორმირებაში. როდესაც ამა თუ იმ ენაზე ვსაუბრობთ, აშკარაა, რომ ენა არ არის მხოლოდ სიტყვების მარაგი, უპირველეს ყოვლისა ენა არის ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანების კულტურული ტრადიციები და მათი ისტორიული მეხსიერება. სხვადასხვა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ დროის მონაკვეთი ადრე მომხდარ მოვლენასა და მომდევნოდ მასზე საუბარს შორის ნებისმიერი შეიძლება იყოს (თუ დამწერლობას გავითვალისწინებთ, ეს მონაკვეთი შეიძლება აღემატებოდეს ცოცხალი ადამიანის მეხსიერების არსებობის პერიოდსაც). ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ადამიანი იოლად ინახავს საჭირო ინფორმაციას ვერბალური (სიტყვიერი) ფორმით და სიტყვების საშუალებით გადალახავს დროით მანძილს. ის, რაც ადამიანს ახსოვს, მის მეხსიერებაში უმთავრესად ვერბალური ფორმით ინახება. ის, რაც ჩვენ გვახსოვს, ხშირად ფაქტებს მთელი სიზუსტით არ ემთხვევა სწორედ იმიტომ, რომ მეხსიერება ვერბალური ფორმით ინახავს ინფორმაციას, სიტყვები კი მოვლენას ყოველთვის ზუსტად ვერ ასახავს (გამყრელიძე, 2008: 486). განცდები და მოვლენები მეხსიერებაში ენობრივი ფორმით ინახება, და შესაბამისად, ამა თუ იმ მოვლენის გახსენება ენის საშუალებით ხდება, სწორედ ენის ასეთ საშუალებებს ეწოდება მეხსიერების ენობრივი მარკერები (კვაჭანტირაძე, 2008:87).

მაგალითად ენობრივი მარკერი „მარადიული ცეცხლი“ უკავშირდება ბათუმში ქალაქის შესასვლელ ნაწილში მეორე მსოფლიო ომში 1941-1945 წწ. დაღუპულთა უკვდავსაყოფად აღმართულ ობელისკს. ეს იყო ობელისკი, სადაც მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები და მათი შვილები ყოველი წლის 9 მაისს ყვავილებით მიდიოდნენ და სადაც „მარადიული ცეცხლი“ მხოლოდ ამ დღეს ენთო. დღეს ის აღარ არსებობს, თუმცა ენობრივი მარკერი „მარადიული ცეცხლი“, ენაში ჯერ კიდევ შემორჩა. აღსანიშნავია ასევე ფაქტი, რომ შესაძლოა დროთა განმავლობაში ეს ენობრივი მარკერი დავიწყებას მიეცეს, ვინაიდან, აღარ მოხდეს თაობიდან თაობაზე მისი გადასვლა (რადგანაც, თვითონ ამ მარკერის დამადასტურებელი ძეგლი აღარ არსებობს, ახლა მის ადგილზე საბაგირო გზაა) და ბოლოს სულაც გაქრეს.

ასევე, ენობრივი მარკერი „ავგისტოს ომი“, მიუთითებს 2008 წლის 7 აგვისტოს დაწყებულ საქართველო-რუსეთის ომზე. ომი ხუთი დღე გრძელდებოდა და ამიტომ, მას ხშირად მოიხსენიებენ ხუთდღიანი ომის სახელითაც. ვინაიდან თვით ფაქტი უახლეს წარსულში მოხდა, აღნიშნული ენობრივი მარკერი საკმაოდ აქტუალურია და დღეს იშვიათია შეხვდე საქართველოში ადამიანს, ვისაც ეს არ ახსოვდეს და აღნიშნული მარკერით მოხსენიებულ ომზე წარმოდგენა არ ჰქონდეს. მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტიც, რომ საქართველო იმ დროისთვის მსოფლიო მედიის დიდი ყურადღების ცენტრში მოექცა (ამერიკელებმა, ლაური მარიოც ჰარიოლას რეჟისორობით ფილმიც კი გადაიღეს, სახელწოდებით „ავგისტოს 5 დღე“; ასევე სწორედ აგვისტოს ომის თემატიკაზე დაიწერა წიგნი სახელწოდებით „მცირე ომი, რომელმაც სამყარო შეძრა“-რონალდ დ.ასმუსის მიერ) და ომის მოვლენები გლობალურად გამოუქდა.

რუსეთის ისტორიიდან ცნობილია ასევე, ე.წ. „ოქტომბრის რევოლუცია“, ასევე „ოქტომბრის გადატრიალება“, შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება რუსეთში 1917 წელს, რომლის შედეგადაც ჩამოგდებულ იქნა დროებითი მთავრობა და ქვეყნის სათავეში ბოლშევიკები, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოვიდა. აღნიშნული რევოლუცია ძველი, იულიანეს სტილის კალენდრით მოხდა 1917 წლის 25 ოქტომბერს, რაც ახალი, გრეგორიანული სტილის კალენდრით შეესაბამება 7 ნოემბერს. თავდაპირველი სახელწოდება აღნიშნული რევოლუციისა იყო, მხოლოდ „რევოლუცია“. სახელწოდება „ოქტომბრის დიდი რევოლუცია“ პირველად გამოჩნდა საკონსტიტუციო ასამბლეის დეკლარაციაში. ისტორიოგრაფიაში, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჩნდება სახელწოდება „ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია“. ასევე აღნიშნულ მოვლენას უკავშირდება სახელწოდება „ოქტომბრის გადატრიალება“, რომელსაც თავდაპირველად პოზიტიური, შემდგომ კი ნეგატიური დატვირთვა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუცია ახალი სტილით 7 ნოემბერს შეესაბამება, ენობრივი მარკერი „ოქტომბრის რევოლუცია“ დღემდე აქტუალურია და გვხვდება თანამედროვე, რუსულ გამოცემებში. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ფილოსოფოსმა ა.პ. ბუტენკომ ამ მოვლენის აღსანიშნავად გამოიყენა სიტყვათა კომბინაცია „რევოლუციური გადატრიალება“.

პირველი თავის დასასრულს ჩამოვყალიბოთ ჩვენი ნაშრომის თეორიული ნაწილის დასკვნები: მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კულტურული მეხსიერების საყოველთაოდ მიღებული განმარტება, ჩვენს მიერ გაკეთებული თეორიული მასალის მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს ჩამოვყალიბოთ კულტურული მეხსიერების სამუშაო განმარტება: მეხსიერება გულისხმობს ინდივიდების, ჯგუფებისა და სახელმწიფოთა მცდელობას, განსაზღვრონ საკუთარი რაობა ისტორიის ინტერპრეტაციით, დაგროვილი გამოცდილების ასახვითა და მნიშვნელოვნად მიჩნეული მოვლენების დაფიქსირებით, მისი კვლევა სამ ძირითად დონეზე მიმდინარეობს: ინდივიდუალურ, კოლექტიურ და ინსტიტუციურ დონეზე. კულტურული მეხსიერება ეს არის მითიური ისტორია, მოვლენები აბსოლუტურ წარსულში, რომელსაც გააჩნია ფორმირების მაღალი ხარისხი და ცერემონიალური კომუნიკაცია. მისი შესწავლა იმ მსოფლიოში, სადაც ინფორმაცია წარმოადგენს უდიდეს იარაღს, ხოლო მისი ნაკლებობა ნაციისა და კულტურისთვის შესაძლოა ფატალურიც კი აღმოჩნდეს, უაღრესად მნიშვნელოვანია.

მეხსიერების აგენტი უამრავია, ასევე მრავალფეროვანი და უამრავია მეხსიერების გადატანის საშუალებებიც. მეხსიერების გადატანაში უდიდეს ფუნქციას ასრულებს ენა, ვინაიდან ის წარმოადგენს კომუნიკაციის უნივერსალურ საშუალებას. ჩვენს მიერ დამუშავებული თეორიული და პრაქტიკული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ენობრივი მარკერები, კულტურული მეხსიერების უნივერსალური მარკერებია, უნიკალური საშუალებაა, ვინაიდან ენა ინარჩუნებს და ინახავს ყველაფერს, რაც ოდესმე დაფიქსირებულა ლინგვისტური არხების საშუალებით. ენას გააჩნია უნარი აღადგინოს და გააცოცხლოს მოვლენა, მაშინაც კი, როდესაც ამ მოვლენის შესახებ მეხსიერება ბუნდოვანია და თვით ფაქტი აღარ არსებობს.

## II თავი

### კონცეპტი, როგორც კულტურის ძირითადი ცნება და მისი ენობრივი მარკერები

#### 2.1. ენა და კულტურა

ადამიანის არსებობა მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ საქმიანობასთან. საზოგადოებრივი საქმიანობა, თავის მხრივ, შეუძლებელია ადამიანთა შორის ურთიერთგაგებინების გარეშე. გაგებინების უმნიშვნელოვანესი საშუალება არის ენა. ენა არის საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებიდან, განსაკუთრებით კი შედეგზე ორიენტირებული საქმიანობიდან გამომდინარე, მუდმივად განახლებადი, განვითარებადი სისტემა აკუსტიკურად და ოპტიკურად აღქმადი ნიშნებისა, რომელიც ადამიანს ემსახურება აზრის გაფორმებაში, შეაძლებინებს მას გარკვეულ ფორმაში მოაქციოს აზრი და ამით გასაგები გახადოს იგი მისთვის და სხვათათვის. ენა ადამიანს ფიქრის პროცესს, ანუ გარკვეული რეალობის შემეცნებას შეაძლებინებს. ენის, როგორც ნიშანთა სისტემის მეშვეობით შესაძლებელი ხდება აზრებისა და ემოციური განცდების გადმოცემა, ასევე მოპოვებული ცოდნის ფიქსირება და შენახვა (ასკოლდოვი, 1995:108).

როგორც მასლოვა აღნიშნავს, თანამედროვე ლინგვისტიკის უმთავრეს მიღწევას წარმოადგენს ის, რომ ენა უკვე აღარ განიხილება, როგორც ცალკე მდგომი, ან „საკუთარ თავში ჩაკეტილი“, არამედ ახალ პარადიგმაში, ის გვევლინება ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის უმთავრეს იარაღად (მასლოვა, 2001:80).

ენა-ეს არის ერის ვერბალური განძი, აზრის გადაცემის საშუალება, რომელსაც ის გარკვეულ ენობრივ სტრუქტურაში აქცევს. ამასთან, არსებული ცოდნა არ წარმოადგენს ცოდნას მხოლოდ ენის შესახებ, არამედ ეს არის ცოდნა სამყაროზე, სოციალურ კონტექსტზე, კომუნიკაციური ურთიერთობის პრინციპებზე, ადრესატზე, ფონურ ცოდნასა და ა.შ. ამ ჩამოთვლილთაგან, არც ერთის მიჩნევა არ შეიძლება პრიორიტეტულად, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მათი ერთობლივად შესწავლა, მათი

ურთიერთკავშირის გარკვევა მიგვაახლოებს ჩვენ ენობრივი კომუნიკაციის არსის წვდომას (მასლოვა, 2006:27).

მშობლიური ენა მჭიდროდ და მრავალმხრივ არის დაკავშირებული საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრების მრავალ მხარესთან. ეს დებულება სამართლიანია ხალხისა და ყველა ენის მიმართ. ადამიანის ცხოვრების მრავალი ასპექტი იმით განისაზღვრება, რომ ეს ადამიანი საზოგადოების წევრია. ამგვარი ასპექტების ერთობლიობა კულტურას წარმოადგენს. აღნიშნავენ, რომ კულტურა არის ის, რასაც ადამიანი ითვისებს, როგორც საზოგადოების წევრი. ასე დანახული კულტურა მოიცავს ადამიანთა ცხოვრებისა და ქცევის ფართო სფეროს, რომლის ამკარად გამოხატულ და უმნიშვნელოვანეს ნაწილს ენა შეადგენს (გამყრელიძე: 2008-463).

მიუხედავად იმისა, აღნიშნავს გამყრელიძე, რომ ენის ათვისებისა და გამოყენების უნარი თანდაყოლილია და მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას, ყოველი ადამიანი ენას ითვისებს როგორც საზოგადოების წევრი თავისი სოციალური ჯგუფის კულტურის სხვა ასპექტებთან ერთად; საზოგადოება და კულტურა ერთმანეთს გულისხმობენ. ენა შეიძლება განვითარდეს მხოლოდ ამა თუ იმ სტრუქტურის მქონე სოციალურ ჯგუფებში; ამავე დროს, ადამიანთა საზოგადოების ნებისმიერი ფორმა, რომელიც ოდნავ მაინც ჰგავს დღემდე ცნობილ სოციალურ ფორმებს, შეიძლება შენარჩუნდეს მხოლოდ საერთო ენის მქონე ადამიანებს შორის. ადამიანთა საზოგადოებაში ქცევის უდიდესი ნაწილი-ის, რაც კულტურის სფეროს განეკუთვნება, გადაიცემა საზოგადოდ არა იმიტაციის გზით, არამედ ენის საშუალებით. მართალია, ენის შესწავლის პროცესში, განსაკუთრებით-ადრეულ ასაკში, გარკვეულ როლს იმიტაციაც ასრულებს, მაგრამ ეს როლი უმნიშვნელოა; ენის მეშვეობით კი შესაძლებელი ხდება ცოდნის დაგროვება და გადაცემა თაობიდან თაობაში. ამით განისაზღვრება ის დომინანტური როლი, რომელსაც ენა, როგორც კულტურის ფენომენი, ასრულებს საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში (გამყრელიძე, 2008-464).

ენა წარმოადგენს კულტურის იარაღს. ბევრი მეცნიერის ნაშრომი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შეიცავს თეორიულ ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ

ინახება ენაში კულტურა, სამყაროს აღქმის ელემენტები და როგორ ხდება მათი ფორმირება ენაში კომუნიკაციის პროცესში. ამ საკითხის შესწავლას ეხება სწორედ კოგნიტიური ლინგვისტიკა, რომელსაც მასლოვა მომავლის ლინგვისტიკას უწოდებს.

კოგნიტიური ლინგვისტიკის შესწავლის მთავარ ობიექტს კონცეპტი წარმოადგენს. კონცეპტები წარმოადგენენ მენტალურ ერთეულებს, რომელთაც გააჩნიათ სახელი ენაში და საკუთარ თავში ასახავენ ადამიანის მიერ სამყაროს შესახებ კულტურულ-ნაციონალურ წარმოდგენებს. კულტურის მთავარ კონცეპტებად მოიაზრებენ სამყაროს სურათის მთავარ ერთეულებს, ე.წ. კულტურის კონსტანტებს, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელობა, როგორც ცალკეული ენობრივი პიროვნებებისათვის, ასევე მთლიანად ლინგვოკულტურული საზოგადოებისთვის.

ლინგვოკულტუროლოგიის კვლევით სფეროს წარმოადგენს კულტურისა და ენის ურთიერთქმედება სინქრონიასა და დიაქრონიაში, აღნიშნავს ს. ომიამე, თვით კულტურა კი მისი აზრით, განიხილება, როგორც ენის უმაღლესი ფორმა, როგორც აზროვნების საზრისულ კონცეპტთა სისტემა და აზროვნების სტრუქტურათა წარმომქმნელი. დღეს, თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებების მრავალ დარგში, ძალიან აქტუალური გახდა აზროვნების ისტორიის დაკავშირება კულტურის ისტორიასთან, ასევე აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში ენა წამყვან როლს ასრულებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მეხსიერების მეშვეობით კულტურის განსაზღვრება ძალიან გავრცელებულია ჩვენს დროში. ადამიანი იმ კულტურას აკუთვნებს თავს, რომელთანაც იგი დაკავშირებულია წარმოშობით, საცხოვრებელი ადგილით, გარემოთი, აღზრდით, ტრადიციით, ენით, რომელზეც ლაპარაკობს და აზროვნებს (ომიამე, 2006: 12).



## 2.2. სამყაროს ენობრივი სურათი

21-ე საუკუნის ლინგვისტიკა აქტიურად ამუშავებს მიმართულებას, სადაც ენა განიხილება, როგორც ერის კულტურული კოდი და არა უბრალოდ, როგორც კომუნიკაციისა და შემეცნების იარაღი. ასეთი მიდგომის ფუნდამენტური საფუძვლები განხილულია ვ. გუმბოლდტის, ა. პოტენისა და სხვათა ნაშრომებში. მაგალითად, ვ. გუმბოლდტი ამტკიცებდა: „ჩემი ერის ენობრივი საზღვრები ნიშნავს ჩემი სამყაროს შემეცნების საზღვრებს“ (მასლოვა, 2001:28).

სამყაროს რეალური სურათი- ეს არის რეალური სამყარო, რომელიც ადამიანის ირგვლივია. სამყაროს კულტურული (აღქმითი) სურათი- ეს გულისხმობს რეალური სურათის ასახვას აღქმით, რომელიც ფორმირებულია ადამიანის წარმოდგენების საფუძველზე და მიღებულია აღქმის ორგანოების საშუალებით, აღწევს რა მის ცნობიერებას, როგორც კოლექტიურად, ისე ინდივიდუალურად. ეს არის სამყაროს სურათი, რომელიც შექმნილია ადამიანის ფიზიკური გამოცდილებისა და სულიერი შემოქმედების შედეგად.

სამყაროს კულტურული სურათი სპეციფიკურია და განსხვავებულია სხვადასხვა ერებში. ეს განპირობებულია მთელი რიგი ფაქტებით: გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, ბუნებრივი პირობები, ისტორია, სოციალური მოწყობილობა, აღმსარებლობა, ტრადიციები, ცხოვრების წესი და ა.შ.

სამყაროს ენობრივი სურათი ასახავს რეალობას ენობრივი საშუალებებით, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ სამყაროს კულტურული სურათით („ენა წარმოადგენს კულტურის სარკეს“). ვინაიდან სამყაროს რეალური სურათი წარმოდგენილია ადამიანის ცნობიერებაში ენობრივი საშუალებებით, მისი გამოსახვა ხდება ენის საშუალებით და უკვე გააჩნია ის ფორმა, რომელიც „გამოსახა“ და შექმნა ეროვნულმა ენამ კულტურის ბაზაზე.

ენა არა მხოლოდ ასახავს რეალობას, არამედ ახდენს მის ინტერპრეტაციას, ქმნის რა განსაკუთრებულ რეალობას, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი. ზუსტად ამიტომ საუკუნოვანი ფილოსოფიის განვითარება ხდება ენის გამოყენების ბაზაზე. შესაბამისად, ლინგვისტიკა, მეცნიერება ენის შესახებ, იკავებს ავანგარდულ

მეთოდოლოგიურ პოზიციებს ყველა ჰუმანიტარული მეცნიერების სისტემაში და უმისოდ კულტურის შესწავლა შეუძლებელია (ვაისგერბერი, 2004:102).

ენა მოიზარება, როგორც გზა, რომლის საშუალებითაც ჩვენ არამარტო ვაღწევთ ერის თანამედროვე მენტალობაში, არამედ ვწვდებით უძველესი ადამიანების წარმოდგენებს მსოფლიოს, საზოგადოებისა და საკუთარი თავის შესახებ. გასული წლების გამოძახილი, რომლებმაც საუკუნეები გამოიარეს, შემონახულია ანდაზებში, გამონათქვამებში, ფრაზეოლოგიზმებში, მეტაფორებში, კულტურულ სიმბოლოებსა და ა.შ.

ლინგვოკულტუროლოგიის, როგორც მეცნიერების ენისა და კულტურის კავშირის შესახებ, მიზანია ენის გავლით ერის მენტალობისა და კულტურის გამოვლენა (ვეუბიკაია, 1996:111).

რატომ ხდება მაინცდამაინც ფრაზეოლოგიზმების, მეტაფორების, სიმბოლოებისა და სხვათა კვლევა? საქმე იმაშია, რომ ისინი წარმოადგენენ ერის კულტურისა და მენტალიტეტის შესახებ ფასეულ წყაროს, ვინაიდან მათში ინახება და იბეჭდება მითები, ლეგენდები, წეს-ჩვეულებები.

ცნობილია, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ ყალიბდება პიროვნებად, როდესაც ის ბავშვობიდან ითავისებს ენას და მასთან ერთად თავისი ერის კულტურას. პიროვნების კულტურის ყველა დეტალი ასახულია ენაში, რომელიც სპეციფიკური და უნიკალურია, ვინაიდან ყოველი ენა თავისებურად ასახავს საკუთარ თავში სამყაროსა და ამ სამყაროში ადამიანს.

სამყაროს შესახებ ინფორმაციის დიდი ნაწილი ადამიანთან მიდის ლინგვისტური არხით. ინფორმაციის დიდ წილს ის ღებულობს სიტყვით, ამიტომ საზოგადოებაში ადამიანის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ფლობს ის სიტყვას და არა იმდენად მეტყველების კულტურით, არამედ იმის ცოდნით თუ როგორ ჩასწვდება ის ენის საიდუმლოებას (გასპაროვი, 1996:71).

ყოველი ენა თავისებურად ანაწევრებს მსოფლიოს, მაშასადამე, გააჩნია მისი კონცეპტუალიზაციის საკუთარი ხერხები. ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველ ენას აქვს თავისი სამყაროს ხატი და ენობრივი პიროვნება ვალდებულია ამ სურათის შესაბამისი გამონათქვამების შინაარსი უზრუნველყოს. სწორედ ამაში გამოვლინდება

ენაში დაფიქსირებული, სამყაროს სპეციფიკური ადამიანისეული აღქმა. ერის თავისებური გამოცდილების და ობიექტური სამყაროს ათვისების საფუძველზე ფორმირდება კონცეპტუალური სისტემა, რომელშიც ენობრივი მარკერების მეშვეობით დაფიქსირებულია ერის ეთნომენტალური ხასიათი, მისი კულტურული მახასიათებლები. ენა ეთნოსის იდენტიფიკაციის ყველაზე მკვეთრი ნიშანია.

სამყაროს სურათის ცნება (მათ შორის ენობრივიც) ყალიბდება მსოფლიოზე ადამიანის შეხედულებების შესწავლით. თუ სამყარო არის ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედება, მაშინ სამყაროს სურათი-ადამიანისა და გარემოზე ინფორმაციის გადამუშავების შედეგია. მაშასადამე, კოგნიტიური ლინგვისტიკის წარმომადგენლები სამართლიანად ამტკიცებენ, რომ ჩვენი კონცეპტუალური სისტემა, რომელიც ასახულია სამყაროს ენობრივი სურათის სახით, დამოკიდებულია ერის გამოცდილებაზე და უშუალოდაა მასთან დაკავშირებული. ერის მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე ხდება სამყაროს სურათის ფორმირება და ერის ეთნო-მენტალური ხასიათის ჩამოყალიბება.

ენა წარმოადგენს კულტურის ფაქტს, იმიტომ რომ: 1) ის არის იმ კულტურის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო წინაპრებისგან; 2) ენა არის ძირითადი ინსტრუმენტი, რისი საშუალებითაც ჩვენ ვითავისებთ კულტურას; 3) ენა არის კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხატულება, თუკი ჩვენ გვსურს გავიგოთ კულტურის არსი- მეცნიერება, ლიტერატურა, რელიგია, მაშინ უნდა განვიხილოთ ეს მოვლენები, როგორც კოდები, ვინაიდან ბუნებრივ ენას გააჩნია ყველაზე უკეთ შემუშავებული მოდელი.

ამრიგად, ენა წარმოადგენს კულტურის შემადგენელ ნაწილს, მის იარაღს, ის ჩვენი სულის რეალობაა, კულტურის სახეა; ის ღიად გამოხატავს ნაციონალური მენტალობის სპეციფიკურ ხასიათს. ენა მექანიზმია, რომელიც ადამიანის წინაშე ხსნის ცოდნის არეალს (ჟინკინი, 1982:152).

როგორც ლევი სტროსი აღნიშნავს, ენა ერთდროულად არის როგორც კულტურის პროდუქტი და მისი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი, ასევე კულტურის არსებობის პირობაც. უფრო მეტიც, ენა კულტურის არსებობის სპეციფიკური ხერხი, კულტურული კოდების ჩამოყალიბების ფაქტორია (სტროსი, 2000:15).

ენასა და კულტურას შორის მიმართება შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც მიმართება მთელსა და ნაწილს შორის. ენის აღქმა შეიძლება როგორც კულტურის კომპონენტი და იარაღი. ენა ამავდროულად ავტონომიურია კულტურასთან მიმართებით და მისი განხილვა შესაძლებელია, როგორც დამოუკიდებელი, ავტონომიური სემიოტიკური სისტემა, ე.ი. კულტურისგან განცალკევებით, რაც ხდება ტრადიციულ ლინგვისტიკაში.

ჩვენი კონცეფციის მიხედვით, ვინაიდან ენის ყოველი მატარებელი იმავდროულად გვევლინება კულტურის მატარებლად, ენობრივ ნიშნებს აქვთ უნარი შეასრულონ კულტურის სიმბოლოების ფუნქცია და შესაბამისად, გვევლინებიან კულტურის მნიშვნელოვანი სახის გამოსახვის საშუალებად. სწორედ ამიტომ, ენას შეუძლია აჩვენოს მისი მატარებლის კულტურულ-ნაციონალური მენტალობა. კულტურა კორელირებს ენასთან კონცეპტის სივრცეში (როიდიჯერი, 2008:140).

კულტურა ცხოვრობს და ვითარდება „ენობრივ ნაჭუჭში“. თუკი ადრეული კულტურები იყვნენ „საგნობრივები“, თანამედროვე- მეტწილად ხდება ვერბალური. ენა ემსახურება კულტურას, მაგრამ არ განსაზღვრავს მას. ენას შეუძლია შექმნას ვერბალური ილუზიები, თითქოსდა სიტყვიერი მირაჟი, რომელიც ცვლის რეალობას.

ენა არის ადამიანის სამყაროს შესახებ ცოდნისა და არსებობის ფორმირების მნიშვნელოვანი იარაღი. ასახავს რა შემოქმედების პროცესში ობიექტურ სამყაროს, ადამიანი სიტყვებში ახდენს შემეცნების შედეგების ფიქსირებას. სიტყვებში დაფიქსირებულ ამ ცოდნას ეწოდება სამყაროს ენობრივი სურათი.

სამყაროს ენობრივი სურათი აყალიბებს ადამიანის მიმართებას სამყაროსადმი (ბუნებისადმი, ცხოველებისადმი, თვით საკუთარი თავისადმი, როგორც ამ სამყაროს შემადგენელი ნაწილისადმი). ის აყალიბებს ადამიანის სამყაროში ქცევის ნორმებს, განსაზღვრავს მის მიმართებას სამყაროსადმი. თითოეული ბუნებრივი ენა გამოხატავს სამყაროს აღქმისა და ორგანიზების განსაზღვრულ საშუალებას. მასში გამოხატული მნიშვნელობები ექცევა შეხედულებების ერთიან სისტემაში, თავისებურ კოლექტიურ ფილოსოფიაში, რომელიც ყველა ენობრივი მატარებლისთვის ვალდებულეზად იქცევა (პული, 2008:94).

ამგვარად, ენის როლი არის არამარტო შეტყობინების გადაცემა, არამედ პირველ რიგში იმის შინაგანი ორგანიზება, რაც საფუძვლად უდევს ამ შეტყობინებას. ხდება მოცემულ ენაზე მოსაუბრეთა სამყაროს ჩამოყალიბება, ე.ი. ენობრივი სამყაროს სურათი ფიქსირდება ლექსიკაში, ფრაზეოლოგიზმებსა და გრამატიკაში.

ენის როლი ადამიანის შემეცნებით მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესია. ცნობიერების სტრუქტურათა შესახებ ჩვენი ცოდნა მხოლოდ ენის წყალობითაა, რაც ნებისმიერ ბუნებრივ ენაზე ამ სტრუქტურათა შესახებ ლაპარაკისა და მათი აღწერის საშუალებას იძლევა (კუბრიაკოვა, 1997:21). ენა კომუნიკაციურ სისტემათა შორის ყველაზე ძლიერი და დახვეწილია, რადგან იგი არამარტო ინფორმაციის, ცოდნათა და მისთ. მიღებისა და გადაცემის გამაშუალებელი საშუალებაა, არამედ ადამიანში გარე სამყაროდან მიღებული ინფორმაციის გადამამუშავებელიც, რაც მეხსიერებაში არსებულ ცოდნათა სიმრავლის მოწესრიგებისა და სისტემატიზაციის უნარში ვლინდება. ამა თუ იმ ეთნოკულტურული კოლექტივისათვის დამახასიათებელი სამყაროს ენობრივი სურათის აგებაც ენობრივ ცოდნათა აღნიშნული მოწესრიგებისა და სისტემატიზაციის სპეციფიკით განისაზღვრება.

სამყაროს, კონკრეტული ერის ენობრივი სურათის სრულყოფილი აღწერისათვის აუცილებელია ყველა კულტურული კოდის (სემატური, სივრცული, დროითი, საგნობრივი, ბიომორფული, სულიერი...) შესწავლა. ვინაიდან, როგორც აღნიშნავენ, კულტურული კოდები ქმნიან ერთგვარ „ბადეს“, რასაც კულტურა აფენს გარე სამყაროს. სწორედ კულტურული „ბადით“ ხდება სამყაროს კატეგორიზაცია, სტრუქტურირება და შეფასება.

ნაციონალური კულტურული სამყაროს სურათი პირველადია ენობრივთან მიმართებით. ის უფრო მდიდარი და ღრმაა, ვიდრე შესაბამისი ენობრივი. თუმცა, სწორედ ენა ახდენს ეროვნული კულტურული სამყაროს სურათის რეალიზებას, ვერბალიზებას, ინახავს რა მას და გადასცემს თაობიდან თაობას. ენა არ ახდენს სულ ყველაფრის დაფიქსირებას, რაც არსებობს ნაციონალურ ხედვაში სამყაროს მიმართ, მაგრამ შეუძლია მისი აღწერა.

სიტყვა შეიძლება შევადაროთ მოზაიკის ნაწილს. სხვადასხვა ენებს ეს ნაწილები სხვადასხვაგვარი აქვთ და შესაბამისად, განსხვავებულად ხდება მათი დალაგება

სამყაროს ენობრივი სურათის ფორმირებისას. განსხვავდება ეს სურათებიც: მაგალითად, ქართული ენის მატარებელი ხედავს ორ ფერს ცისფერსა და ლურჯს, ინგლისელს კი ამის გამოსახატავად მხოლოდ ერთი სიტყვა აქვს - blue. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი წარმომადგენლები უყურებენ ერთსა და იმავე ობიექტს- სპექტრის ნაწილს. ენა აკისრებს ადამიანს სამყაროსადმი განსაზღვრულ ხედვას. ითავისებს რა მშობლიურ ენას, ინგლისელი ბავშვი ხედავს: finger, toe, ხოლო ქართველი მხოლოდ ერთს- თითი.

ჰუმბოლდტის დროიდან „სამყაროს ენობრივი სურათის“ თემას აქტუალობა არ დაუკარგავს და მრავალი აზრიც კი გამოითქვა მკვლევარებს შორის მის რეალურობასთან დაკავშირებით, ხდებოდა მისი სფეროებისა და სტატუსების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია და სხვ. თუმცა უმთავრეს შეკითხვას - უნდა ყოფილიყო თუ არა ის სამეცნიერო კატეგორია?- დადებითი პასუხი გაეცა ლინგვისტთა ელექტორატის უმრავლესობის მიერ. მიუხედავად ამისა, ამ თემის ინტუიციურად მიღება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ენებისა და კულტურების მრავალფეროვნებით, უკავშირდება არისტოტელეს პოსტულატებს ადამიანის აზროვნების უნივერსალობის შესახებ. ჰუმბოლდტი იკვლევს ადამიანის ქცევისა და ინტელექტის ველებს. მისი თეორიის თანახმად, ენის გრამატიკა გავლენას ახდენს მოსაუბრის „სამყაროს ენობრივ სურათზე“, ენა არის „მსოფლიოს ლინგვისტური გამჟღავნება“. ჰუმბოლდტის აზრით, თითოეული ენა განსაზღვრავს თავისი მოსაუბრეების „სამყაროს სურათს“. ენის ქვეშ ჰუმბოლდტის მიმდევრები მოიაზრებენ ძირითადად ლექსიკას, სიტყვათა კლასებსა და წინადადებების წყობას, მაგრამ ვინაიდან მათ მაგალითები მოჰყავთ ინდოევროპული ენების შედარების საფუძველზე, რომლებიც მჭიდრო მსგავსებას ავლენენ ერთმანეთთან, სწორედ რომ ლექსიკური ერთეულებია- არსებითი სახელების, ზმნებისა და ზედსართავი სახელების თავისუფალი ფორმები- რომლებიც ასახავენ კონკრეტულ ენაზე მოსაუბრეთა „მსოფლიოს სურათებს“ შორის ყველაზე დიდ განსხვავებებს.

ჰუმბოლდტი ამტკიცებს, რომ ლინგვისტური ერთეულების „ღირებულება“, ან „შინაარსი“ განისაზღვრება ორი „კანონის“ მოქმედებით- ლინგვისტური „ნიშნითა“ და „ველით“. სწორედ „ველის“ გამოა, რომ სამყაროს ენობრივი სურათი სხვადასხვა ენის

წარმომადგენელთა შორის განსხვავებულია. აუცილებელია „ველის“ კონცეპტის განსაზღვრა, ვინაიდან ის უკავშირდება ენის ლექსიკას. ტრიერი და ვეიზგერბერი ამტკიცებენ, რომ ენაში ყველა სიტყვას გააჩნია მიახლოებითი „ღირებულება“ და ეს „ღირებულება“ განისაზღვრება იმით, თუ რა პოზიცია უჭირავს მას ამ „ველში“, ე.ი. რომელ „ველს“ ეკუთვნის. ეს „ველები“ გარკვეულწილად წარმოდგენილია ჩვენს მიერ, როდესაც ვსაუბრობთ და ვფიქრობთ, რომ ისინი ცნობილია აუდიტორიისთვის, რომელსაც მივმართავთ, რა თქმა უნდა, თუკი ამ აუდიტორიას ესმის ჩვენი. თუმცა ყურადსაღებია კითხვაც: რამდენად გასათვალისწინებელია ენის ლექსიკა? რასაკვირველია, არცერთ ენას ლექსიკა სრულიად საკუთარი არ გააჩნია. ვეიზგერბერის პოზიცია აქ იმაში მდგომარეობს რომ ის მოიაზრებს მხოლოდ იმ სიტყვებს, რომლებიც „წარმომადგენენ ზოგად ცნობიერებას“. თუმცა, აქ იბადება უკვე შემდეგი კითხვა: „როგორ შეიძლება ობიექტურად განისაზღვროს ცნობიერების გამომხატველი სიტყვები?“ და ამ ყველაფრის დადგენაც რომ მოხდეს, ამ სიტყვების „ღირებულება“ თითოეული მოსაუბრისათვის ერთნაირი ვერ იქნება. სამყაროს ენობრივი სურათი გასაგები გახდება, თუკი მისი მნიშვნელობის მქონე ფორმები ადეკვატურად იქნება გაცნობიერებული, მოხდება მათი არსისა და თავისებურების გაგება და თუ დამკვირვებლის მიგნებები, არ იქნება არასწორი გზით წასული საკუთარი ენის ინტუიციის გათვალისწინებით. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კუთხით ენის ანალიზი სრულად არ ჩატარებულა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მნიშვნელობის მქონე ფორმები დროის მსვლელობასთან ერთად იცვლება. მაგალითად, „სინთეტიკურიდან“ „ანალიტიკურ“ ეტაპზე გადასვლა ასახავს ცნობიერების შეცვლას. პორზინგმა განსაზღვრა ლინგვისტური მნიშვნელობა, როგორც „მეტი არაფერი თუ არა- ნიშნის საკუთრება“ (ჰუმბოლდტი, 1971:167).

ფართოდაა მიღებული, რომ სამყაროს ენობრივი სურათი უნდა გაიმიჯნოს სამეცნიეროსგან. ეს განსხვავება წარმოიქმნა ანტონიმთა წყვილიდან „მნიშვნელობა-კონცეპტი“, სადაც პირველი ეკუთვნის სამყაროს და ენას, ხოლო უკანასკნელი-ლოგიკასა და კლასიკურ ფილოსოფიას (და არა ლინგვისტიკას!). თუკი მეცნიერული სამყაროს სურათი მიჩნეულია როგორც ცოდნის სისტემა, რომელიც არსებობს კაცობრიობის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე, სამყაროს ენობრივი სურათი

ხშირად მიღებულია, როგორც „საზოგადო“, ან „მიამიტი აზროვნება“. მაგრამ ეს განსაზღვრება არ წყვეტს ერების ენებისა და კულტურის მრავალფეროვნების საკითხს. ამიტომაც, მიიჩნევა, რომ სამყაროს ენობრივი სურათი ეს არის კონკრეტული მნიშვნელობის რეპრეზენტაცია მოცემული ენის საშუალებით. ეს შეხედულება უფრო ახლოს დგას ჰუმბოლდტთან „ენის ხასიათით“, განსაზღვრული, როგორც „ფიქრის ასოციაციის საშუალებები ბგერებთან“ (ჰუმბოლდტი, 1971:167). თუმცა სამყაროს ენობრივი სურათის შემოწმება უნდა მოხდეს შემდეგი ძირითადი პუნქტების მიხედვით:

1. საშუალებები, რომლებიც ენის განკარგულებაშია (სტრუქტურა);
2. ენის ერთეულების მიერ გამოხატული მნიშვნელობების სახეები სხვადასხვა დონეზე და მათი ურთიერთკავშირი (სემანტიკა);
3. ენის ერთეულების შერწყმა (გრამატიკა);
4. ენობრივი მნიშვნელობების სიმბოლიზაციის საშუალებები (ნომინაცია).

უფრო მეტიც, არ უნდა მოხდეს სამყაროს ენობრივი სურათის ხასიათის ცვლილების უარყოფა, ვინაიდან ის მჭიდრო კავშირშია საკუთრივ ენის დინამიკასთან. მაშასადამე, ენობრივი დიაქრონიის პროცესები, როგორებიცაა ფონეტიკა, სემანტიკა და გრამატიკა, ასევე ნიშანდობლივია. სამყაროს ენობრივ სურათში უნდა მოიაზრებოდეს ენის განვითარების ტენდენციები, ნაბიჯები და ენაში განხორციელებული ცვლილებების სიჩქარე. მოცემულ ენაში არსებული სხვადასხვა დონის ერთეულები, როგორებიცაა ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური, განისაზღვრება სტრუქტურის მიხედვით. თითოეული დონე შეესაბამება საკუთარი მნიშვნელობის ტიპს, რომელიც ხასიათდება გარკვეული დონის ბუნდოვანებით-პოლისემიით. ფონეტიკურ ერთეულებს გააჩნიათ მნიშვნელობის კიდევ უფრო მეტი ბუნდოვანება, მაგრამ ქმნიან რა ეს ერთეულები მორფემებსა და სიტყვებს, ამცირებენ ბუნდოვანების ხარისხს. მორფემები, თავის მხრივ, ამცირებენ ბუნდოვანებას, თუმცა აქტუალიზაციის მიღმა ისინიც არიან პოლისემატურები. და ბოლოს, სიტყვები-ენის ცენტრალური ნომინაციური ერთეულები-ხაზს უსვამენ მნიშვნელობის ადგილს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიტყვებს გააჩნიათ მნიშვნელობის ბუნდოვანება, ან მეორე მოსაზრების მიხედვით, საერთოდ არ გააჩნიათ ის.



საუბრობენ რა სამყაროს ენობრივ სურათზე, ლინგვისტები ყოველთვის გულისხმობენ ლექსიკურ დონეს, მეორადი დასახელების პროცესს, რომლებიც ასევე მოიცავენ დერივაციებს. მთავარი აქცენტი აქ კეთდება წინა მნიშვნელობიდან ახალი მნიშვნელობის წარმოქმნაზე. ამ ნაწილის სემანტიკური მიმართულება გამოხატავს ენის ინდივიდუალურობას. ამ ცალკეული მიმართულებების აგრეგაცია შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც ლექსიკური (ნომინაციური) ფენა სამყაროს ენობრივი სურათისა. ამ სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია სიტყვის შიდა ფორმის, ან მისი ეტიმოლოგიის რეკონსტრუქცია. ლექსიკური ფენის შემდეგი ასპექტია ენის სემანტიკური სისტემა, რომელიც ფორმირდება მნიშვნელობების ასოციაციური დაჯგუფებებიდან. თუმცა, არც ასოციაციური და არც სემანტიკური ველები, თავიანთ ჩვეულებრივ აღქმაში არ უნდა მოიაზრებოდეს. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მნიშვნელობები იზოლირებულად არ არსებობენ, ისინი წარმოადგენენ სემანტიკური ბმულობის მცირე, ან დიდ ჯაჭვებს, რომლებიც წარმოიქმნება სხვადასხვა შეერთების საფუძველზე. სამყაროს ენობრივი სურათის ცალკეული ფენა წარმოადგენილია ფრაზეოლოგიური დონით. ისინი წარმოადგენენ მოცემული ერის კულტურის კოდს, სოციალურ და ეთიკურ აქსიოლოგიას, კერძოდ, რა არის ცუდი, რა-კარგი, საჭირო და გამოუსადეგარი. ამგვარად, სამყაროს ენობრივი სურათი ფართო ცნებაა, ის პირდაპირ კავშირშია ენის ტიპოლოგიურ და უნივერსალურ შესწავლასთან. თითოეული ფენის შესწავლა აუცილებელი და მნიშვნელოვანია ენისა და ენობრივი ცნობიერების არსებობისთვის.

სამყაროს ენობრივი სურათი წარმოადგენს აღწერილობების გლობალურ სპექტრს, რომელშიც ეთნიკური საზოგადოების მთლიანი ენობრივი პიროვნება არსებობს მოცემულ კულტურულ და ისტორიულ პერიოდში. სამყაროს ენობრივი სურათი წარმოადგენს ზოგად ჰორიზონტს, შექმნილს ისეთი ტექსტებისგან, რომელთაც გააჩნიათ მოცემული დისკურს-სამყაროს „სემიოტიკური სხეული“. ეთნოსის კოლექტიური ენობრივი უნარი მიმართულია სამი განზომილებისკენ: სამყაროს ენობრივი სურათის პირველი გზა უკავშირდება აზროვნებას, ეპოქის ხასიათს; მეორე-სულიერი ღირებულებების იერარქიას, რომელიც შექმნილია კაცობრიობის მიერ და გარდასახულია ენისა და კულტურის ეროვნულ იდეო-

სფეროში; მესამე მხარე ასახავს სოციო-პოლიტიკურ სიტუაციაში ეთნიკური საზოგადოებისთვის აქტუალურ, მთლიანი ღირებულებების იერარქიის ინტერპრეტაციას, რომელიც ახდენს უმნიშვნელოვანესი ფუნქციების ორგანიზებას განსაზღვრული მიზნებისა და იდეალების საფუძველზე.

ამრიგად, ენისა და კულტურის შეფარდება ძალიან რთული და მრავალასპექტური საკითხია. ენა გამოიყენება კულტურის მტკიცებულებად. ამა თუ იმ ენის შემსწავლელი, იმ კონკრეტული ენის კულტურის შემსწავლელიც ხდება. ოთხი ფუნდამენტური ფენომენი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან-ენა, კულტურა, საზოგადოება და ეროვნული სული (გერდერი, 1770:60). ენა თავისი წარმომავლობით უკავშირდება კულტურას და მისი სრულყოფა ხდება საზოგადოებასთან ერთად. ხოლო მისი ორგანული კავშირი კულტურასა და საზოგადოებასთან, ხდის მას ეროვნული სულის მნიშვნელოვან კომპონენტად. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ სამყაროს ენობრივ სურათზე, როგორც რთულ სამეტყველო უნივერსალიაზე, რომელიც წარმოადგენს დიაქრონიული ენობრივი უნივერსალიის წყაროს. ის აყალიბებს ეთნოკულტურის გააზრებული მეტყველების ჩარჩოს. სამყაროს ენობრივი სურათის ფენომენი ასახავს ბუნებრივი ენის მიკრო დისკურსს და ასევე სამყაროს დისკურსს, რომელიც კრისტალიზებულია მასში. სამყაროს დისკურსში მოიაზრება ენის ისტორიული ცვლილებების კანონები. უნივერსალიების ძირითად ტიპოლოგიებში სამყაროს ენობრივი სურათი გვევლინება, როგორც რთული უნივერსალია (სხვადასხვა მოვლენებს შორის მტკიცე კავშირი) და დიაქრონიული უნივერსალია (მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა სამყაროს ენობრივი სურათის შეცვლა). ენა, ეს არის სამყარო, რომელიც არსებობს გარე სამყაროსა და ადამიანის შინაგან სამყაროს შორის და შესაბამისად, ხდება სამყაროს ენობრივი სურათის ფორმირება.

### 2.3. კონცეპტი-სამყაროს ენობრივი სურათის საფუძველი

ლინგვოკულტუროლოგია, შეისწავლის რა ენისა და კულტურის მრავალასპექტოვან ურთიერთობას, ვითარდება კოგნიტიური ლინგვისტიკის საფუძველზე. ლინგვოკულტუროლოგიის ბაზისად მიიჩნევა „კონცეპტი“, რომელიც მეცნიერთა და მკვლევართა დიდი ნაწილის ყურადღებას იპყრობს. ერთიანი გაგების არარსებობა კონცეპტის, როგორც ლინგვოკულტუროლოგიის ცენტრალურ განსაზღვრებაში მეტყველებს ახალი სამეცნიერო პარადიგმის ჩამოყალიბების სირთულეებზე.

სამყაროს სურათი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს სამყაროს შესახებ ცოდნა, დევს ინდივიდუალურ და საზოგადო ცნობიერებაში. ენა ხომ პასუხობს შემეცნებითი პროცესის მოთხოვნებს. სამყაროს კონცეპტუალური სურათები სხვადასხვა ადამიანებს შესაძლოა ჰქონდეთ სხვადასხვა, მაგალითად ის განსხვავებულია სხვადასხვა ეპოქის, სოციალური ფენების, ასაკობრივი ჯგუფების, განმანათლებლობისა და სხვათა წარმომადგენლებს შორის. სამყაროს სურათი გულისხმობს სუბიექტის მიმართებას სამყაროში არსებული ობიექტების მიმართ. ვინაიდან სამყაროს გაგება ადამიანის მიერ არ არის პასიური, არამედ აქტიურია, მას შეუძლია ამ ობიექტების შეცვლა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ სოციალურ-ტიპური პოზიციების სისტემა ჰპოვებს ნიშნით გამოსახულებას სამყაროს ენობრივი სურათის კონსტრუირების დროს (კროიბერი, 1952:135).

ფრაზეოლოგიზმები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სამყაროს ენობრივი სურათის შექმნაში. ისინი წარმოადგენენ „ერის ცხოვრების სარკეს“. ყოველი კონკრეტული ენა საკუთარ თავში მოიცავს ეროვნულ-განმასხვავებელ სისტემას, რომელიც განსაზღვრავს ამ კონკრეტული ენის მატარებლების სამყაროს აღქმას და აყალიბებს მათ სამყაროს ენობრივ სურათს.

კონცეპტი წარმოადგენს სამყაროს ენობრივი სურათის საფუძველს. მასში ასახულია ეროვნული (ეთნიკური) მსოფლხედვა, რაც ამ ენობრივ სურათს ეროვნულ ნიშანს ადებს. კავშირი ენასა და ეროვნულ კულტურას შორის კულტურული კონოტაციების საშუალებით ხორციელდება. ამგვარი კულტურულ-მარკირებული

კონოტაცია წარმოიქმნება ენაში არსებული დამახასიათებელი გამოთქმების (იდიომების, ფრაზეოლოგიზმების), ასოციაციურ-ხატოვანი ინტერპრეტაციის შედეგად.

ხოლო კონცეპტი, მათემატიკური ლოგიკის გარდა აქტიურად გვხვდება ლინგვისტიკასა (სტეპანოვი, არუტინოვა და სხვ.) და ფილოსოფიაში.

სამყაროს ენობრივი სურათის ტექნიკის კვლევა წარმოდგენილია ტექსტების მასალების საფუძველზე და მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

1. ეთნო-საზოგადოებასთან დაკავშირებული კონცეპტების იდენტიფიკაცია მოცემულ ისტორიულ პერიოდში და მათი სემანტიკური რადიუსის კონტექსტუალობის ფიქსაცია;

2. კონცეპტების ფილოსოფიური და რიტორიკული იერარქიის ფორმირება, მათ შორის არსებული კავშირის ანალიზი;

3. ენის იდეოსფეროს სქემატური რეკონსტრუქცია, ენობრივი პიროვნების მთლიანი სამყაროს ენობრივი სურათის ფრაგმენტებად ეთნო-საზოგადოების სივრცეში;

4. ეროვნულ-კულტურული დიალექტებისა და იდეოლოგიურ-პოლიტიკური კომპონენტების შესწავლა;

5. ცალკეული ენობრივი პიროვნების ინდივიდუალური მახასიათებლის ანალიზი, სამყაროს ენობრივი სურათის ინვარიანტის საფუძველზე;

6. ჯგუფების, კლასებისა და სხვა „ქვე-სოციუმების“ ფორმირება სამყაროს ენობრივი სურათის ჭრილში და სხვ.

სამყაროს ენობრივი სურათის ფენომენის კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს დისკურსული დონის ლინგვისტურ უნივერსალიად. დისკურსის ერთეულში ერთიანდება ყველა ენაში არსებული ქვემდებარისა და შემასმენლის კავშირების ფორმირება, ანტონიმები და სხვ. ასევე დისკურსად ითვლება ყველა ენაში არსებული კულტურული კონცეპტები.

კონცეპტი წარმოადგენს არსებული ცოდნის მარაგს, რომელიც აერთიანებს საკუთარ თავში ინდივიდუალურ-პიროვნულსა და კულტურულ-ჯგუფურ მნიშვნელობებს (სტეპანოვი, 1997:53), ასევე მოიცავს კონცეპტუალურ, წარმოსახვით

და ღირებულებით განზომილებებს (კარასიკი, 2010:45). კონცეპტების ლინგვისტური თეორია აქტიურად მუშავდება თანამედროვე ენათმეცნიერებაში და ვითარდება ორი მნიშვნელოვანი-ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტუროლოგიის მიმართულებით. პირველი მიმართულების ფარგლებში ხდება არსებული გამოცდილების ენობრივი ობიექტურობის მეთოდების გამოვლინება, ხოლო მეორეში-ასეთი გამოცდილების გააზრების ეთნოკულტურული, ან სოციალურ-ჯგუფური სპეციფიკის განსაზღვრა.

ენის შემადგენელი ერთეულები ქმნიან ლინგვოკულტურულ კოდს-ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელობების სისტემას, რომლებიც ასახავენ სპეციფიკურ, ამა თუ იმ საზოგადოებისთვის დამახასიათებელ, ისტორიულად განპირობებულ, სამყაროს აღქმას. ლინგვოკულტურული კოდის ერთეულებს კონცეპტები წარმოადგენენ.

გარეგნულად კონცეპტები წარმოადგენენ უბრალოდ ფრაზებს- ან მათ ნაწილებს, მაგრამ ეს „განსხვავებული ფრაზებია“, ისეთები, რომლის მიღმაც ჩვენს ცნობიერებაში ჩნდება უკვე დიდი ხნის წინ და კარგად ცნობილი შინაარსი. კონცეპტი შეიძლება განისაზღვროს როგორც გაგება/აღქმა, მაგრამ უფრო გაფართოებული გაგება მთელი მისი თანამედროვე სამეცნიერო სიტუაციით. მსგავსი განზოგადების გარეშე არსებული გაგება წარმოადგენს ლოგიკის შესწავლის საგანს, რომელიც ასახავს ასე თუ ისე საერთო და განზოგადებულ ნიშან-თვისებებს საგნისას. კონცეპტი-კი წარმოადგენს კულტურულოგიის შესწავლის საგანს, რომელიც აღწერს კულტურის ტიპიურ სიტუაციას. ხდება გაგების „განსაზღვრება“, ხოლო კონცეპტის „განცდა“. ის საკუთარ თავში აერთიანებს არამხოლოდ ლოგიკურ ნიშან-თვისებებს, არამედ სამეცნიერო, ფსიქოლოგიურ, ავანგარდულ-მხატვრულ, ემოციურ და საყოფაცხოვრებო კომპონენტებსა და სიტუაციებს. მეორეს მხრივ, კონცეპტის განსაკუთრებულობა მის მინიმალურობაში, მინიმალიზაციაში გამოიხატება. ის რომ არ არსებობდეს, თვით მეცნიერებაც ვერ იარსებებდა: არავის შეუძლია ადამიანურად (ე.ი. თუკი ეს კომპიუტერი არ არის) მოახდინოს ოპერირება უზარმაზარი მასიური ინფორმაციით რეალური დროის რეჟიმში. ამა თუ იმ ენის მატარებელთა მსოფლადქმის სპეციფიკას ასახავს კონცეპტთა, როგორც სემანტიკურ ერთეულთა

ერთობლიობა, რომელიც ქმნის კონცეპტუალურ სფეროს. სწორედ ეს სფერო შეესაბამება მენტალობას, როგორც სამყაროს ხედვის საშუალებას. რაც შეეხება მენტალიტეტს, რომელიც ერის კოგნიტიურ, ემოციურ და ქცევით სტერეოტიპთა სიმრავლედ განიხილება, მის სფეროში შედის ეთნიკური სპეციფიკით ნიშანდებული კონცეპტები (მასლოვა, 2001:49). მენტალობასა და მენტალიტეტს შორის საზღვარი, ანუ განსხვავება კონცეპტთა ფართო და ვიწრო მნიშვნელობებს შორის არ არის მკაფიო. დღეს არც არსებობს ამა თუ იმ ლინგვოკულტურული ერთობის თანამედროვე მენტალიტეტის აღწერის ფორმალური საშუალებები. ერთადერთ კრიტერიუმად მიიჩნევენ ენის ლექსიკურ სემანტიკაში ასახულ კოგნიტიური და ფსიქოლოგიური სტერეოტიპების მასობრიობასა და ინვარიანტულობას (თელია, 1996:235).

ლინგვოკულტუროლოგიურ გამოკვლევებში ერთიანი აზრი არ არის იმის შესახებ, თუ ენის კონკრეტულად რომელი ერთეულები უკავშირდება კონცეპტს, თუმცა კავშირის არსებობას კონცეპტსა და გამოხატვის ვერბალურ საშუალებებს შორის ყველა აღნიშნავს. იგი მიაჩნიათ „სიტყვაში განზოგადებულ (სიგნიფიკაციურ) სახედ, რომელიც სამყაროს ეროვნული სურათის ფრაგმენტს ასახავს“; „კოლექტიური ცნობიერების ნებისმიერ დისკრეტულ ერთეულად, რომელიც ასახავს რეალური ან იდეალური სამყაროს საგანს და ვერბალურად აღნიშნული ინახება ეროვნული ენის მეხსიერებაში“ (ვორკაჩევი, 2004:34).

მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს სტეპანოვის მოსაზრება კონცეპტის სტრუქტურის შესახებ. მისი აზრით, კონცეპტი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა: 1. ძირითადი, აქტუალური ნიშანი; 2. დამატებითი, ან რამდენიმე დამატებითი, პასიური ნიშანი, რომლებიც უკვე არცთუ ისე აქტუალური, არამედ პირიქით-ისტორიულია. 3. შიდა ფორმა, რომელიც ჩვეულებრივ არ აღიქმება და ფიქსირდება მის გარეგნულ ფორმაში (სტეპანოვი, 1997:44). პირველი კომპონენტი-კონცეპტის ძირითადი, აქტუალური ნიშანი, ცნობილია ენისა და კულტურის ყველა მატარებლისათვის. გამოითქმება რა ვერბალურად, ის წარმოადგენს კონკრეტული ეთნიკური საზოგადოების, ერის, ხალხის კომუნიკაციის საშუალებას. პირველისგან განსხვავებით, კონცეპტის მეორე კომპონენტი-დამატებითი, პასიური კომპონენტი (ან

რამდენიმე პასიური კომპონენტი-აქტუალური არ არის მთელი ეთნოსისთვის. ის, თუ შეიძლება, ეს ასე ითქვას მისაწვდომია განსაზღვრული სოციალური ჯგუფისთვის, კონკრეტული მიკრო-სოციუმისთვის. მოცემული ნიშნის, ან ნიშნების სოციალური რელევანტურობა შეზღუდულია. და ბოლოს, კონცეპტის მესამე კომპონენტი-ეტიმოლოგიური ნიშანი, ან შიდა ფორმა-ნაკლებად აქტუალურია ენისა და ნებისმიერი კულტურისთვის, ვინაიდან, როგორც ცნობილია, სიტყვის წარმომავლობას შეისწავლიან კონკრეტული მეცნიერებების სპეციალისტები. ამასთანავე, ეს ნიშანი წარმოადგენს ღერძს, რომლისგანაც შეიქმნა და არსებობენ სხვა მნიშვნელობები (სტეპანოვი, 1997:45).

კონცეპტის, როგორც ვერბალურად განცხადებული საზრისის, შესწავლა უნდა გულისხმობდეს ამ საზრისის პოვნის სფეროსა და მისი კომუნიკაციური რეალიზაციის დონის დადგენას. კონცეპტი, როგორც წესი, მიემართება იმ სხვადასხვაგვარ სინონიმურ (ლექსიკურ, ფრაზეოლოგიურსა და აფორისტულ) ერთეულთა ერთობლიობის გამოხატულების გეგმას, რომლებიც ამ კონცეპტს აღწერენ ენაში. ამგვარად, მთელ ლექსიკურ-სემანტიკურ პარადიგმას და არა პარადიგმის ერთ-ერთ ცნებას უკავშირდება კონცეპტის ცნება. ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის ქონა სიტყვისათვის ის ნიშანია, რაც მას კონცეპტის სტატუსს ანიჭებს (ნეროზნიაკი, 1998:85). კონცეპტი სემანტიკურად წარმოადგენს გარკვეულ აბსტრაქციას, რომელიც თავის ენობრივ რეალიზაციათა მნიშვნელობებს განაზოგადებს. აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხი აქვთ მეტაფიზიკურ კონცეპტებს, როგორცაა, მაგალითად, სული, სიყვარული, ჭეშმარიტება, ბედნიერება, თავისუფლება და მისთ. ისინი მიემართებიან სულიერ ღირებულებათა „უხილავ სამყაროსკენ“.

კონცეპტთა რიცხვს მიეკუთვნება მხოლოდ სემანტიკური წარმონაქმნები, რომელთა სია საკმაოდ შეზღუდულია. ისინი საკვანძო ერთეულებს წარმოადგენენ ეროვნული მენტალიტეტის, როგორც მისი მატარებლების სამყაროსადმი სპეციფიკური მიმართების, გაგებისათვის. ენობრივი ნიშნის შინაარსობრივი მხარის ადეკვატური აღნიშვნისათვის ახალი ტერმინის შემუშავებამ, რომელიც მოხსნიდა ტრადიციული „მნიშვნელობისა“ და „საზრისის“ ფუნქციურ შეზღუდულობას და

რომელშიც ორგანულად იქნებოდა შერწყმული ლოგიკურ-ფსიქოლოგიური და ენათმეცნიერული კატეგორიები, გააჩნა მეტოქე ნომინაციური ერთეულები: „კონცეპტი“, „ლინგვოკულტურემა“, „მიოლოგემა“, „ლოგოეპისტემა“. ამათგან უფრო სიცოცხლისუნარიანი პირველი აღმოჩნდა, რომელმაც გამოყენების სიხშირით ჩამოიტოვა სხვა დანარჩენები, მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ პროტერმინთა შორის საერთო ის იყო, რომ ყოველი მათგანის მეშვეობით ცდილობდნენ აესახათ მოუხელთებელი, ე.წ. „ხალხის სული“, მამასადამე ენობრივ ცოდნათა წარმოდგენის ეთნიკური სპეციფიკა (ვორკაჩევი, 2004:41).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღევანდელობაში, სწორედ კონცეპტი წარმოადგენს კოგნიტიური ლინგვისტიკის გასაღებს. ის აზრობრივი კატეგორიაა და შესაბამისად, გააჩნია გავრცელების ფართო სპექტრი. კონცეპტი აქტიურად ფიგურირებს ფილოსოფოსების, ლოგიკის მკვლევარების, ფსიქოლოგების, კულტუროლოგების და სხვათა ნაშრომებში და შესაბამისად, გააჩნია შიდა ლინგვისტური ინტერპრეტაცია. როგორც სტეპანოვი აღნიშნავს კონცეპტს რთული სტრუქტურა აქვს. ერთის მხრივ მას ეკუთვნის ყველაფერი, რაც გაგების ჩამოყალიბებას ეხება, ხოლო მეორეს მხრივ, კონცეპტის სტრუქტურაში შედის ყველაფერი რაც ქმნის მას კულტურის ფაქტად-საწყის ფორმად (ეტიმოლოგია); ისტორია, თანამედროვე ასოციაციები, შეფასებები და სხვ (ჩიჟოვა, 2007:80).

ცნობილი ლოგიკოსი და მათემატიკოსი ფრეგე (1848-1925), აღნიშნავს, რომ „აზრი ეს არის გზა, რითაც ადამიანები მიდიან სახელამდე/ნომინაციამდე“. ვიტგენშტეინის მოსაზრებით, ნებისმიერი კონცეპტის შემადგენლობა შეიძლება აღწერილ იქნას, როგორც მისი მნიშვნელობის მქონე სიტყვის გამოყენება. შესაბამისად, კონცეპტის გაგებისა და ახსნისათვის საჭიროა მოიძებნოს არა რომელიმე კონკრეტული ან აბსტრაქტული ცნება, რომელიც განისაზღვრება ამ კონცეპტით, არამედ უნდა მივმართოთ მის მიერ აღნიშნულ სიტყვას. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვის გამოყენებაში იგულისხმება არამხოლოდ მრავალი კონკრეტული შემთხვევა ამ სიტყვის გამოყენებისა, არამედ მისი სწორად გამოყენების მეთოდებიც, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ საზოგადოებაში მიღებულ ლინგვისტურ სტანდარტებს.



კონცეპტების ჩამოყალიბება ხდება იმის წყალობით, რომ ადამიანი იძულებულია ადეკვატურად ასახოს სინამდვილის ფაქტები თავის ცნობიერებაში, ამის გარეშე ადამიანის რეალური ორიენტაცია სამყაროში შეუძლებელია. კონცეპტების ფორმირების საწყისი ეტაპი ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის დროს არის შეგრძნება, როდესაც გრძნობის ორგანოების ურთიერთქმედების შედეგად, ნერვულ სისტემასა და ადამიანის ტვინში ყალიბდება ობიექტური სამყაროს სუბიექტური სურათი. შეგრძნება წარმოშობს საწყისს, ყველაზე ელემენტარულ ფორმას სამყაროს რეალური სურათისას. თითოეული კონცეპტუალური სისტემა, ბუნებრივი ენის შესაბამისად, ეყრდნობა საზოგადოებისთვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ, ესთეტიკურ და სხვა ღირებულებებს ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე. ის ვითარდება საზოგადოების სოციალური და კულტურული შეხედულებების შესაბამისად და აყალიბებს გარკვეული ეპოქის სამყაროს ენობრივ სურათს. მასტაბილიზირებლად და გამაერთიანებლად ამ შემთხვევაში გვევლინება ეროვნული ენა, ენის ერთეულების ისე გამოყენება, რომლებიც ამყარებენ ან ცვლიან ისეთი სიტყვების გამოყენებას, რომლებიც ახდენენ კონცეპტუალური სისტემის სიმბოლიზაციას. ენა ყოველთვის გვევლინება გამოსახვის საშუალებად, ის წარმოადგენს ერის კულტურის სარკეს და მასში ასახულია საერთო კულტურული და სოციალური განვითარება საზოგადოებისა. სიტყვა ატარებს კომუნიკაციის ფუნქციას. კონცეპტის ჩამოყალიბების პროცესი გრძელდება მრავალი ასწლეულის მანძილზე. ყველა თაობას საკუთარი წვლილი შეაქვს კონცეპტუალური სისტემის ფორმირებაში, ამოწმებს, ამდიდრებს, ახდენს კორექტირებას, ხანდახან კი სრულიად ცვლის მის შემადგენლობას. არც ერთი კონცეპტი არ შეიძლება იქნას განხილული, როგორც გაყინული, ერთ ადგილზე მდგარი, ან ბოლომდე ფორმირებული. ის იმყოფება მუდმივი ცვლილების მდგომარეობაში, აქვს „ცვალებადი“ ხასიათი, ისე, როგორც ადამიანის შემოქმედებას ზოგადად. ახალი კონცეპტის დაბადება მოიაზრება, როგორც მორიგი პრაქტიკული ამოცანის ამოხსნა, რომელიც უკავშირდება იმ საგნის ოპერირებას, რომლის ირგვლივაც ის წარმოიქმნა, აძლევს რა მას ფორმასა და გარკვეულ მიმართულებას. ნებისმიერი კონცეპტუალური სისტემა შესდგება მრავალფეროვანი კონცეპტების ძალიან დიდი რაოდენობისგან, რომელთა

ფორმირებაც ინდივიდუალური სქემის მიხედვით ხდება ისტორიული განვითარების კონკრეტულ ეტაპზე. სწორედ ამ ფაქტზე დაყრდნობით მივიდა მრავალი ენათმეცნიერი იმ აზრამდე, რომ კონცეპტუალურ სისტემებს შორის შესაძლოა არ არსებობდეს შესაბამისობა ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპებზე.

ა.პ. ბაბუშკინი, ახასიათებს რა კონცეპტს თავის სადისერტაციო ნაშრომში, გამოჰყოფს მის შემდეგ მახასიათებლებს:

1. კონცეპტი წარმოადგენს მენტალურ რეპრეზენტაციას, რომელიც განსაზღვრავს ერთმანეთთან დაკავშირებულ საგნებს და მათ შორის კატეგორიებად დაყოფას;

2. კონცეპტებს, როგორც ინფორმაციულ სტრუქტურებს გააჩნიათ იდეალური სახე;

3. კონცეპტის ვერბალიზება ხდება სიტყვით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ იარსებებდა (ბაბუშკინი, 1998:9-11).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტორი შემდეგნაირად განსაზღვრავს კონცეპტს: „კონცეპტი ჩვენს მიერ აღიქმება, როგორც კოლექტიური ცნობიერების შემადგენელი ერთეული, რომელიც ასახავს რეალური, ან იდეალური სამყაროს სურათს და ინახება ენისა და კულტურის ეროვნული მეხსიერების მატარებელში ვერბალურად გამოხატული ფორმით“ (ბაბუშკინი: 1998:12). თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით კონცეპტის მსგავსი განსაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებულია ფსიქოლინგვისტიკაზე. ამიტომ, ე.ვ. სერგეევა შემდეგნაირად განსაზღვრავს კონცეპტს: „კონცეპტი ეს არის ინფორმაციული მთლიანობა, არსებული ეროვნულ კოლექტიურ ცნობიერებაში და გაგებული ენობრივი პიროვნების მიერ, როგორც სემანტიკური ველის მნიშვნელობის ინვარიანტულობა“ (სერგეევა, 199:129).

ლინგვისტიკაში კონცეპტს გააჩნია სამი ძირითადი მიდგომა. პირველი, ყველაზე ფართო მიდგომით, კონცეპტი მოიცავს ლექსემებს, რომელთა მნიშვნელობაც განპირობებულია ეროვნულ-ენობრივი ცნობიერებით და ახდენენ ენის მატარებლის სამყაროს სურათის ფორმირებას. ასეთი კონცეპტების ერთობლიობა ქმნის ენის კონცეპტოსფეროს, რომელშიც ვითარდება და ექცევა ამ კონკრეტული ერის

კულტურა (ლიხაჩოვი, 1947:267). ამ მიდგომაში განმსაზღვრელად ითვლება სამყაროს კონცეპტუალიზაციის მეთოდი ლექსიკურ სემანტიკაში, კონცეპტუალური მოდელი-მთავარი საკვლევი საშუალებაა, რომლის დახმარებითაც ხდება კონცეპტის სემანტიკის საბაზისო კომპონენტების გამოყოფა და ვლინდება მათ შორის მდგრადი კავშირების არსებობა. მსგავსი კონცეპტების რიცხვში გვხვდება ნებისმიერი ლექსიკური ერთეული, რომელთა მნიშვნელობაშიც მოიაზრება სემანტიკური წარმოდგენის მეთოდი.

მეორე, უფრო ვიწრო გაგებით, კონცეპტთა რიცხვს განეკუთვნება სემანტიკური წარმონაქმნები, რომელთაც გააჩნიათ ლინგვოკულტურული მახასიათებლები და დამახასიათებელია განსაზღვრული ეთნო-კულტურის მატარებლებისთვის (სტეპანოვი, 1997:35; ნეროზნიაკი, 1998:43). ასეთი კონცეპტები, არ ქმნიან რაღაც ერთ მთლიანსა და სტრუქტურირებულ სემანტიკურ სივრცეს, მაგრამ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მასში.

მესამე, კონცეპტების რიცხვს მიეკუთვნება მხოლოდ ის სემანტიკური წარმონაქმნები, რომელთა ჩამონათვალაც გარკვეულწილად შეზღუდულია (სნიტკო, 1999:46). ასეთი კონცეპტები წარმოადგენენ ეროვნული მენტალიტეტის მთავარ გასაღებს, როგორც მათი მატარებლის სპეციფიკურ მიდგომას სამყაროსადმი.

ამრიგად, ტერმინი „კონცეპტი“ წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გაგებას ლინგვოკულტუროლოგიაში, რომლის ინტერპრეტირებაც სხვადასხვაგვარად ხდება ლინგვისტებს შორის. ამის მიუხედავად, კულტურული კონცეპტების განხილვა თანამედროვე ლინგვისტიკაში ძალიან აქტუალურია. კონცეპტუალური სისტემის ინდივიდუალობა გამოიხატება სპეციფიკური, სუბიექტური „სამყაროს ენობრივი სურათის“ წარმოქმნაში. კონცეპტი წარმოადგენს მეხსიერების ოპერატიულ ერთეულს, მენტალობის ლექსიკონს. ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეპტები სწორედ ენაშია გამოხატული. თუკი მენტალურ წარმონაქმნს არ გააჩნია ეთნო-კულტურული სპეციფიკა, ის კონცეპტად არ მოიაზრება.

## 2.4. კონცეპტის ენობრივი მარკერები

ეროვნულ ენაში გამოხატული კონცეპტები ერთგვარი მარკერებია, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის მრავალფეროვან საქმიანობას. მეტაფიზიკური კონცეპტები, როგორებიცაა სული, ჭეშმარიტება, თავისუფლება, ბედნიერება, სიყვარული, ოცნება და სხვ, წარმოადგენენ მენტალურ წარმონაქმნებს, რომლებსაც გააჩნიათ აბსტრაქტულობის უმაღლესი ხარისხი. მათ გადავყავართ სულიერი ღირებულებების უხილავ სამყაროში, რომელთა აზრობრიობის გამოხატვაც შესაძლებელი ხდება მხოლოდ სიმბოლოთი, ნიშნით, რომელიც აბსტრაქტულობის გამოსახატავადაა შექმნილი. ამიტომაც, ამ ტიპის კონცეპტების სინონიმიზაცია მარტივად ხდება, იქმნება რა კონცეპტუალიზირებული სფერო, სადაც დგინდება სემანტიკური ასოციაციები მეტაფიზიკურ აზრობრიობასა და საგნობრივ სამყაროს შორის, სწორედ აქ ხდება სულიერი და მატერიალური კულტურების თანხვედრა (სტეპანოვი,1995:17; სტეპანოვი,1997:69).

კონცეპტთა ტიპოლოგია შესაძლებელია როგორც სტრუქტურულ-სემანტიკურად, ასევე დისკურსულად. ლიხაჩოვი გვთავაზობს კონცეპტების სოციოლოგიურ კლასიფიკაციას და ჰყოფს კონცეპტებს შემდეგ ჯგუფებად:

1. უნივერსალური კონცეპტები (სიკვდილი, სიცოცხლე);
2. ეთნიკური კონცეპტები (სამშობლო, ინტელიგენცია);
3. ჯგუფური კონცეპტები (სცენა, მსახიობისა, თუ მაყურებლისთვის);
4. ინდივიდუალური კონცეპტები.

აღსანიშნავია, რომ ლიხაჩოვის აზრით, ინდივიდუალური კონცეპტები თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია პირად გამოცდილებაზე, კერძოდ კონკრეტული პიროვნების ღირებულებების სისტემასა და კულტურულ დონეზე (ლიხაჩოვი, 1997:284-285).

ლიხაჩოვის კონცეპტების კლასიფიკაცია აგებულია სოციოლოგიურ კრიტერიუმზე, რომლის არსიც მდგომარეობს კონცეპტის ამა თუ იმ იდეის, აზრის ატაცებაში ადამიანების გარკვეული ჯგუფის მიერ. კონცეპტის არსებობა დამოკიდებულია უპირატესობის მინიჭების სისტემაზე, მთლიანი ეთნოსის

ღირებულებებსა და ბოლოს, კონკრეტულ ინდივიდებზე, რომლებსაც გარკვეულ წილად გააჩნიათ თვით კულტურა.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული პიროვნების კონცეპტოსფერო დამოკიდებულია განათლების დონეზე, აღზრდაზე, ინტელექტზე, მაშასადამე კულტურის ფლობის დონეზე.

ლიხაჩიოვის მიერ შემოთავაზებული კონცეპტების სოციოლოგიურად ორიენტირებული კლასიფიკაცია გვაფიქრებს, თუ რამდენად უნივერსალურია კონცეპტი და თუ რამდენად სპეციფიკურია ის სხვადასხვა ენობრივ საზოგადოებაში.

კონცეპტის დეფინიციურ ნიშნებად ს.ომიამე ასახელებს შიდა დანაწევრებას, „სემიოტიკურ სიმჭიდროვეს“, „კომუნიკაციურ რელევანტურობას“, „განცდითობას“, „ეტიმოლოგიურ მეხსიერებას“, აბსტრაქციას, აგრეთვე მრავალდონიანობას, რაც აღნიშნულ რეალიზაციათა სიმრავლეზე აბსტრაქციის ინტერვალით განისაზღვრება (იგულისხმება „პროტოკონცეპტები“- მონოგლოსური კონცეპტები-პოლიგლოსური კონცეპტები). ამ ნიშანთაგან ზოგი ფაკულტატურია. არსებითი კი ის არის, რომ კონცეპტის სემანტიკაში გამოიყოფა ცნებითი, ხატოვანი და ღირებულებითი კომპონენტები, ამასთანავე, ცნებითი შემადგენელი არ დაიყვანება უბრალოდ „საგნის არსებითი ნიშნების“ შესახებ ინფორმაციაზე, ხოლო მთლიანად კონცეპტი მოიცავს კომუნიკაციურად მნიშვნელოვან მთელ ინფორმაციას, იქნება ეს შიდასისტემური, პრაგმატული თუ ეტიმოლოგიური.

ამგვარად, კონცეპტთა ერთობლიობა ქმნის ენის კონცეპტურ სფეროს, სადაც დაკონკრეტებულია ერის კულტურა, ანუ იგი წარმოადგენს ენობრივ-კულტურულ ცოდნათა ერთობლიობას. კონცეპტოსფეროდან იგება ენის მფლობელის მსოფლ-გაგება. მაგალითად, ქართული მართლმადიდებლური ცნობიერების კონცეპტოსფეროში, სადაც ასახულია ჩვენი ხალხის მენტალიტეტი და სულიერი გამოცდილება, არის კონცეპტები: ამაოება, ბოროტება, სათნოება, დამდაბლება, სასოება, ზიარება, მიტევება, ცხოვნება, ჯვარცმა და სხვ., რომელთაგან თითოეული საკრალური აზრის შემცველია. აღნიშნულ მიდგომაში განმსაზღვრელია ლექსიკურ სემანტიკაში მოქმედი სამყაროს კონცეპტუალიზაციის ხერხი, ხოლო კვლევის ძირითად საშუალებას, როგორც მიიჩნევენ, წარმოადგენს კონცეპტუალური მოდელი,

რომლის საშუალებითაც გამოიყოფა კონცეპტის სემანტიკის ბაზისური კომპონენტები და დგინდება მათ შორის არსებული მდგრადი კავშირები (მიხალჩუკი, 1997:29).

ენის სიმდიდრე განისაზღვრება არამარტო ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული შესაძლებლობების სიმდიდრით, არამედ კონცეპტური სამყაროს, კონცეპტოსფეროს სიმდიდრით, რომელშიც ყალიბდება ეროვნული პიროვნება (მასლოვა, 2004:17).

კონცეპტები „ბოროტი“ და „კეთილი“, მრავალი ენის კულტურაში მყარადაა დაფიქსირებული. ნებისმიერი კონცეპტუალური სისტემა შესდგება მრავალფეროვანი კონცეპტების ძალიან დიდი რაოდენობისგან, რომელთა ფორმირებაც ინდივიდუალური სქემის მიხედვით ხდება ისტორიული განვითარების კონკრეტულ ეტაპზე. სწორედ ამ ფაქტზე დაყრდნობით მივიდა მრავალი ენათმეცნიერი იმ აზრამდე, რომ კონცეპტუალურ სისტემებს შორის, შესაძლოა, არ არსებობდეს შესაბამისობა ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპებზე.

მისაღმების კულტურა ერთ-ერთი უძველესი ეტიკეტია, რომელიც დღემდეა შემორჩენილი. მასში სარკესავითაა ასახული ადამიანის ზრდილობა და მასზეა დამოკიდებული, გარკვეულწილად ამ ადამიანის მიმართ საზოგადოების განწყობა და შთაბეჭდილება. მისაღმება ითვლება პატივისცემის ნიშნად, თავისებურ „ინდიკატორად“ გარშემომყოფების მიმართ ზრდილობიანი ურთიერთობისა და აქედან გამომდინარე, ხდება ქცევის მორიგი ხაზის არჩევა გარშემომყოფთა მიერ.

მისაღმების ფორმები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. თუმცა არის საერთო ნიშან-თვისებებიც. მაგალითად შემხვედრი მამაკაცი ყოველთვის პირველი ესაღმება ქალს, ხოლო უმცროსი-უფროსს. მისაღმება იერარქიზებულია. მაგალითად, სამსახურეობრივად თანამდებობით უმცროსი ესაღმება უფროსს.

დასავლეთში ადამიანები ესაღმებიან, იმის მიუხედავად იცნობენ თუ არა ერთმანეთს. მისასაღმებელი სიტყვებია : “Morning”, “Hello”, “Hi” და ა.შ. ამასთან უღიმიან და თავს უკრავენ ერთმანეთს. მისაღმებაში დასავლეთში მცხოვრები ხალხი ვერ ხედავს ვერაფერს ნიშანდობლივს, მათთვის ეს უბრალოდ ფორმალობაა. ბევრ, სხვა ქვეყანაში კი მისაღმებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის კულტურის მახასიათებელია, დასავლეთში მისაღმება მართლა ნორმად ითვლება, ისე როგორც

დილით კბილების გაწმენდა. ხოლო თუკი ავიღებთ ქართულ, ან რუსულ მენტალიტეტს ის უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. ქართველები ერთმანეთს გამარჯობას ეუბნებიან მისალმებისას, რაც მომდინარეობს სიტყვისგან - გამარჯვება. ქართველისთვის გამარჯვება ოდითგანვე მნიშვნელოვანი და დასაფასებელი იყო. რუსები - ჯანმრთელობას უსურვებენ; ებრაელები „შალომ“-მშვიდობას. შესაბამისად ამ ერებში მისალმების ეს ფორმები, სიმბოლურ და ემოციურ ხასიათს ატარებენ.

ქართველები მოყვარეს ესალმებიან გამარჯობა, პასუხად კი ეუბნებიან - გაგიმარჯოს. ეს ფორმა იმდენად ემოციური და ღრმა მნიშვნელობის მქონეა, რომ თუკი შემხვედრი დიდად არ გვსიამოვნებს, ან უბრალოდ „გამარჯვება“ მისთვის არ „გვემეტება“ მისალმებისას უბრალოდ ვამბობთ - „სალამი“. აღსანიშნავია ასევე „დილა მშვიდობის“- როდესაც მშვიდობიან დილას ვუსურვებთ ერთმანეთს; რუსები ამბობენ - *Доброе утро* - სიკეთეს უსურვებენ, ინგლისელები - *Good Morning* - კარგ დილას. კულტურული განსხვავებულობის ნიშანია ასევე თვით დილის ცნებაც. თუკი თქვენ ინგლისში ღამის თორმეტის შემდგომ შეხვდებით ვინმეს, ან დარეკავთ სასტუმროში, მოგესალმებიან - *Good Morning*. იმის მიხედვით, თუ დღის რომელ მონაკვეთში შეხვდებიან ერთმანეთს ინგლისელები განარჩევენ მისალმების შემდეგ ფორმებს: *Good day, Good afternoon, Good evening*. დილის 12 საათამდე *დილა მშვიდობისა*, 12-დან 17-სათამდე *დღე მშვიდობისა*, 17 საათიდან *სალამო მშვიდობისა*.

საქართველოში ოდითგანვე დილით შემხვედრს ესალმებოდნენ შემდეგნაირად: დილის მადლი შეგეწიოს, რაც ამავდროულად დალოცვასაც ნიშნავს. ზოგადი მისალმება-გამარჯობა! სალამი! არ არჩევს დროს, სივრცეს, ადგილს. ეს ინფორმაცია კომუნიკაციური ცნობიერების კუთვნილებაა, მასვე განეკუთვნება ცოდნა იმის შესახებ, რა მანძილიდან უნდა მოხდეს მისალმება, როდის და ვის შეიძლება არ მიესალმო, ვის მიესალმო თავაზიანად და ა.შ.

კომუნიკაციური ცნობიერება ის მენტალური კომუნიკაციური კატეგორიებია, რომლებიც თვით კომუნიკაციის სტრუქტურის შესახებ ცოდნას შეიცავენ. მათი ფუნქციაა საზოგადოებაში მიღებული კომუნიკაციური ნორმებისა და წესების, კომუნიკაციური განწყობების (მიზნების, განზრახვების.) შესახებ ცოდნის იმგვარი

მოწესრიგება, რომ იგი ინახებოდეს ცნობიერებაში. მათი დანიშნულებაა აგრეთვე, ინდივიდის სამეტყველო ურთიერთობის უზრუნველყოფა საზოგადოებაში მისი მშობლიური, კომუნიკაციური კულტურის ფარგლებში.

ამრიგად, მისალმებები, რომლებიც არა მხოლოდ ვერბალურ, არამედ ემოციურ და კულტურულ დატვირთვასაც ატარებენ, შეიძლება ჩაითვალოს კონცეპტად. ენა ადამიანებს ეროვნებად კრავს იმ კონცეპტთა და პრეცედენტულ სახელთა მეშვეობით, რომლებიც იძლევიან გარკვეულ ღირებულებით პარადიგმასა და ქცევის იმ მოდელებს, რომელთა მიზანძვე რეკომენდებული, ან აკრძალულია. ასე იქმნება ფრაზეოლოგიზმები, პარემიები, რომლებიც სამყაროს ენობრივი სურათის ეთნიკურ-ზნეობრივ პარამეტრებს წარმოაჩენენ. ენობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთი ეროვნულ-კულტურული კომპონენტია სამეტყველო ეტიკეტი, რომლის გამოვლენას ეროვნულ-სპეციფიკური ხასიათი აქვს. სპეციფიკას ქმნის ეროვნული კომუნიკაციური ცნობიერება. ქართველისათვის ეს არის იმ ცოდნათა ერთობლიობა, თუ როგორ უნდა ურთიერთობდეს იგი საქართველოში.

აღნიშნული თავის ბოლოს შეიძლება დავასკვნათ: კონცეპტის შესახებ მასალების ანალიზმა და შესწავლამ გვაჩვენა, რომ კონცეპტის ცნების შესწავლა აქტიურად მიმდინარეობს რუსულ და ინგლისურ ფილოლოგიაში, რაც შეეხება ქართულს - აქ ჯერჯერობით მწირია მასალა, რომელშიც კონცეპტუალური მიდგომებია გამოყენებული. რა თქმა უნდა კონცეპტი შესწავლილია ისეთი ქართველი მეცნიერების მიერ, როგორებიც არიან: ომიანძე, ლებანიძე, ლადარია, თელია და ა.შ., მაგრამ ის ჯერ მაინც განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება.

მრავალი განმარტებითი ანალიზის საფუძველზე, ჩვენ ვაყალიბებთ კონცეპტის შემდეგ სამუშაო განმარტებას:

კონცეპტი (ანუ ცნება) წარმოადგენს ცოდნისა და მეხსიერების ერთეულს, მოიცავს წარმოსახვით და ღირებულებით განზომილებებს. კონცეპტი რთული მენტალური ნაერთია, რომელსაც აქვს თავისი ენობრივი ფიქსატორები. ის აერთიანებს საკუთარ თავში ინდივიდუალურ-პიროვნულს, კულტურულ-ჯგუფურს, ეროვნულსა და კაცობრიობის მნიშვნელობებს. მისი შესწავლა მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომებს.



კულტურული კონცეპტი წარმოადგენს კონკრეტული ერის სამყაროს ენობრივი და კონცეპტუალური სისტემების მენტალურ ერთეულს, მნიშვნელოვან ცნებას, რომელიც დაფიქსირებულია ამ ენაზე შექმნილ თეზაურუსში და აქტიურად გამოიყენება მოცემული კულტურის წარმომადგენლების მიერ. კონცეპტი ემოციურ ხასიათს ატარებს და მასში არის დაფიქსირებული არა მარტო ცნება მისი დამატებითი კონოტაციებით, არამედ მოცემული ერის წარმოდგენა/შეფასება.

კოცეპტი ერის სულიერების სარკეა, რომელიც ზოგჯერ თაობიდან თაობას გადაეცემა და არ კარგავს ემოციურობისა და მგრძობელობის განცდას, ზოგჯერ კი მხოლოდ ათწლეულებს უძლებს და ეპოქის ცვლილებასთან ერთად იცვლება.

### III თავი

## კონცეპტუალური პარადიგმების შეფარდებითი ანალიზი ქართული, რუსული და ინგლისური სამყაროს კოგნიტურ სურათში

### 3.1. კონცეპტი „ომის“ სტრუქტურა და მისი საკაცობრიო მნიშვნელობა

თანამედროვე ლინგვისტიკის უმთავრეს მიღწევად ითვლება ის, რომ ენა განიხილება, როგორც არა მხოლოდ საკუთარ ჩარჩოებში მოქცეული, არამედ ის წარმოგვიდგება ახალი პარადიგმით, კერძოდ კი-უმთავრეს როლს თამაშობს, ადამიანის შემეცნებით საქმიანობაში. ენა წარმოადგენს ერის ვერბალურ საგანძურს, აზრის გადაცემის საშუალებას, რომელსაც ის გარკვეულ ენობრივ სტრუქტურაში ათავსებს. ის იძლევა ასევე სამყაროს შესახებ ცოდნის საშუალებას, გვაწვდის ინფორმაციას ადრესატზე, ფონურ ინფორმაციასა და ა.შ. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებული რომელიმე საკითხის ცალკე შესწავლა არ არის საკმარისი, ან პრიორიტეტული; ენობრივი კომუნიკაციის არსის წვდომა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება ამ ყველა საკითხის ერთდროულად, თანაბრად შესწავლა. ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ჩვენი წარმოდგენების შენახვა, კომუნიკაციის პროცესში ენაში ჩამოყალიბება და ფორმირება, არის კოგნიტიური ლინგვისტიკის შესწავლის საგანი, რომელსაც ასევე მომავლის ლინგვისტიკასაც უწოდებენ (მასლოვა, 1997:4).

როგორც მასლოვა აღნიშნავს (ამაზე ჩვენ წინა თავშიც გვქონდა საუბარი), შემეცნებითი ლინგვისტიკის შესწავლის უმთავრეს ობიექტს წარმოადგენს კონცეპტი. სწორედ კონცეპტების სახით ფიქსირდება გარე სამყარო ადამიანის ცნობიერებაში. კონცეპტი წარმოადგენს კულტურული ნიშნით მარკირებულ აზრობრივ ერთეულს, რომელსაც გააჩნია მსოფლმხედველობრივი მიმართულება. ის არის კოლექტიური აზროვნების შედეგი, ინახება ენობრივი პიროვნების ინდივიდუალურ ცნობიერებაში და გამოიხატება სხვადასხვა ენობრივი საშუალებით. ამიტომ, ის ყოველთვის ატარებს სუბიექტურ ხასიათს. კონცეპტები კულტურის საბაზისო ერთეულებია. „ისინი არა

მხოლოდ უნივერსალიებია, საგნების ფართო კლასის ზოგადი თვისებებით, არამედ სულიერი არსის მატარებლებია, რომლებსაც ძალუბთ უზრუნველყონ კავშირი სამყაროს სხვადასხვა თანრიგის იდეებს შორის - ღვთიურსა და ადამიანურს შორის, რომლებიც აღინიშნება უკიდურესი სულიერი დამაბულობით. კონცეპტები არის ადამიანის სულიერი კულტურის ელემენტები, შექმნილი ადამიანის მიერვე, რათა შეიცნოს საკუთარი თავი და საკუთარი ადგილი სამყაროში. აქ შედის სიყვარული, რწმენა, სიკვდილი და უკვდავება, ჭეშმარიტება და ტყუილი, მშვენიერება, ბედნიერება და სხვა“ (ვორკაჩევი, 2004:25).

კონცეპტი, როგორც მენტალური ერთეული, ინდივიდის ცნობიერებაში უკავშირდება სოციუმის კონცეპტოსფეროს, ანუ კულტურას; ხოლო კონცეპტი, როგორც კულტურის ერთეული, წარმოადგენს კოლექტიური გამოცდილების ფიქსაციას, რომელიც ხდება ინდივიდის კუთვნილება. ლინგვოკოგნიტური კონცეპტი არის ინდივიდუალური ცნობიერების მიმართულება კულტურისაკენ, ხოლო ლინგვოკულტურული კონცეპტი წარმოადგენს მიმართულებას კულტურიდან ინდივიდუალური ცნობიერებისაკენ (სმირნოვა, 2009:247-253). ვ. ი. კარასიკი და გ.გ. სლიშკინი ლინგვოკულტურულ კონცეპტს ახასიათებენ როგორც „პირობით მენტალურ ერთეულს, რომელიც გამოიყენება ენის, ცნობიერებისა და კულტურის კომპლექსური შესწავლისას“ (კარასიკი; სლიშკინი, 2001:75-81). მათი აზრით, კონცეპტი დევს ცნობიერებაში, წარმოადგენს კულტურის ელემენტების მენტალურ პროექციას და განსხეულდება ენაში და/ან მეტყველებაში. ენის საშუალებით ობიექტივირებული ემოციები იძენენ ემოციური კონცეპტების თვისებებს, რომელსაც ნ.ა. კრასავსკი განიხილავს როგორც „ეთნიკურად, კულტურულად განპირობებულ, სტრუქტურულ-აზრობრივ, ლექსიკურ და/ან ფრაზეოლოგიურად ვერბალიზებულ წარმონაქმნს, რომელიც ემყარება ცნებით საფუძველს“ (კრასავსკი, 2002:113-119). ემოციური კონცეპტი, როგორც ლინგვოკულტურული კონცეპტის სახეობა, წარმოადგენს მაღალი ხარისხის აბსტრაქციის მენტალურ ერთეულს, რომელიც ენობრივ ცნობიერებაში ასახავს ხალხის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას ემოციური განცდის შესახებ უნივერსალური და კულტურულად სპეციფიკური წარმოდგენების სახით. ენა ინახავს სოციალურ გამოცდილებას, ემოციები კი ამ

გამოცდილების მიმართ დამოკიდებულების ობიექტივაციის საშუალებას წარმოადგენს. ემოციური კონცეპტები განისაზღვრება ისეთი სოციოკულტურული ფაქტორებით, როგორებიცაა: ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, აზროვნების სტერეოტიპები, ქცევის მოდელები და რომლებიც ყალიბდება ამა თუ იმ ეთნოსის ისტორიული განვითარების პროცესში. ლინგვოკულტურული კონცეპტი წარმოადგენს კულტურულად ან ნაციონალურად შეფერილ მენტალურ ერთეულს, რომელშიც ფიქსირდება ემოციური კომპონენტი და ინდივიდისა და კოლექტივის მიერ სამყაროს შემეცნებისა და განცდის სუბიექტური და ობიექტური გამოცდილება.

წინამდებარე ნაშრომში გვსურს მიმოვიხილოთ კონცეპტი „ომის“ ადგილი რუსულ, ინგლისურ და ქართულ ენობრივ სივრცეში და შედარებითი მაგალითების საფუძველზე გავაკეთოთ ანალიზი კონცეპტუალური ბაზის შესახებ, სოციოლინგვისტურ ჭრილში.

„ომს“, როგორც კონცეპტს, საკმაოდ რთული სტრუქტურა აქვს: პირველ რიგში იმიტომ, რომ ის ორმაგი კონცეპტის „ომი-მშვიდობის“ ნაწილს წარმოადგენს, ასევე მისი, როგორც მაკროუნივერსალური კონცეპტის სტრუქტურა განაპირობებს მის შემადგენლობაში მიკროუნივერსალური დონეების გამოყოფას, მაშასადამე ის თავის თავში იტევს სხვადასხვა ტიპის მცირე კონცეპტებს: ომების ტიპები, ომების დასახელება, ხანგრძლიობა, ომის შემადგენელი ბრძოლები და სხვ. მას ასევე გააჩნია უამრავი ურთიერთკავშირი სხვა, მოსასზღვრე კონცეპტებთან: „იარაღი“, „სამხედრო“, „გმირობა“, „სამშობლო“, „მედიცინა“, „სიკვდილი-სიცოცხლე“ და ა.შ.

კონფლიქტების, ომებისა და წინააღმდეგობების თემას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ადამიანის ცნობიერებაში. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად კაცობრიობის ისტორია და თითოეული ცალკეული ცივილიზაციის ისტორია, ეს არის ისტორია ომების შესახებ. ომი საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი პრობლემაა. კარლ ფონ კლაუზევიცი (1780-1831) ამბობს, რომ "ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, ოღონდ სხვა საშუალებებით". მთავრობა ყოველთვის აცნობიერებს, რომ დიპლომატია შეიძლება უძლური აღმოჩნდეს და შესაბამისად, ნებისმიერ დროს ატყდეს ომი მეზობელ სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოს შიგნით მოქიშპე ეთნიკურ ან რელიგიურ

ჯგუფებს შორის. ცხადია, ნებისმიერი დონის პოლიტიკის ყველაზე დიდი მარცხი გამოიხატება მის უუნარობაში, თავიდან აიცილოს სხვადასხვა ფორმის შეიარაღებული კონფლიქტი. ჩვეულებრივ, როდესაც ომზე საუბრობენ, გულისხმობენ სახელმწიფოთაშორის ომს, ომს-რომელშიც ორი ან მეტი ერი-სახელმწიფოა ჩართული. თუ გავიხსენებთ დაღუპულთა რიცხვს, განადგურებულ ქონებას, დახარჯულ თანხებს, ცხადი გახდება, რომ ომი ადამიანის ყველაზე დამანგრეველი და ფუჭი ქმედებაა. მხოლოდ მეოცე საუკუნეში ომმა 35 მილიონი ადამიანი-მათ შორის 25 000 000 სამოქალაქო პირი იმსხვერპლა (შმიდტი, 2014:68).

ომის შესახებ, რომ ყველას თავისი მოსაზრება გააჩნია ამის დასტური სხვადასხვა წყაროდანაა შესაძლებელი მაგალითად, არისტოტელეს აზრით, ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცე აკეთილშობილებდა ადამიანს, რადგანაც ეს იყო მორალურად სწორი ნაბიჯი სიკვდილის შიშის საპასუხოდ, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ საზოგადოებას, აქცენტი ომის სარგებლობაზე არ ახასიათებს მხოლოდ ძველ ბერძნებს, ან ანტიკურ მწერლებს, თანამედროვე ცივილიზაციაშიც ეთანხმებოდნენ მათ. გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი ამტკიცებდა, რომ “თუ სახელმწიფოები ვერ აღწევენ ურთიერთშეთანხმებას და ვერ ხერხდება მათი სურვილების ჰარმონიზაცია, მაშინ ომი ერთადერთი გამოსავალია. ამ წინადადებაში არაფერი შოკისმომგვრელი არ არის, თუმცა საკმაოდ პესიმისტურად ჟღერს.“ ჰეგელი უფრო შორსაც მიდის და ამტკიცებს, რომ ომი, ფაქტობრივად, ერთადერთი გამოსავალია, რადგან “გაჭიანურებული, რომ არაფერი ვთქვათ მუდმივ მშვიდობაზე, ქვეყნებში კორუფციას უყრის საფუძველს. მშვიდობის დროს, ჰეგელის აზრით, საზოგადოება დუნდება და ნაწევრდება. ომი აძლიერებს ერებს, ხოლო ისინი, ვინც მონაწილეობს სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში, იცავს მშვიდობას შინ, რისთვისაც იბრძვის საზღვარგარეთ.“ ჰეგელი ამბობდა, რომ “მსოფლიო ისტორია არის მსოფლიო სასამართლო”. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰეგელისათვის საიმედოობის ან გამძლეობის ყველაზე დიდი გამოცდა არის არა რაღაც ზოგადი მორალური სტანდარტები, არამედ კონკრეტული წარმატება და რადგანაც მსოფლიო პოლიტიკაში წარმატება ძალაუფლებით და სიდიდით იზომება, გამოდის, რომ ძალა და უფლება სინონიმები ყოფილა (ომის გამომწვევი მიზეზები - [InterMedia.ge](http://InterMedia.ge)).

გერმანელმა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიცშემ (1844-1900) მეტი რადიკალიზმი შესძინა ამ იდეას. ნიცშე ზოგადად უარყოფდა პირობით ზნეობრიობას, ხოლო ქრისტიანულ ეთიკასა და ჰუმანურობას განსაკუთრებით ვერ იტანდა და სისუსტედ მიიჩნევდა. ნიცშე ეთაყვანებოდა ძალაუფლების აგრესიულ გამოვლინებას, როგორც ადამიანებში, ასევე ქვეყნებში. იგი ხოტბას ასხამდა ნებისყოფას და ომის, ერთი შეხედვით უსიამოვნო, მაგრამ სასიკეთო გავლენას ერებსა და ცივილიზაციებზე. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ეს თემა უჩვეულო ძალით გაცოცხლდება ომის მეხოტბე დიქტატორ ადოლფ ჰიტლერის და მისი არანაკლებ აგრესიული მოკავშირის ბენიტო მუსოლინის მიერ. იტალიური ფაშიზმის მამის-მუსოლონის მიხედვით, “ომი ადამიანის ენერჯის მობილიზაციას ახდენს და განადიდებს იმათ ვისაც ძალა შესწევს, მას თვალი გაუსწოროს მას.“ იდეალურ სამყაროში ომი არ იქნებოდა, მაგრამ ომი ყოველთვის იყო და არის. ომის საფრთხე იმის იმედთან ერთად არსებობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ომი აღარ იქნება. საუკუნეების განმავლობაში ბევრი მოაზროვნე-პოლიტიკოსი (რომ არაფერი ვთქვათ უტოპისტ მეოცნებეებზე) იმეორებდა, რომ გონი, ან ღმერთი, ან ისტორია მსოფლიოს გაათავისუფლებდა ომის აგონიისგან. მაგრამ ეს ოპტიმისტებიც კი, თითქმის ვერასდროს თანხმებოდნენ ისეთ საკითხზე, როგორიცაა ომის გამომწვევი მიზეზები. რასაკვირველია, თუ გვინდა, რომ აღარ იყოს ომი, უპირველეს ყოვლისა, მისი გამომწვევი მიზეზები უნდა აღმოვფხვრათ (ომის გამომწვევი მიზეზები - InterMedia.ge).

რასაკვირველია, თუ ჩვენ გვინდა გავიაზროთ კონცეპტი “ომი“-ს საკაცობრიო მნიშვნელობა და წარმოვიდგინოთ მისი სტრუქტურა, საჭიროა გავაანალიზოთ ომის გამომწვევი მიზეზები, მისი ძირითადი ტიპები, ეროვნული თავისებურებანი.

ომს სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული ფაქტორი იწვევდა. ომის გამომწვევი სამი ძირითადი მიზეზი შეიძლება გამოვკვეთოთ, რომლებიც წინა პლანზე არიან წამოწეულნი პოლიტიკური მოაზროვნეების ნაშრომებში:

ერთ-ერთი აქცენტს ადამიანის ბუნებაზე აკეთებს;

მეორე ხაზს უსვამს საზოგადოებას (მთავრობის ჩათვლით);

მესამე კი ყურადღებას ამახვილებს გარემოში არსებულ შეუსაბამობაზე (წყლის, მიწის, ბუნებრივი რესურსების ნაკლებობაზე).

ისინი, ვინც ომს ადამიანის ბუნების მანკიერ მხარედ მიიჩნევენ, გვთავაზობენ სხვადასხვა ახსნას ამის შესახებ. გავლენიანი თეოლოგის, ნეტარი ავგუსტინეს (354-430) მიხედვით, „ომი არის საფასური, რასაც ჩვენ ვიხდით ჩვენი ცოდვილი ბუნების გამო“. ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ომის გამომწვევად ადამიანის მსოფლიო ბატონობისადმი დაუცხრომელ სწრაფვას მიაწერს. ზიგმუნდ ფროიდს (ფროიდი, 1856-1939), ფსიქონალიზის ფუძემდებელს, მიაჩნდა, რომ ადამიანები იბადებიან „სიკვდილის სურვილით“-თვითგანადგურების თანდაყოლილი აზრით, რომლის მიმართულების შეცვლასაც ისინი უმეტესწილად ახერხებენ. ფროიდი მიიჩნევდა, რომ ომს გააჩნია თვითდამანგრეველი იმპულსის გამოდევნის ფუნქცია. თუმცა ამ თეორიის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს მოსაზრება მხოლოდ სანახევროდაა სწორი-ის ჯარისკაცები, რომლებიც სჩადიან მკვლევლობებს, თავად არ იღებენ გადაწყვეტილებას ომის დაწყების თაობაზე, ხოლო ისინი, ვინც ამის შესახებ იღებენ გადაწყვეტილებას (და ვინც ახერხებს მშვიდად ჯდომასა და საფრთხის თავიდან აცილებას), თავად არ იბრძვიან. ჯარისკაცების უმეტესობა თავის მოვალეობას ასრულებს და გარდა ამისა, მათ არ სურთ თავად იქცნენ მსხვერპლებად და არა იმიტომ, რომ ისინი ბუნებით არიან დაბადებული მოძალადეებად. თომას ჰობსი (1588-1679) ომის განსხვავებულ, მაგრამ ასევე არანაკლებ უსიამოვნო ახსნას გვთავაზობს. ის მიიჩნევდა, რომ ადამიანები ბუნებით სასტიკები და უგუნურები არიან. ერთადერთი საშუალება ადამიანის ჭეშმარიტი ბუნების გასაგებად არის ცოდნა იმისა, თუ როგორ მოიქცევიან ისინი ცივილური საზოგადოების გარეშე, ბუნებრივ პირობებში. დღესაც მნიშვნელოვანია მის მიერ გაკეთებული დასკვნები. ჰობსის თანახმად, ბუნებრივ პირობებში ადამიანებს მართავს თვითგადარჩენის ძირითადი ინსტინქტი. მათ ყველაზე უფრო სიკვდილის ეშინიათ და განსაკუთრებით უფრთხიან უეცარ, მოულოდნელ აღსასრულს. თუმცა სიკვდილის შიში მათ კი არ ადუნებთ, არამედ პირიქით, აგრესიულობას და ძალადობას ჰმატებს, რაც ამ პირობებში ნორმად ითვლება. ჰობსის აზრით, არსებობს დავის სამი სახე, რომლებიც შეესაბამება ადამიანის ბუნების სამ ნაკლს. ესენია: აგრესიული ომები, რომლებსაც საფუძვლად უდევს კონკურენციის ინსტინქტი; თავდაცვითი ომები და მესამე, აგონისტური ომები-გამოწვეული სიამაყით და პატივმოყვარეობით.

ჰანს მორგენტაუ, ჰობსის მსგავსად, თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ადამიანები მანკიერები არიან. მორგენტაუს მიხედვით, ადამიანის ბუნება და განდიდების ინსტინქტი ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია, რომელიც კონკურენციასა და კონფლიქტს იწვევს. ამგვარი ანალიზი კაცობრიობას ძალიან უსიამოვნო კუთხით წარმოაჩენს. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ეს მოსაზრება არის ერთადერთი სარწმუნო ახსნა იმისა, თუ რატომ ხდება ომები (ომის გამომწვევი მიზეზები - InterMedia.ge).

ყველა პოლიტიკური მოაზროვნე არ მიაწერს ომის არსებობას ადამიანის ფსიქიკას ან ბუნებას. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ომების გაჩაღებაში ზოგადად თანამედროვე საზოგადოებას ადანაშაულებს, რომლებიც სახელმწიფოს სახით არიან ფორმირებული.

ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-ჟაკ რუსო ამბობდა: დამნაშავეა ქონება- „ადამიანი თავისუფალ ქმნილებად დაბადებული, მაგრამ მას მთელი ცხოვრება ბორკილები ადევს“. მან პირდაპირ გააკრიტიკა ჰობსის მოსაზრება ადამიანის მუხთალ და მოძალადე ბუნებასთან დაკავშირებით. რუსომ დასაწყისშივე განაცხადა, რომ ადამიანები “სულელი, მაგრამ მშვიდობიანი” არსებები არიან, რომლებსაც შეუძლიათ თანაუგრძნონ დაჩაგრულებს. რუსოს სჯეროდა, რომ ეს არის სოციალური ადამიანის და არა პირველყოფილი ადამიანის თვისება. რუსოს სწამდა, რომ საზოგადოება არის ყველანაირი პრობლემის მიზეზი, ომის ჩათვლით. ის განსაკუთრებით ადანაშაულებდა კერძო საკუთრების ინსტიტუტს-მეოცე საუკუნის ევროპის ძირითად საზრუნავს-იმ უბედურებებისათვის, რომლებმაც მთელი კაცობრიობა მოიცილა მას შემდეგ, რაც ადამიანებმა ცივილიზაციის ყალბ სიამოვნებაზე გაცვალეს პირველყოფილი უმანკოება. საკუთრება განარჩევს ადამიანებს იმით, რომ ქმნის უსარგებლო უთანასწორობას ჯანმრთელობის, სტატუსის და ძალაუფლების მხრივ ერთი ერის მოქალაქეებს და თანდათანობით სახელმწიფოებს შორის.

რუსომ ჩამოაყალიბა დებულება, რომ კერძო საკუთრების შექმნამ საფუძველი ჩაუყარა პირველ პოლიტიკურ საზოგადოებას, ხოლო პოლიტიკურმა საზოგადოებამ, თავის მხრივ-დამატებითი ერის-სახელმწიფოების შექმნას. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული ერი-სახელმწიფოდან მეორის პირისპირ რჩებოდა, წარმოიშვა დიდი



დადაბულობა, რომელიც შემდგომ “ერთა შორის ომებში, ბრძოლებში, მკვლელობებში გადაიზარდა, რამაც შეძრა ბუნება და შეარყია გონება”. როგორც რუსო ამბობს, “ადამიანური რასის დაყოფამ სხვადასხვა საზოგადოებებად” გამოიწვია ის, რომ ადამიანები ყველაზე ღირსეულ საქციელად თანამომხმის მკვლელობას მიიჩნევდნენ. თანდათანობით საქმე იქამდე მივიდა, რომ ადამიანები უმიზნოდ ხოცავდნენ ერთმანეთს. ბრძოლის ერთი დღის განმავლობაში უფრო მეტი მკვლელობა ხდებოდა და ერთი ქალაქის დაპყრობას უფრო მეტი საშინელება მოსდევდა, ვიდრე ეს ბუნებრივ პირობებში მთელი საუკუნის განმავლობაში ხდებოდა. მრავლად არიან ისინიც, რომლებიც აღიარებენ რუსოს ზოგად თეორიას, რომ “ადამიანი კარგია, მაგრამ ადამიანები-ცუდები”.

დამნაშავეა ნაციონალიზმი: ბევრი თანამედროვე მოაზროვნე ამტკიცებს, რომ ომი იმთავითვე არსებობს ცალკეულ საზოგადოებებში დამოუკიდებელი მთავრობებით. ნაციონალიზმი, ჩვეულებრივ, გულისხმობს კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეების მიერ პატრიოტულ გრძნობას სამშობლოს მიმართ. ერთ-ერთი ცნობილი ავტორი ამბობს: “ყველა ერს თავისი ვარდისფერი სარკე აქვს. ამგვარი სარკის განსაკუთრებული თვისებაა გამოსახულების მომხიბვლელად წარმოჩენა: ის აშორებს უხემ ხაზებს და ხასიათი და მშვენიება პირდაპირ ანათებს! თითოეული ერი საკუთარ თავს მიიჩნევს ყველაზე მართლად. თითოეული ერი დარწმუნებულია, რომ ის ღვთის რჩეული ერია და ღვთისგან კურთხეულ მიწაზე” ცხოვრობს.

უილსონი და კანტი: დამნაშავეა ტირანია- ბევრი დამკვირვებელი ნაციონალიზმს თანამედროვე კონფლიქტების უმთავრეს წყაროდ მიიჩნევს, ხოლო მეორე ნაწილი დესპოტიზმს ადანაშაულებს მეოცე საუკუნეში მომხდარი ორი დამანგრეველი ომის გამო. პრეზიდენტი ვუდრო უილსონი იყო პირველი, რომელმაც წინ წამოსწია ეს ცნება. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ უილსონი შეეცადა გაეხანგრძლივებინა მშვიდობა მსოფლიოში ქარტიის მეშვეობით, რომელიც თოთხმეტი პრინციპისგან შედგებოდა. უილსონი იმედოვნებდა, რომ ამ პრინციპების დაცვა შესაძლებელს გახდიდა მსოფლიოს მშვიდობიანი გზით მართვას. მის მიერ შემოთავაზებული მსოფლიოს ახალი სისტემის ქვაკუთხედი იყო ეროვნული თვითგანსაზღვრის უფლება ანუ, ადამიანების უფლება აირჩიონ სასურველი

მთავრობა. უილსონის აზრით, თვითგანსაზღვრის უფლება გახდებოდა დემოკრატიის საფუძველი, რომელიც, ბუნებრივია, მშვიდობის დამკვიდრების უკეთესი საშუალებაა, ვიდრე დიქტატი. მაგრამ რატომ უნდა გაუჩნდეთ დემოკრატიულ სახელმწიფოებს ომის სურვილი დიქტატორულ სახელმწიფოებზე ნაკლებად? მეთვრამეტე საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსის ემანუელ კანტის (1724-1804) ნაშრომის მიხედვით, იმისათვის, რათა სახელმწიფოებმა შეინარჩუნონ სიძლიერე, საჭიროა განავითარონ განათლება, კომერცია და სამოქალაქო თავისუფლება. განათლებას, კანტის აზრით, მოაქვს საერთო განმანათლებლობა, ხოლო კომერცია საშუალებას აძლევს ქვეყანას, მოიპოვოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ხოლო ეს ორი ფაქტორი საფუძველს უყრის მშვიდობას. რაც ყველაზე მთავარია, ფართო პოლიტიკური თავისუფლების პირობებში, მოქალაქეები უფრო კომპეტენტურები გახდებოდნენ საზოგადოებრივ საკითხებში; და რადგანაც თავისუფლება ყველაზე უფრო რესპუბლიკურ მოწყობაში გამოიხატება, ამგვარი მთავრობები ბუნებით უფრო მშვიდობისმოყვარენი არიან. მიზეზი მარტივია: რესპუბლიკებში, განსხვავებით მონარქიებისა და არისტოკრატიული სახელმწიფოებისაგან, გადაწყვეტილებას ომის წარმოების თაობაზე იღებენ ის ადამიანები, რომლებმაც უნდა იბრძოლონ. როგორც კანტი ამბობს: „რესპუბლიკის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს მშვიდობისმოყვარე საქციელის წახალისებას შემდეგი მიზეზით: თუ ომის დაწყებისთვის საჭიროა იმ ადამიანების თანხმობა, რომლებმაც საკუთარ თავზე უნდა გამოსცადონ ომის მთელი საშინელება, ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ისინი ხალისით დათანხმდებიან ამ ბინძურ თამაშში მონაწილეობას. ამგვარი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით ქვეყნები, რომელთა მთავარი საგანი არ არის მოქალაქე, ძალზე იოლად იწყებენ ომებს, როგორც გასართობს და ამისთვის მათ სერიოზული მიზეზი არ სჭირდებათ“ (ომის გამომწვევი მიზეზები - InterMedia.ge).

ჯონ ლოკის (1632-1704) მოსაზრება: ომები არის გამოძახილი თანდაყოლილი ბუნებისა და არა ადამიანის ბუნების ან საზოგადოების დეფექტებისა. მარტივად რომ ვთქვათ, გარემო პირობები, რომლებიც ადამიანის კონტროლის მიღმა არიან, ხშირად აყენებს ადამიანს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის პირისპირ და ამიტომ

კონფლიქტებიც გარდაუვალია. მისი წინამორბედი ჰობსის მსგავსად, ლოკიც არ ხუჭავდა თვალს ადამიანის ბუნების მანკიერებებზე. ადამიანის ბუნების შესწავლამ ლოკი იმ აზრამდე მიიყვანა, რასაც ჰობსიც ემხრობოდა-ანუ, თვითგადარჩენა ადამიანის ძირითადი ინსტინქტია.

საერთაშორისო საზოგადოება, რასაკვირველია, არის ომის სისტემის უკიდურესი მაგალითი. კონფლიქტები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. სასიცოცხლო ინტერესები მუდმივად რისკის ქვეშაა. ძალაუფლებისა და რესურსების უთანასწორობა უბიძგებს სახელმწიფოებს დაეპატრონონ მეზობელი სახელმწიფოების კუთვნილებას. სწორედ ისე, როგორც ადამიანები არიან დაუცველნი სხვების ძალადობისგან ბუნებრივ მდგომარეობაში, მტაცებელი ერი-სახელმწიფოები საფრთხეს უქმნიან სხვა ერ-სახელმწიფოებს. სავარაუდოდ თვით-დაინტერესებული და ძალადობისაკენ მიდრეკილი ადამიანური ბუნება არის ის ფაქტორი, რომელიც უბიძგებს სახელმწიფოების ლიდერებს აწარმოონ ომი, ყველა ლიდერი არ არის თვითდაინტერესებული ან მოძალადე.

არ არსებობს ერთი კონკრეტული განმარტება, რომელიც ადეკვატურად ხსნის ომის გამომწვევ მიზეზებს. ზოგი თანამედროვე პოლიტიკური მწერალი, როგორიცაა ჰანა არდენი, ამტკიცებს, რომ ტოტალიტარული მთავრობები იმთავითვე აგრესიულები არიან. მეოცე საუკუნის ორი ძირითადი კონფლიქტი (მეორე მსოფლიო ომი და კორეის ომი) წამოიწყეს ტოტალიტარმა დიქტატორებმა. უფრო მეტიც, სტალინმა 1930-იან წლებში, ჰიტლერმა-1940-იან წლებში, მამ 1950-იანი წლების დასაწყისში და პოლ პოტმა 1975-1979 წლებში, გააჩაღეს ომი საკუთარ ქვეყნებში სისხლისღვრისა და მასობრივი ხასიათის მკვლევლობების სახით. დიქტატორები სრულად აკონტროლებენ შეიარაღებულ ძალებს, პოლიციასა და პროპაგანდის საშუალებებს. ხშირად ისინი ომის გამომწვევები არიან, რომლებმაც სამხედრო გამარჯვებებით გაიკაფეს გზა ძალაუფლებისკენ. ეს წარმატებული ჯარისკაცები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს სადავეები, იშვიათად ამბობენ უარს ძალის გამოყენებაზე. რამდენად მისაღებიც უნდა იყოს ეს შეხედულებები, ისინი მაინც არ ამტკიცებენ საბოლოოდ, რომ ყოველთვის დესპოტიზმი იწვევს ომებს. ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ ამგვარი ანალიზის ყველა შემთხვევაზე მორგება მარტივი არ

არის. გავიხსენოთ თუნდაც ვიეტნამის ომის მაგალითი. კენედის, ჯონსონის და ნიქსონის ადმინისტრაცია ომის გაჩაღების მიზეზად კომუნისტების აგრესიას ასახელებდა. თუმცა, კომუნისტთა აზრით კი, აშშ-ის პროვოკაციულმა და გზააბნეულმა ქმედებებმა გამოიწვია ეს ყოველივე. ამგვარად, გამომდინარე იქედან, თუ რომელი მამხილებელი ფაქტორი მიგვაჩნია უფრო მყარად, ვიეტნამის ომი შეიძლება განვიხილოთ იმის მაგალითად, რომ დიქტატურა უფრო მიდრეკილია ომისკენ, ვიდრე დემოკრატიული რეჟიმი, ან დემოკრატიულ ქვეყნებს არანაკლებ დიქტატორულსა, შეუძლიათ გაავრცელონ მილიტარიზმი.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა საბჭოთა კავშირის მიერ ბალტიისპირეთის ქვეყნების (1939), ფინეთის (1939), უნგრეთის (1956), ჩეხოსლოვაკიის (1968) და ავღანეთის (1979) დაპყრობა, ჩინეთმა შეტევა მიიტანა ტიბეტზე (1956), ინდოეთსა (1962) და ვიეტნამზე (1979); ვიეტნამმა შეუტია კამბოჯას (1975), საბჭოთა კავშირმა და ჩინეთმა ბრძოლა გააჩაღეს ოგადენის თაობაზე (1977) 1945-1967 წლებში მიმდინარე 69 საერთაშორისო კონფლიქტიდან, სოციალისტურმა ქვეყნებმა მონაწილეობა მიიღეს თხუთმეტ მათგანში, რაც საერთო რიცხვის დაახლოებით 25 პროცენტს შეადგენს. ეს მონაცემები უნდა შევადაროთ იმ ფაქტს, რომ ქვეყნების მხოლოდ 15 პროცენტს ჰქონდა სოციალისტური ეკონომიკა. ყველაფერი ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური სისტემები არ არის დაკავშირებული ომებთან.

ომის თეორეტიკოსების უმეტესობა დიდი ხანია ამტკიცებს, რომ პატარა სახელმწიფოებთან შედარებით, ძლევამოსილი სახელმწიფოები უფრო მიდრეკილები არიან ომისკენ. ეს ალბათობა ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ საკუთარი თავის რწმენა გამარჯვებისათვის, უფრო იხრებიან ომებისკენ. ომმა, შესაძლებელია, გააერთიანოს ერი, ან შიდა კონფლიქტებმა, შესაძლებელია იოლ სამიზნედ აქციოს ქვეყანა. ის ქვეყნები, რომლებსაც სათავეში უდგას რისკიანი ლიდერები, უფრო ხშირად ებმებიან ომში. ამერიკელი კომიკოსი უილ როჯერი ამბობდა, რომ მსოფლიოში მშვიდობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ქვეყნები-ადამიანების მსგავსად-მოძრაობას შეძლებდნენ; მაგრამ ქვეყნებს არ შეუძლიათ მოძრაობა (თუმცა მოსახლეობას შეუძლია-ის მიგრირებს-

მოძრაობს). ამერიკელ, ფრანგ და ბრიტანელ ლიდერებს 1930-იან წლებში რეალურად რომ შეეფასებინათ ულტრანაციონალისტების იდეოლოგია, ან ჰიტლერის ჯოჯოხეთური ზრახვები, შესაძლებელი იქნებოდა მეორე მსოფლიო ომის თავიდან აცილება (ომის გამომწვევი მიზეზები - InterMedia.ge).

სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს ომის სხვადასხვა სახე და ტიპი. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ კონცეპტი „ომი“ განიცდიდა ცვლილებას და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახის ომი იყო აქტუალური. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ფეოდალური ომები - რომლებიც იწყებოდა ოფიციალური გამოცხადებით (ხშირად უგზანდინ ხელთეთმანს).

რელიგიური ომები - შეიარაღებულ კონფლიქტები სხვადასხვა რელიგიური წარმომადგენელთა შორის (ერთ ქვეყანაში ან ქვეყნებ შორის), მაგალიტად, ჯვაროსნული ომები/ლაშქრობები.

ჰუსიტური ომები-საომარი მოქმედებები შუა საუკუნეებში იან ჰუსის მიმდევრებსა და კათოლიკებს შორის. ეს იყო პირველი ევროპული ომი, სადაც ფართოდ გამოიყენებოდა ცეცხლსასროლი იარაღი.

დიდი ომი (1409-1411)-სამხედრო კონფლიქტი ერთი მხრივ, ტევტონის ორდენის რაინდთა და მეორე მხრივ, პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობასა და პრუსიულ სათავადოებს შორის.

წინმსწრები ეწოდება ომს (*Preemptive war*), როდესაც ომის დაწყება ხდება, მტრისგან მოსალოდნელი აგრესიის საშიშროების საპასუხოდ; სხვანაირად, ამ დროს ხდება შეტევის დაწყება, როცა არსებობს სარწმუნო წყაროები, რომ, მტერი, ახლო მომავალში გეგმავს თავდასხმას. ტერმინი განსხვავდება პრევენციული ომისგან (*Preventive war*). მათ შორის განსხვავება ისაა, რომ, პრევენციული ომის დაწყება ხდება, მოწინააღმდეგის პოტენციური საფრთხის გასანეიტრალებლად, როცა ამ მოწინააღმდეგის მიერ თავდასხმის საშიშროება მცირეა და არც სარწმუნო წყაროები არსებობს, რომ ის თავდასხმის განხორციელებას გეგმავდეს, ხოლო წინმსწრები ომის დროს, მტრის მოახლოებული აგრესიის გამო, ხდება წინასწარ შეტევა. ზოგიერთები მას, თავდაცვის ფორმად მიიჩნევენ.

მანევრული ომი (maneuver warfare) არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება სამხედრო თეორეტიკოსების მიერ, ომის ისეთი ტიპის/სტრატეგიის აღსანიშნავად, რომლის მიზანაც არის მოწინააღმდეგის დამარცხება, ისეთი მოძრაობების/მანევრების შესრულებით, რომელიც ასე ვთქვათ, შოკს გამოიწვევს მოწინააღმდეგეში და მკვეთრად შეამცირებს გადაწყვეტილების მიღების უნარს.

ომი გამოფიტვაზე/დაუძღვრებაზე (Attrition warfare) წარმოადგენს სამხედრო სტრატეგიას, როდესაც მეომარი მხარე/მხარეები, ომის მოსაგებად ახდენენ მოწინააღმდეგის დასუსტებას, დამარცხების დონემდე, მათი ადამიანური და მატერიალური რესურსების გამუდმებული განადგურებით. ასეთი ტიპის ომისას, როგორც წესი, იმარჯვებს ის მხარე, რომელსაც მეტი რესურსი გააჩნია.

ასიმეტრიული ეწოდება ისეთ ომს, როდესაც, მეომარი მხარეების სამხედრო ძალა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება ან როდესაც, მათ მიერ გამოყენებული სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა განსხვავდება მნიშვნელოვნად.

ასიმეტრიული ომის საპირისპიროა სიმეტრიული ომი, სადაც მეომარ მხარეებს აქვთ შედარებით მსგავსი სამხედრო ძალა და იყენებენ სამხედრო სტრატეგიას და ტაქტიკას, რომელიც ერთმანეთის მსგავსია; განსხვავება შეიმჩნევა მხოლოდ დეტალებში და მათი შესრულების გზებში.

ელექტრონული ომი-მოიცავს ნებისმიერ სამხედრო ქმედებას, სადაც ხდება ელექტრომაგნიტური სპექტრის, ან მიმართული ენერჯის გამოყენება რათა მოხდეს, როგორც ელექტრომაგნიტური სპექტრის კონტროლი სივრცეში, ისე მოწინააღმდეგეზე თავდასხმა მათი საშუალებით. მათ მიეკუთვნება, რადიოტალღები, ინფრაწითელი სხივები, ულტრაიისფერი სხივები და ელექტრომაგნიტური სპექტრის სხვა ნაწილებიც. ელექტრონული ომის საშუალებების გამოყენება შესაძლოა მოხდეს ჰაერიდან, ხმელეთიდან, წყლიდან ან კოსმოსიდან, როგორც პილოტირებული, ისე უპილოტო სისტემების საშუალებით და შეუძლია მიზანში ამოიღოს საკომუნიკაციო სისტემები, რადარები და სხვა სისტემები.

საინფორმაციო ომი-ტერმინი საინფორმაციო ომი არის ამერიკული კონცეფცია, რომელიც მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების (კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები) გამოყენებას და მენეჯმენტს, მოწინა-

აღმდეგეზე უპირატესობის მოსაპოვებლად. საინფორმაციო ომი შესაძლოა მოიცავდეს ტაქტიკური ინფორმაციის მოპოვებას, მიღებული ინფორმაციის ვალიდურობის დადასტურებას, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელებას - მოწინააღმდეგისა და საზოგადოების დემორალიზებისთვის ან მანიპულაციისთვის, ასევე, ხელის შეშლას მოწინააღმდეგისთვის, მოიპოვოს სარწმუნო ინფორმაცია. ინფორმაციული ომი, მჭიდრო კავშირშია ფსიქოლოგიურ ომთან. საინფორმაციო ომის მეთოდებს მიეკუთვნება:

- ტელევიზიისა და რადიოგადაცემების ჩახშობა;
- დეზინფორმაციის გავრცელება;
- ლოგისტიკური ქსელების დაბლოკვა;
- მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანა;
- სხვა.

ისტორიული მაგალითი: ექვსდღიანი ომი, რომელიც დაიწყო ისრაელმა, 1967 წლის 5 ივნისს, ეგვიპტეზე განხორციელებული ოპერაცია ფოკუსით, ფართოდაა მიჩნეული, როგორც წინმსწრები ომის კლასიკური მაგალითი და შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიხედვით, ის წინმსწრები ომის, ყველაზე ხშირად მოყვანილი მაგალითია. ამ შეხედულების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ, ეგვიპტის მიერ განხორციელებული არც ერთი ქმედება, ვერ შეფასდება შეიარაღებულ შეტევად, მთლიანობაში, მისი ქმედებები, ცხადყოფდა, რომ ის ისრაელზე შეიარაღებული თავდასხმისთვის ემზადებოდა. სხვები ამ ომს, პრევენციული ომის მაგალითად მიიჩნევენ, რომლებიც თვლიან, რომ ეგვიპტისგან შეტევის განხორციელების რეალური საფრთხე არ არსებობდა.

როგორც უკვე ზემოდ აღვნიშნეთ, კაცობრიობის ისტორიის ყველა ეტაპზე სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული უამრავი ტიპის ომს ჰქონდა ადგილი, რაც აისახა შესაბამის ენობრივი მარკერებში (ენობრივი ერთულები ამოკრეფილია შემდეგი ლექსიკონებიდან: დიდი ინგლისურ ქართული ლექსიკონი, დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, ქართული ლექსიკონი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, ინგლისურ-რუსული ფრაზეოლოგიზმების ლექსიკონი).

I საომარი ქმედებების მასშტაბის მიხედვით:

*მსოფლიო ომი, რეგიონალური ომი, ქვეყანათშორისი ომი, კოლონიალური ომი, სამოქალაქო ომი და სხვ.*

II ომის მიზნებიდან გამომდინარე:

*დაპყრობითი ომი, განმანთავისუფლებელი ომი, სამართლებრივი ომი, პატრიოტული ომი და ა.შ.*

III ომის ლოკაციის მიხედვით:

*საჰაერო ომი, საზღვაო ბრძოლა, წყალქვეშა ომი, სხვის მიწაზე ომი, მშობლიურ მიწაზე ომი და სხვ.*

IV გამოყენებული იარაღის მიხედვით:

*ატომური ომი, ბირთვული ომი, ქიმიური, ბიოლოგიური, ცივი (უიარაღო) ომი, და ა.შ.*

V საომარი ქმედებების სფეროს მიხედვით:

*ეკონომიკური ომი, იდეოლოგიური ომი, ფსიქოლოგიური ომი და სხვ.*

ეროვნული კორპუსების მონაცემებით ხშირად გამოყენებადი ომის სახეებია: *პრევენციული ომი; სამოქალაქო ომი; პარტიზანული ომი; არაპირდაპირი, მამასადაძმე ომი შუამავლის მეშვეობით; ფსიქოლოგიური ომი; ბირთვული ომი; არქტიკული ბრძოლა; ურბანული ბრძოლა; კლიმატური ომი; ტოტალური ომი; კონვენციური და არაკონვენციური ომი; ეკონომიკური ომი; სამოქალაქო ომი; დაპყრობითი ომი; თავდაცვითი ომი; ცივი ომი; უსისხლო ომი; დიპლომატიური ომი; ინტელექტუალური ომი.*

ომის განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ განაპირობა ამ ორმაგი კონცეპტის (ომი-მშვიდობა) სიახლოვე უამრავ სასაზღვრო კონცეპტთან: სამშობლო, გმირი, იარაღი, სიცოცხლე-სიკვდილი და სხვ. აგრეთვე აღსანიშნია, რომ თუ კონცეპტი ომის ბირთვს წარმოადგენს ომის ტიპები, მის პერიფერიულ ნაწილში განლაგებული არიან კერძო სახელები: *თემურლენგის პირველი შმოსევა, კავკასიის ომი, აგვისტოს ომი; დიდი სამამულო ომი, ჩრდილოეთის ომი, შვიდწლიანი ომი; ასწლიანი ომი, ექვსდღიანი ომი, პუნიკური ომები და სხვ.*



კონცეპტი „ომი“-ს ლექსიკური პარადიგმა ძალიან მდიდარია ქართულ ენაში, რაც, ცხადია, გამოწვეულია საქართველოს ტრაგიკული ისტორიით, როდესაც ქართველი ერი დაუმთავრებელი ომების პირობებში იბრძოდა საკუთარი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად და გადასარჩენად. უამრავი ომებიდან გვინდა შევაჩეროთ ყურადღება 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომზე, იმიტომ რომ ამ ომის შედეგად ჩვენი რეგიონი - აჭარა - შეუერთდა დედა-სამშობლოს, საქართველოს; ამავდროულად, სწორედ ამ ომის შესწავლა მოხდა ჩვენს მიერ სამეცნიერო გრანტის ფარგლებში (ავსტრია, გრაცი) კულტურული მეხსიერების ჭრილში და როგორც ლინგვისტებს, ბუნებრივია, რომ დაგვანტერესა კულტურული მეხსიერების ენობრივი მარკერები, იმიტომ რომ კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელი ენობრივი მარკერები რჩება ერის კულტურულ მეხსიერებაში.

სხვადასხვა იმპერიის მპყრობელობაში მყოფი აჭარის რეგიონსა და სრულიად საქართველოს, განსხვავებული რელიგიური ტრადიციის საკმაოდ გრძელი და რთული ისტორია და გამოცდილება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მართლმადიდებელი ქრისტიანია, მუსლიმანი აღმსარებლობის მქონე მოსახლეობა მაინც აჭარის რეგიონშია თავმოყრილი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ესაზღვრება რა თურქეთის რესპუბლიკას, საუკუნეების მანძილზე (სამი საუკუნე/სამასი წელი) ოსმალეთის დამპყრობლობის ქვეშ იმყოფებოდა და ყველაზე მეტად ოსმალთა ბატონობამ სწორედ მასზე დატოვა კვალი, ვიდრე დანარჩენ საქართველოზე. 1453 წელს ოსმალეთის მიერ აჭარის დაპყრობა სწორედაც რომ სიგნალი იყო, საქართველოს აღნიშნულ რეგიონზე ზეგავლენის დასასრულისა. ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფი აჭარის რეგიონი, ფართოდ მოექცა მისი გავლენის ქვეშ და დაიწყო რელიგიური ტრანსფორმაცია მართლმადიდებლური ქრისტიანობიდან ისლამზე. როგორც წყაროები გვამცნობენ, იმ პერიოდის შესახებ ცოტა ინფორმაციაა შემონახული, საზოგადო აზრი კი იქითკენ მიდის, რომ ისლამის აღიარების პროცესი განპირობებული იყო სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით. ოსმალეები ისლამის აღიარების შემთხვევაში, გარკვეულ შეღავათებს (სოციალურს, პოლიტიკურს, ეკონომიკურს) სთავაზობდნენ მოსახლეობას. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აჭარელი გლეხების უმეტესობა ბოლომდე დარჩა მართლმადიდ-

დებლური ქრისტიანობის ერთგული, გულდასმით ინახავდა მის ტრადიციებს და თაობებს გადასცემდა მას.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ტერმინი „ოსმალის საქართველო“ დამკვიდრდა სწორედ იმ ქართველებისა და ტერიტორიების აღსანიშნავად, რომლებიც ოსმალთა ბატონობის ქვეშ საუკუნეების მანძილზე იყვნენ მოქცეული. ბევრი სტატია და გამოცემა მიეძღვნა „ოსმალის საქართველოს“ ყოფა-ცხოვრებას. ილია ჭავჭავაძე, 1877 წელს გაზეთ „ივერიაში“ წერდა: „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძვე, საცა ერი პოულობს თავისი სულის ღონეს, თავისი სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალეს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. „ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენიებულს ნაწილებს ოსმალის საქართველოსას დიდი პატივისცემა და ხელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისთვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალთა ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალთა ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისთვის და მათდა და ჩვენ სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა. საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამთავროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა და მერმე ოსმალთა ზემოქმედების ქვეშ, ზემო-ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალთა საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემხრობოდა, ხან მეორეს, და თვისის მომხრეობით განამლიერებდა ქართველებს თვით- არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა. პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში

ჯერ კიდევ კერპმსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში მეფეს უნდოდა კერპ-თავყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისათვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე. როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ატყდა შესანიშნავი ბრძოლა „ლაზიკის“ თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალოს საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზად შეიქმნა მათა შორის. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეუერთდა საქართველოსვე ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შემწეობითა. როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისთვის იღვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ბაგრატიონთა გვარის კაცი მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ეხლანდელმა ოსმალოს საქართველომ იმ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანას, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია. ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით; სამღვდელონი და ეპისკოპისნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს, და ყოველი საღმრთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს” (ილია ჭავჭავაძე, გაზეთი „ივერია“ N9, გვ 1-3, 1877).

ილია განაგრძობს: „ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობას დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან, ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თერთმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთ მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების

იღუმალად თურმე. არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს ოსმალს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოდ, ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა (ილია ჭავჭავაძე, გაზეთი „ივერია“ N9, გვ 1-3, 1877).

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად აჭარა დედა სამშობლოს დაუბრუნდა. 1877 წელს მეფის რუსეთსა და სულთანურ თურქეთს შორის ომი დაიწყო. ამ ომს ორივე მხრივ დამპყრობლური მიზნები ჰქონდა. რუსეთი ესწრაფვოდა ბალკანეთის ქვეყნებსა და კავკასიაში თავისი ბატონობის განმტკიცებას და ახალი ტერიტორიების დაპყრობას. თურქეთი ცდილობდა ჩაეხშო მის მიერ დაპყრობილი ბალკანური ხალხების გამათავისუფლებელი მოძრაობა, ამასთან აღედგინა თავისი ადრინდელი ძლიერება და ბატონობა ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში. ქართული საზოგადოებრიობა, იმის მიუხედავად, რომ ცარიზმისადმი მტრულად იყო განწყობილი, ამ ომში მის მხარეზე იდგა. ომში ქართველი ხალხი მოელოდა თურქ დამპყრობელთაგან ადრე მიტაცებული თავისი სამხრეთ მიწა-წყლის გაათავისუფლებას. აჭარის იძულებით გამაჰმადიანებული მოსახლეობაც სულითა და გულით დედასამშობლოსაკენ მიისწრაფოდა. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ პროვინციებში გაჩაღებული იყო ანტითურქული აჯანყებები. ომის დაწყებისთანავე საქართველოში დაიწყო მოხალისე მოლაშქრეთა (მილიციის) რაზმების ჩამოყალიბება. საომარი ოპერაციები განვითარდა ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში. რუსეთის ჯარმა, ქართველ მოლაშქრეებთან ერთად, გადალახა თურქეთის საზღვარი და ბრძოლა მის ტერიტორიაზე გადაიტანა. 1877 წლის 30 აპრილს მათ დაიკავეს ქ. ბაიაზეთი, შემდეგ ქ. არტაანი. არტაანის ბრძოლაში

გამარჯვების შემდეგ არტანუჯისა და ართვინის გავლით გზა ბათუმისკენ იხსნებოდა, მაგრამ კავკასიის არმიის სარდლობამ პირველი რიგის ამოცანად დასახა ყარსის ციხესიმაგრის დაკავება და შეუტია ამ მიმართულებით. ბათუმზე შეტევა ოზურგეთის მხრიდანაც მიმდინარეობდა, აღებულ იქნა მუხაესტატე და ხუცუბანი. 1877 წლის 17-18 ნოემბერს კავკასიის ფრონტის ჯარებმა თურქებს გამოსტაცეს ყარსის ციხესიმაგრე. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება, რომელიც არსებითად წყვეტდა ამ ფრონტის ბედ-იღბალს, მით უმეტეს, რომ შეტევა წარმოებდა ერზურუმის მიმართულებითაც. ბათუმისათვის სამხედრო ოპერაციები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. დეკემბერში კავკასიის არმიის ნაწილები შეიჭრნენ შავშეთში, 16 დეკემბერს დაკავებულ იქნა არტანუჯი.

ომის საბოლოო ბედი ბალკანეთის ფრონტმა გადაწყვიტა. პლევნას ციხესიმაგრის აღების შემდეგ რუსეთის ჯარებმა გადალახეს ბალკანეთის მთები და საომარი ოპერაციები გააჩაღეს ბულგარეთის ტერიტორიაზე. თურქთა არმიებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. რუსეთის არმია კონსტანტინეპოლს მიუახლოვდა. 1877 წლის 3 მარტს მეომარ მხარეთა შორის სან-სტეფანოში გაფორმდა საზავო ხელშეკრულება.

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება რუსეთის საზიანოდ ზოგიერთი ცვლილებით დაადასტურა ბერლინის საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც 1878 წლის ივნისში შეიკრიბა. 13 ივლისს ხელმოწერილი, ე.წ. "ბერლინის ტრაქტატით" კავკასიაში რუსეთის მფლობელობაში გადავიდა ბათუმი, ყარსი, და არდაგანი. ამრიგად, ოსმალთა მფლობელობისაგან საბოლოოდ გათავისუფლდა აჭარა-ქობულეთის მიწაწყალი, თუმცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი ძველ მდგომარეობაში დარჩა. ზავზე ხელმოწერის მომენტში ბათუმი ისევ თურქთა ჯარს ეკავა. გულმოდგინედ მუშაობდნენ თურქეთის აგენტები, რათა აჭარის მუსლიმურ მოსახლეობასა და ქართველებს შორის შუღლი გაედვივებინათ, მაგრამ ვარაუდი ჩაეშალათ. აჭარის მოსახლეობამ გამათავისუფლებელ არმიას სრული სოლიდარობა გამოუცხადა. 1878 წლის 25 აგვისტოს კავკასიელი მოლაშქრენი ბათუმში შევიდნენ. ბათუმის ნავსადგური რუსეთის საბრძოლო ხომალდებმა დაიკავეს. ეს დღე ბათუმში დიდი ზეიმით აღინიშნა.

ქართული საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმა თურქთა უღლისაგან აჭარის გათავისუფლებას. "ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა, - წერდა ი. გოგებაშვილი გაზ. "დროებაში" ... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად "მებრძოლი შავი ბედისა", ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა".

ქართველი საზოგადოებრიობა არ ზოგავდა სახსრებს, რომ აჭარელ მოსახლეობას მიშველებოდა. გროვდებოდა შეწირულობანი. ილია ჭავჭავაძე აქეზებდა ხალხის ამ თაოსნობას და გაზ. "ივერიაში" წერდა: " აბა ქართველობავ, ახლა შენ იცი როგორ დაანახებ თავს შენს ახლად შემოერთებულ ძმებსა! ახლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპით ანდერძს: ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო!" ამ ნიშნით ჩატარდა თბილისში გათავისუფლებული აჭარის თავკაცთა სტუმრობა. შეხვედრაზე მხურვალე პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ ორბელიანმა.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: აჭარა დედასამშობლოს კი დაუბრუნდა და აქტიურად დაიწყო რელიგიური ტრანსფორმაციის პროცესი, აშენდა უამრავი მართლმადიდებლური ტაძარი, დაიწყო მასობრივი ნათლობები, მაგრამ დანარჩენი საქართველოს მოქალაქეთა მეხსიერებაში აჭარა მაინც მუსულმანურ რეგიონად აღიქმებოდა, ხოლო აჭარელი -ისლამის მიმდევრად. აშკარაა, რომ აჭარელი მოსახლეობის ნაწილის მიერ ქრისტიანობის დათმობასა და ისლამის აღიარებას, ფატალური შედეგი მოჰყვა. ჩვეულებრივი ქართველის კულტურულ მეხსიერებაში აჭარელი არ მოიაზრებოდა ეთნიკურ ქართველად. რას ნიშნავს ქართველობა? უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ისტორიიდან გამომდინარე, ის ქრისტიანობას, მართლმადიდებლობას ნიშნავს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნელ-ნელა მართლმადიდებლობის გავრცელება აჭარაში ფართო მასშტაბებს იძენს, მაგრამ შესაძლოა მაინც საუკუნეები დასჭირდეს რელიგიური იდენტობის აღდგენასა და ქართული კულტურული მეხსიერების შეცვლას.

### 3.2. კონცეპტი ომი-რუსული სამყაროს ენობრივ სურათში

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო, ჩვენთვის საინტერესო გახდა, გაგვენსაზღვრა კონცეპტი „ომის“ ადგილი რუსული, ინგლისური და ქართული ენის მატარებლების ეროვნულ ცნობიერებაში.

რუსული და ინგლისური სამყაროს ენობრივ სურათში, კონცეპტი „ომი“ არა ერთ გზისაა შესწავლილი, როგორც, იური ლოტმანი, თვითონ დიდი სამამულო ომის მონაწილე, ამბობდა: „ ომის შესახებ წერა რთულია. იმიტომ რომ, ომის არსის იციან მხოლოდ იმათ, ვინც ომში არასდროს არ ყოფილა. ასევე რთულია აღწერო მისი უზარმაზარი არეალი, რომელსაც არ გააჩნია მკაფიო საზღვრები და შინაგანი ერთიანობა. ომი ხდება ზამთარში, ომი ხდება ზაფხულში. არსებობს თავდაცვითი და თავდასხმითი ომები. ომები დღისით და ომები ღამით. ომები ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში. ომში მონაწილე ჯარისკაცი და ფრონტზე ჩასული ჟურნალისტი“(ლოტმანი, 1999: 301). იმისათვის, რათა ერთ კონცეპტში მოვაქციოთ ყველა ეს წარმოდგენა ომზე, უნდა მივმართოთ ყველა არსებულ ლექსიკონს, ვინაიდან ომის კონცეპტის ანალიზისთვის უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობის შესწავლა და მათი გაგება ლექსიკონების ბაზაზე. მასლოვა თავის „კოგნიტიური ლინგვისტიკის შესავალში“ განიხილავს სიტყვა „ომის- მნიშვნელობებს, სხვადასხვა განმარტებითი ლექსიკონის ბაზაზე. მოყვანილი მაგალითების საფუძველზე ამბობს, რომ სიტყვა ომის თანამედროვე განმარტებები უკავშირდება შემდეგი სიტყვების მნიშვნელობებს, ესენია: დაპყრობა, თვალთვალი, ნადირობა, მარაგის მომზადება. ყველა ეს მოქმედება მიმართულია ვინმესკენ, ყველაზე იშვიათად-რაიმესკენ და ყველას ჩადენა ხდება რაღაც სარგებლის მიღების მიზნით. ეს ზოგადი წარმოდგენა შენარჩუნებულია დღემდე.

ვ.ი. დალი გამოჰყოფს ომის შემდეგ სახეებს: თავდასხმითი ომი, როდესაც ჯარები შეჰყავთ სხვა ქვეყნის სახელმწიფოში. თავდაცვითი ომი, როდესაც შემოყვანილ ჯარებს ხვდებიან შეიარაღებული ძალებით საკუთარი სახელმწიფოს დაცვის მიზნით. სამოქალაქო ომი, როდესაც ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლები

იყოფიან დაპირისპირებულ მხარეებად და ებრძვიან ერთმანეთს იარაღით. ომი ხმელეთსა და ზღვაში. მიწისქვეშა ომები; მცირე ომები; პარტიზანული ომები; ეროვნული ომი, რომელშიც მონაწილეობს მთელი ერი; მიმოწერითი ომები (чернильная война). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ომები ვ.ი. დალის ლექსიკონის გამოსვლის შემდეგაც გრძელდებოდა და შესაბამისად, ჩვენი წარმოდგენა ომზე გაფართოვდა. კაცობრიობამ უამრავი ომი გადაიტანა, მცირე, თუ დიდი, მათ შორის ორი მსოფლიო ომი. ომს, რომელიც მიმდინარეობს სოციალურ ჯგუფებს შორის ქვეყნის შიგნით ეწოდება სამოქალაქო ომი. ყველა ომი დაკავშირებულია იმ პოლიტიკურ წყობასთან, რომელშიც ის მიმდინარეობს. მაგალითად, ისტორიას ახსოვს საბაჟო, სამრეწველო სავალუტო და სხვა ომები. თანამედროვე პირობებში მოხდა და დასრულდა, ე.წ. „ცივი ომი“, თუმცა ასევე გრძელდება ადგილობრივი ომებიც - სამხედრო დაპირისპირებები, რომლებიც უკავშირდება ტერორისტულ საქმიანობას, რელიგიურ, ტერიტორიულ და ეროვნულ კონფლიქტებს, ერებს შორის დაპირისპირებებს და ა.შ.

ამა თუ იმ ცნების სტატუსის დადგენაში, თუ რამდენად შეიძლება ის მიჩნეულ იქნას კონცეპტად, დაგვეხმარება ყველა იმ კონტექსტისა და სიტუაციის ანალიზი, რომელშიც ხდება აღნიშნული კონცეპტის გამოყენება. მონაცემების სანდოობისთვის ლექსიკონების გარდა ჩვენ გამოვიყენეთ რუსული ეროვნული კორპუსის მონაცემთა ბაზა (<http://www.ruscorpora.ru/search-main.html>). კონცეპტი ყველაზე ხშირად ვლინდება პარემიებში (ანადაზები, გამონათქვამები, გამოცანები, ფრაზეოლოგიზმები და ა.შ.).

#### **ანადაზები და გამონათქვამები ომზე რუსული ლიტერატურიდან:**

*Хорошо про войну слышать, да не дай бог ее видеть. Хороша война за горами. В мор намрутся, в войну наглутся, нахващаются. Войной да огнём не шутит. Всякая война от супостата, не от бога. И я б шел на войну, да жаль покинуть жену. Собирались грибы на войну идти (из песни). «Мир хижинам, война дворцом».*

#### **გამონათქვამები ზმნით „ბრძოლა“ რუსულ ენაში.**

*Воюют, так воруют, т.е. плутуют. Кто силен да богат, тому хорошо воевать. В доме-то у них, словно Мамай воевал, велик беспорядок. Знал бы, так и не воевал бы. И еще*



*бы воевал, да пицаль потерял. И работал, и воевал, да ничто не взял. Воевать тебе на печи с тараканами. Нужда горюет, нужда воюет.*

### ხალხური თქმულებები.

*Войну хорошо слышать да тяжело видеть. Если хочешь мира, будь готов к войне. Волки воют под жильём к морозу или к войне. Один в поле не воин. Дружно за мир стоять – войне не бывать.*

მოყვანილი მაგალითების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კონცეპტ „ომს“ გააჩნია შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები:

1. მშვიდობის არარსებობა, კონფლიქტი, შეიარაღებული ბრძოლა სახელმწიფოებს, ან ერთი სახელმწიფოს შიგნით არსებულ სოციალურ ჯგუფებს შორის;

2. საომარი მოქმედებები, საომარი გამოსვლები, საომარი ოპერაცია. (ჟარგონული);

3. დაძაბული მდგომარეობა, შეუიარაღებელი კონფლიქტი სახელმწიფოებს შორის, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენს საკუთარი იდეოლოგიის სხვა სახელმწიფოებზე თავზე მოხვევა, მოწინააღმდეგის დასუსტება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა ურთიერთობებში და ა.შ. ინდუსტრული-ეკონომიკური ომები და სხვ. (გადატანითი მნიშვნელობით);

4. მტრული განწყობა, ბრძოლა და დაპირისპირება ცალკეულ პირებს, ან მოქალაქეებს შორის; ჩხუბი, დავა (გადატანითი).

ემოციურ- შეფასებითი კონოტაციების დადგენა ხდება პარემიების საფუძველზე: ომი - საშინელებაა, ამიტომ ჯობია თუ მას არ ნახავთ; ის დაკავშირებულია ტყუილთან, ქურდობასთან, ორგულობასთან; ომი არ არის ღვთიური საქმე; ომში დანაკარგი გარდაუვალია.

ამრიგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვა „ომი“ მართლაც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კონცეპტს რუსული ენის ცნობიერებაში და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რუსი ერის სამყაროს ენობრივ სურათში. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სიტყვა „ომი“ განხილულია რუსული ენის ყველა ლექსიკონში. სიტყვა „ომი“ არსებობს ენაში უძველესი დროიდან და მის

თავდაპირველ მნიშვნელობას არ განუცდია არსებითი ცვლილებები, მხოლოდ დრო-დადრო ემატებოდა გადატანითი მეტაფორული ხასიათის მნიშვნელობები და კონოტაციები (მაგალითად, *Война нервов, Война с самим собой, Холодная война*). წინამდებარე კონცეპტის მნიშვნელობაზე მიუთითებს აგრეთვე იმ ანდაზების, გამონათქვამებისა და ფრაზეოლოგიზმების სიმრავლე, რომლებსაც აქტიური გამოყენება აქვს რუსულ კულტურაში.

მასლოვას მიხედვით, სიტყვას ბრძოლა/ომიანობა გააჩნია შემდეგი გრამატიკულ-სემანტიკური მახასიათებლები: ვინ ვის წინააღმდეგ იბრძვის, ომში წასვლა, შეტევა/თავდაცვა. ომის წამოწყება. ხალხის, მიწების, სახელმწიფოების დაპყრობა. იყო ვინმესთან საომარ მდგომარეობაში, დაემუქრო ვინმეს ომით, აწარმოებდე ომს, გამოაცხადო საომარი მდგომარეობა; ეროვნული ომი, იმპერიალისტური ომი, სამართლიანი ომი, რევოლუციური ომი, სამოქალაქო ომი; ომის გამოცხადება, ომის წარმოება; ომში წასვლა; ომიდან დაბრუნება. *Война нервов* (გადატანითი).

**ლექსემები, შესაძლო სიტყვათშეხამებები, სიტყვა „ომის“ გამოყენებით:**  
თანამედროვე რუსულ ენაში ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი ლექსემები და სიტყვათშეხამებები, სიტყვა „ომის“ გამოყენებით: *причина войны (ომის მიზეზი), политика войны (ომის პოლიტიკა), пропаганда войны (ომის პროპაგანდა), подготовка войны (ომის მომზადება), предотвращение войны (ომის თავიდან აცილება), возможность войны (ომის შესაძლებლობა), угроза войны (ომის საფრთხე), опасность войны (ომის საშიშროება), близость войны (ომის სიახლოვე), объявление войны (ომის გამოცხადება), состояние войны (ომის მდგომარეობა), начало войны (ომის დაწყება), возникновение войны (ომის დაწყება/აღმოცენება), очаг войны (ომის კერა), ход войны (ომის მსვლელობა), расширение войны (ომის გაფართოება), эскалации войны (ომის ესკალაცია), ведение войны (ომის წარმოება), окончание войны (ომის დასრულება), годы войны (ომის წლები), жертвы войны (ომის მსხვერპლი), последствия войны (ომის შედეგები), итоги войны (ომის შედეგების შეჯამება), результаты войны (ომის შედეგები), уроки войны (ომის გაკვეთილები), опыт войны (საომარი გამოცდილება), участник войны (ომის მონაწილე), герой войны (ომის გმირი), инвалид войны (ომის*

*იხილეთ); противник (მოწინააღმდეგე), виновник (დამნაშავე), поджигатель войны (ომის დამწყობი). Вступление в войну (ომში ჩართვა). Участие, победа, поражение, перелом, поворотный пункт в войне (ომში მონაწილეობა, გამარჯვება, დამარცხება, გარდატეხა). Выход из войны (ომიდან გასვლა). Призыв, повод, готовность, подготовка к войне (ომისთვის მზად ყოფნა, ომის მიზეზი). Расходы, курс на войну (ომისკენ აღებული გეზი). Книга, повесть, рассказ, фильм о войне (წიგნი, მოთხრობა, თქმულება, ფილმი ომის შესახებ). Начать, развязать, готовить, спровоцировать, объявить, вести, продолжать, выиграть, проиграть, прекратить, предотвратить, навязать, довести до чего-л. (до победы, до победного конца), пережить войну (ომის დაწყება, გაღვივება, ომისთვის მზადება, პროვოცირება, ომის გამოცხადება, ომის წარმოება, ომის გაგრძელება, ომის მოგება/ომში გამარჯვება, ომის შეწყვეტა, ომის გადატანა). Ждать, бояться, опасаться, избежать войны ( ელოდებოდე, გეშინოდეს, უფრთხოდე, თავიდან აიცილო ომი). Грозить, угрожать войной (ომით დაემუქრო, შეამინო ვინმე).*

*В войне участвовать, победить, потерпеть поражение (ომში მონაწილეობა, გამარჯვება, დამარცხება). Во время войны быть где-л., находиться, делать что-л. (ომის დროს იმყოფებოდე სადღაც, აკეთებდე რამეს). В состоянии войны находиться, быть, оставаться (იმყოფებოდე, რჩებოდე საომარ მდგომარეობაში). До войны родиться, учиться, работать ( დაიბადო, სწავლობდე, მუშაობდე ომამდე). Из войны выйти, выйти победителем (დატოვო ომი, გამოხვიდე ომიდან გამარჯვებული). к войне готовиться, стремиться, призывать (ემზადებოდე, ისწრაფვოდე ომისკენ). На войну пойти, уйти (ომში წახვიდე). На войне быть, погибнуть (იყო ომში, დაიღუპო ომში). О войне рассказать, написать, делать что-л., работать где-л., (მოყვე, დაწერო ომის შესახებ, გააკეთო რაიმე ომისთვის, მუშაობდე სადღაც); Против войны выступать (გამოხვიდე ომის წინააღმდეგ). С войны вернуться (დაბრუნდე ომიდან). С войной покончить (მორჩე ომს).*

#### სიტყვა „ომის“ განმარტებები:

*ომი - короткая (მოკლე), длительная (ხანგრძლივი), затяжная (გაჭიანურებული), жестокая (სასტიკი), беспощадная (დაუნდობელი), разрушительная (დამანგრეველი), опустошительная (დამაცარიელებელი), кровопролитная (სისხლიანი),*

*братоубийственная (ძმათგამანადგურებელი), Победоносная (ძლევაძმოსილი), справедливая (სამართლიანი), священная (წმინდა), освободительная (განმათავისუფლებელი), народная (ეროვნული), партизанская (პარტიზანული), гражданская (სამოქალაქო), захватническая (მტაცებლური), агрессивная (აგრესიული), империалистическая (იმპერიალისტური), колониальная (კოლონიური), грабительская (მტაცებლური), оборонительная (თავდაცვითი), наступательная (შეტევითი), современная (თანამედროვე), мировая (მსოფლიო), атомная (ატომური), ракетно-ядерная, химическая (სარაკეტო-ბირთვული), бактериальная (ბაქტერიული), превентивная (პრევენციული), локальная (ლოკალური), тотальная (ტოტალური) და ა.შ.*

ზემოთმოყვანილი ეპითეტებისა და განსაზღვრებების დაყოფა შესაძლებელია რამდენიმე სემანტიკურ ჯგუფად, კერძოდ:

1. სამართლიანი, პროგრესული ომები: *великая (დიდი), народная (ეროვნული), оборонительная (თავდაცვითი), освободительная (განმათავისუფლებელი), отечественная (სამამულო)* და სხვ.

2. უსამართლო, რეაქციული ომები: *авантюристская (ავანტიურისტული), агрессивная (აგრესიული), хищническая (მტაცებლური), грабительская (ძარცვითი), грязная (ბინძური)* და სხვ;

3. ომის ხანგრძლივობა და მიმდინარეობა: *столетняя война (ასწლიანი ომი), безрезультатная (უშედეგო), затяжная, длительная (ხანგრძლივი), многолетняя (მრავალწლიანი)* და სხვ.

4. ომის სიმძიმე, ხასიათი და შედეგები: *беспощадная (დაუნდობელი), бесчеловечная (არაადამიანური), варварская (ბარბაროსული), кровавая (სისხლიანი), страшная (საშინელი), разрушительная (დამანგრეველი), безуспешная (წარუმატებელი), успешная, победоносная (წარმატებული)* და სხვ;

5. გამოყენებული იარაღის მიხედვით: *атомная (ატომური), бактериальная (ბაქტერიული), биологическая (ბიოლოგიური), химическая (ქიმიური)* და სხვ.;

6. ომის ლოკალური/გლობალური პარამეტრები: *мировая (მსოფლიო), глобальная (გლობალური), воздушная (საჰაერო), морская (საზღვაო), локальная (ლოკალური)* და სხვ.

7. ომის მონაწილეებისა და მიზნების მიხედვით: *гражданская (სამოქალაქო), империалистическая (იმპერიალისტური), колониальная (კოლონიური), революционная (რევოლუციური), тоталитарная (ტოტალური)* და სხვ.

როგორც მასლოვა აღნიშნავს, ლექსიკონები წარმოადგენენ აისბერგის ზედა ნაწილს, დანარჩენი კი რაც „წყალს ქვემოთაა“ - უკავშირდება კონცეპტი „ომის“, ძალიან ფართო დამატებით კონოტაციებს, რაც აისახება მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში.

ამრიგად, მოცემული მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რუსულ ენობრივ სივრცეში ომი დაკავშირებულია უდიდეს სევდასთან, უბედურებასა და ცრემლებთან. ი.ა. ბუნიინი ამბობს: *„Вот несчастье эта война, сколько горя повсюду“*. სისხლის ღვრასა და ზოგადად სისხლთან: ა. აზოლსკი-*„ручьём лилась кровь матросов и офицеров, в ручье этом и захлебнулись враги“*. ომი აღსავსეა გაუსაძლისი ადამიანური ტანჯვით: ლ. ანდრეევი - *„Тех, кто страдает на вашей проклятой войне“*. ი. ბონდარევი - *„Память о человеческих ошибках, войнах, страданиях“*.

ომი რუსი ადამიანის ცნობიერებაში აღძრავს გრძნობათა მთელ გამას, როგორცაა: საშინელება, ზიზღი, შიში; ის უკავშირდება ასევე ტკივილისა და ძლიერი სევდის გამო გოდებას; გაშმაგებას, სიძულვილს, მეზრძოლების სიბრალულს, სასოწარკვეთილებას. ომს შეუძლია ადამიანში გააღვიძოს ან გააძლიეროს ისეთი ადამიანური გრძნობები, როგორებიცაა: პასუხისმგებლობა, საკუთარი თავის გადალახვა, გამძლეობა, სიტყვისკაცობა, მადლიერება. რუს ხალხში არსებობს სტერეოტიპი, რომ ომგამოვლილი ადამიანი აუცილებლად უნდა იყოს გამობრძმედილი და სიკვდილთან შეგუებული. იხსენებს რა რუსი ადამიანი ომს, ჰყვება იმას, რა გამოიარა, რა ნახა, რას აკეთებდა. მეხსიერებაში ტივტივდება ბრძოლები, ომები, შეტაკებები. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ომის წარმოდგენა

შეუძლებელია მტრის გარეშე: „*В ручье крови и захлебнулись враги*“- ა. აზოლსკი. ფიქრობს რა ომზე, რუსი ადამიანი იმავდროულად ფიქრობს საკუთარ სამშობლოზე და უფრო მეტად - გრძნობს მასთან კავშირს.

ამრიგად, მოყვანილი მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კონცეპტს „ომი“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რუსული კულტურისა და ყველა რუსი ადამიანის კონცეპტუალურ სისტემასა და რუსული სამყაროს ენობრივ სურათში, საკმაოდ მკაფიო და ჭრელი ფერებითაა წარმოდგენილი. ლექსიკონების მასალები და რუსული ეროვნული კორპუსიდან ამონარიდები მეტყველებენ იმაზე, რომ ორმაგი კონცეპტი „ომი-მშვიდობა“ (არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ მნიშვნელოვანი კულტურული მარკერი - ლ.ტოლსტოის ცნობილი რომანი-ეპოპეა „ომი და მშვიდობა“) ხშირ რეალიზაციას პოულობს რუსულ მხატვრულ და პუბლიცისტურ ლიტერატურაში, რაც რუსეთის ისტორიის ეტაპებით აიხსნება.

### 3.3. კონცეპტი ომი-ინგლისური სამყაროს ენობრივ სურათში


კონცეპტს „ომი“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნებისმიერი ერის კულტურულ სივრცესა და ენობრივ სურათში, ამ მხრივ არც ინგლისელი ერია გამონაკლისი და აღნიშნული კონცეპტის შესწავლა საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ ერის, ასევე ცალკეული ინდივიდების, მენტალიტეტი.

ინგლისურ ენობრივ სამყაროში კონცეპტი „ომი“ არაერთგზისაა შესწავლილი. ჩვენ, აღნიშნული კონცეპტის კვლევისთვის, გამოვიყენეთ ნ.სტეპანოვას მიდგომა. ნ.სტეპანოვა იყენებს პოდკოვიროვის კონცეპტუალური ანალიზის მეთოდისას. მისი კვლევის საგანს წარმოადგენს სწორედ კონცეპტი „ომი“. სტეპანოვა აღნიშნული კონცეპტის შესასწავლად იყენებს რვა ძირითად ლექსიკონს, მათ შორის კემბრიჯისა და ოქსფორდის ლექსიკონებს, ასევე სინონიმებისა და ტრონდაიკის ლექსიკონებს. კონცეპტი „ომი“, აღნიშნული ლექსიკონების მიხედვით წარმოადგენს მრავალმნიშვნელოვან სიტყვას. მათში მოყვანილია „ომის“ სხვადასხვა განსაზღვრება, ასევე იცვლება არა მხოლოდ ამ მნიშვნელობების რაოდენობა, არამედ მათი ქვე-მნიშვნელობები და მიმართულებებიც. აქვე ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ლექსიკონების ერთ ნაწილში „ომი“ დეტალურადაა განსაზღვრული, ხოლო ნაწილში-მხოლოდ რამოდენიმე სიტყვით. საბოლოოდ ვგებულობთ, რომ ომი ეს არის-შეიარაღებული კონფლიქტი ორ ან მეტ ქვეყანასა და სახელმწიფოს შორის (armed conflict between two or more sides).

სტეპანოვა, ანალიზის შედეგად, გამოჰყოფს კონცეპტ „ომის“ ორ ლექსიკონ-სემანტიკურ ვარიანტს. პირველი ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტის მიხედვით, ომის განსაზღვრება შეიძლება შემდეგნაირად: „შეიარაღებული კონფლიქტი ქვეყნებს, ან ქვეყნის შიგნით მყოფ მხარეებს შორის“ (*A conflict carried on by force of arms, as between nations or between parties within a nation*; აქ შესაძლებელია შემდეგი სემების გამოყოფა: *conflict* (კონფლიქტი), *force* (შეიარაღებული ძალა), *arms* (ძალაუფლება), *nation* (ერი) *parties* (მხარეები). შემდგომში, სალექსიკონო სტატიების საფუძველზე, გვხვდება იმ სინონიმების განსაზღვრება, რომლებიც გამომდინარეობენ კონცეპტის ლექსიკურ-სემანტიკური ველიდან, შემდეგი განსაზღვრებებით: *battle* (ბრძოლა),

*bloodshed* (სისხლისღვრა), *combat* (შერკინება), *conflict* (კონფლიქტი), *contest* (ბრძოლა), *fight* (ჩხუბი), *hostility* (მტრობა), *strife* (ბრძოლა), *strike* (გაფიცვა/აჯანყება), *struggle* (ჩხუბი, ბრძოლა), *warfare* (ომი, შეტაკება).

ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტის მიხედვით, კონცეპტი „ომი“ წარმოდგენილია შემდეგი ზონებით: ბირთვი-*War* (ომი); ბირთვთან ახლო ზონა-*Fight* (ბრძოლა); უახლოესი პერიფერია- *Fight* (ჩხუბი), *Hostility* (მტრობა), *Strike* (გაფიცვა/აჯანყება), *Struggle* (ბრძოლა), *Warfare* (ომი/საომარი მდგომარეობა), *Clash* (შეტაკება), *Collision* (შერკინება/შეტაკება). შორი პერიფერია-*Combat* (შერკინება), *Strife* (ბრძოლა), *Bloodshed* (სისხლის ღვრა).



ნ.სტეპანოვა

ინგლისური სამყაროს ენობრივ სურათში, ომი განიხილება, როგორც შეიარაღებული მოქმედებები სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით. ბირთვთან ახლოს მდებარე ზონაში გვაქვს სიტყვა *battle* (ბრძოლა), როგორც ომის შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. უახლოეს პერიფერიაში ჩვენ გვხვდება ბრძოლის სხვადასხვა სახე, ისეთები როგორებიცაა: ჩხუბი, შეტაკება, საომარი მოქმედებები. მათი მეშვეობით ხდება ომის სახეების დიფერენცირება და ასევე იმ მნიშვნელოვანი აღქმების არსებობა, რომელთაგანაც ომი განუყოფელ ნაწილად რჩება ადამიანის ცნობიერებაში. მოშორებით პერიფერიაში გვხვდება სიტყვები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ გატანითი მნიშვნელობები და არ ახდენდნენ გავლენას, კონცეპტი „ომის“, როგორც ქვეყნებს შორის კოფლიქტის გაგებაზე. აშკარაა, ერის ქვეცნობიერებაში ომთან დაკავშირებულია ნეგატიური შეფასება და განცდები.




ამრიგად, ლექსიკოგრაფიული მონაცემების ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვეტანა დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად ფართოა კონცეპტ „ომის“ გაგება მრავალმხრივ მნიშვნელობებთან ერთად, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ინგლისელების ცხოვრებაში.

შემდგომ ეტაპზე სტეპანოვა განიხილავს აღნიშნული კონცეპტის ასოციაციურ-აზრობრივ ველს. ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების სისრულეს ის გამოხატავს, ბრიტანელი ავტორების ნაწარმოებების საფუძველზე, ესენია:

- *Pat Barker "Regeneration"*;
- *Zadie Smith "White teeth"*;
- *David Mitchell "Black swan green"*;
- *Ian McEwan "Atonement"*; („გამოსასყიდი“)
- *Jonathan Coal "What a carve up"*. („რა არის გასაყოფი“)

ასოციაციურ-აზრობრივი ველი წარმოადგენს ტექსტის კონცეპტუალური ანალიზის ინსტრუმენტს. მისი გამოვლინებისთვის გამოიყენება ლექსიკური სისტემისა და მასში არსებული ველების შესახებ წარმოდგენა, ხოლო ლექსიკური სისტემის დადგენა და მის შესახებ ცოდნის დაზუსტება ხდება ტექსტების შესწავლისა და მათზე დაკვირვების საშუალებით. თითოეულ ტექსტში ხდება საკვანძო სიტყვების გამოვლენა, ეს ის სიტყვებია, რომლებიც ატარებენ აზრობრივ მნიშვნელობას.

თანამედროვე ბრიტანელი მწერლების ნაწარმოებების შესწავლის შემდგომ მივიღეთ შემდეგი სურათი: *ბირთვი - War (ომი)*; *ბირთვთან ახლო ზონა - Death, Army (სიკვდილი, ჯარი)*; *უახლოესი პერიფერია - Struggle (ბრძოლა), Troops (საბრძოლო ძალები/ჯარი), Military (სამხედრო ძალები) Blood (სისხლი), Warfare (ომი/საომარი მდგომარეობა), Duty (სამსახურეობრივი მოვალეობა), Suffering (ტკივილი/ტანჯვა). მოშორებული პერიფერია - Agression (აგრესია), Slaughter (სასაკლაო), Heroism (გმირობა), Hostility (მტრობა), Domination (გაბატონება), Damage (ზიანი). როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, თანამედროვე ბრიტანელი ავტორების მასალებზე დაყრდნობით, კონცეპტ „ომის“ მთავარი შემადგენელი ნაწილია „სიკვდილი“.*



### ნ.სტეპანოვა

ამრიგად, თუკი კონცეპტი „ომი“ მოიაზრება, როგორც ქვეყნებს შორის კონფლიქტი, ინგლისური ენის მატარებლების ასოციაცია ამ კონცეპტთან მიმართებით არის - ბრძოლა. ინგლისელების ცნობიერებაში პირდაპირი მნიშვნელობითაა დაკავშირებული შეტაკებასთან, ბრძოლასთან, საომარ მოქმედებებთან. ყველაზე იშვიათად გვხვდება ისეთი ასოციაციები, როგორებიცაა: *კამათი /arguing*, *უთანხმოება /disagreement* და თითქმის არ გვხვდება *სისხლისღვრა /bloodshed* და *შეწინააღმდეგება /objecting*. ხოლო სტეპანოვას მიხედვით, საერთოდ არ არსებობს ისეთი ასოციაციები, როგორებიცაა: *ნგრევა, წუხილი, მშობლიური მიწის დაცვა* და სხვ. ეს კი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ინგლისელები თითქმის ყოველთვის სხვის ტერიტორიებზე იბრძოდნენ, ხშირ შემთხვევაში საკუთარი კოლონიალური, ან მსგავსი ინტერესების დასაცავად.

### 3.4. კონცეპტი ომი ქართული სამყაროს ენობრივ სურათში

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „ომი“ შემდეგნაირადაა განმარტებული:

1. შეიარაღებული ბრძოლა სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური, ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად;
2. ბრძოლა, შეტაკება, შეჭიდება, ჩხუბი;
3. შეურიგებელი მოქმედება, ენერგიულად გალაშქრება ვისიმე ან რისამე წინააღმდეგ (<http://www.nplg.gov.ge>).

„ქართლის ცხოვრება“ რომ გადავფურცლოთ ვნახავთ, რომ ძნელია მოიძებნოს ისეთი პატარა ქვეყანა, რომელსაც იმდენი ომი და ბრძოლა გადახდენია თავს, რამდენიც საქართველოს. ქართველი ერი დასაბამითგან დღემდე იბრძოდა საკუთარი ქვეყნის (და არა მხოლოდ) დასაცავად, საქართველოს ისტორიის თანახმად ქართველ ერს არაერთხელ უხდებოდა შინაურ და გარეულ მტრებთან გამკლავება.

*„არავის ვმსახურებდეთ, არცა ვემონოთ, გარეშე ღვთისა დამზადებლისა“*- ვკითხულობთ ქართლის ცხოვრებაში და არ არის საკვირველი, თუ რატომაც იბრძოდა ქართველი ერი საუკუნეების მანძილზე და რატომ არ იხრიდა ქედს სხვადასხვა ჯიშისა და რჯულის დამპყრობლების წინააღმდეგ. აქვე მოვიშველიებთ მეფე ვახტანგ გორგასლის სიტყვებსაც *„ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა!“*.

თავისი ისტორიიდან გამომდინარე ქართველი ერის ცნობიერებასა და ქართული სამყაროს ენობრივ სურათში თავისთავად შეიჭრა და საკუთარი მკაფიო ადგილი დაიკავა კონცეპტმა „ომი“. ქართველმა ერმა ყოველთვის იცოდა სიცოცხლის ფასი, იცოდა ბრძოლა, თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცავად არასოდეს ერიდებოდა ომს. ტიციან ტაბიძე წერს: *„მოდიოდენ, მოდიოდენ, მოდიოდენ, ვინც აიდგა ფეხი სასიარულოდ, ვინც იცოდა სიარული, ვისაც უნდოდა თავის გამოცდა, სიკვდილთან ახლოს დგომა. გზა მათი იყო საქართველოზე...და საფლავი მათი საქართველო...იდგა სისხლი მდინარედ და გზა გავდა აფთრის ნაკვალევს ხეობაში, ძვლებით მოკენჭილს... რა არის მთელი ისტორია საქართველოსი, თუ არა საბედისწერო დუელი...“* იგი ადარებს საქართველოს უძლეველ გლადიატორს,

რომელიც თავგანწირვამდე იბრძვის: „ღმერთის უზარმაზარ ქვეყანა -ცირკში იდგა საქართველო, როგორც უკვდავი გლადიატორი. ტანი მისი იყო დაჭრილი და ელავდა მეწამული იარებით, მაგრამ მაინც იდგა და იბრძოდა. რამდენად ძლიერი და მრავალი იყო მტერი, იმდენად ზვიადი და სასტიკი იყო ბრძოლა...მხოლოდ ჭრილობით აჭრელებული გლადიატორი იდგა და არ ტოვებდა ასპარეზს.“

ომი ქართველისთვის ვაჟკაცობა, თავდადება, სიცოცხლის წყურვილია:

„თავს არ მოიკლავს ქართველი არა,

ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს...

ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვსდევს,

ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!

ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოკვდეთ,

მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს!“

(ლადო ასათიანი „საქართველოში“).

ომი მიჯნურობაა, სამშობლოს სიყვარულია; რუსთაველის აზრით, ყოველი მიჯნურის ვალია, საკუთარი გულისწორისთვის გმირობა ჩაიდინოს, სამშობლო დაიცვას:

„ბნედიტი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?

სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!“

ამის შემდგომ მიდის სწორედ ტარიელი ხატაელებთან საბრძოლველად.

ომი სარწმუნოებაა, ქრისტიანობაა, საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებაა. ილია ჭავჭავაძე წერს: „ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღუღეთ მკერდი და ამ მკერდზე, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევიინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს-სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით...ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა-

პატოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავგამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე.“

ომზე საუბრისას, დაუშვებელია გვერდი ავუაროთ სიმბოლიკას, რომელიც ერთგვარ ხატადაც კი შეიძლება იქნას მიჩნეული, რომელიც მეტყველებს ქართველის ვაჟკაცობასა და თავდადებაზე სამშობლოს, თავისი ქვეყნის დასაცავად. ამ სიმბოლიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია „ქართველის დედა“, ქართველი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის მონუმენტური ქანდაკება თბილისში. „ქართველის დედა“ არის ქართული ეროვნული ხასიათის სიმბოლო: ქანდაკებას ცალ ხელში ღვინის თასი უჭირავს მოყვარეთათვის, ხოლო მეორეში კი - ხმალი მტერთათვის. ილია ჭავჭავაძემ არაჩვეულებრივი ლექსი მიუძღვნა „ქართველის დედას“, იმავე სათაურით:

*„ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა*

*უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;*

*დედის ნანასთან ქვითინი მთისა*

*მას უმზადებდა მომავალ გმირსა...*

*დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:*

*ისე აღზარდე შენ შვილის სული,*

*რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,*

*უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“: (1871)*

ომი პატრიოტიზმი, ოპტიმიზმი და ბრძოლაა:

*„არწივი ვნახე დაჭრილი ყვავ-ყორნებს ეომებოდა,*

*ეწადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ველარა დგებოდა“ (ვაჟა-ფშაველა);*

*„მამ, რაღად მინდა სიცოცხლე*

*მე, აწმყო-გამწარებულსა,*

*თუ ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,*

*ვხედავ მას აოხრებულსა...*

*არა! აყვავდეს იმედი!..*

*გულს ვერ გამიტებს ჭაღარა!..*

გმირებს უძახის...უყივის

ჩემი დაფი და ნალარა!.. (აკაკი წერეთელი „ჭადარა“).

ანდაზები ომზე ქართულ ენაში: ომიანობა ზოგს ააშენებს, ზოგს გადააშენებს; ომიანობა რომ არ იყვეს, გამარჯვებას პატივი არ ექნებოდაო; ომში ნაცადი ხმალისა იმედი გქონდეს სახლშიო; ომში რა სჯობიაო, და-რაც ხელში მოგხვდებაო; ომი სჯობს შეგნებულთანა, შეუგნებელთან ნადიმსაო; მჭვრეტელთ ომი არ ეძნელებათო; ომი დამთავრდა მშვიდობის გემინოდეთ; სხვა სხვის ომში ბრძენიაო.

ეპითეტები: ღირსეული ომი („მტერთან ბრძოლაც დაგვაავიწყდა, ღირსეული ომი.“-ი.ჭავჭავაძე); უსამართლო ომი; საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი; იმპერიალისტური ომი; ფიცხელი ომი („მაგრამ თუ ატყდა ომი ფიცხელი, შემოანგრის მზა ჯებირები, კალმის მაგივრად ხმალს ვტაცებ ხელსა, პოეტებს აქაც გავეჯიბრები“- ი.გრიშაშვილი); სამოქალაქო ომი; ცივი ომი; აგვისტოს ომი; ინტელექტუალური ომი; ინფორმაციული ომი.


კონცეპტი „ომი“ გამოიხატება შემდეგი სინონიმებით: ბრძოლა, შეტაკება, შეჭიდება, ჩხუბი: (ნუმც მინახია არწივი, შნო აღარ ჰქონდეს ომისა!-ვაჟა); („კვერნამ დაღრინა თავისი ბასრი კბილები და მივარდა ქოჩორასა, მაგრამ ქოჩორას მიეშველა მეორე კრუხი...და გაჩნდა საშინელი ომი“-ი.გოგებაშვილი); ომიანი (მომსკდარ ზვაავით შენ გზას ომიანს, შეხეთქებია ურდო ველური. (ა.აბაშიძე); ომიანობა (ქართველებს უფრო მეტი ზარალი მოსდიოდათ ამ განუწყვეტელი ომიანობისგან, ვიდრე ლეკებსა-ნ. ლომოური); ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „იქმნა ძლიერი და ფიცხელი ომი ველსაზედა შაბურანისასა, ძლიერად ბრძოდა მეფე და სპანი მისნი, სადა იგი სარგის ჯაყელმან, სახელოვანი ომი იყო წინაშე უფლისა“ (ქართლის ცხოვრება II:249); ასევე ფრიად საყურადღებოა, აღნიშნულ კონტექსტში რაფიელ ერისთავის „თაგვებისა და კატების ომი“ :

„დაერივნენ, ვით თხებს მგელი,

თაგვებმაც შემოგვიტყუეს-

და გაჩნდა ომი ფიცხელი!..“

მოყვანილი მაგალითების საფუძველზე შევიმუშავეთ კონცეპტის „ომი“, ლექსიკურ-სემანტიკური ველი, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:



ქართული ეროვნული კორპუსის (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>)

დამუშავების შედეგად გამოვყავით შემდეგი ფრაზეოლოგიზმები/იდიომები:

აირია მონასტერი; მტერს ანგარიში გაუსწორა; მოწინააღმდეგეს ანდერძი/წესი აუგო; ანკესზე წამოგება; ალგვა პირისაგან მიწისა; ბოლოს მოღება; განკითხვის დღის დადგომა; გზიდან ჩამოცილება; გულის დუღილი; სამშობლოსათვის გულის მიცემა; გულის მოკვლა; გულის ტკივილი; დედაბუდიანად მოთხრა; ერთი ყოფა დააწია; ზურგზე ბოლის ადენა-მტერს ზურგზე ბოლი აადინა (დაამარცხა, გაანადგურა); ზურგის გამაგრება; თავზე დატყდომა; თავი იჩინა, თავის გამოდება; თავის დაღწევა; თავს დასხმა; თვალების დავსება; კბილებამდე შეიარაღებული; კისრის მოგრება; კისრის მოდრეკა; კოვზის ნაცარში ჩავარდნა; კუდით ქვა ასროლინა; ლელოს გატანა; მეხი დაატყდა თავზე; მზე დაუბნელდა; მზე ჩაესვენა; მტვრის ადენა; მუსრის გავლება; მხარის დაჭერა; მხარში ამოდგომა; ნაცარტუტის ადენა; სეირის ჩვენება; სინსილის გაწყვეტა; სისხლი სწყურია; სისხლის აღება; სისხლის დაღვევა; სიცოცხლის მოსწრაფება; ტყავის გაძრობა; უკან დახევა; ფერფლიდან აღდგენა; შავი დღე აყარა; შური იძია; ჩიხში მომწყვდევა; ჩაძალდა; ცეცხლზე ნავთის დასხმა; ცეცხლში

ჩავარდნა; ძალლი პატრონს ვერ ცნობს; ძირიანად მოთხრა/ძირფესვიანად მოთხრა; ძირის გამოთხრა; წელში გატეხა; წუთისოფლის გამოსალმება; წყლის ამღვრევა;

კოლოკაციები: ომი ასტყდა; ქნეს ომი; შეგნებულთან ომი; ომი მოუგია; ომი წავაგეთ; ომი შრომისაა; ომი გვაქვ; ომი სიმძაფრით; გაახლდა ომი; ომი ავტეხოთ, მწარე ომი; ომი დაუწყია; გრძელდება ომი; ომი გერჩივნოს; ომი ატყდა; უცილოდ ომი; ფიცხელი ომი; თათრებთან ომი; ომი ახლოა; ომი უსისხლო; ომი მწადიან; შესწყვიტა ომი; ომი გვეუნება; ომი მოიხადა; ომი გათავდება; გაიმართა ომი; სახელოვანი ომი; ხმლის ომი; აქაური ომი; შორის ომი; გათავდა ომი; პირველად ომი; რამდენიმე ომი; თანა ომი; როცა ომი; ომი ჩვენს; ომი მისთვის; ეს ომი; ომი შინაა; ომი ჯერ; აქ ომი; ომი ხომ; ომი იქნება; მისი ომი; შემდეგ ომი; ეს ომი; ომი იყო.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ასევე, ცხრილის სახით მოვიყვანოთ საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული ცალკეული საომარი შეტაკებების კერძო სახელები საქართველოს ისტორიიდან:

ომი	ბრძოლა	შემოსევა	აღება	ლაშქრობა	აჯანყება
ქართულ-სელჯუკური ომები (1070-1230წწ.)	ფარსმან I-ის ბრძოლები	არაბთა შემოსევა ქართლში (650წ)	თბილისის აღება (627წ.)	ბულა თურქის ლაშქრობა (853წ.)	ანიკეტის აჯანყება (69წ.)
დიდგორის ომი (1121წ.)	შირიმინის ბრძოლა (1021წ)	რუმელი თურქების შემოსევები (1285-1306წწ.)	სიმშვილდის აღება (1110წ.)	მურვან ყრუს ლაშქრობა საქართველოზე (მე-8 საუკუნე)	ქართელთა ანტიირანული აჯანყება (482-484წწ.)
სომხეთ-საქართველოს ომი (1918წ.)	ბრძოლა თბილისის შემოერთებისთვის (1032-1040წწ.)		ძერნის აღება- (1110წ.)	ალფ-არსლანის ლაშქრობები საქართველოში(1064-1068წწ.)	ქართლის აჯანყება ირანელთა წინააღმდე



					გ (523წ.)
რუსეთ-საქართველოს ომი (1921წ.)	მანასკერტის ბრძოლა (1071წ.)		გიშის ალება (1117წ.)	ბერქა-ყაენის ლაშქრობა (1265წ.)	
რუსეთ-საქართველოს ომი (2008წ.)	ერწუხის ბრძოლა (1104წ.)		ლორის ალება (1118წ.)		
	დიდგორის ბრძოლა (1121წ.)		არჭემის ალება (1208-1209წწ.)		
	ბრძოლა ახალდაბასთან (1260წ.)				
	გარნისის ბრძოლა (1225)				
	ბოლნისის ბრძოლა (1227-1228)				

მოყვანილი მაგალითები გვაძლევს იმის საფუძველს ვთქვათ, რომ უწინ სიტყვა-*ომის* ნაცვლად უფრო ხშირად - *ბრძოლა* გამოიყენებოდა შეიარაღებული კონფლიქტების აღსანიშნავად.

მოცემული მაგალითების მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კონცეპტს „ომი“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული სამყაროს ენობრივ სურათში. ქართველისთვის ომი უპირველესად სამშობლოს, მშობლიური მიწის დაცვასთან იგივედება: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება“ - ვაჟა ფშაველა. ქართველი ვაჟკაცი სულით მეომარია, ის არაფრით უმინდება ომს, რომლის მიზანი სამშობლოს

კეთილდღეობა და თავისუფლებაა, სწორედ ასეთ დროს ქართველი ომით „გაუმადლარია“: „ჰეი, თქვენ არაგველებო, გაუმადლარნო ომითა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა“ - ლადო ასათიანი („კრწანისის ყაყაჩოები“). საქართველოში მრავლდაა სიმბოლო, რომელიც ქართველი კაცის მეომარ ბუნებას გამოხატავს, ერთ-ერთი მათგანია „ქართველის დედა“. „ქართველის დედა“ არის ქართული ეროვნული ხასიათის სიმბოლო, ქანდაკებას ცალ ხელში ღვინის თასი უჭირავს მოყვარეთათვის, მეორეში კი ხმალი - მტერთათვის.

ქართველისთვის ომი დაკავშირებულია ვაჟკაცობასთან, გმირობასთან, მამაცობასთან, შეუპოვრობასთან. ქართველები ოდითგანვე ომობდნენ და ებრძოდნენ მტერს საკუთარი მრწამსისა და მიწის დასაცავად. ომი ქართველისთვის სწორედ ღმერთის, ქრისტიანობისა და სამშობლოს სიყვარულისთვის თავგანწირვაა. ქართველი შეუპოვარია, ომის დროს, საკუთარი ქვეყნის სადარაჯოზე ის არასოდეს ეცემა სულით: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუბელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო რა“ - ილია ჭავჭავაძე.

კონცეპტი „ომის“ განხილვა სამყაროს სამ ენობრივ სურათში გვადლევს საშუალებას დავასკვნათ შემდეგი:

- 1) ორმაგი ხასიათის კონცეპტის („ომი-მშვიდობა“) მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კონცეპტი „ომი“, რომელსაც საკაცობრიო მნიშვნელობა გააჩნია, ამიტომ სამივე კულტურაში მისი ენობრივი გამოსახულება არის მრავალფეროვანი, რასაც ადასტურებს ჩვენს მიერ დამუშავებული და მოყვანილი მაგალითები.
- 2) საკვლევი კონცეპტის ენობრივი მარკერები სამივე ენაში წარმოდგენილია: ცალკეული ლექსემებით, ფრაზეოლოგიზმებით, მეტაფორული კონსტრუქციებით და განსაკუთრებული სიმრავლით კი - პარემიებით, რომლის ნაწილი ემთხვევა ერთმანეთს და ერთმანეთის შესატყვისია, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კონცეპტი „ომის“ მნიშვნელობას სამივე კულტურაში.

- 3) საკვლევო კონცეპტი დინამიურ სისტემას წარმოადგენს: ომის ტიპების ანალიზმა გამოავლინა ნაწილი ენობრივი მარკერებისა, რომელიც უკვე მოძველებულია, მაგ.: *ფეოდალური ომები, ჯვაროსნული ომები/ლაშქრობები* და ა.შ. ენობრივი მარკერების ნაწილი კი წარმოადგენს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის უშვალო შედეგს, მაგ.: *ატომური ომი, ქიმიური ომი, ბიოლოგიური ომი, ელექტრონული ომი* და სხვ.;
- 4) კონცეპტი „ომის“ ანალიზის შედეგად სამ ენაში, სწორედ მეტაფორულ დონეზე ამოტივტივდა ყველაზე დიდი განსხვავებები, მაგ.: ინგლისურ კულტურაში - *Happy Wars; Star Wars; Hammering War.*; რუსულში - *Священная война (არასაკრალური მნიშვნელობით); Чернильная война; Великая Отечественная Война; кнопочная война*; ქართულში - *ღირსეული ომი; ფიცხელი ომი; აგვისტოს ხუთდღიანი ომი* და სხვ.
- 5) საკვლევო კონცეპტის ენობრივი მარკერები პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:
- ა) საკაცობრიო მნიშვნელობით განპირობებული ენობრივი შესატყვისები (World War – мировая война - მსოფლიო ომი);
- ბ) ეროვნული ხასიათის განსხვავებული ენობრივი მარკერები, პირველ რიგში ფრაზეოლოგიზმები და პარემიები (*И еще бы воевал, да пуцаль потерял; ფიცხელი ომი*);
- გ) ამ ჯგუფებს შორის განლაგებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის რეგიონალური მარკერები (მაგალითად, ყველა საბჭოურ რესპუბლიკაში *დიდი სამამულო ომი* კალკირებული ფორმით იყო წარმოდგენილი) და სხვ.

## IV თავი

### კონცეპტების თარგმნის პრობლემების განხილვა

#### 4.1. ტექსტი-თარგმანი-კონცეპტი

კულტურული მეხსიერების ენობრივ მარკერებზე საუბრისას აუცილებელია ხაზი გავუსვათ ტექსტის მნიშვნელობას, ვინაიდან სწორედ ტექსტია ენობრივი მარკერების ფუნქციონირების სფერო. ტექსტი წარმოადგენს სრულიად ჰუმანიტარული მეცნიერებათა ციკლის ამოსავალ წერტილს, იარაღს; ის არის კვლევის ობიექტიც, კულტურული მეხსიერების მარკერიც და თვით ამ კულტურის მატარებელიც, რადგან კონცეპტუალური ანალიზის წარმოება ტექსტის გარეშე შეუძლებელია. თარგმნის პროცესშიც კი ტექსტი ყურადღების ცენტრშია: მთარგმნელი იწყებს წყარო ტექსტის აღქმით და ასრულებს მისი მოღვაწეობას სამიზნე ტექსტის შექმნით.

კონცეპტუალური ანალიზი არის, პირველ რიგში იმ დიდი თეზაურუსის აკუმულირება, სადაც ხდება ამა-თუ იმ ცნების კონცეპტად გარდაქმნა. კონცეპტი, რომელიც სხვადასხვა ერის კულტურაში ჩნდება და ხასიათდება დინამიკურობით, იქცევა ამ კულტურის შემადგენელ ნაწილად, კულტურის მარკერად.

ბოლო პერიოდში ტერმინი „კულტურა“ და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ყველაზე მეტად აქტუალური გახდა ლინგვისტური ნაშრომებისთვის. კულტურული ფონის მრავალფეროვნება იძულებულს ხდის მეცნიერებს გლობალიზაციის პირობებში შეისწავლონ აქტუალური საკითხები. კერძოდ კი, როგორ გახადონ ეფექტური კულტურათმშორისი კომუნიკაცია? როგორ შეძლონ სხვა კულტურის არსის წვდომა ისე, რომ ამასთანავე შეინარჩუნონ და არ დაივიწყონ თავიანთი საკუთარი? სხვა კულტურისა და ენის შესწავლის დროს, როგორ წამოსწიონ წინა პლანზე საკუთარი კულტურული ფასეულობები? როგორ აღუდგინენ წინ დისკრიმინაციას და პირიქით, მოახდინონ ტოლერანტობისა და ემპათიურობის

გამოვლინება? როგორ გადათარგმნონ ტექსტი ისეთნაირად, რომ მაქსიმალურად შეინარჩუნონ უცხო ან მშობლიური კულტურის თავისებურება და სხვ.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, მკვლევარები ერთხმად თანხმდებიან, რომ შესასწავლია კულტურათშორისი დიალოგის კანონზომიერებები. დღესდღეობით, თანამედროვე ლინგვისტური ანთროპოცენტრული პარადიგმის ფარგლებში ენათშორისი თეორიისა და თარგმანმცოდნეობის შესწავლა ფუნდამენტურია, ვინაიდან მათი შესწავლის სფეროს სწორედ „კულტურა“ და „კომუნიკაცია“. სამწევრიანი ფორმულა „ენა - კულტურა - კომუნიკაცია“ მრავალდონიანი და მრავალასპექტიანია. მათი შესწავლის არეალი - ტექსტია. ტექსტი ყოველთვის იყო და რჩება ყველაზე უფრო მოთხოვნად კატეგორიად მთელ რიგ მეცნიერებებში საკვლევო კუთხით. ტექსტის, როგორც ლინგვისტური კვლევების ობიექტის, ფენომენი საკმაოდ მრავალმხრივი და არაერთმნიშვნელოვანია. აღნიშნული კატეგორიის სამეცნიერო ცოდნის სხვადასხვა ვექტორში ინტერპრეტაციისას, აქცენტი ყოველთვის კეთდებოდა მისი არსის ყველა შესაძლო ასპექტზე, ვინაიდან ტექსტი წარმოადგენს რთულ ენობრივ ნიშანს, სტატიკური სისტემის ნაწილს, დინამიკურ ერთეულს (ტექსტის შექმნის, ტექსტის შესწავლისა და ტექსტის აღქმის კუთხით), კომპონენტს, კულტურის გამოვლინებას, კულტურათშორისი კომუნიკაციის საშუალებას, სოციალურ ფენომენს, დისციპლინათშორის ობიექტს და მრავალკოდირებულ სივრცეს (ტარევა, 2014:99).

ცხადია, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში ტექსტის შესწავლა ხდება მისი „ვერტიკალური“ ნაწილის (მხოლოდ ფორმის) უარყოფით და განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ტექსტის მრავალგანზომილებიანი, მოცულობითი სიღრმე, შინაარსი. მოდერნიზმში ტექსტი წარმოადგენს „ტექსტს ცხოვრებაში“, ეს არის არამხოლოდ ლინგვისტური ტექსტი, არამედ კულტურის სისტემები და ქვესისტემები. ყოველივე თქმული აღნიშნავს, რომ ნიშანთა სისტემაში ხდება ყველა მიმართულებით მოძრაობა -ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად, დიაგონალზე და ა.შ. ამასათან უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი ეს მიმართულება არ არის პრივილეგირებული, ყველა მათგანი ერთნაირად მნიშვნელოვანია. ტექსტის შესწავლის პროცესში ყურადღებას იმსახურებს არამხოლოდ ტექსტი მთლიანობასა და ერთობლიობაში,

არამედ მისი ცალკეული კომპონენტები, ობიექტები, სიტუაციები და მათი ურთიერთმიმართებები (ტარევა, 2014: 100).

როგორც ვხედავთ, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტექსტი განიხილება, როგორც სტრუქტურა-სემანტიკური, კომუნიკაციური ერთეული, როგორც სისტემა, შემოქმედება, როგორც კომუნიკაციურ-კოგნიტიური მოდელი, როგორც სისტემა, ინფორმაციულ-ფუნქციონალური გამოვლინება. ლინგვოკულტურულოგიაში, ტექსტის შესწავლა ტრადიციულად ხდება ლინგვისტურ მიმდინარეობებსა და მიმართულებებთან მჭიდრო ურთიერთობაში. თარგმანმცოდნეობაში კი გასათვალისწინებელია ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ტექსტის თავისებურება, რომელიც ენობრივი და კულტურული ურთიერთდაკავშირებული კოდის სპეციფიკას ქმნის.

ბოლო პერიოდში, მეცნიერებების ყურადღებას იპყრობს ტექსტის სამი მიმართულებით შესწავლა ლინგვისტურ სივრცეში. პირველი მიმართულება ინტენსიურად სწავლობს ავთენტური ტექსტის პარამეტრებსა და მახასიათებლებს, რომლებშიც იგულისხმება „ზეპირი და წერილობითი ტექსტები, რომლებიც წარმოადგენენ ამა თუ იმ ენისა და კულტურის მატარებლების სამეტყველო საქმიანობის რეალურ პროდუქტებს. ტრადიციულად ავთენტურ ტექსტს უპირისპირდება „არავთენტური“, რომელიც საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოხატავს ენისა და კულტურის მატარებლების ობიექტური სამყაროს ენობრივ სურათს. ავთენტური ვერბალური ტექსტი საშუალებას იძლევა ადეკვატურად იქნას გადმოცემული ენის მატარებლებების კომუნიკაციური კომპეტენციები, რომლებსაც შეუძლიათ შეასრულონ ანალიზის ობიექტის, ინტერპრეტაციისა და ამავდროულად რეპროდუქციის მოდელის როლი. სწორედ ავთენტური ტექსტი იძლევა შესასწავლი ენის ქვეყნის რეალურ კონტექსტში წვდომის საშუალებას. ასეთი ტექსტი ახდენს ენის ფუნქციონირების ილუსტრაციას განსაზღვრულ, ბუნებრივ სოციოკულტურულ კონტექსტში. საერთო აღიარებით, ავთენტური ტექსტები ამაღლებენ შესწავლის მოტივაციას, ააქტიურებენ და ამწვავებენ შემსწავლელების კოგნიტიურ შემოქმედებას (აროშიძე, მაზმიშვილი, 2013:20).

მეორე თანამედროვე „განზომილება“ ტექსტისა, ლინგვისტიკაში ხორციელდება მისი შეპირისპირებით დისკურსთან. როგორც ჩანს, ტექსტის გააზრების მოცემული რაკურსი გამომდინარეობს ტექსტის კვლევის მიმართულებით კომუნიკაციური აქტის სტრუქტურისკენ. ლინგვისტიკაში ასეთი მიდგომა გულისხმობს, რომ მხოლოდ ტექსტი კი არ წარმოადგენს თვითმიზანს, არამედ ის კომუნიკაციური დადგენილება, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტული ადრესატისთვის და რომელიც ასახულია ტექსტში. ამასთან დაკავშირებით, ტექსტის შემოქმედების პროცესში აქტუალიზირებულია ექსტრალინგვისტური ფაქტორები და უპირველეს ყოვლისა, ტექსტის ზოგადი ჩანაფიქრი, განპირობებული და ურთიერთდაკავშირებული კომუნიკაციური აქტის მიზნით და ტექსტის მომავალი რეციპიენტის კომუნიკაციური პორტრეტით (ტარევა, 2014:101).

ტექსტის „შიდა ყოფის“ გააზრებისკენ მიდრეკილებამ, მისმა „თვითორგანიზაციამ“ მიიყვანა სწავლულები მოცემული ფენომენის კვლევამდე კოგნიტიურ-დისკურსული ლინგვისტური პარადიგმის ჭრილში. დისკურსი, როგორც „რთული კომუნიკაციური გამოვლინება, ტექსტის გარდა საკუთარ თავში მოიაზრებს ექსტრალინგვისტურ ფაქტორებსაც (სამყაროს ცოდნა, მოსაზრებები, დადგენილებები, ადრესატის მიზნები), რომლებიც აუცილებელია ტექსტის გაგებისათვის და შესაბამისად, წარმოადგენს ლინგვოდიდაქტიკისთვის შესწავლის მნიშვნელოვან ობიექტს.

ტექსტის, როგორც თანამედროვე სისტემის ელემენტის, მესამე გააზრება გულისხმობს მის „ჩამირვას კულტურულ კონტექსტში“. თანამედროვე მომენტში ავთენტური ტექსტის კულტურული განპირობება არანაირ ეჭვს არ იწვევს. კულტურული მარკირება მთლიანობაში განიხილება, როგორც ტექსტუალურობის აუცილებელი პირობა. კონვენციური სოციოკულტურული ცოდნა აკუმულირდება ენაში და ვლინდება ამა თუ იმ ენობრივი ერთეულების შერჩევისას, ამიტომაც უცხოენოვანი ტექსტი წარმოადგენს ამ კულტურის ნიშნობრივ ფენომენს. ამ კონტექსტში, უცხო ენოვანი ტექსტი, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც კომუნიკაციური და ამავდროულად სოციოკულტურული ერთეული, გამოსახავს, აფიქსირებს და გადმოსცემს ენის მატარებლის ენობრივი და კულტურული სამყაროს

სურათს. სწორედ ამ ფუნქციის წყალობით, ტექსტი ხდება კულტურის სემიოზის ფენომენი და შესაბამისად, ამის წყალობით, ის მონაწილეობს როგორც კულტურის ნიშანთა სისტემის შექმნაში, ასევე სემიოტიკური სისტემის, სემიო სფეროს შენებაში, განუწყვეტლივ ამდიდრებს რა მას ნიშნებით, აზრებითა და კონცეპტებით (ტარევა, 2014:102).

არ არის რთული შესამჩნევი ამ გაანალიზებული სამი კომპონენტის ურთიერთ კავშირი და ურთიერთ დამოკიდებულება ლინგვოკულტუროლოგიაში ისინი ურთიერთიკვეთებიან და განსაზღვრავენ ერთმანეთს. უცხო კულტურის არსის წვდომაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ავთენტურ ტექსტს. კულტურათმორის მიდგომებში, ტექსტი, როგორც ლინგვოდიდაქტიკური ფენომენი, არ კარგავს ზემოთ აღწერილ ღირებულებებსა და მახასიათებლებს, და ამასთან, ხდება მისი გამომხატველი ნიშნების კონკრეტიზაცია. ამ კუთხით, ტექსტი ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა განიხილებოდეს, როგორც კულტურათმორის კომუნიკაციის ფენომენი.

ჩვენ ვიზიარებთ ტარევას აზრს, რომ სწორედ ტექსტის, როგორც კულტურათმორის კომუნიკაციის არხის, გავლით ხდება სხვა ერის შეცნობა. ტექსტის არსებობა კულტურათმორის კომუნიკაციაში ახდენს ტექსტის აქტუალიზირებას ახალ კულტურულ-კომუნიკაციურ გარემოში. ასეთი გადასვლის დროს თავს იჩენს გარკვეული პრობლემები. ტექსტის ადეკვატურ გაგებას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ავტორისა და ადრესატის კონტექსტები ერთმანეთს ემთხვევა. ლინგვისტიკაში ტექსტის ფლობა კულტურათმორის კომუნიკაციაში ახდენს ორივე ფენომენის, ტექსტისა და თვით კულტურათმორის კომუნიკაციის, საინტერესო კუთხით შესწავლის პროვოცირებას.

ტექსტი განიხილება, როგორც ენობრივი ნიშანი, რომელიც თავის მხრივ შესდგება ნაკლებად მოცულობითი ენობრივი ნიშნებით. ტექსტი, როგორც რთული ენობრივი ნიშანი, მარტივი ენობრივი ნიშნების მსგავსად, შესდგება სამი სემიოტიკური პარამეტრისგან: სინტაქსური, რომელიც გამოხატავს ნიშნების ურთიერთმიმართებას; სემანტიკური - გამოხატავს მიმართებას ნიშანსა და



მნიშვნელობას შორის და პრაგმატიკისგან, რომელიც გულისხმობს ნიშნის წყაროსა და რეციპიენტს შორის ურთიერთობას (ალექსეევა, 2008:10).

ტექსტის მიმართ ფუნქციონალურმა მიდგომამ, ასევე ტექსტის სხვადასხვა მახასიათებლების კვლევამ, მეცნიერები მიიყვანა კომუნიკაციური ლინგვისტიკის ევოლუციამდე და შესაბამისად, აიძულა ისინი გარკვეული კორექტირება შეეტანათ სამეტყველო კომუნიკაციის მოდელში და შეეცვალათ წარმოდგენა კომუნიკაციურ აქტებზე. 70-იან წლებში დომინირებდა შეხედულება კომუნიკაციურ აქტებზე, როგორც გამოთქმების გაცვლაზე, ამასთან, გამოთქმების ქვეშ იგულისხმებოდა წინადადებები, ხოლო ტექსტი განიხილებოდა, როგორც გამოთქმების თანმიმდევრობა. კომუნიკაციური აქტის ასეთ წარმოდგენას, ჩვენ ვხვდებით თითქმის ყველა ნაშრომებში, რომელიც ეხება თარგმანის თეორიას, მათ შორის კომისაროვისა და სხვათა ნაშრომებში. ამ შემთხვევაში, კომუნიკაციის ერთეულად ითვლება წინადადება (გამოთქმა) და სწორედ ის იტვირთება საკომუნიკაციო ფუნქციით, მაშასადამე წარმოადგენს კომუნიკაციური ამოცანის მატარებელს.

80-იანი წლების დასაწყისიდან, გამოთქმების ქვეშ იწყებენ ტექსტისა, თუ მისი ფრაგმენტის გაგებას და ამჯერად სწორედ ტექსტი მოიაზრება კომუნიკაციურ ერთეულად. კომუნიკაციურმა ლინგვისტიკამ თავისი კორექტივები შეიტანა ტექსტის შემადგენელი ნაწილების გაგებაშიც. ტექსტი - ლინგვისტური ან ლინგვო-გამომსახველობითი კომპლექსია, რომელიც იქმნება განსაზღვრული მიზნით, საკომუნიკაციო ნტენციით და აკისრია შემეცნებითი, კომუნიკაციური ფუნქცია.

ადეკვატური მეორეული ტექსტის მისაღებათ თარგმნის შედეგად ასევე მნიშვნელოვანია ტექსტის აღქმის ფსიქო-ლინგვისტური ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია ტექსტის შექმნასა და გაგებასთან, ტექსტის ფონეტიკური მახასიათებლები, არგუმენტირების თეორია და ასევე სტილისტური პრობლემების მთელი კომპლექსი. ზემოდ განხილული საკითხები მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენენ ტექსტის თარგმნისა და ზოგადად ტრანსლატოლოგიის მიმართულებით.

კულტურული მეხსიერების თვალსაზრისით ჩვენ გვინტერესებს უშუალოდ ტექსტისა და მისი თარგმნის პრობლემები, კერძოდ, რა ტრანსფორმაციებს

გამოიყენებს მთარგმნელი, რამდენად ხდება მის მიერ კულტურული მარკერების შენარჩუნება, თუკი შუამავალმა ვერ შესძლო მათი გადაცემა სამიზნე ენაზე, ან ჩათვალა, რომ მეთოდოლოგიური მთარგმნელობითი თვალსაზრისით მათი გადაცემა ნაკლებად მნიშვნელოვანია და ამის შედეგად რა დაიკარგა ნათარგმნ ტექსტში კულტურული მარკერებიდან. ტექსტის თარგმნის დროს მათში გამოყენებული კულტურული მეხსიერების მარკერების ტრანსფორმაციის, ტრანსკოდირების პრობლემა, თუ რამდენად გასაგებად ხდება კულტურული მეხსიერების მარკერების გადმოტანა სხვა კულტურის წარმომადგენლისთვის - ეს საკითხი წარმოადგენს სწორედ ჩვენი ინტერესის სფეროს. თარგმანის დროს, როდესაც საქმე გვაქვს კულტურულ კონცეპტებთან, არის ორი სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებული და საინტერესო მიმართულება. პირველი მიმართულება, როდესაც ავტორი პირდაპირ კი არ თარგმნის და არ გადმოაქვს ენობრივი მარკერები სამიზნე ენაში, არამედ ქმნის ამ კულტურისთვის დამახასიათებელ და მშობლიურ სახეს და მთლიან აჯერებს მას კულტურული რეალიებით (აკ. წერეთლის თარგმანები კრილოვის იგავ-არაკებისა). ეს წარმოადგენს სწორედ სიუჟეტის ტრანსფორმაციას, მაშასადამე, როდესაც მთარგმნელი იღებს ტექსტს, მასალას, მაგრამ თარგმნისას გვთავაზობს კულტურულ ტრანსფორმაციას. ამ შემთხვევაში ენობრივ ტრანსკოდირებას კი არა, არამედ კულტურის ტრანსკოდირებას აქვს ადგილი, როდესაც ერთი კულტურის რეალია, მეორე კულტურის რეალიაში გადაყავს და უშვებს ამით გამოწვეულ ცვლილებებს. მეორე მიმართულება არის - როდესაც მთარგმნელს შეუძლია აღწეროს სხვა ერის კულტურა, სამიზნე ენის კულტურის წარმომადგენლებისთვის გასაგებ ენაზე, მაგრამ იმისათვის, რათა მან შეინარჩუნოს წყარო ენის კულტურის თავისებურებები და განსაკუთრებულობა, ის მაქსიმალურად ტოვებს ამ წყარო ენის სიტყვებს, უბრალოდ აკეთებს ტრანსლიტერაციას, ეს არის სხვა მეთოდი, ამ შემთხვევაში კულტურის ტრანსფორმაცია კი არ ხდება, არამედ ადგილი აქვს მხოლოდ ენობრივ ტრანსფორმაციას და მთარგმნელი ამით ორ კულტურას ახვედრებს ერთმანეთს, კულტურული დიალოგის დონეზე. სხვადასხვა ტიპის ტექსტების თარგმნისას, კულტურული მეხსიერების ძირითადი ენობრივი

მარკერების შენარჩუნება, არ შენარჩუნების თვალსაზრისით, წარმოადგენს სწორედ ჩვენს ძირითად ამოცანას და წინამდებარე თავის სპეციფიკურ მიდგომას.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და ფსიქოლინგვისტიკის განვითარებამ ხელი შეუწყო თარგმანის თეორიულ გააზრებას, რის შედეგადაც თარგმანი მოიაზრება, როგორც მრავალფეროვანი მოვლენა, რომლის პროცესში მიმდინარეობს არა მარტო ენობრივი ფორმების შეფარდება, არამედ ორი ერის მსოფლმხედველობის შეპირისპირება.

კულტურული მეხსიერების ენობრივი მარკერები თარგმანის პროცესის შედეგად სამ ძირითად ეტაპს გადიან:

1. ორიგინალური ტექსტის აღქმა მთარგმნელის მიერ, რომელიც ბილინგვია და ამ ეტაპზე ასრულებს ადრესატის ფუნქციას. ამ ეტაპს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან შუამავალმა მაქსიმალურად უნდა აითვისოს ტექსტური ინფორმაციის ყველა მარკერი, მათ შორის ფარულიც.

2. მთარგმნელი ეძებს წყარო მარკერებისა და სამიზნე მარკერების შესატყვისებს და იყენებს უამრავ მთარგმნელობით ტრანსფორმაციას.

3. მესამე ეტაპზე სამიზნე ტექსტის რედაქტირებისას მარკერები განიცდიან პრაგმატულ ადაპტაციას, ვინაიდან სხვა ენის მატარებელი ამავდროულად უცხო კულტურის წარმომადგენელია, მას გააჩნია სხვა ფონური ცოდნა, სხვა წარმოდგენა წეს-ჩვეულებებზე, სხვა გამოცდილება.

ვერნეს მიხედვით, ორიგინალი ტექსტის გადაკოდირება ხდება ნათარგმნ ტექსტად შუალედური ეტაპის გავლით, რომელსაც წარმოადგენს „მეტატექსტი“ ენის დონეზე, სწორედ აქ ხდება გენერატიული, არაენობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება (ვერნე, 1949:85) ვერნეს კვალდაკვალ ბევრი მკვლევარი გვთავაზობს ანალოგიურ მოდელებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ სხვადასხვა ტექსტების ტიპოლოგიურ ნიშნებს. გამონაკლისს წარმოადგენს თარგმანის კომპლექსური პროცედურის მოდელი (პროცედურული მოდელი), რომელიც ეკუთვნის ვ.ვილსს. კონკრეტული ტექსტის თარგმანთან დაკავშირებით ის გვთავაზობს თარგმანისთვის რელევანტურ ოთხ პარამეტრს:

1. ტექსტის თემა (რაზეა ტექსტში საუბარი);

2. ტექსტის ფუნქცია (რა მიზანი აქვს ტექსტს);
3. ტექსტის პრაგმატიკა (რომელ რეციპიენტებს ითვალისწინებს წყარო);
4. ტექსტის ზედაპირი (ლექსიკა და სინტაქსი) (ვილსი, 1960:65).

ვილსი ამგვარად ახორციელებს გადასვლას გენერატიული უნივერსალური ენობრივი მოდელისგან ტექსტური ტიპოლოგიის მოდელზე თარგმანის პროცესში ენობრივი გამოვლინებების განხილვებს მიემდვნა ასევე ჟ. ვინესა და ჟ. დალბერნეს ნაშრომები „ფრანგული და ინგლისური ენების შეპირისპირებითი სტილისტიკა, თარგმანის მეთოდი“, რომელიც გამოიცა 1958 წელს. ავტორები თარგმანის პროცესის მოდელირებისას გამოჰყოფენ შვიდ პროცედურას, ემყარებიან რა ენის ზედაპირული სტრუქტურების შეპირისპირებას. ავტორების სამეცნიერო მიდგომაში თარგმანის პროცესთან ადგილი აქვს წინააღმდეგობას, რომელზეც პირველად შტოლცემ მიუთითა. მან აღმოაჩინა ორ ენობრივ სისტემას შორის სტრუქტურული ცვლილებები. ჟ. ვინე და ჟ. დალბერნე მტკიცებულების სახით იყენებენ კონკრეტული სამეტყველო აქტებისა და კონკრეტული ტექსტების თარგმანის მასალებს. ამ ავტორების შეხედულებები საშუალებას გვაძლევს ჩამოვყალიბოთ წარმოდგენა იმის შესახებ, რომ თარგმანის პროცესი შეიცავს პროცედურების მთელ რიგს, რომელიც ლინგვისტური აღწერის საგანს წარმოადგენს.

ძველი ლინგვისტური მიდგომის წარმომადგენლად, რომელიც ორიენტირებულია ორი ენობრივი სისტემის შეპირისპირებაზე, ითვლება ჯ. კეტფორდი. თარგმანის თეორიის ობიექტად ის თვლის ენებს შორის ურთიერთობას და განიხილავს მას როგორც შედარების ნაწილს. თარგმანის პროცესისთვის ავტორი ახდენს თარგმანის წესების ფორმულირებას, რომელიც საშუალებას იძლევა მოძიებულ იქნას საჭირო გრამატიკული ეკვივალენტი; ამ შემთხვევაში კონტექსტის გათვალისწინება არ ხდება. თარგმანის ყველა პრობლემას, მათ შორის ეკვივალენტობასაც, ჯ. კეტფორდი განიხილავს ენობრივ სისტემაში ენის დონეების მიხედვით, ხოლო ეკვივალენტობის დადგენას გვთავაზობს წინადადების დონეზე. ამ შემთხვევაში ფაქტობრივად კეთდება დასკვნები არა თარგმანის კანონზომიერებების, არამედ ორი ენის სისტემის ობიექტური შეპირისპირების შესახებ.

მომდევნო წლებში იქმნება მთელი რიგი ნაშრომებისა, რომლებშიც განვითარებულია ჟ. ვინესა და ჟ. დალბერნეს პრინციპული პოზიციები სხვადასხვა მასალაზე დაყრდნობით. ყველა მცდელობას, მოახდინონ რაც შეიძლება მეტი შემთხვევის ფორმულირება მათი ენობრივი გამოვლინებების მოქცევაში, მივყავართ ორმხრივ შედეგამდე. ერთის მხრივ, ამ შემთხვევების ერთ სისტემაში მოქცევა იწვევს, ე.წ. „პრეცედენტული წესების“ შექმნას, რომელიც წარმოადგინა პ. ნიუმარკმა და რომელთა რიცხვიც გამოცემიდან გამოცემამდე იზრდებოდა. თავდაპირველად მკვლევარი აყალიბებს 7 პრეცედენტულ წესს, შემდეგ - 23, ხოლო საბოლოოდ მათი რიცხვი 83-ს აღწევს. მეორეს მხრივ, მცდელობები, რომ ზუსტად მოხდეს მთარგმნელის მიერ თარგმანის პროცესში გაკეთებული პროცედურების აღწერა, წარმოდგენას ქმნის ე.წ. ტექნოლოგიურ პროცესზე, რომლის შედეგადაც ჩნდება გაგება „თარგმანის ტექნიკა“. ამ წესების საფუძველზე ხდება თარგმანის შეფასების მექანიზმის სქემა და შეცდომების კვალიფიკაცია (ალექსეევა, 2008:35).

დინამიკური პარადიგმის საფუძველი გახდა ი. ნაიდას კონცეფცია დინამიკური ეკვივალენტობის შესახებ. როგორც ცნობილია, ის იყო პირველი, რომელმაც შემოგვთავაზა აზრი, თარგმანის მოდელის განხილვისას გათვალისწინებული ყოფილიყო რეციპიენტის რეაქცია ტექსტზე, ხოლო მოგვიანებით ტეიბერთან ერთად, მოახდინა თარგმანის სამფაზოვანი მოდელის (ანალიზი-ტრანსფერი-სინთეზი) ფორმულირება და სწორედ აქ, მან წინა პლანზე წამოსწია კონკრეტული ტექსტის სპეციფიკის აუცილებლად გათვალისწინება.

საწყის პერიოდში ხშირად ხდებოდა ისე, რომ მკვლევარები გამოხატავდნენ „ტექსტის“ მნიშვნელობას, მაგრამ კონცეპტუალურად მათი შეხედულებები მაინც სტატიკური პარადიგმის ჩარჩოებში რჩებოდა. თარგმანის თეორიის სკოლის წარმომადგენელი, ალბრეხტ ნოიბერტი, განიხილავდა რა ეკვივალენტობის გაგებას, უკვე 1973 წლიდან იწყებს კომუნიკაციური სიტუაციისა და ტექსტის ტიპის თარგმანის ენაში (მაგრამ არა-ტექსტში) გათვალისწინებას, ხაზს უსვამს რა, მაშინდელ წარმოდგენას: ტექსტი-როგორც ენის ერთ-ერთი დონე. აქვე აღსანიშნავია, რომ სწორედ ნოიბერტი ახდენს ტექსტის ტიპების ფორმულირებას თავის ნაშრომში: „ტექსტის ტიპები-რომლებიც ისტორიულად არიან მოქცეული ენაში, მეტ-ნაკლებად

წარმოადგენენ კომუნიკაციის ნაწილს“. ნოიბერტის ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ, ტექსტი, როგორც მთლიანობა, პირველად მიიჩნევა ეკვივალენტობის რელევანტურ ერთეულად (ალექსეევა, 2008:36).

დინამიკური პარადიგმა საბოლოოდ ფეხს იკიდებს 70-80 იან წლებში, მან შეცვალა ლინგვისტური ფენომენის განხილვის ვექტორი, გადავიდა რა ენების სისტემური შეპირისპირებიდან ტექსტების შეპირისპირებაზე და სწორედ ამ ქმედებით მოახდინა თარგმანის თეორიაში ახალი მექანიზმის ამოქმედება. ვინესა და დარბელნეს აზრით, სწორედ ტექსტი წარმოადგენს თარგმანის ჭეშმარიტ ერთეულს: „თარგმნება მხოლოდ ტექსტები; ამასთან ტექსტები იბადება არამხოლოდ ენობრივი საშუალებების დახმარებით, არამედ გარკვეულწილად მათ გარეშე“. ეს საფუძველი წარმოადგენს ძირითად პრინციპს, რომელზეც თარგმანში ყველაფერია დამოკიდებული“. ვ. დრესლერი გამოეხმაურა ახალ სტატიას, რომელზედაც ატყდა კამათი უთარგმნელობასთან დაკავშირებით, ის ზუსტად აღწერს იმ მოვლენის არსს, რომელიც შემდგომ თარგმანის თეორიაში ცნობილია, როგორც კომპენსაცია: “ის რაც შეუძლებელია წინადადების დონეზე, კომპენსირდება ტექსტის დონეზე“. მოგვიანებით, აკეთებს რა ანალიზს, თარგმანის თეორიაში ტექსტის ლინგვისტიკის მიერ სიახლის შეტანასთან დაკავშირებით, ავსტრიელი მკვლევარი ერიხ პრუნჩი აღნიშნავს: „ტექსტური ერთიანობის დონეზე, ნებადართულია თარგმანის თეორიულ შეუძლებლობასა და წარმატებული მთარგმნელობითი პრაქტიკის შეპირისპირება“ (ალექსეევა, 2008:37).

ალექსეევა გვთავაზობს კოლერის კლასიფიკაციას და ამბობს, რომ მოგვიანებით, 1992 წელს, ვ.კოლერი გვთავაზობს თარგმანზე ორიენტირებული ტექსტის ჟანრების კლასიფიკაციას. ყველა ტექსტს ის ყოფს ორ ჯგუფად: ფიქტიურ ტექსტებად და სპეციალურ, ან საქმიან ტექსტებად, აღნიშნავს რა, რომ ეს ტექსტები ეკვივალენტობის კუთხით, ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ფიქტიური ტექსტების ქვეშ ავტორი გულისხმობს ლიტერატურულ ტექსტებს, ხოლო საქმიან ტექსტებს ის ასევე ჰყოფს სამ ჯგუფად:

1. უტილიტარული (გამოყენებითი, პრაგმატული);
2. პოპულარული;

### 3. სპეციალური.

კოლერის მიხედვით, ამ ტექსტებს შორის განსხვავება გამომდინარეობს ოთხი კრიტერიუმით:

1. სოციალური სანქციები/პრაქტიკული შედეგები (ლიტერატურული სახის ტექსტებში, შეცდომა რაოდენ მნიშვნელოვანი და დიდიც არ უნდა იყოს ის, უარყოფითად ვერ აისახება სოციუმზე; ხოლო რაც შეეხება საქმიან ტექსტებს, აქ დაშვებულ შეცდომებს სერიოზული სოციალური შედეგები მოჰყვება);

2. ფუნქციონალურობის კრიტერიუმი (ლიტერატურული ტექსტები გამოგონილია და არ შეესაბამება რეალობას; საქმიან ტექსტებში მთარგმნელი აუცილებლად უნდა ორიენტირდეს რეალობაზე);

3. ესთეტიურობის კრიტერიუმი (ლიტერატურული ტექსტების აღქმა ხდება ესთეტიკურ რაკურსში, ამიტომაც მთარგმნელმა უნდა გადმოსცეს ენობრივი ექსპერიმენტატულობა; საქმიანი ტექსტი კი უნდა იყოს უზუალურად ზუსტი);

4. შიდალინგვისტური, სოციოკულტურული და ინტერტექსტუალურობის კრიტერიუმი (დამახასიათებელია მხოლოდ ლიტერატურული ტექსტებისთვის და თარგმანისას ნაწილობრივ საჭიროებენ დენოტატის შეცვლას; საქმიან ტექსტებში მათი გადმოსცემა შეუძლებელია, ვინაიდან დენოტატიური ეკვივალენტობა მათში აუცილებელია).

კოლერის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია ძალიან ზოგადია და არ წარმოადგენს და არ განიხილავს ტექსტების მთელ მრავალფეროვნებას. განსხვავების საბაზო პარამეტრი-რეციპიენტის მოლოდინი, ცხადია, არასაკმარისია იმისათვის, რათა წარმოვიდგინოთ ყოველი კონკრეტული ტექსტის სპეციფიკა და მასზე დაყრდნობით შეიქმნას მექანიზმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევქმნათ, ორიგინალის ეკვივალენტური ნათარგმნი ტექსტი, როგორც კომუნიკაციის ერთეული (ალექსეევა, 2008:39).

უფრო მეტი მოწესრიგებულობით ხასიათდება ტექსტების ტიპოლოგია. თარგმანზე ორიენტირებული, ასეთი ტიპოლოგიის პირველი სერია გამოჩნდა 1974 წელს. კ. რაისი ყოფს ტექსტებს კომუნიკაციურ ფუნქციასთან დამოკიდებულებით, ეყრდნობა ტექსტების ფუნქციას და გამოჰყოფს: ინფორმაციულ, ექსპრესიულ,

ოპერატიულ ტექსტებს და განიხილავს მხოლოდ ამ უკანასკნელს. კ. რაისი ცდილობს სრულყოფილი გახადოს თავისი კლასიფიკაცია, ისწრაფვის განიხილოს ყველა არსებული ტექსტის მრავალფეროვნება, რაც პირველი სერიის კლასიფიკაციაში მას არ გამოსდიოდა და ამიტომაც დაამატა მეოთხე კატეგორია-აუდიომედიალური ტექსტები, მაგრამ ამით არღვევს საკუთარი კლასიფიკაციის ერთიან კრიტერიუმს. მნიშვნელოვანი როლი ტექსტისა და მისი თარგმანის სფეროში ითამაშა სამეტყველო აქტების თეორიამ, რომელიც საჭიროებდა მთარგმნელის მიერ მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების გათვალისწინებას. ტექსტში წარმოდგენილი სამეტყველო აქტების სპეციფიკას და მათ თარგმანში გადატანას მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნა მ. სნელ-ჰორნბმა, შეადარა რა ერთმანეთს ინგლისური და გერმანული ტექსტები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ წინამდებარე თავის დასაწყისში, თითოეული ერის თავისებურება და მენტალობა გამოხატულია მის ეროვნულ ენობრივ და კულტურულ სურათში. თარგმანის სიძნელეები პირველ რიგში აიხსნება მათი თავისებურებით კონცეპტუალურ დონეზე. საკაცობრიო მნიშვნელობის კონცეპტებშიც კი ყველა ერის კულტურულ გამოცდილებაში აკუმულირდება განსხვავებული დამატებითი კონოტაციები, რომელშიც, როგორც სარკეში, ირეკლება ერის ისტორია, ტრადიციები და სხვ.

ვინაიდან ჩვენ ვმუშაობდით ომის აღმნიშვნელ ენობრივ მარკერებზე, ანალიზმა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებში გამოავლინა მათი ორ ჯგუფად დაყოფა:

- 1) პირველ ჯგუფს ჩვენ მივაკუთნებთ მთარგმნელობით შესატყვისებს, რომლის სიახლოვე განპირობებულია კონცეპტის ფართო გავრცელებით და საკაცობრიო მნიშვნელობით;
- 2) მეორე ჯგუფში მოვათავსეთ ენობრივი მარკერები, რომლებშიც გამოხატულია სპეციფიკური, ამა თუ იმ კულტურისთვის დამახასიათებელი მეტაფორული ერთეულები.

მასალის დამუშავებისას, ჩვენ გამოვყავით შემდეგი მთარგმნელობითი შესატყვისები, სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით:



ომის სახეები:

ინგლისური	რუსული	ქართული
<i>Electronic warfare</i>	<i>Информационная война</i>	საინფორმაციო ომი
<i>Information warfare</i>	<i>Электронная война</i>	ელექტრონული ომი
<i>Asymmetric warfare</i>	<i>Асимметричная война</i>	ასიმეტრიული ომი
<i>Civil war</i>	<i>Гражданская война</i>	სამოქალაქო ომი
<i>Cold war</i>	<i>Холодная война</i>	ცივი ომი
<i>Nuclear warfare</i>	<i>Ядерная война</i>	ბირთვული ომი
<i>Religious war</i>	<i>Религиозная война</i>	რელიგიური ომი
<i>Total war</i>	<i>Тотальная война</i>	ტოტალური ომი
<i>Economic warfare</i>	<i>Экономическая война</i>	ეკონომიკური ომი

საინტერესოა შესატყვისი: *Proxу war - Война чужими руками - ომი შუამავლის მეშვეობით*. ინგლისურ ენაში *Proxу* - ნდობით აღჭურვილ პირს ნიშნავს, ამიტომ ქართული შესატყვისი საკმაოდ ზუსტია (ომი შუამავლის მეშვეობით), რუსულ ენაში კი გამოყენებულია ცნობილი ფრაზეოლოგიზმი - *чужими руками* (სრული ვარიანტი - *чужими руками жар загребать*).

საკვლევი კონცეპტის ანალიზის შედეგად ჩვენ ასევე გამოვავლინეთ პარემიემის ანალოგები:

ინგლისური	რუსული	ქართული
<i>If you want peace, (you must) prepare for war/To a man prepared for war peace is assured.</i>	<i>Если хочешь мира, будь готов к войне.</i>	გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვის.
<i>All's fair in love and war.</i>	<i>В любви и на войне все средства хороши.</i>	ომში რა სჯობიაო, დარაც ხელში მოგხვდებაო.

<i>If you are far from enemy make him believe you are near.</i>	<i>Держи друзей близко, а врагов еще ближе.</i>	<i>მტერმა მტრის ამბავი თუ იცის, მასთან ბრძოლა არ გაუმნელოდებაო.</i>
---	---	---

მაგრამ უფრო ხშირია განსხვავებული პარემიები, მაგალითად, რუსული ანდაზები: «*Кому война - а кому мать родна*», «*Не хвались, идучи на рать, а хвались, идучи с рати*»; ქართული ანდაზები: „*ომიანობა ზოგს ააშენებს, ზოგს გადააშენებს*“, „*ომიანობა რომ არ იყვეს, გამარჯვებას პატივი არ ექნებოდაო*“, „*ომში ნაცადი ხმალისა იმედი გქონდეს სახლშიო*“. *War makes thieves, and peace hangs them (Scottish Proverb), It takes two blows to make a battle (English proverb); He that makes a good war, makes a good peace (English proverb). If you want peace, prepare for war (English proverb).*

კონცეპტი ომი მრავალფეროვანი მარკერებით არის გამოხატული და სამივე საკვლევი ენაში წარმოდგენილია ამ ცნების საინტერესო კომბინატორიკა, რომელიც ჩვენ ორ ნაწილად დავყავით:

- 1) კონცეპტი ომის თანხვედრი სინტაგმატიკის მაგალითები;
- 2) კონცეპტი ომის არათანხვედრი სინტაგმატიკის მაგალითები.

**კონცეპტი ომის თანხვედრი სინტაგმატიკის სივრცე:**

<ul style="list-style-type: none"> <li>• <i>The reasons of war;</i></li> <li>• <i>War policy;</i></li> <li>• <i>War propaganda;</i></li> <li>• <i>Prepare for war;</i></li> <li>• <i>Termination of the war;</i></li> <li>• <i>To avoid war;</i></li> <li>• <i>The possibility of war;</i></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <i>Причины войны</i></li> <li>• <i>Политика войны;</i></li> <li>• <i>Пропаганда войны;</i></li> <li>• <i>Подготовка войны;</i></li> <li>• <i>Прекращение войны;</i></li> <li>• <i>Предотвращение войны;</i></li> <li>• <i>Возможность</i></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <i>ომის მიზეზები</i></li> <li>• <i>ომის პოლიტიკა;</i></li> <li>• <i>ომის პროპაგანდა;</i></li> <li>• <i>ომის მომზადება;</i></li> <li>• <i>ომის შეწყვეტა;</i></li> <li>• <i>ომის თავიდან აცილება;</i></li> <li>• <i>ომის შესაძლებლობა;</i></li> </ul>
---	---	--

<ul style="list-style-type: none"> <li>• <i>War threats;</i></li> <li>• <i>War threats;</i></li> <li>• <i>The proximity of war;</i></li> <li><i>To declare war.</i></li> </ul>	<p style="text-align: center;"><i>войны;</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <i>Угроза войны;</i></li> <li>• <i>Опасность войны;</i></li> <li>• <i>Близость войны;</i></li> <li>• <i>Объявление войны.</i></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <i>ომის საფრთხე;</i></li> <li>• <i>ომის საშიშროება;</i></li> <li>• <i>ომის სიახლოვე;</i></li> <li>• <i>ომის გამოცხადება.</i></li> </ul>
--	--	--

**კონცეპტი ომის არათანხვედრი სინტაგმატიკის სივრცე:**

ინგლისურ ენაში: *Happy Wars; Hammering War; Star Wars; Dispenser War, Hundred Years' War; Bishops' Wars; Quasi-War; Cyber war.*

რუსულ ენაში: *Священная война, Отечественная война, Великая Отечественная война, Ледовое побоище, Чернильская война* და სხვ.

ქართულ ენაში: *ღირსეული ომი; ფიცხელი ომი; აგვისტოს ხუთდღიანი ომი* და სხვ.

არათანხვედრი სინტაგმატიკის ზონაში პირველ რიგში განლაგებულია მეტაფორული ხასიათის ერთეულები, ვინაიდან ყველა აღნიშნულ კულტურაში მოიპოვება სპეციფიკური გამოცდილება. ცნობილი ამერიკული ფილმი „ვარსკლავური ომები“ ბადებს შესაბამის მეტაფორულ ერთულს - „ვარსკლავების ომები“, რომელიც ხშირად გამოიყენება თანამედროვე ამერიკულ პრესაში ცნობილი მსახეობებისა და სპორტსმენების კონფლიქტების დასახასიათებლად.

საკვლევი კონცეპტის ქართულ მარკერებს შორის საინტერესოა ხატოვანი ეპითეტები (ფართო მნიშვნელობით - მეტაფორები) - *ღირსეული ომი; ფიცხელი ომი*. ქართულ კულტურაში ჩამოყალიბებულია განსაკუთრებული დამოკიდებულება ომის მიმართ.

რუსულ ენობრივ მარკერებში განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს ეპითეტი - *წმინდანი* (არასაკრალური მნიშვნელობით), ეს სიტყვა იყო გამოყენებული დიდ სამამულო ომზე დაწერილ სიმღერაში, რათა გაეძლიერებინათ მეტაფორის ზეწოლა საბჭოთა კავშირის მოსახლეობაზე, სიმღერა იმ ომის ნამდვილი სიმბოლოთ იქცა. აგრეთვე ინტერესს იწვევს სიტყვა - *სამამულო* (*Отечественная*), ორივე შემთხვევა ეხება იმ იშვიათ ომებს, როდესაც რუსეთი და მისი მემკვიდრე - საბჭოთა კავშირის

ტერიტორიას იცავდა (1812 წლის სამამულო ომში - ნაპოლეონის არმიიდან და 1941-45 წწ. - ფაშისტური გერმანიიდან).

აღნიშნული სინტაგმატიკური ზონის პერიფერიაზე იმყოფება სიტყვათა შესატყვისების შექმნის მექანიზმი, რომელიც ერთიანია სამივე ენისათვის - ომის ჩატარების ადგილისა და დროის დაზუსტება, მაგრამ, ამ შემთხვევაში სახეზეა განსხვავებული ტოპონიმიკა (მეტ წილად ეს ეხება ცალკეულ ბრძოლებს):

ინგლისურენოვან სამყაროში:

*War of the North and the South, The War of the White and the Red Roses, The Anglo-Zanzibar War (August 27, 1896).*

რუსულ სამყაროში:

*Взятие Казани, взятие Астрахани, взятие Новгорода, покорение Сибири, присоединение Крыма.*

ქართულ სამყაროში:

*სამგორის ბრძოლა, დიდგორის ბრძოლა, ბრძოლა ახალდაბასთან.*

საინტერესოა, რომ ქართულ ისტორიაგრაფიაში ხშირ შემთხვევაში ომის ნომინაციაში დაფიქსირებულია დამცრობელის სახელი:

*თემურლენგის შემოსევა, რუმელი თურქების შემოსევა, ბულა თურქის ლაშქრობა, თბილისის აღება ჯალალედინის მიერ და სხვ.*

რუსულ ისტორიაში ჭარბობს ზმნიდან წარმოებული არსებითი სახელები - აღება (*Взятие Новгорода, Взятие Казани, Взятие Астрахани*), აგრეთვე ხშირად გამოიყენება სიტყვები - *присоединение, покорение (присоединение Крыма, присоединение Северного Кавказа; покорение Сибири).*

მაგალითები მოყვანილია ქართული, რუსული და ინგლისური ენების ეროვნული კორპუსის ბაზაზე. კორპუსების დამუშავების შედეგად სამ ენაში, მივიღეთ სტატისტიკის სურათი, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

- რუსულ ენობრივ კორპუსში კონცეპტი „ომი“ გამოყენებულია 18 984 დოკუმენტში, 121 295-ჯერ; სტატისტიკა მოცემულია ავტორების რაოდენობის, ავტორთა სქესის, ფუნქციონირების სფეროს, ტექსტის ტიპის, ტექსტის თემატიკისა და ჟანრის მიხედვით;

- ბრიტანული ეროვნული კორპუსი წარმოდგენილია რამდენიმე სახით, კერძოდ Brigham Young უნივერსიტეტი, სადაც კონცეპტი „ომის“ გამოყენების 26881 შემთხვევა ფიქსირდება; ლანკასტერის უნივერსიტეტი-27217 გამოყენების შემთხვევა 2204 სხვადასხვა ტიპის ტექსტში; ოქსფორდის უნივერსიტეტი, სადაც სამწუხაროდ წვდომა შეუძლიათ მხოლოდ აღნიშნული უნივერსიტეტის სტუდენტებს;
- რაც შეეხება ქართული ენის ეროვნულ კორპუსს, აქ წარმოდგენილია კონცეპტი „ომის“ გამოყენების 22172 შემთხვევა. თუმცა ამ შემთხვევაში ის კლასიფიკაცია, რომელიც მოცემულია რუსული ენის ენობრივ კორპუსში აქ ნაჩვენები არ არის;

ამრიგად, წარმოდგენილი მაგალითების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კონცეპტი „ომი“ ნეგატიური ემოციითაა წარმოდგენილი. რუსულ ენაში ეს ნეგატიურობა უფრო მძაფრად და მკაფიოდაა გამოხატული. ინგლისურ ენაში „ომი“ იგივდება ბრძოლასთან და არცთუ ისე ფატალურადაა წარმოდგენილი. ის აქ არ იგივდება სისხლისღვრასთან, ტანჯვასთან, წამებასა და გოდებასთან. რაც შეეხება ქართულ ენას, ომი აქ უფრო ემოციურად განიცდება და ბევრად უფრო უკავშირდება სამშობლოსა და საკუთარი მიწის სიყვარულს. გვხვდება ლექსემა „ომის“ მსგავსი და განსხვავებული კომბინატორიკა, ფრაზეოლოგიური დამთხვევებიც და განსხვავებებიც. თუმცა ფაქტი ერთია, კონცეპტს „ომი“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნებისმიერი ერის კულტურულ სივრცესა და ენობრივ სურათში და აღნიშნული კონცეპტის შესწავლა საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ ერი და მისი მენტალიტეტი.

ქართული, რუსული და ინგლისური ენების სამყაროს ენობრივი სურათის ანალიზი ტექსტების დონეზე, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ კონცეპტი „ომი“ სამივე კულტურაში მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი და ნაწილობრივ ხდება მათი გადაფარვა. ამავდროულად, კონცეპტი „ომის“ ენობრივ მარკერების ნაწილს ახასიათებს ეროვნული სპეციფიკა, რომელიც საყურადღებოა მთარგმნელობითი საქმიანობაში.

## 4.2. კულტურული კონცეპტების თარგმნის სპეციფიკა

კულტურული კონცეპტების თარგმნა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ ამოცანას მთარგმნელისთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კულტურა და კულტურათმშორისი კომუნიკაცია ბევრად უფრო რთული ფენომენია, ვიდრე ეს ზოგადად წარმოსადგენია. მთარგმნელის კომპეტენციაზე დამოკიდებული თარგმანის ხარისხი, მაშასადამე, რაც უფრო მეტ ცოდნას ფლობს მთარგმნელი კულტურათა მახასიათებლებსა და კულტურათმშორის განსხვავებულობაზე, მით უფრო კარგია თარგმანი. მთარგმნელი თეორეტიკოსები ჯერ კიდევ უძველესი პერიოდიდან აღიარებდნენ კულტურული ცოდნის პრობლემებსა და კულტურებს შორის განსხვავებებს. სწორედ კულტურის შესახებ ცოდნა და კულტურათმშორის განსხვავებები წარმოადგენდა მთარგმნელობითი პრაქტიკისა და თეორიის შესწავლისას მთავარ საგანს, სწორედ მათზე კეთდებოდა მთავარი აქცენტი. წინამდებარე ქვეთავში ჩვენ წარმოვადგენთ სტრატეგიებს, რომლებიც გამოყენებულია სხვადასხვა თეორეტიკოსის მიერ კულტურული კონცეპტების თარგმნისას. ვფიქრობთ, რომ იეს სტრატეგიები დაეხმარება მთარგმნელებს თარგმანის პროცესში და შუამავლები, კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე სწორად შეარჩევენ უფრო ეფექტურ და მისაღებ პროცედურებს. ჩვენი აზრით, მსგავსი კოგნიტური კვლევები კონცეპტუალური მიდგომის აუცილებლობაზე მეტყველებენ, და ანალიზის შედეგად მიღებული ემპირიული მასალა დაეხმარება მთარგმნელებს სწორი მთარგმნელობითი სტრატეგიის არჩევაში.

ოდითგანვე დიდ ყურადღებას იქცევდნენ სიტყვები, რომლებიც წარმოადგენდნენ კონკრეტული კულტურის თავისებურებას და მათი თარგმნა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ხანგრძლივი დებატები იმართებოდა იმის თაობაზე თუ როდის მომხდარიყო მათი პერიფრაზირება, როდის გამოყენებულიყო ყველაზე ახლო ეკვივალენტი, როდის შექმნილიყო ახალი სიტყვა (განსაკუთრებით მხატვრული თარგმანისას) და როდის მომხდარიყო უბრალოდ მისი ახსნა-განმარტება. სწორედ ეს „უთარგმნელი“ კულტურის მატარებელი სიტყვები, თუ ფრაზები, მუდმივად „ხიზლავდნენ“ მთარგმნელებსა და მთარგმნელობით თეორეტიკოსებს. ამ მხრივ პირველი თეორია განავითარა ფრანგმა მეცნიერმა ჟორჟ

მუნენმა 1963 წელს, რომელმაც ხაზი გაუსვა ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობას, ამბობდა რა, რომ თუკი მოხდება მხოლოდ მათი მნიშვნელობის თარგმნა, რამდენად სწორად შეასრულებდნენ ისინი მათზე დაკისრებულ ფუნქციას (მუნენი, 1963:50). პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ეს კულტურული ელემენტი არ მოიაზრებს მხოლოდ ცალკეულ ენობრივ ერთეულებს, რა უნდა გააკეთოს მთარგმნელმა, როდესაც წყარო ენის წარმომადგენლების ფონური ცოდნა გაჯერებულია კულტურის გამოძახილით? კულტურის ცნება აუცილებელია თარგმანის პროცესში, მიუხედავად განსხვავებული აზრისა იმის შესახებ ენა არის კულტურის ნაწილი თუ არა, ეს ცნებები იმის ნისანია, რომ კულტურა და ენა გაუმიჯნავია.

1964 წელს ნაიდამ განიხილა თარგმანში შესაბამისობის პრობლემა, მიანიჭა რა თანაბარი მნიშვნელობა როგორც ლინგვისტურ, ასევე კულტურულ განსხვავებებს წყარო და სამიზნე ენებს შორის და დაასკვნა, რომ კულტურათა განსხვავებას უფორ მეტი დაბრკოლების შექმნა შეუძლია მთარგმნელისთვის, ვიდრე ენობრივ სტრუქტურებს შორის განსხვავებებს. ის დასძენს, რომ მნიშვნელოვანია როგორც კულტურული მახასიათებლები, ასევე ლექსიკური საკითხები. ნაიდას განმარტებები ფორმალური და დინამიკური ეკვივალენტობისა, მოიაზრებს თარგმანზე კულტურის გავლენას. მისი აზრით, მნიშვნელოვანია სამიზნე ენის მკითხველს შეეძლოს წყარო ენის კონტექსტის შესახებ მეტი ინფორმაციის გაგება, მისი წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, აზროვნების მანერისა და გამოხატვის საშუალებების წვდომა. ამ იდეის საპირისპიროა მოსაზრება, რომ დინამიკური ეკვივალენტობა „ცდილობს დაუკავშიროს ერთმანეთს რეცეპტორი და საკუთარი კულტურის რელევანტური ქცევის ფორმა“, იმის დაჟინების მიუხედავად, რომ რეცეპტორი იგებს წყარო ენის კონტექსტის კულტურას“ (ნაიდა, 1964:87). იმის მიხედვით, პრობლემები მრავალფეროვანია, გამომდინარე ორ ენაში არსებული კულტურული და ენობრივი განსხვავებულობისა. გარდა მთელი რიგი პრობლემური ფაქტორებისა, (ფორმა, მნიშვნელობა, სტილი, ანდაზები, იდიომები და ა.შ), რომლებსაც მთარგმნელი აწყდება თარგმანის შესრულების პროცესში, კულტურული კონცეპტები კიდევ უფრო ართულებენ ამ ისედაც რთულ საქმეს. მთარგმნელებმა, წყარო ტექსტის ანალიზის

პროცესში უნდა შესძლონ პირველ რიგში კულტურული კონცეპტების გამოვლენა და შემდეგ უკვე სწორი სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება მათი თარგმნის დროს. უფრო მეტიც მათ უნდა იცოდნენ როგორ შეინარჩუნონ ტექსტის შინაარსობრივი და სტილისტური მხარე ისე, რომ მკითხველმა ისეთივე სიამოვნება მიიღოს მისგან, როგორც ეს ორიგინალ ტექსტშია.

კულტურის გამომხატველი კონცეპტები არის ენობრივი მარკერები, რომლებიც განპირობებულია კულტურული მრავალფეროვნებით. ლიუსის მიხედვით „ჩვენ ერთხმად ვადიარებთ, რომ კულტურული მრავალფეროვნება მასშტაბური და შესანიშნავია“ (ლიუსი: 2006:4). მსოფლიოში უამრავი განსახვავებული კულტურაა, ყველა მათგანი უნიკალური და საინტერესოა. ფაქტობრივად, ზოგიერთი კონცეპტი ბევრ კულტურაში გვხვდება, მაგრამ მათი მნიშვნელობები განსხვავებულია. ეს განსხვავებები შეიძლება ზოგჯერ იმდენად მრავალრიცხოვანი იყოს, რომ შეიძლება გვეგონოს, რომ ამ კულტურის წარმომადგენელი ერი მხოლოდ საკუთარი თვალთა უყურებს სამყაროს. ლიუსი ამბობს, რომ თითქოს სხვადასხვა კულტურები სხვადასხვა სამყაროში ცხოვრობენ.

კულტურული განსხვავებულობა საგრძნობლად შესამჩნევია ლიტერატურაში. მხატვრულ ლიტერატურის პერსონაჟები წარმოადგენენ და გამოხატავენ ამ კულტურისთვის დამახასიათებელ წეს-ჩვეულებებს, ადათებს და ა.შ. თარგმანის განვითარების ეპოქაში ხშირია როდესაც ხდება კულტურათა შეჯახება, ვინაიდან განსხვავებული კულტურის წარმომადგენელი, განსხვავებული კუთხით, განსხვავებული თვალთა აღიქვამს წყარო ტექსტს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში მთარგმნელის კომპეტენტურობაზეა ბევრი რამ დამოკიდებული, მან უნდა შეძლოს ისეთი მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების განხორციელება, რომლებიც სამიზნე ენაზე შექმნილი ტექსტის აღქმას გაუადვილებს მკითხველს. აქ აუცილებელია განიმარტოს კულტურის ცნება, კულტურის გამომხატველი კონცეპტების მნიშვნელობა და ა.შ.

პიტერ ნიუმარკი განსაზღვრავს კულტურას შემდეგნაირად: „ცხოვრების არსის გადმოცემა იმ გზით, სადაც საზოგადოება იყენებს კონკრეტულ ენას და მისი გამოხატვის საშუალებებს“, მაშასადამე, ცხადია, რომ თითოეულ ენობრივ ჯგუფს



გააჩნია საკუთარი კულტურული მახასიათებლები. პიტერ ნიუმარკმა მოახდინა კულტურის გამომხატველი სიტყვების კატეგორიზაცია:

1. ეკოლოგია: ფლორა, ფაუნა, მთები;
2. მატერიალური კულტურა: ტანისამოსი, საკვები, ქალაქები, ტრანსპორტი;
3. სოციალური კულტურა: სამუშაო და გართობა;
4. ორგანიზაციის წეს-ჩვეულებები, აქტივობები, პროცედურები.

კონცეპტები:

- პოლიტიკური და ადმინისტრაციული;
- რელიგიური;
- მხატვრული.

5. ჟესტები და ჩვეულებები.

ის გვთავაზობს თარგმანისთვის საჭირო კონტექსტუალურ ფაქტორებს, რომლებიც მოიცავს:

1. ტექსტის მიზანს;
2. მკითხველების მოტივაციას და კულტურას, ტექნიკურ და ლინგვისტურ დონეს;
3. რეფერირების მნიშვნელობას წყარო ტექსტში;
4. ამოცანებს (ადგილი აქვს თუ არა რეალურ თარგმანს?);
5. სიტყვის სიახლეს;
6. მომავალს (ნიუმარკი, 1988:103).

ვინაიდან ენა წარმოადგენს კულტურის ნაწილს, ნიუმარკი გვთავაზობს იმ სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მთარგმნელს კულტურული „უფსკრულის“ დაძლევაში (ნიუმარკი, 1988:81):

1. გადატანა - წყარო ენის სიტყვის, სამიზნე ენაში გადატანის პროცესი; ის მოიცავს ტრანსლიტერაციას. მაგ.: *Georgia =საქართველო*;

2. ნატურალიზაცია - სტრატეგია, როდესაც წყარო ენის გარდაქმნა ხდება სამიზნე ენაზე თავისი ორიგინალი ფორმით. მაგ.: *music=მუსიკა, computer=კომპიუტერი, intelligent=ინტელიგენტი*;

3. კულტურული ეკვივალენტი - წყარო ენის კულტურული კონცეპტი ითარგმნება სამიზნე ენის კულტურული კონცეპტით, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს ზუსტი თარგმანი არ არის. მაგ.: *ხინკალი=Jiaozi*;

4. ფუნქციური ეკვივალენტი - მოითხოვს კულტურულად ნეიტრალური სიტყვის გამოყენებას, ან აღწერილობითი ეკვივალენტი: ამ პროცედურით ერთი სიტყვის მნიშვნელობა ახსნილია რამდენიმე სიტყვით. მაგ.: *Khorumi=a war dance originated in the region Adjara, Georgia*;

5. კომპონენტური ანალიზი - სიტყვის მნიშვნელობის, ან სხვა ლინგვისტური ერთეულის ანალიზი დისკრეტული სემანტიკური კომპონენტებით. მაგ.: *man= [+male], [+mature]; boy = [+male], [-mature]; women= [-male], [+mature]; girl= [-male], [-mature]*.

6. სინონიმია - ახლოსაა სამიზნე ენის ეკვივალენტთან; ის წარმოადგენს ზოგადი კოლოკაციების, ორგანიზაციებისა და შემადგენელი კომპონენტების პირდაპირ თარგმანს, მას სხვაგვარად შეიძება ეწოდოს კალკირება, ან კალკირებული თარგმანი. მაგ.: *hot pants=შორტები*;

7. ტრანსპოზიცია - წარმოადგენს წყარო ენიდან სამიზნე ენაში გრამატიკულ ცვლილებას (რიცხვის, სტრუქტურის, მეტყველების ნაწილების შეცვლას). მაგ.: *a pair of shoes=ფეხსაცმლის წყვილი*;

8. მოდულაცია - აღნიშნულ სტრატეგიას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მთარგმნელს წყარო ტექსტის შეტყობინება გადააქვს სამიზნე ტექსტში ამ უკანასკნელის ნორმებით.

9. ახსნა-განმარტება სქოლიოს სახით - მთარგმნელს შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი ინფორმაციის მიცემა მკითხველისთვის, ის ამ ინფორმაციას ახსნის სქოლიოში. სქოლიო შეიძლება მოთავსდეს გვერდის, თავის, ან წიგნის ბოლოში. მაგ.: *ჩურჩხელა=Georgian traditional candle shaped candy*.

10. კომპენსაცია - ტექნიკა, რომლის დროსაც ხდება ტექსტის ერთ ნაწილში დაკარგული მნიშვნელობის, მეორე - ნაწილში აღდგენა.

11. პერიფრაზი - პროცედურა, რომლის დროსაც სიტყვის მნიშვნელობა გაცილებით უფრო დეტალურადაა აღწერილი, ვიდრე ამას აღწერილობითი ეკვივალენტი წარმოადგენს.

12. კუპლეტი - სტრატეგია, რომლის დროსაც მთარგმნელი ახდენს ორის სხვადასხვა მთარგმნელობითი პროცედურის შერწყმას. მაგ.: *Boneca (Portugis)=Boneka (Bahasa Indonesia)* (ნიუმარკი, 1988:91).

გამართლებული სტრატეგიის არევა მოითხოვს მთარგმნელისგან კონცეპტუალურ მიდგომას, რისთვისაც საჭიროა ენობრივი მარკერების შედარებითი ანალიზი, განსაკუთრებულად, ეს ეხება ქართულ ქულტურულ სივრცეს, რომლის კონცეპტები ჯერ არ არის სათანადოდ შესწავლილი.

კონცეპტის ენობრივი მარკერებიდან დიდ მთარგმნელობით სირთულეს წარმოადგენს პირველ რიგში ფრაზეოლოგიზმები, ამიტომ ჩვენ საკვლევი კონცეპტის კლიშირებული ერთეულებიდან ჩვენ გამოვავლინეთ რამოდენიმე განსხვავებული ჯგუფი. პირველ რიგში გამოვყავით ფრაზეოლოგიური შესატყვისები, რომლის ფუნქციონირება პარალელურად შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებში:

1) თანმხვედრი კლიშირებული ერთეულები:

ინგლისური	რუსული	ქართული
Armed to the teeth	Вооруженный до зубов	კბილებამდე შეიარაღებული
To rise like a phoenix from the ashes	Восстать как Феникс из пепла	ფერფლიდან აღადგინა
To drive someone into a corner	Загнать в угол	კუთხეში მიმწყვდევა
To die like a dog	Умереть как собака	ჩაძაღლდა
Hot war	Горячая война	
Push-button warfare	Кнопочная война	

2) არათანხვედრი კლიშირებული ერთეულები:

To cry one's eyes out	Выплакать (все) глаза	თვალეების დავსება
To sink through the floor	Сквозь землю провалился	ალიგავა პირისაგან მიწისა
To fly a kite	Закидывать удочку	ანკესის გადაგდება
to hook	Поймать на крючок	ანკესზე წამოგება
Out of the frying-pan into the fire/to jump out of the frying-pan into the fire.	Из огня да в полымя	ვას გავეყარე და ვუის შევეყარე

ზოგჯერ განსხვავება სტილისტურ დახასიათებაშია (*Сквозь землю провалился* - ალიგავა პირისაგან მიწისა), ზოგჯერ კი - ერთი ტიპური სიტუაციის ფარგლებში ქმედების მიმართულებით განსხვავდება (*Поймать на крючок* - ანკესზე წამოგება).

მოყვანილი ენობრივი მარკერების ფუნქციონირება გავაშუქოთ (განვიხილოთ) კონტექსტუალურ მასალაზე რომელიც მოცემულია ინგლისური, რუსული და ქართული ენების ეროვნულ კორპუსებში (<http://gnc.gov.ge/gnc/corpus-list>; [Поиск в корпусе. Национальный корпус русского языка; http://www.natcorp.ox.ac.uk/](http://www.natcorp.ox.ac.uk/)).

განვიხილოთ კონცეპტი „ომის“ თარგმნის მაგალითები:

<p>არწივი  <i>არწივი ვნახე დაჭრილი,          ყვავ-ყორნებს ეომებოდა,          ეწადა ბეჩავს ადგომა,          მაგრამ ველარა დგებოდა.</i></p> <p><i>ვაჟა-ფშაველა</i></p>	<p><i>The Eagle</i>  <i>I saw a wounded eagle,          It was <b>warring</b> with crows          and ravens,          The poor thing yearned to get          up,          But it could no longer get up.</i></p> <p><i>George Hewitt</i></p>	<p><i>The Eagle</i>  <i>In haughty pride, though          wounded sore,          An eagle <b>fought</b> the raven-          crow.          The bird in desperation strove          To rise but fell in frenzied          woe.</i></p> <p><i>Venera Urushadze</i></p>
--	---	--

<p><i>Я видел орла. Бедняга Был ранен. Шёл, ковыляя, Не мог взлететь. Над несчастливым Кружила воронья стая.</i></p> <p><u>Ирина Санадзе</u></p>	<p><i>Видел: орел израненный Схватился с вороньей стаей. Хочет бедняга вздыбиться Когти в землю врастают.</i></p> <p><u>Лариса Адамова</u></p>	<p><i>Орла я видел. Пулей сбит, Скакал, хромая. Никак взлететь уже не мог, А эта стая Хрипящих злобою ворон, Его терзая, Кривые клювы в кровь крыла Опять вонзая, <u>Анатолий Яни</u></i></p>
--	--	---

ზემოთ მოყვანილ მაგალითში, ერთი მთარგმნელი იყენებს *warring-ეომებოდა*, ხოლო მეორე კი *fought-იბრძოლა*, ანალოგების არჩევა აქ მთარგმნელის კომპეტენციაზეა დამოკიდებული. რუსულ თარგმანებს რაც შეეხება აქ სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს, *ეომებოდა* ამის ანალოგებად მთარგმნელები იყენებენ სამ სხვადასხვა ფრაზას: *бедняга был ранен; схватился, пулей сбит.*

მაგალითი 2:

<p><i>„ქალო, შენს მოღალატესა ზევით ღმერთი გაუწყრესა, სალბუზისა მინდორზედა ნიაკარი აუტყდესა; მტერზე ამოღებულ ხმალი ვადაშიამც</i></p>	<p><i>“Woman, may God above show his wrath to your betrayer, May a storm break above his head on Salbuz’s meadow? May his sword drawn on the foe break at</i></p>
---	---

<p>გაუტყდესა,  მტერზე ამოღებულ თოფი ჩახმახშიაც  გაუტყდესა“.</p> <p><u>ხალხური ჩვეულებანი თუშეთში</u></p>	<p><i>the right moment,</i>  <i>May his gun raised against the foe break</i>  <i>right in the trigger!</i></p> <p><i>George Hewitt</i></p>
--	--

მაგალითი 3

<p>„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ,  ლილივი, დიდო, ქისტი,  სრულად ქართლის მტერნი იყვნენ,  ყველამ წაკრა თითო ქიშტი,  მერმე შინათ აიშალნენ, მმამ მოუდვა  ძმასა ყისტი,  თავის თავსა ხრმალი იცეს, გულთა  მოიხვედრეს ხიშტი.“</p> <p><u>დავით გურამიშვილი-ქართლის ჭირი</u></p>	<p><i>The Turks, Ossetians, Lekis, Persians,</i>  <i>Cherkez, Ghlighvis, Didos and Kists</i>  <i>Were ever Georgia's enemies,</i>  <i>Assaulting her with blood-smearred fists.</i>  <i>But soon at home domestic broils,</i>  <i>Quarrels and feuds arose like mists.</i>  <i>Brothers with brothers grappled. Thus Did</i>  <i>trifles cause mighty contests</i></p> <p><i>Venera Urushadze</i></p>
--	---

მაგალითი 4

<p>ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა  უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;  დედის ნანასთან ქვითინი მთისა  მას უმზადებდა მომავალ გმირსა...  გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა,  კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა  სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,  თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.</p>	<p><i>O Georgian mother! Thou gavest sons</i>  <i>To home and land in days of yore.</i>  <i>The future braves were lulled to sleep</i>  <i>With lullabies and mountain lore.</i>  <i>Alas! those days are past, and now</i>  <i>By sorrow is thy country swayed.</i>  <i>Thy very breath of life is fled.</i>  <i>Thy warrior son is now a shade.</i>  <i>Where is the courage of our sires,</i>  <i>The dagger and the crushing blow,</i></p>
---	--

<p>მიტხარ, სადღაა მამაკაპური  მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,  სახელისათვის ამაყი თრთოლა,  მამულის მტერთან მედგარი ზრძოლა?</p> <p><u>ილია ჭავჭავაძე</u></p>	<p><i>The honour and the pride of old,  The fearless <b>struggle</b> with the foe?</i></p> <p><u>Venera Urushadze</u></p>
---	---

მაგალითი 5

<p>დაჰჟანგებულხარ, გორდაო,  დაგობებია ქარქაში,  სადა გყავს შენი პატრონი,  დაგაწყებინოს კაშკაში?</p> <p>სადა მყავს, ძმაო, პატრონი:  შამქორს გავწირე მკვდარია,  ორმოცგან სჭირდა ნახმლევი,  სდიოდა სისხლის ღვარია.</p> <p>ომში წინ წასვლა უყვარდა,  ხელთ დაბლუჯვილი ფარია;  არას დასდევდა სიკვდილსა,  ოლომც არ შარცხვეს ჯარია,  მეფის თამარის გვირგვინი,  ქართველთ სამეფო გვარია.</p> <p>ეხლა უმნოდ ვარ... დამკიდეს  ლაჩართ კედელზე უქმდა;  ვისლა სცალიან ჩემთვისა,  ქვეყანა იქცა დუქნადა.</p> <p>გადამავდებენ გირაოდ...</p>	<p><i>Rust adorns thee, sword, and mould'ring  Is thy scabbard once so fine.  Where's thy master's arm of iron,  Where's that flashing gleam of thine?'  "On the fatal plain of Shamkor,  He fell dead, with many a wound,  And his blood flowed like a torrent,  Dyeing red the battle ground.  Though he fell beneath <b>the struggle</b>  With the deadly enemy,  Valiant were his deeds and dauntless.  Matchless was his bravery  Foremost was he in the <b>battle</b>,  Smiting, hewing down the foe.  Georgia and a soldier's honour  Made him bear the crushing blow.  A coward's hand has hung me useless  Here to rust in endless night.  Georgia has become a market</i></p>
---	---

<p>და გზირ-ნაცვლების ხელითა ქვეყანა მხედავს მღებარეს “არშინის”, “ჩოთქის” გვერდითა. შვიდასი წელი გამიხდა, არ გავპოხილვარ დუმიტა, არ ვუღესივარ ქართველსა დალიღინებით ჩუმიტა. მისი ხმა აღარ მსმენია: “გასჭერ, გამიშვი წინაო, თუ სახელს არ მაშოვნინებ, როგორ დავბრუნდე შინაო!”</p> <p style="text-align: center;"><u>ვაჟა-ფშაველა</u></p>	<p><i>Cursed and doomed by venal blight! I, who proudly fought for freedom, Now am pawned or sold for gold, A bartered thing to crown the downfall Of my country's pride of old. Many years have passed since Georgia's Son did whet me till I flashed, Rendered sharp my blade so deadly, And with me to battle dashed. Nor have I heard sounds of trumpets, Nor the shouts of victory... I have passed an age thus hanging Here in rust and slavery."</i></p> <p style="text-align: center;"><u>Venera Urushadze</u></p>
---	--

მაგალითი 6

<p>საქართველოში იბადებოდნენ და შემდეგ მუდამ სწუხდნენ ამაზე: „ეხ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!,, თავს არ მოიკლავს ქართველი, არა, ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს,</p>	<p><i>Georgians born on Georgian soil Always wished deep in their breast: "Would our youth come back to us With the valour it possessed." Georgians never look for death; Fighting they may fall and die, But the hope that</i></p>	<p><i>They were born in Georgia And then they worried about this always Eh...at least for a minute, let return to us Our childhood, and our beauty. A Georgian will not commit suicide, no, It's possible he will die in <b>battle</b> With one hope: let</i></p>	<p><i>В Грузии рождались и трудились, А потом грустили неспроста: «Хоть бы на минуту возвратились Наше детство, наша красота!» Нет! Грузин себя не убивает. Если умирает, то в бою,</i></p>
--	---	---	---



<p>ერთი იმედით სიცოცხლე მარად გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს საქართველოში როცა კვდებოდნენ, უფრო და უფრო წუხდნენ ამაზე: „ეხ, წუთით მაინ დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“, ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს, ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს! ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს! რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ და იმ ბედნიერ</p>	<p><i>life lives on</i> <i>Bursts forth like a</i> <i>slogan cry.</i> <i>Even when a</i> <i>Georgian died</i> <i>The wish beat</i> <i>stronger in his breast:</i> <i>Would our youth</i> <i>come back to us</i> <i>With the valour it</i> <i>possessed."</i> <i>Let all know that</i> <i>Georgia's sons</i> <i>Never shunned a</i> <i>valiant strife.</i> <i>We may die in</i> <i><b>battle, yet,</b></i> <i>Even then we leave</i> <i>not life.</i> <i>Life is feeling,</i> <i>warmth and motion.</i> <i>Every door to death</i> <i>lock tight.</i> <i>And let us bless the</i> <i>happy moment</i> <i>When we first</i> <i>beheld its light.</i>  <i><u>Venera Urushadze</u></i></p>	<p><i>my life forever</i> <i>Continue in this</i> <i>country, and repeat</i> <i>itself.</i>  <i>When people die in</i> <i>Georgia</i> <i>More and more they</i> <i>worry about this:</i> <i>Eh, at least for a</i> <i>minute let return to us</i> <i>Our childhood, and</i> <i>our beauty.</i>  <i>Our courage</i> <i>accompanies us from</i> <i>olden times,</i> <i>Every one</i> <i>understands, everyone</i> <i>knows!</i> <i>It's possible, we may</i> <i>die in battle</i> <i>But not even then</i> <i>will we forsake life.</i> <i>Because life</i> <i>blossoms like this,</i> <i>Shut every door of</i> <i>death</i> <i>And toast that happy</i> <i>day,</i> <i>When we appeared</i> <i>on this earth!</i></p>	<p><i>Вера в то, что жизнь</i> <i>не убывает,</i> <i>Что не прекратиться</i> <i>бытию!</i>  <i>Если на поминках</i> <i>загрустилось,</i> <i>Пусть опять</i> <i>произнесут уста:</i> <i>«Хоть бы на минуту</i> <i>возвратились</i> <i>Наше детство, наша</i> <i>красота!»</i>  <i>Наша смелость</i> <i>исстари ведется,</i> <i>Ею наша родина</i> <i>горда.</i> <i>Если даже в битве</i> <i>пасть придется —</i> <i>Жизнь не</i> <i>прекратится и</i> <i>тогда!</i>  <i>Ибо жизнь —</i> <i>основа всей</i> <i>вселенной,</i> <i>Ибо смерти ставим</i> <i>мы запрет!</i></p>
--	--	---	--

<p>დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!</p> <p><u>ლადო ასათიანი</u></p>		<p><u>Mary Childs, with</u> <u>Maka Janikashvili</u></p>	<p><i>И да будет он благословенным, День, когда явились мы на свет!</i></p> <p><u>Д.Самойлова</u></p>
---	--	--	---

მთარგმნელობითი პროცედურების შედარება:

კულტურის კონცეპტების თარგმნისას, უამრავი მთარგმნელობითი პროცედურა იქნა შემუშავებული და გამოყოფილი ისეთი სწავლულების მიერ, როგორებიც არიან: ანგელო პიზუტო, მონა ბეიკერი, პიტერ ნიუმარკი, ენდრიუ ჩესტერმენი, პიტერ ფოუსეტი და ეირლის დეივისი. ზოგიერთი სტრატეგია მხოლოდ ტერმინოლოგიურად, ან ქვედანაყოფით განსხვავდება, მაგალითად ერთი მეცნიერი ასახელებს მხოლოდ ერთ სტრატეგიას, ხოლო მეორე-განასხვავებს ორ-სხვადასხვას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში სწორედ ეს მთარგმნელობითი სტრატეგიებია წარმოდგენილი:

პიზუტო	ბეიკერი	ნიუმარკი	ჩესტერმენი	ფოუსეტი	დეივისი
სესხება	უფრო ზოგადი სიტყვით თარგმანი (ზემდგომი სიტყვა)	სიტყვა- სიტყვითი თარგმანი	ზუსტი თარგმანი	კონკრეტიზაცია	შენარჩუნება
კალკირება	უფრო ბუნებრივი/ნაკლებად გამომსახველობითი სიტყვით თარგმანი	ზუსტი თარგმანი	სესხება, კალკირება	ლოგიკური წარმოება	დამატება

ზუსტი თარგმანი	კულტურისთვის დამახასიათებელი სიტყვით ჩანაცვლება	ავტორის განზრახვის გადმოტანა	ტრანსპოზიცია	ანტონომიური თარგმანი	გამოტოვება
ტრანსპოზიცია	ნასესხები სიტყვით, ან ნასესხებ სიტყვას პლიუს განმარტებით თარგმანი	სემანტიკური თარგმანი	გადანაცვლება	კომპენსაცია	გლობალიზება
მოდულაცია	პერიფრაზი	ადაპტაცია	ფრაზის სტრუქტურის ცვლა		ლოკალიზება
ეკვივალენტობა	პერიფრაზი არამონათესავე სიტყვით	თავისუფალი თარგმანი	დამოკიდებულ ი წინადადების ცვლილება		ტრანსფორმაცია
ადაპტაცია	გამოტოვება	იდიომატური თარგმანი	წინადადების სტრუქტურის ცვლილება		შექმნა
	ილუსტრაციული თარგმანი	კომუნიკაციური თარგმანი	ერთიანობის შენარჩუნება		
	იმავე მნიშვნელობისა და ფორმის სინონიმის გამოყენება	გადატანა	გადაწყობა		
	მსგავსი მნიშვნელობის, მაგრამ სხვა ფორმის იდიომის გამოყენება	ნატურალიზაცია	სქემის შეცვლა		
	პერიფრაზი	კულტურის ეკვივალენტი	სინონიმია		
	გამოტოვება	ფუნქციური ეკვივალენტი	ანტონიმია		

		აღწერილობითი ეკვივალენტი			
		სინონიმია	კონვერსია		
		ტრანსპოზიცია	განაწილების ცვლილება		
		მოდულაცია	ემფაზია		
		აღიარებული თარგმანი	სქემის ცვლილება		
		კომპენსაცია	სხვა სემანტიკური ცვლილება		
		პერიფრაზი	ინფორმაციის ცვლილება		
		კუპლეთი	ინტერპერსონა ლური ცვლილება		
		შენიშვნა, დამატება, განმარტება	სხვა პრაგმატული ცვლილება		

ემპირიული მასალის ანალიზის ფასეულობა გამოიხატება კონცეპტუალური მიდგომის აუცილებლობის გაშუქებაში კონცეპტი „ომის“ ენობრივი მარკერების მაგალითზე. ეფექტური მთარგმნელობითი სტრატეგიის არჩვა მოითხოვს მთლიანი კონცეპტის ცოდნას და გადასათარგმნი ერთეულის ადგილის გააზრებას მის სტრუქტურაში. ნაკლებად შესწავლილი ქართული კულტურული კონცეპტები მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას ეროვნული სპეციფიკის შესანარჩუნებლად თარგმანში.

## დასკვნა

ამრიგად, ზემოთ განხილული თეორიული და პრაქტიკული მასალიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1) მეხსიერება ზოგადად ურთულესი მოვლენაა. ის უკავშირდება ადამიანის ცნობიერებას და მენტალობას. მეხსიერების, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური სფეროდან, სოციოლონგვისტიკაში გადმოსვლა იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რამაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, ამ ფენომენის კომპლექსურობასა და მრავალწახნაგიანობას. მეხსიერება იქცა ინტერდისციპლინარული კვლევებისა და შესწავლის საგნად. განხილული თეორიული მასალის მიხედვით, ცხადია, რომ ამ დარგში ლიდერები გერმანული ფილოსოფიისა და გერმანული ლინგვოკულტუროლოგიის წარმომადგენლები არიან. მათი ნაშრომები, უდავოდ ფენომენალურია და პასუხს სცემს მეხსიერების, როგორც სოციოლინგვისტიკის და ლინგვოკულტუროლოგიის შესწავლის საგნის ირგვლივ დასმულ მრავალ შეკითხვას.

კულტურული მეხსიერება ეს არის მითიური ისტორია, მოვლენები აბსოლუტურ წარსულში, რომელსაც გააჩნია ფორმირების მაღალი ხარისხი და ცერემონიალური კომუნიკაცია. მისი შესწავლა იმ მსოფლიოში, სადაც ინფორმაცია წარმოადგენს უდიდეს იარაღს, ხოლო მისი ნაკლებობა ნაციისა და კულტურისთვის შესაძლოა ფატალურიც კი აღმოჩნდეს, უაღრესად მნიშვნელოვანია.

2) მეხსიერების აგენტი უამრავია, ასევე მრავალფეროვანი და უამრავია მეხსიერების გადატანის საშუალებებიც. მეხსიერების ფიქსაციის უდიდეს ფუნქციას ასრულებს ენა, ვინაიდან ის წარმოადგენს კომუნიკაციის უნივერსალურ საშუალებას. ჩვენს მიერ დამუშავებული თეორიული და პრაქტიკული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ენობრივი მარკერები, კულტურული მეხსიერების უნივერსალური მარკერებია, უნიკალური საშუალებაა, ვინაიდან ენა ინარჩუნებს და ინახავს ყველაფერს, რაც ოდესმე დაფიქსირებულა ლინგვისტური არხების საშუალებით. ენას გააჩნია უნარი

აღადგინოს და გააცოცხლოს მოვლენა, მაშინაც კი, როდესაც ამ მოვლენის შესახებ მეხსიერება ბუნდოვანია და თვით ფაქტი აღარ არსებობს.

3) კულტურული მეხსიერების ფიქსაციისა და დამახსოვრების ერთეული კონცეპტია. როგორც ზემოთ განხილული თეორიული მასალის საფუძველზე ჩანს, კონცეპტი წარმოადგენს ცოდნისა და მეხსიერების ერთეულს, მოიცავს წარმოსახვით და ღირებულებით განზომილებებს. კონცეპტი რთული მენტალური ნაერთია, რომელსაც აქვს თავისი ენობრივი ფიქსატორები. ის აერთიანებს საკუთარ თავში ინდივიდუალურ-პიროვნულს, კულტურულ-ჯგუფურს, ეროვნულსა და კაცობრიობის მნიშვნელობებს. მისი შესწავლა მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომებს.

კულტურული კონცეპტი წარმოადგენს კონკრეტული ერის სამყაროს ენობრივი და კონცეპტუალური სისტემების მენტალურ ერთეულს, მნიშვნელოვან ცნებას, რომელიც დაფიქსირებულია ამ ენაზე შექმნილ თეზაურუსში და აქტიურად გამოიყენება მოცემული კულტურის წარმომადგენლების მიერ. კონცეპტი ემოციურ ხასიათს ატარებს და მასში არის დაფიქსირებული არა მარტო ცნება მისი დამატებითი კონოტაციებით, არამედ მოცემულია ერის წარმოდგენა/შეფასება.

კონცეპტი ერის სულიერების სარკეა, რომელიც ზოგჯერ თაობიდან თაობას გადაეცემა და არ კარგავს ემოციურობისა და მგრძობელობის განცდას, ზოგჯერ კი მხოლოდ ათწლეულებს უძლებს და ეპოქის ცვლილებასთან ერთად იცვლება.

4) კონცეპტი „ომის“ განხილვა სამყაროს სამ ენობრივ სურათში (ინგლისური, რუსული, ქართული) გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ შემდეგი:

ა) ორმაგი ხასიათის კონცეპტის („ომი-მშვიდობა“) მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კონცეპტი „ომი“, რომელსაც საკაცობრიო მნიშვნელობა გააჩნია, ამიტომ სამივე კულტურაში მისი ენობრივი გამოსახულება არის მრავალფეროვანი, რასაც ადასტურებს ჩვენს მიერ დამუშავებული და მოყვანილი მაგალითები.

ბ) საკვლევი კონცეპტის ენობრივი მარკერები სამივე ენაში წარმოდგენილია: ცალკეული ლექსემებით, ფრაზეოლოგიზმებით, მეტაფორული კონსტრუქციებით და

განსაკუთრებული სიმრავლით კი - პარემიებით, რომლის ნაწილი ემთხვევა ერთმანეთს და ერთმანეთის შესატყვისია, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კონცეპტი „ომის“ მნიშვნელობას სამივე კულტურაში.

გ) საკვლევი კონცეპტი დინამიკურ სისტემას წარმოადგენს: ომის ტიპების ანალიზმა გამოავლინა ნაწილი ენობრივი მარკერებისა, რომელიც უკვე მოძველებულია (*ფეოდალური ომები, გვაროსნული ომები/ლაშქრობები*), ენობრივი მარკერების ნაწილი კი წარმოადგენს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის უშუალო შედეგს (*ატომური ომი, ქიმიური ომი, ბიოლოგიური ომი, ელექტრონული ომი* და სხვ.);

დ) ომის მეტაფორული ხასიათის მარკერები განსხვავდებიან სამივე ენაში, ვინაიდან ამ კულტურების ეროვნულ თავისებურებებს გამოხატავენ: ინგლისურ კულტურაში - *Happy Wars; Star Wars; Hammering War.*; რუსულში - *Священная война* (*არასაკრალური მნიშვნელობით*); *Чернильная война; Великая Отечественная Война; Кнопочная война*; ქართულში - *ღირსეული ომი; ფიცხელი ომი; აგვისტოს ხუთდღიანი ომი* და სხვ.

5) საკვლევი კონცეპტის ენობრივი მარკერები პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

- ა) საკაცობრიო მნიშვნელობით განპირობებული ენობრივი შესატყვისები;
- ბ) ეროვნული ხასიათის განსხვავებული ენობრივი მარკერები, პირველ რიგში ფრაზეოლოგიზმები და პარემიები;
- გ) ამ ჯგუფებს შორის განლაგებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის რეგიონალური მარკერები.

6) აშკარაა, რომ ომი წარმოადგენს კონფლიქტს სახელმწიფოებს, ან ერთი სახელმწიფოს შიგნით არსებულ დაპირისპირებას გარკვეულ სოციალურ ფენებს, კლასებსა თუ ჯგუფებს შორის. ომი ასოცირდება შეიარაღებული ძალების მოქმედებასთან, რომლის პარალელურად, დაპირისპირებულ მხარეებს შორის შესაძლოა ასევე მიმდინარეობდეს დიპლომატიური, იდეოლოგიური, ეკონომიკური,

ფსიქოლოგიური და სხვა სახის ომი. ცხადია ისიც, რომ ომის ინდივიდუალური მასშტაბებიდან გამომდინარე ის შეიძლება იყოს ადგილობრივი, რეგიონული, მსოფლიო. „შეიარაღებული კონფლიქტი“, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ომის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად, გაცილებით მცირეა, ვიდრე თავად ომი, როგორც გეოგრაფიული თვალსაზრისით, ასევე მისი ხანგრძლივობიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, პრაქტიკაში არ არსებობს ზუსტი კლასიფიკაცია იმისა, თუ რით განსხვავდება ომი შეიარაღებული კონფლიქტისგან. ომი შეიძლება იყოს ხანმოკლე (რამდენიმე დღიანი, მაგ: 2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომი) და ხანგრძლივი (რამდენიმე ათეულ წლამდე).

7) ამრიგად, წარმოდგენილი მაგალითების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კონცეპტი „ომი“ ნეგატიური ემოციითაა წარმოდგენილი. რუსულ ენაში ეს ნეგატიურობა უფრო მძაფრად და მკაფიოდაა გამოხატული. ინგლისურ ენაში „ომი“ იგივეა ბრძოლასთან და არცთუ ისე ფატალურადაა წარმოდგენილი. ის აქ არ იგივეა სისხლისღვრასთან, ტანჯვასთან, წამებასა და გოდებასთან. რაც შეეხება ქართულ ენას, ომი აქ უფრო ემოციურად განიცდება და ბევრად უფრო უკავშირდება სამშობლოსა და საკუთარი მიწის სიყვარულს. გვხვდება ლექსემა „ომის“ მსგავსი და განსხვავებული კომბინატორიკა, ფრაზეოლოგიური დამთხვევებიც და განსხვავებულებაც. თუმცა ფაქტი ერთია, კონცეპტს „ომი“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნებისმიერი ერის კულტურულ სივრცესა და ენობრივ სურათში და აღნიშნული კონცეპტის შესწავლა საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ ერი და მისი მენტალიტეტი.

8) კონცეპტს „ომი“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული სამყაროს ენობრივ სურათში. ქართველისთვის ომი უპირველესად სამშობლოს, მშობლიური მიწის დაცვასთან იგივეა. ქართველი ვაჟკაცი სულით მეომარია, ის არაფრით უშინდება ომს, რომლის მიზანი სამშობლოს კეთილდღეობა და თავისუფლებაა, სწორედ ასეთ დროს ქართველი ომით „გაუმამღარია“. საქართველოში მრავლდაა სიმბოლო, რომელიც ქართველი კაცის მეომარ ბუნებას გამოხატავს, ერთ-ერთი მათგანია „ქართველის დედა“. „ქართველის დედა“ არის ქართული ეროვნული



ხასიათის სიმბოლო, ქანდაკებას ცალ ხელში ღვინის თასი უჭირავს მოყვარეთათვის, მეორეში კი ხმალი - მტერთათვის.

ქართველისთვის ომი დაკავშირებულია ვაჟკაცობასთან, გმირობასთან, მამაცობასთან, შეუპოვრობასთან. ქართველები ოდითგანვე ომობდნენ და ებრძოდნენ მტერს საკუთარი მრწამსისა და მიწის დასაცავად. ომი ქართველისთვის სწორედ ღმერთის, ქრისტიანობისა და სამშობლოს სიყვარულისთვის თავგანწირვაა. ქართველი შეუპოვარია, ომის დროს, საკუთარი ქვეყნის სადარაჯოზე ის არასოდეს ეცემა სულით: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო რა“ .

9) ქართული, რუსული და ინგლისური ენების სამყაროს ენობრივი სურათის ანალიზი ტექსტების დონეზე, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ კონცეპტი „ომი“ სამივე კულტურაში მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი და ნაწილობრივ ხდება ენობრივი მარკერების გადაფარვა (ლექსიკური და ფრაზეოლოგიური შესატყვისები, თანმხვედრი სინტაგმატიკა, მსგავსი კლიშირებული ერთულები). ამავდროულად, მარკერების ნაწილს ახასიათებს ეროვნული სპეციფიკა (მეტაფორული კონსტრუქციები, არათანმხვედრი სინტაგმატიკა, ფრაზეოლოგიზმები, პარემიები), რომელიც საყურადღებოა მთარგმნელობით საქმიანობაში.

10) კულტურული კონცეპტების თარგმნა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ ამოცანას მთარგმნელისთვის. ჩატარებული კვლევის ფასეულობა გამოიხატება კონცეპტუალური მიდგომის აუცილებლობის გაშუქებაში კონცეპტი „ომის“ ენობრივი მარკერების მაგალითზე. ეფექტური მთარგმნელობითი სტრატეგიის არჩვა მოითხოვს მთლიანი კონცეპტის ცოდნას და გადასათარგმნი ერთეულის ადგილის გააზრებას მის სტრუქტურაში. ნაკლებად შესწავლილი ქართული კულტურული კონცეპტები მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას ეროვნული სპეციფიკის შესანარჩუნებლად თარგმანში.

## ბიბლიოგრაფია:

1. ალექსეევა 2008: Алексеева.И.С-Текст и перевод. Вопросы теории, Москва.
2. არშიძე 2011: Арошидзе Марине, «Языковая ситуация и языковая политика в условиях глобализации», Межкультурные коммуникации №15, Тбилиси.
3. არშიძე 2015: Арошидзе Марине Этнонимы и проблемы идентификации населения Аджарии//материалы Междугародной научной конференции «Региональный императив имперской провинции: современные методологические подходы и исследовательские практики». Ставрополь.
4. არშიძე 2013: არშიძე ნინო, მაზმიშვილი ნანა-თარგმანის თეორიული საფუძვლები და პრაქტია, ბათუმი.
5. არნაუტოვა 2003: Арнаутова Юлия, «Мемогia: «тотальный социальный феномен» и объект исследования. Образы прошлого и коллективная идентичность в Европе до начала Нового времени», Москва.
6. ასკოლდოვი 1995: „Асколдов Концепт и слово“, Москва.
7. ასმანი 2004: Ассман Я. Культурная память: Письмо, память о прошлом и политическая идентичность в высоких культурах древности. Москва.
8. ასმანი 1995: Assman J and Czhaplicka J: 1995 “Collective Memory and Cultural Identity”; source: New German Critique, No. 65, Cultural History/ Cultural Studies, NY.
9. ასმანი 1996: Assman Aleida 1996: “Texts, Traces, Trash: The Changing Media of Cultural Memory” Published by: University of California Press Stable, NY.
10. ასმანი 2006: Assman Aleida 2006: “Transformation between History and Cultural Memory”; Oxford University Press, Oxford, United Kingdom.
11. ასმანი 2008: ASSMANN JAN. Communicative and Cultural Memory - An International and Interdisciplinary Handbook, Berlin, New York.
12. ბაბუშკინი 1998: Бабушкин, А.П. Типы концептов в лексико-фразеологической семантике языка / А.П. Бабушкин. Воронеж: Изд. Воронеж.

13. **ბაბუშკინი 2003:** Бабушкин, А.П. Роль стереотипов в натурализации элементов «чужой» концептосферы / А.П. Бабушкин // Проблемы вербализации концептов в семантике языка и текста: Материалы международного симпозиума. -Волгоград, 2003.
14. **ბიურკი 1989:** Burke Kenneth, «Ideology and Myth References in Burke Readings» Chicago and London.
15. **ბეიკერი 1992:** Baker Mona, “In the other Words: A course Book on Translation. London: Routledge.
16. **ბენეტი 1993 :** Bennett M.J. “Towards Ethnorelativism: A Developmental Model of Intercultural Sensitivity.” Yarmouth, ME: Intercultural Press, Washington, USA.
17. **ბლოში 2005:** Marc Bloch- Apologie pour L’histoire ou Metier D’Historien, Librairie Armand Colin, Paris.
18. **ბუსი 2008:** W. James Booth. The work of Memory: Time, Identity and Justice.
19. **გამყრელიძე 2003:** გამყრელიძე თ; კიკნაძე ზ; შადური ი; შენგელაია ნ. „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
20. **გარაგოზოვი 2003:** Garagozov R.R . Collective Memory and Russian “Schematic Narrative Template”, Journal of Russian and East European Psychology, vol.4, no.5, Moscow;
21. **გასპაროვი 1996:** Гаспаров Борис, «Язык, память, образ. Лингвистика языкового существования», Москва.
22. **გერდერი 1959:** И. Гердер, Избранные сочинения, М-Л, Москва.
23. **დევისი 2003:** Davies Eirilies E. “A Goblin or a Dirty Nose? The treatment of Culture-Specific References in Translations of Harry Potter Book”. In The Translator 6: 65-100.
24. **დენეტი 1995:** Dennett Gerald 1995: Translation Memory: Concept, products, impact and prospects.

25. **ერლი 2008:** Eds. Astrid Erll and Ansgar Nünning, in collaboration with Sara B: 2008 Young-Cultural Memory Studies: An International and Interdisciplinary Handbook-Berlin/New York.
26. **ვარბურგი 1895:** Aby M. Warburg: Images from the Region of the Pueblo Indians of North America, Cornell University Press, London.
27. **ვაისგერბერი 2004:** Вайсгербер Лео, «Родной язык и формирование духа», Москва.
28. **ვანსინა 1985:** Jan Vansina, Oral Tradition as History, Marston Book Services Limited, Oxford, UK.
29. **ვეუბიკვაია 1996:** Вежбицкая А. Язык. Культура. Познание. Издательство: Русские словари. Москва.
30. **ვინტერი 2006:** Winter 2006: “The Great War Between Historical Memory and History in the Twentieth Century”, Cambridge.
31. **ვიტგენშტეინი 1994:** Витгенштейн Людвиг, «Культура и ценность», Москва;
32. **ვორკაჩევი 2004:** Воркачев С.Г. Счастье как лингвокультурный концепт. – М.: ИТДГК «Гнозис».
33. **ზერუბაველი 1999:** Eviatar Zerubavel-Social Mindscapes, published by Harvard University Press.
34. **თელია 1996:** В. Н. Телия. Русская Фразеология. Семантический, прагматический и лингво культурологический аспекты. Москва;
35. **იაკობსონი 1987:** Jakobson R. “Language in Literature”, The Belknap Press of Harvard University pres, Cambridge, Massachusetts, London, England.
36. **კარასიკი 1989:** Карасик В. «Статус лица в значении слова», Волгоград.
37. **კარასიკი 2010 :** В. И. Карасик. „Языковая кристаллизация смысла”, Волгоград.
38. **კარაულოვი 1989:** Караулов Ю.Н. Петров В.В.–“От грамматики текста к когнитивной теории дискурса”//Т.А. Ван Дейк. Язык. Познание. Коммуникация.– Москва;
39. **კვაჭანტირაძე 2008:** კვაჭანტირაძე ე. „ისტორიული მეხსიერება და მისი შესწავლის ძირითადი ტენდენციები“-ამირანი, თბილისი.

40. კვაჭანტირაძე 2013-2014: კვაჭანტირაძე ნ. „ისტორიული მეხსიერების ფორმირება პოსტსაბჭოთა საქართველოში, თბილისი.
41. კრასავსკი 2002: Красавский, Н.А. Языковая личность: культурные концепты. Волгоград.
42. კუბრიაკოვა 1997: Кубрякова Е.С. Определения понятия «концепт» в современной лингвистике, Москва.
43. კუზნეცოვი 2001: Кузнецов Сергей, «Современный толковый словарь русского языка. Москва.
44. კუნი 2010: Kuhn - “Memory texts and memory war: Performances of memory in and with visual media” London, UK.
45. კროიბერი 1952: Kroeber A.L Kroeber and Clyde Kluckhohn-Culture a Critical Review of Concepts and Definitions- Cambridge, Massachusetts.
46. ლაილსი 2012: Thomas Liles –Islam and Religious Transformation in Adjara-ECMI working paper (European center for minority issues) -February 2012, North Carolina, USA.
47. ლებოუ 2006: Le Bow R. „Personal identity national identity and international relations”, Cambridge University Press, Cambridge.
48. ლიუსი 2006: Lewis, Richard D. 2006. When Cultures Collide: Leading across Cultures. Boston and London: Nicolas Brealey International.
49. ლიტვანი 1993: Gyorgy Litvan-A Twentieth-Century Prophet: Oscar Jaszi 1875-1957, Central European University Press, Budapest, Hungary.
50. ლიხაჩოვი 1947: Лихачев, Панченко 1947 – Лихачев Д.С., Панченко А.М. «Смеховой мир» Древней Руси.
51. ლოკმენი 2011: Lockmann Thomas-The Social constitution of reality, Open road media, April 26, 2011, NY, USA.
52. მასლოვა 2008: МАСЛОВА В. А. - „ЛИНГВОКУЛЬТУРОЛОГИЯ“, Москва.
53. მასლოვა 2011: МАСЛОВА В. А. “Введение в когнитивную лингвистику“, Москва.

54. **მასლოვა 2001:** Маслова В. А. „Лингвокультурология“: Учеб. пособие для студ. высш. учеб. заведений. - М.: Издательский центр «Академия». Москва.
55. **მილერი 1968:** Robert L. Miller - „The Linguistic Relativity Principle and Humboldtian Ethnolinguistics“, Cambridge.
56. **მიხალჩუკი 1997:** Михальчук, И.П. Концептуальные модели в семантической реконструкции (индоевропейское понятие «закон») / И.П. Михальчук // Изв. РАН. Сер. лит и яз. 1997, т.56, №4, С. 29-39.
57. **მუნენი 1963:** Georges Mounin – Theoretical problems of translation, Oxford University Press, London.
58. **ნაიდა 2001:** Nida, Eugene A. 2001. Context in Translating. Philadelphia: John Benjamins, Publishing Company, Brill.
59. **ნეროზნიაკი 1998:** Нерознак В.П. От концепта к слову: к проблеме филологического концептуализма // Вопросы филологии и методики преподавания иностранных языков. – Омск: Изд-во ОмГПУ.
60. **ნიუმარკი 2010:** Newmark Peter: “Translation and Culture”. In Meanin in Translation, Frankfurt.
61. **ნიუმარკი 1988:** Newmark Peter: “A Textbook of Translation”. Hertfordshire: Prentice Hall.
62. **ნორა 1989:** Nora 1989: “Between Memory and History”/ The Regents of the University of California.
63. **ომიაძე 2008:** სალომე ომიადე-ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება. თბილისი.
64. **პარხამოვიჩი 2011:** Пархамович, Т. В. Англо-русский русско-английский словарь фразеологизмов/ Минск “Попурри”.
65. **პიზუტო 2010:** Pizzuto, Angelo. “Translation Procedures: the Technical Component of the Translation Process”. In Slideshare. 25 January 2010. Accessed 5 March 2012, Milan, Italy.
66. **პული 2008:** Poole, Ross - “Memory, responsibility and Identity”, Social Research, NY.

67. ჟინკინი 1982: Жинкин Н. И. Речь как проводник информации, Москва.
68. როდიჯერი 2008: Roediger, Wertsch 2008: "Collective memory: Conceptual foundations and theoretical approaches" UK.
69. როდიჯერი 2008: Roediger, Wertsch 2008: "Creating a new discipline of memory studies" UK.
70. სერგეევა 2003: Сергеева Т.Г. К вопросу определения основных единиц лингвокультурологии, 2003- Москва.;
71. სლიშკინი 2001: Г.Г. Слышкин / Антология концептов // Под ред. В.И. Карасика, И.А. Стернина. Том 1. Волгоград.
72. სმირნოვა 2009: А.А.Смирнова «Перевод» в «Литературной энциклопедии» Москва.
73. სნიტკო 1999: Снитко Т.Н. Предельные понятия в Западной и Восточной лингвокультурах / Снитко Т.Н. Монография. – Пятигорск.
74. სონტაგი 2003: Susan Sontag, "Notes on 'Camp'", NY.
75. სტეპანოვი 1997: Степанов Ю.С. „Концепт“, Москва.
76. სტროსი 2000: Levi Strauss, Race et histoire, Paris.
77. ტაბიძე 1915 : ტიციან ტაბიძე - „ომის თემა ქართულ მწერლობაში“- მოსკოვი.
78. ტარევა 2014 : Тарева Е. Г.- Учебный перевод как средство формирования межкультурной коммуникативной компетенций. Логос, Москва.
79. ტერმინასოვა 2000: Тер-Минасова Светлана, «Язык и межкультурная коммуникация», Москва.
80. ტერმინასოვა 2008: Тер-Минасова Светлана, «Война и мир языков и культур», Москва.
81. ფოუსეტი 1997: Fawcett Peter:” Translation and Language”, Manchester: St. Jerome.
82. შმიდტი 2014: Наталья Степанова Шмидт 2014:- Концепт «война» в английской языковой картине мира. Москва.
83. ჩიჯოვა 2007: Л. А. Чижова 2007: „Понятия концепта и системы концептов в теории коммуникации“, Москва.

84. ჩესტერმენი 1997: Chesterman Andrew: “Memes of Translation.” Amsterdam: John Benjamins.
85. ჩიქობავა 1964: არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი.
86. ჭავჭავაძე 1877: ილია ჭავჭავაძე - ოსმალს საქართველო, ივერია N9, თბილისი, საქართველო.
87. ხროლენკო 2012: Хроленко В. Основы лингвокультурологии. Москва.
88. ჰალბვაქსი 2000: Halbwachs, “Collective Memory and Individual Memory” Reims, France.
89. ჰალბვაქსი 2005: Хальбвас, Коллективная и историческая память; Неприкосновенный запас. Москва.
90. ჰალბვაქსი 2007: Хальбвас . Социальные рамки памяти. Москва.
91. ჰალბვაქსი 1992: Halbwachs. “On Collective Memory”, Chicago, USA.
92. ჰობუ 2011: Hobu - “Aspects of memory acts: transnational cultural memory and ethics”/ Journal of Aesthetics & Culture, UK.
93. ჰუმბოლდტი 1971: Wilhelm Humboldt, Linguistic variability & intellectual development, University of California, USA.
94. European Researcher -International Multidisciplinary Journal -“Linguistic and Rhetorical Picture of the World”-2014, Vol. (67), N 1-2.

#### ლექსიკონები:

1. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=48>;
2. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=17>;
3. [http://patriotebi.ucoz.com/load/kartuli\\_prazeologizmebi/kartuli\\_prazeologizmebi/4-1-0-82](http://patriotebi.ucoz.com/load/kartuli_prazeologizmebi/kartuli_prazeologizmebi/4-1-0-82);
4. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d>;
5. Kunin A.V.-English-Russian Phraseological Dictionary-Moscow, 4<sup>th</sup> addition, 1984-2000 idioms approx.



6. Пархамович, Т. В. Англо-русский русско-английский словарь фразеологизмов/ Минск “Попурри”.
7. Apperson G.L. The Wordsworth dictionary of proverbs/ Ware: Wordsworth, 1993.-721 p.
8. Cambridge International Dictionary of English. - Cambridge: Cambridge University Press. — 1775 p.
9. Collins COBUILD English Language Dictionary. - London: Collins, 1990.-1703 p.
10. The Concise Oxford Dictionary of Current English. 9th edition, 1995. On CD-ROM.
11. Encyclopedia Britannica. Electronic Version, 1997.
12. Fergusson R. The Penguin Dictionary of Proverbs. - London:Penguin, 1988.-331 p.
13. Longman dictionary of English language and culture. - Longman, 2000. -1568 p.
14. The Oxford Dictionary of Modern Quotations. Ed. by Tony Augarde. - Oxford University Press, 1992. - 530 p.
15. Simpson J. The concise Oxford dictionary of proverbs. - Oxford: Oxford University Press, 1985. - 256 p.
16. Webster's Encyclopedic Unabridged Dictionary of the English Language. - New York: Portland House, 1989. - 2078 p.

### ელექტრონული მასალა

- <http://gnc.gov.ge/gnc/concordance>
- <http://www.ruscorpora.ru/search-main.html>
- <https://sites.google.com/site/mygeolingua/home>
- <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6458>
- [www.rg.ru/2013/06/21privetstviya-site.html](http://www.rg.ru/2013/06/21privetstviya-site.html);
- <http://etiquete.okis.ru/price.html>
- [Strata of Linguistic World Picture-http://amikhalev.ru/?page\\_id=82](http://amikhalev.ru/?page_id=82);
- [http://www.orthodoxy.ge/tserilebi/ilia/ra\\_gitkhrat.htm](http://www.orthodoxy.ge/tserilebi/ilia/ra_gitkhrat.htm)
- [Великая октябрьская революция \(Great October Revolution\):](#)

- <http://comstol.info/2013/07/obshhestvo/7113>
- <https://www.stihi.ru/2009/04/04/2536>
- <http://lyrik.rc-mir.com/gedicht217190.html>
- [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/17946/1/33\\_Ctixotbarenie\\_Gruzinskoi\\_Poezii.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/17946/1/33_Ctixotbarenie_Gruzinskoi_Poezii.pdf)
- <https://www.irakly.info/topic-t1749.html>
- <http://www.rcmagazine.ge/component/content/article/1415.html?ed=46>
- <http://reksomiliardy21.blogspot.com/2015/01/the-examples-of-different-translation.html>
- <http://wikisource.org/wiki/>.
- <http://www.slideshare.net/apizzuto/translation-techniques-presentation>.
- <http://www.greencross.by/ru/projects/>.
- <http://www.jstor.org/stable/2928711>.
- [Antiwar, com http://quotations.home.worldnet.att.net/war.html](http://quotations.home.worldnet.att.net/war.html)
- [Aphorism.ru http://www.aphorism.ru/91.shtml](http://www.aphorism.ru/91.shtml)
- [ARRSEpedia The British Military Open Encyclopedia \(http://www.arrse.co.uk/wiki.\)](http://www.arrse.co.uk/wiki/)
- [BellaOnline http://www.bellaonline.com/articles/art\\_8751.asp](http://www.bellaonline.com/articles/art_8751.asp)
- [EPS Eric Partridge Slang today and yesterday. Routledge @ Kegan Paul London Boston and Henley reprint. 1979](http://www.routledge.com/9780230517999/9780230517999)
- [F-P.com Famous-Proverbs.com \(http://www.ets.ru/udict-r.htm\)](http://www.ets.ru/udict-r.htm)
- [WQ com Wisdom Quotes com - http://www.wisdomquotes.com/catwar.html](http://www.wisdomquotes.com/catwar.html)
- [MJAS Alderac Military Jargon and Alphabet Soup. Alderac Entertainment Group Forum Index \(http://www.alderac.com/forum/viewtopic.php?p=100000\)](http://www.alderac.com/forum/viewtopic.php?p=100000)
- [MWOT Merriam-Webster Online Thesaurus: http://www.m-w.com/](http://www.m-w.com/)
- [MWOD Merriam-Webster Online Dictionary: http://www.m-w.com/](http://www.m-w.com/)
- [ODQ The Oxford Dictionary of Quotations \(http://www.ets.ru/udict-r.htm\)](http://www.ets.ru/udict-r.htm)
- [ORD 1999 The Oxford Russian Dictionary. Oxford - Moscow, 1999 - 738c.](http://www.oxford.com.ua/)
- [PH PoemHunter.com: http://www.poemhunter.com/poems/war](http://www.poemhunter.com/poems/war)

- [ThinkExist. com Quotations http: //en.thinkexist.com/user/personal Account/register, asp](http://en.thinkexist.com/user/personal_Account/register.asp)
- [VT Thinkmap Visual Thesaurus: http://www.visualthesaurus.com/](http://www.visualthesaurus.com/)
- [WOD Webster's Online Dictionary: http://www.websters-online-dictionary.org/](http://www.websters-online-dictionary.org/)
- [WSD 1986 Webster's School Dictionary. Merriam-Webster Inc., Publishers Springfield, Massachusetts, U.S.A. 1986. - 1167 p.](#)
- [Список текстовых источников](#)